

ტ

ყ

მედიკალი,
ქმ,
მ



ვ

ფ







საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოება



აღმანახი „მწიგნობარი“ მოგვითხრობს
წიგნებსა და წიგნის გამომცემლებზე,
ბიბლიოთეკებსა და ბიბლიოფილებზე,
კიბებზე წიგნის სამყაროში,
კველ წიგნებზე, წიგნისმოყვარულების
ცხოვრებასა და საქმიანობაზე

ეჭივნოჯეჲი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

82



გამომცემლობა „საბოთა საქართველო“
თბილისი—1983

002
76.11
002
3 979

მთავარი რედაქტორი
ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

ივანე ლოლაშვილი (მთ. რედაქტორის მოადგილე)

ბელო დელეჟვა (პასუხისმგებელი მდივანი)

სოლომონ ხუციშვილი

ვივი მიქაძე

ელენე მაჭავარიანი

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

ნინო ლაიშვილი

გულნარა გოქაძე

ილია გორგაძე

მხატვარი

სპარტაკ ცინცაძე

წიგნი
და
უსმოვენი



თამარ ცხველიანი

ქართული ლენინიანას საწყისებთან

XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან ქართველი სოციალ-დემოკრატები დიდი ინტერესით ეცნობიან ვ. ი. ლენინის შრომებს. მათ ვ. ი. ლენინის პირველივე შრომებში დაინახეს საზოგადოების განვითარების მარქსისტული თეორიის ცხოველმყოფელობა.

ვ. ი. ლენინის პირველი ფუნდამენტალური შრომა „რანი არიან «ხალხის მეგობრები» და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ“, რომელიც ჰექტოგრაფზე დაბეჭდილი ვრცელდებოდა, ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატების ჯგუფმა 1894 წელს ხელით გადაწერა და გაავრცელა. მათთვის ცნობილი იყო აგრეთვე ლენინის შრომები: „განმარტება კანონისა ჯარიმების შესახებ, რომლებსაც მუშებს ფაბრიკებსა და ქარხნებში ახდევინებენ“, „ახალი საფაბრიკო კანონი“, „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში“ და სხვ.

მოწინავე მუშა, ცნობილი რევოლუციონერი ვანო სტურუა იგონებს: „როცა მე ვმუშაობდი თბილისში, ამიერკავკასიის რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში, 1899 წელს წავიკითხე წიგნი «კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში», რომლის გარეკანზე ეწერა ავტორის გვარი — ილინი. პირველ სოციალ-დემოკრატიულ წრეში, რომლის წევრიც მე ვიყავი, გვიჩვენეს ამ წიგნის საფუძვლიანად შესწავლა“.

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები მუშათა დემონსტრაციების დროს ავრცელებდნენ საბრძოლო პოლიტიკურ ფურცლებს, პროკლამაციებს, მოწოდებებს და სხვა პროპაგანდისტულ ლიტერატურას.

ვ. ი. ლენინი წერდა: „ადგილობრივმა სოციალ-დემოკრატიულმა მუშაობამ ჩვენში უკვე საკმაოდ მაღალ განვითარებას მიაღწია. სოციალ-დემოკრატიული იდეების თესლი გაბნეულია უკვე ყველგან მთელს

რუსეთში; მუშათა ფურცლები — სოციალ-დემოკრატიული ლიტერატურის ეს პირველი ფორმა — უკვე ცნობილია ყველა რუსი მუშისათვის პეტერბურგიდან კრასნოიარსკამდე და კავკასიიდან ურალამდე.

საქართველოში ვ. ი. ლენინის ნაწარმოებების ქართულად თარგმნა დაკავშირებულია ლენინურ-ისკრული ორგანიზაციების მუშაობასთან. 1900 წლიდან საქართველოს ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები და ქართველი რევოლუციონერები იწყებენ საქმიან მიმოწერას ვ. ი. ლენინთან და გაზ. „ისკრის“ რედაქციასთან.

1901 წლის სექტემბერში გამოსვლას იწყებს საქართველოს სოციალ-დემოკრატების ორგანო გაზ. „ბრძოლა“, რომელიც ბაქოში ლ. კეცხოველის მიერ მოწყობილ არალეგალურ სტამბაში იბეჭდებოდა. აქვე ხდებოდა საზღვარგარეთიდან მოსული გაზ. „ისკრის“ ნომრების გადაბეჭდვა. „ისკრა“ თავის ფურცლებზე სისტემატურად აშუქებდა საქართველოს მუშათა მოძრაობის ამბებს.

* * *

1902 წლის 28—31 ოქტომბერს მოსკოვის გუბერნიის სასამართლო პალატის სხდომაზე სიტყვები წარმოთქვეს სორმოველმა მუშებმა: ა. ა. ზალომოვმა, ა. ი. ბიკოვმა, მ. ა. სამილინმა და სხვ., რომელნიც სამართალში იყვნენ მიცემულნი 1902 წლის 1—5 მაისს გამართულ საპირველმასისო დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის. სამართალში მიცემული იყო საპირველმასისო დემონსტრაციის 23 ორგანიზატორი და მონაწილე. მათგან 13 კაცს სასამართლომ ციმბირში სამუდამო გადასახლება მიუსაჯა. სასამართლოზე წარმოთქმული სიტყვები რსდმპ ნიჟეგოროდის კომიტეტმა ცალკე ფურცლად გამოსცა. 1902 წლის 25 ნოემბერს ვ. ი. ლენინი „ისკრის“ რედაქციაში გაეცნო ამ ფურცელს. იგი ძალიან დაინტერესდა ნიჟეგოროდელი მუშების სიტყვებმა.

სიტყვა მუშა ზალომოვისა:

„მე შეგნებულად შევეუერთდი დემონსტრაციებს, მაგრამ დამნაშავეთ თავს არა ვცნობ, რადგანაც მოვალეთ ვრაცხდი ჩემს თავს მიმელო

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 258.

მონაწილეობა დემონსტრაციაში, რომლის საშუალებით იყო გამოცხადებული უკმაყოფილება იმ კანონებისადმი, რომელიც, იცავს რეესტრაციას და რეესტრაციას გაბატონებული კლასისას, ამავე დროს არ აძლევს ნებისაშუაშებს გაიუმჯობესონ თავიანთი მდგომარეობა...

ათი წლის გამოცდილებით, რომელიც შევიძინე მე სხვადასხვა ქარხანა-ფაბრიკებში მუშაობის დროს, მე მივედი იმ დასკვნამდე, რომ მუშები ცალ-ცალკე მოქმედებით ვერ გაიუმჯობესებენ მდგომარეობას... მუშებს თითოეულს ცალ-ცალკე არ შეუძლიათ წინააღმდეგობა გაუწიონ მწარმოებლებს, მუშებს ცალ-ცალკე არ შეუძლიათ არ დასთანხმდნენ პირობებზე, რაც უნდა ცუდი იყოს ის, რომელსაც წაუყენებს მწარმოებელი... არ შეუძლიათ აგრეთვე მუშებს მონაწილეობა მიიღონ თავიანთ ნაშრომის მოსაგებში თუ ისინი არ შეერთდნენ ერთი ძმური კავშირით... ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის შემდეგ, ვთვლიდი რა მუშებს ღირსეულად მოეთხოვათ თავიანთი შრომის ძალით უკეთესი ცხოვრების პირობები — მე შეგნებულათ მოვემხრე მათ.

გავიგე რა განზრახული დემონსტრაციის შესახებ — მე გავაკეთე ბაირაღები ზედ წარწერით: «გაუმარჯოს სოციალ-დემოკრატის!» — ერთზე, «გაუმარჯოს რვა საათის სამუშაო დღეს!» — მეორეზე, «ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას!» — მესამეზე. ბაირაღები, რომლებითაც მე წავედი დემონსტრაციაზე, აღმოჩნდნენ ძალიან საჭირო, რადგანაც დემონსტრანტებს ასეთი არ ჰქონდათ და ისინი აცხადებდნენ თავიანთ უკმაყოფილებას მხოლოდ ყვირლით — „ძირს თვითმპყრობელობა, გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას!“ და სარეველუციო ლექსების მღერით. მე ვიცოდი, რომ დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებისათვის მელის სასტიკი სასჯელი — კატორღა... ვწირავ რა თავს... ვიცი, რომ მოუტან ჩემს ამხანაგებს... სიკეთეს მაინც და ეს იმედი — კი მავიწყებს ყოველივე გამოვლილ და მოსალოდნელ ტანჯვას და სხვა“.

სიტყვა მუშა ალექსი ბიკოვისა

„მე არ ვცნობ თავს დამნაშავეთ, თუმცა გამოვედი დიდ გზაზე, სადაც იყო დემონსტრაცია, შეგნებულათ შევეუერთდი დემონსტრანტებს და განვაცხადე ჩემი უკმაყოფილება თანამედროვე წესწყობილებისადმი... მე მოუთმენლათ მოველოდი ამ დღეს... შევეუერთდი ამ ჯგუფს და მივიღე შიგ მონაწილეობა შეგნებულათ“.

სიტყვა მუშა სამილიონისა



„... რამდენიმე დღის წინათ გავიგე პირველი მაისის დემონსტრაციის შესახებ და ამ დღეს გამოველ დიდ გზაზე, სადაც იყვნენ დემონსტრანტები და შევეუერთდი მათ შეგნებულათ, იმიტომ, რომ მოვალეთ ვრაცხდი ჩემს თავს გამომეცხადებინა ჩემი უკმაყოფილება თანამედროვე წყობილებისადმი. რომ მიიქციოს მუშებმა მთავრობისა და საზოგადოების ყურადღება, საჭიროა რაიმე შესამჩნევი ზომების მიღება და ერთი ასეთთაგანია დემონსტრაცია“.


სიტყვა ღურგალ მიხაილოვისა

„მე წავედი დემონსტრაციაზე შეგნებულათ, იმიტომ რომ მსურდა სხვებთან ერთად გამომეცხადებინა, რომ მე არა ვარ კმაყოფილი თანამედროვე წყობილებით და მინდა იმის შეცვლა, ... დემონსტრაციაზე წინააღმდეგობის გამოსაცხადებლათ წავედი ამ დღეს დანიშნულ ადგილას, ... წავიდე წითელი ბაირადი... დავიწყე რევოლუციური სიმღერა, ავაფრიალე წითელი ბაირადი და დავეძახე: ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას“.

ვ. ი. ლენინმა სტატიაში „ახალი მოვლენები და ძველი საკითხები“, რომელიც 1902 წლის 1 დეკემბერს გამოქვეყნდა გაზ. „ისკრაში“, დიდი შეფასება მისცა სორმოველი მუშების სასამართლოში წარმოთქმულ სიტყვებს: „რა ჭკუის სასწავლებელია ეს პასუხი ყველა იმათთვის, ვინც განსაკუთრებით ხმაურობდა დემონსტრაციების მოქმედების გაქარწყლებაზე... ეს სიტყვები საუცხოო, პროლეტარიატის თვით გულის სიღრმიდან გამომდინარეა... ამ სიტყვებში შესანიშნავია უბრალო, ნამდვილად ზუსტი გამოხატვა იმისა, თუ თანამედროვე საზოგადოებაში მუშათა «ჩაგვრის, სილატაკის, მონობის, დამცირების, ექსპლოატაციის» უაღრესად ყოველდღიური, ათეული და ასეული მილიონობით განმეორებული ფაქტებიდან როგორ ხდება გადასვლა მუშების შეგნების გაღვიძებისაკენ, მათი «აღშფოთების» ზრდისაკენ, ამ აღშფოთების რევოლუციური გამოვლინებისაკენ“².

ვ. ი. ლენინის წინასიტყვაობა, რომელიც მან რსდმპ ნიყეგოროდის კომიტეტის მიერ გამოცემულ ფურცელს დაურთო, მოწოდებასავით გაისმა მთელ რუსეთში:

² ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 346.



„ვებეჭდავთ ნიქინოვგოროდელი მუშების სიტყვებს ლითონო-ფიული ფურცლიდან, რომელიც გამოსცა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ნიქინოვგოროდის კომიტეტმა. ამ სიტყვებს რომ რაიმე დაუმატო, ეს ნიშნავს მხოლოდ შეასუსტო ის შთაბეჭდილება, რასაც ახდენს ეს ალალმართალი მოთხრობა მუშათა გაჭირვებაზე, მათ შორის აღმფოთებისა და ბრძოლისათვის მზადყოფნის ზრდაზე. ჩვენი მოვალეობაა ახლა — მთელი ღონე ვიხმაროთ, რათა ეს სიტყვები ათეულათასობით რუსმა მუშამ წაიკითხოს. ზალომოვის, ბიკოვის, სამილინის, მიხაილოვის და მათი ამხანაგების მაგალითი, რომლებმაც გმირულად დაიცვეს გასამართლებაზე თავიანთი საბრძოლო ყიყინა: „ძირს თვითმპყრობელობა!“. აღაფრთოვანებს რუსეთის მთელ მუ-

ბროშურის გარეკანი.

შათა კლასს ასეთივე გმირული და გადამწყვეტი ბრძოლის გასაჩაღებლად მთელი ხალხის თავისუფლებისათვის, ნათელი სოციალისტური მომავლისაკენ განუხრელი მუშური მოძრაობის თავისუფლებისათვის!“³

ქართველი ბოლშევიკები მაშინვე გამოეხმაურნენ ვ. ი. ლენინის ამ მოწოდებას: „ჩვენი მოვალეობაა ახლა მთელი ღონე ვიხმაროთ, რათა ეს სიტყვები ათეულათასობით მუშამ წაიკითხოს“ — წერდნენ ისინი.

1903 წლის 26 თებერვალს თბილისში გავრცელდა ქართულ ენაზე გამოცემული პირველი პოლიტიკური ბროშურა „სიტყვები ნიქეგოროდელი მუშებისა თქმული სასამართლოს წინაშე“ ვ. ი. ლენინის წინასიტყვაობით. იგი ბაქოს ქართულ არალეგალურ სტამბაში დაიბეჭდა, მაგრამ კონსპირაციის მიზნით უნევა აწერია.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36, გვ. 112.



ვ. ი. ლენინისათვის მალე გახდა ეს ცნობილი. 1903 წლის 3 აპრილს ნ. კ. კრუპსკაია ლონდონიდან სამარაში სწერდა ვ. კ. კრუჟიანოვსკის „ნინა“ მუშაობს მთელი გაქანებით. აწარმოებს „ზარიადან“ სტატიების გადმობეჭდვას. დაბეჭდეს ნიჟნინოვგოროდის მუშების სიტყვები“⁴.

რევოლუციის აღმავლობის პერიოდში სორმოველი მუშების სიტყვები საინტერესო იყო ყველა ერის მუშებისათვის, მათ შორის ქართველი მუშებისათვისაც.

ვ. ი. ლენინი წერდა: „უბრალო მუშები თავიანთი განვითარების დონის მხრივ სრულიადაც არა მოწინავე მუშები, ლაპარაკობდნენ არა როგორც თუნდაც რაიმე ორგანიზაციის წევრები, არამედ როგორც მასის ადამიანები... რომ ეს სიტყვები ემყარებოდნენ არა მათს პირად რწმენას, არამედ რუსეთის თვითეული პროლეტარისა და ნახევრად პროლეტარების ცხოვრების ფაქტებს“⁵.

ამ პირველ პოლიტიკურ ბროშურას ქართულ ენაზე ათასობით მუშა გაეცნო. მისი ქართული თარგმანი, მართალია, რუსული ტექსტის მთლად იდენტური არ არის, მაგრამ მაინც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი ქართული ლენინიანას ისტორიის ბრწყინვალე ნიმუშია.

თ ბ ი ლ ის ი

⁴ ვ. ი. ლენინის ეს სტატია ქართულ ენაზე ითარგმნა ვაზ. „ისკრის“ 1903 წლის 1 მარტის № 35-დან.

⁵ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გვ. 346—347.

უშანგი ოგოლაძე

„ბუნების კარი“ და ბუნების ღაცვა

იაკობ გოგებაშვილმა „ბუნების კარში“ ხორცი შეასხა ბუნებისადმი ადამიანის მაღალგონივრული დამოკიდებულების იდეას და იგი ჩვეულებრივი დიდაქტიკური რიგის მოვლენიდან მორალურ-პედაგოგიური სიბრძნის დონემდე აიყვანა.

იაკობ გოგებაშვილამდე კლასიკურ პედაგოგიაში, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჟან-ჟაკ რუსოს ზოგად იდეებს, ასე სრულად, ხატოვნად და მიმზიდველად ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა პედაგოგიური ასპექტით არავის შეუსწავლია და ჩამოუყალიბებია. იაკობისათვის ბუნება არც სალოცავი ხატია და არც გასულიერებული არსება. მაგრამ მასალის მაღალგონივრული შერჩევით დაგვანახვა, რომ როცა ადამიანები ბუნებასთან ურთიერთობისას უდიერებას იჩენენ, სასტიკად ისჯებიან, უფრო ზუსტად — სასტიკად ისჯიან თავს.

„ბუნების კარის“ თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ იაკობ გოგებაშვილისათვის ბუნებისადმი ადამიანის დამოკიდებულება უბრალოდ მოვალეობა კი არ არის, არამედ თვითონ ადამიანია ბუნების ნაწილი. მაგრამ ადამიანებმა ეს ბუნდოვნად იციან. აქედან გამომდინარე, იგი სახალხო სკოლის ერთ-ერთ ძირითად ამოცანად თვლის მის ცნობიერ დონემდე ამაღლებას, რასაც ასაბუთებს თეორიული და პრაქტიკული გზით. მთელი სასწავლო მასალა — ლექსი, მოთხრობა და ნარკვევი, სურათი, მთა, ნაკადული და მდელო, შვლის ნუკრი და მშიშარა კურდღელი, ხმელი წიფელი და ქუჩი, თხუნელა და ზღარბი — მაღალი ადამიანური გულთამხილობით არიან აღბეჭდილი და თავისი შინაგანი გულისხმევით ატყვევებს გულს, ბავშვის არსებაში ნერგავს უპირველეს ადამიანურ თვისებას — სიკეთეს.

„ჩინებულ წიგნს „ბუნების კარს“ რომ „სამშობლო ქვეყანა“ ერ-



ქვას, სწორედ ზედ გამოპრილი სახელი იქნება. რომელი მხარე გინდა სამშობლო ქვეყნისა, რომ მისზე მოკლედ, მაგრამ ცხადად და საფუძვლიანად არ გებასებოდნენ „ბუნების კარის“ ფურცლები? როგორც შეყვარებული თავის ღვთაებას, ისე „ბუნების კარი“ საქართველოს ყოველ წამს ევლება თავზედა, მას შესტრფის, ეთაყვანება, ერთ წუთსაც კი ვერ მოუშორებია თვალი. როცა მის სიკეთეს ხედავს, აღტაცებით დახარის, როცა რაიმეს სამწუხაროს ეხება, თითონაც სწუხს და უსულგულო სტრიქონებიდან გულწრფელი კვნესა ისმის ამ დროს. მაგრამ „ბუნების კარი“ მხოლოდ ამ დიადი გრძნობის აღძვრასა და გაფურჩქვნაზე როდი ჩერდება. მან კარგად იცის, რომ გონივრული სიყვარული შეიძლება მისი, რაც დაახლოებით გვაქვს შესწავლილი, რასაც კარგად ვიცნობთ. ამიტომ, სამშობლო ქვეყნის ბუნება, მისი მთა და ბარი, მისი მიწა და წყალი, ჰავა, ნიადაგი და სხვადასხვაგვარი მოსავალი, მცხოვრებნი და მათი სხვადასხვანაირი შრომა, ხასიათი, ცხოვრება — ყველა ეს მკითხველის თვალწინ ბალხასავით არის გადაშლილი. ამას მოსდევს საქართველოს მოკლე ისტორია, რომელშიც მოთავსებულია ყველა ის, რაც ამშვენებს ჩვენი ერის წარსულს, რაშიაც ნათლად იხატება მამა-პაპათა საქვეყნო მოღვაწეობა, მათი ქვეყნის დაცვისა და ბატონობის უნარი“, — ასე ახასიათებდა „ბუნების კარს“ ნიკოლოზოური.

ამჟამად, როდესაც ბუნების დაცვა სახელმწიფოსა და მთელი საზოგადოებრიობის ზრუნვის საგანი გახდა, ახალი შარავანდედი ეფინება იაკობ გოგებაშვილის ღვაწლსა და ამაგს, მის მიერ შედგენილ სასწავლო სახელმძღვანელოებში დაყენებულ ბუნების დაცვის პრობლემებს, რომლებსაც საუკუნის წინ ჩაუყარა საფუძველი და დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის არაგონივრულმა გამოყენებამ დაარღვია ბუნების საგნებსა და მოვლენებს შორის ბუნებისეული მყარი და მიზანშეწონილი კავშირთა თიერთობა და წონასწორობა, რაც დიდ საფრთხეს უქმნის კაცობრიობას. ჩვენს ქვეყანაში ფრიადმნიშვნელოვანი ღონისძიებები ხორციელდება ბუნების საფარის აღდგენისა და მისი დაცვის საქმეში, რაც საკანონმდებლო წესით არის განმტკიცებული. სსრ კავშირის კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ ბუნების დაცვის დადგენილი წესები კანონის ხასიათს ატარებენ და მათი შესრულება სავალდებულოა ყველა მოქალაქისათვის.

ბუნების დაცვა-აღდგენის კომპლექსური ღონისძიებებიდან ერთ-

ერთ ძირითად საზრუნავად გამოიკვეთა ბუნების დაცვის ფართო პრაქტიკული პაგანდა მოსახლეობაში და, პირველ ყოვლისა, ახალგაზრდობაში. 1977 წლის ოქტომბერში თბილისში ჩატარდა სამთავრობათაშორისო კონფერენცია, რომლის მუშაობაში 64 ქვეყნის დელეგაციამ მიიღო მონაწილეობა. კონფერენციაზე დიდი სჯა-ბაასი გაიმართა იმის შესახებ, თუ რა პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს ბუნების დაცვის სფეროში მოსახლეობის, კერძოდ, ახალგაზრდობის განათლება, მისი ფორმები, ორგანიზაცია და მეთოდები.

კონფერენციის მუშაობაში ფართო ადგილი დაეთმო მსჯელობას სასკოლო საბუნებისმეტყველო განათლების არსებითად გარდაქმნის შესახებ. განსაკუთრებით უნდა აღენიშნოთ შემდეგი რეკომენდაციები: სასწავლო დაწესებულებების მუშაობის დონე თვალს უნდა უსწორებდეს სათანადო მეცნიერებათა განვითარების თანამედროვე დონეს. ასეთივე სინთეზური მიდგომით უნდა შეიქმნას და გადამუშავდეს სასწავლო სახელმძღვანელოები და კლასგარეშე საკითხავი წიგნები; საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ახალ მეცნიერულ მონაპოვრებთან შეხამებულ სასწავლო-ტექნიკური საშუალებებისა და სხვადასხვა სახის დიდაქტიკური მასალების შექმნა-დამუშავებას; ახალ, მტკიცე და მყარ ნიადაგზე უნდა იქნას დამკვიდრებული მასწავლებელთა ახალგაზრდა კადრების მომზადება; ახალგაზრდა მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება; ფართოდ უნდა დაინერგოს გამოცდილების გაზიარება სხვადასხვა ქვეყნის მასწავლებლებს შორის და სხვ.

ადამიანთა მიერ ბიოსფეროს საშიშ ხელყოფას საკმაოდ გრძელი ისტორია აქვს, მაგრამ უფრო მკვეთრად იგი გამოვლინდა კოლონიალიზმის დასაწყისიდან; შემდეგ მისი გეოგრაფიული არე გაფართოვდა. ფლორასა და ფაუნასთან ერთად ზიანდებოდა წყალიცა და ჰაერიც. მაგრამ ჩვენი საუკუნის დასაწყისისათვის ასეთი გრანდიოზული მასშტაბები არ ჰქონია.

თბილისის სამთავრობათაშორისო კონფერენციის მასალებში ბუნების დაცვის პრობლემების დაყენების ისტორია ასეა შეფასებული: გარემოს დაცვის პრობლემა სერიოზულ პრობლემად თანამედროვე საზოგადოებისათვის შედარებით ახალ მოვლენას წარმოადგენს, თუმცა გარკვეული შიში გარემოს დაცვის პრობლემების გარშემო ყოველთვის გამოითქმოდა, მაგრამ უკანასკნელ ათწლეულებში მეცნიერების განსაკუთრებული სწრაფი განვითარებისა და აგრეთვე სოციალური ცვლილებების ნიადაგზე წარმოიშვა ახალი პრობლემები, ხოლო წინათ არსე-

ბული პრობლემები სრულიად ახალი შუქით წარმოსდგა ჩვენს წინაშე.



დღეს მსოფლიოს მოწინავე საზოგადოებრიობა შემფოთებულია საფრთხის გამო, რაც გარემომცველ ბუნებას ემუქრება.

იაკობ გოგებაშვილმა ბევრად უფრო ადრე გაიგო საფრთხის მოახლოება თავისი ქვეყნის მაგალითზე და ამ საკითხის ძირითად წყაროზე მიუთითა „ბუნების კარი“ წინასიტყვაობაში: „საქართველოს ბუნება ისეთი მდიდარია და მრავალფეროვანი, რომ ევროპის ბუნება მასთან ნარცხადაც არ მოვა. მაგრამ ჩვენ ამ მდიდარის ბუნებისა არაფერი გაგვეგება უკუღმართი აღზრდის წყალობით. ამის გამო ჩვენს ბუნებას ეპატრონებიან უცხოელნი, შეიარაღებულნი რეალური ცოდნით, იძენენ აუარებელს ქონებას და ჩვენ კი ხახა-მშრალეები ვრჩებით“. მან ადრე შეიცნო, რომ ბუნებაში არსებულ შინაგან წესრიგს საფრთხე ელის და არა მარტო შეიცნო, არამედ მწვავედ განიცადა და ყველაფერი იღონა, რომ ეს საფრთხე შეენელებინა. ბუნებათმეცნიერულმა და პედაგოგიურმა განათლებამ, ბუნების, სოციალური და პოლიტიკური მოვლენების სიღრმეში წვდომის არაჩვეულებრივად მახვილმა უნარმა და შორსმჭვრეტელი კაცისათვის დამახასიათებელმა ალლომ დაარწმუნა იმაში, რომ ამ საქმეს შეეღა სჭირდებოდა. იგი სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ თავისი უვიცობით ხალხი „მტრულად ეკიდება“ ფრინველნადირთ, „ამ თავის დაუფასებელ მეგობრებს და უწყალოთ ქლეტს მათ თავის საზარალოდ“.

„ბუნების კარი“ პირველად 1868 წელს დაიბეჭდა. ეს იყო ანბანის შემდეგ საკითხავი წიგნი. მაგრამ წლების მანძილზე იაკობი დაუღალავად იღვწოდა, რომ „ბუნების კარი“ მიმზიდველი გაეხადა ყმაწვილებისათვის. მისი შედგენისას, — წერდა იგი, — „გვერდი ავუქციეთ იმისთანა მშრალს მხარეებს საგნებისას, როგორც არის კლასიფიკაცია მცენარეებისა და ცხოველებისა და მათი ანატომიური აგებულება, რაც შეადგენს პირდაპირ საგანს ბუნებისმეტყველების სახელმძღვანელოსას. სამაგიეროდ, დიდი ყურადღება მივაქციეთ მას, თუ რა დამოკიდებულება არსებობს მცენარეთა და ადამიანთა შორის, როგორ ცხოვერობს ცხოველი, როგორ იბრძვის არსებობისათვის, რა ადგილი უჭირავს ბუნებაში, რა დამოკიდებულება აქვს სხვა ცხოველებთან და მეტადრე ადამიანებთან და თვით თავისს სამშობლოსთან“. იგი დიდ სიფრთხილეს იჩენდა სასწავლო მასალის შერჩევისას. ამ მიზნით იყენებდა იმ დროისათვის ცნობილი მეცნიერების ნაშრომებს.

„ბუნების კარში“ ფართოდ და თანაც მისაწვდომად იყო წარმოდგენილი მასალა გარემომცველი ბუნებისა და ადამიანთა კეთილდღეობისათვის მისი გამოყენების შესახებ, რასაც იაკობ გოგებაშვილმა ხალხო სკოლის უპირველეს საქმედ თვლიდა. ამით იყო გამოწვეული ყოველი გამოცემის შევსება და გამდიდრება საბუნებისმეტყველო მასალებით.

თუ „ბუნების კარის“ პირველ გამოცემაში საბუნებისმეტყველო მასალას 106 გვერდი ჰქონდა დათმობილი, 1912 წლის გამოცემაში იგი 200 გვერდამდე გაიზარდა. და თანაც მასალა უფრო სრულყოფილად არის წარმოდგენილი, რაც იმან განაპირობა, რომ იაკობ გოგებაშვილი შეუწუხებელი ინტერესით სწავლობდა ბუნებათმეცნიერებაში მოპოვებულ მიღწევებს და მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მათ შერჩევასა და დიდაქტიკური თვალსაზრისით ფაქიზად დამუშავებას.

სახელმძღვანელომ საბოლოო დასრულებული სახე 1909 წელს მიიღო. ამ გამოცემის წინასიტყვაობა — „მასწავლებელთა და მშობელთათვის“ ასე მთავრდება: „წიგნის ბოლოში საჭიროდ დავინახეთ ჩაგვერთო სრულიად ახალი განყოფილება — „კაცობრიობა“. ამ განყოფილებაში აღწერილია უმთავრესად დაწინაურებული ქვეყნების მდგომარეობა, კონსტიტუციური მართვა-გამგეობა, ზნე-ჩვეულებანი მცხოვრებთა და სხვანი. საჭიროდ ვრაცხთ ამას დაუშვამათო, რომ ჩვენ ახლა სრულიად დამთავრებულად მიგვაჩნია „ბუნების კარი“ და ამიტომ მასში აღარ მოვახდენთ აღარავითარს ცვლილებას ახლო მომავალში“.

იმისათვის, რომ მართებულად შევაფასოთ „ბუნების კარის“ როლი რევოლუციამდელი ქართველი ახალგაზრდობის განათლებისა და აღზრდის საქმეში, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ სახალხო სკოლებში სწავლების ვადა მცირე დროით განისაზღვრებოდა: სამინისტროს ერთკლასიან სკოლებში სწავლის ვადა სამწლიანი იყო, ხოლო საეკლესიო-სამრევლო სკოლებში — ოთხწლიანი. იაკობ გოგებაშვილის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ბრძოლას სწავლების ვადის ხუთ-ექვს წლამდე გახანგრძლივების შესახებ, შედეგი არ მოჰყოლია. სკოლებში სასწავლო გეგმით არც ბუნებისმეტყველების, გეოგრაფიისა და ისტორიის სწავლება იყო გათვალისწინებული.

ამიტომ იაკობ გოგებაშვილი ცდილობდა, ისე შეერჩია მასალა ბუნებისმეტყველებიდან, გეოგრაფიიდან და ისტორიიდან, რომ მოსწავლეებს შეძლებოდათ მისი ათვისება და პრაქტიკული გამოყენება.

მისი აზრით, ბუნების ცოდნა აუცილებელია ქართველი კაცისათვის,

რადგან საქართველო სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაა, მისი ბუნება უხვი და მრავალფეროვანია, ჩვენი ხალხი კი ღარიბია იმის გამო, რომ მან ბუნების კანონები არ იცის და მას უღიერად ეპყრობა. „მოგახსენებთ, რომ ყველა სახელმწიფოს თავისი კანონები აქვს. თვითეულმა ქვეშევრდომმა უნდა იცოდეს ეს კანონები და ასრულებდეს მათ. თუ კანონებს გადავა, დაარღვევს, სახელმწიფო დასჯის მას, როგორც დამნაშავესა“ და განაგრძობს: „ბუნებას კიდევ უფრო შეუპყრველი კანონები აქვს, ვიდრე სახელმწიფოსა, ყოველი ადამიანი, როგორც ვიცით, ცხოვრობს ბუნებაში, დამოკიდებულია მასზე, მის კანონებზე. თუ მას კარგად აქვს შესწავლილი ბუნება, მისნი ძალნი, მისნი მოვლენანი, კანონები და გონივრულად უთანხმებს მათ თავის მოქმედებასა, ცხოვრებასა, ბუნებაც ხელს უწყობს კაცსა, ემორჩილება, აჯილდოებს იმით, რომ ანიჭებს სიმრთელეს ჯანისას და ქონებას — ამ ორს ბურჯს ბედნიერებისასა“.

იაკობ გოგებაშვილი დიდ გულისტიკვილს გამოთქვამს იმის გამო, რომ „ბუნების უცოდინარობა განსაკუთრებით დიდ ზიანს აყენებს იმ ადამიანებს, რომლებიც ხენა-თესვით, მევენახეობით და მებაღეობით ცხოვრობენ, რადგან მოსავლის რაოდენობა დამოკიდებულია ორ ძალაზე: ადამიანის შრომაზე და ბუნების თვისებაზე. რაც უნდა მუყაითი და ბეჯითი იყოს, უხვს მოსავალს ვერ ეღირსებით, თუ ბუნების ძალას არ დაიხმარებთ, არ იმსახურებთ, ხოლო ბუნება ხელს უწყობს და ემსახურება მარტო მას, ვინც მისი ავი და კარგი ზედმიწევნით იცის, შესწავლილი აქვს მისი თვისებანი, მისი კანონები“.

საბუნებისმეტყველო მასალების სიუხვესთან ერთად „ბუნების კარში“ ცხრაასიანი წლების შემდეგ უფრო მეტი რაოდენობით არის შეტანილი მასალები საქართველოს გეოგრაფიიდან და ეთნოგრაფიიდან. მეხუთე — 1885 წლის გამოცემა შევსებული იყო ახალი განყოფილებით: „მოთხრობანი საქართველოს ისტორიიდან“. ეს განყოფილება თანდათან მდიდრდებოდა სათანადო მასალებით და იხვეწებოდა პედაგოგიურ მოთხოვნილებათა შესაბამისად.

ჩვენი ქვეყნის ბუნების, გეოგრაფიისა და ისტორიის შესახებ „ბუნების კარში“ შეტანილი ნარკვევები, რომლებიც ძირითადად იაკობ გოგებაშვილის შედგენილი ან გადმოკეთებულია, დოკუმენტური პროზის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენენ. ამას ემატება ისიც, რომ საბუნებისმეტყველო, გეოგრაფიულ, ისტორიულ ნარკვევებს შიგადაშვიგ ჩართული აქვს ქართული პოეზიის საუკეთესო ნიმუშები. მხატვ-



რული და ენობრივი თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წიგნის ერთ-ერთ განყოფილებაში — „ქრესტომათიაში“ შეტანილი ქართული პროზისა და პოეზიის ნიმუშებს.

ქართული სკოლის ღირსებას „დედა ენასთან“ ერთად არსებითად განაპირობებდა „ბუნების კარი“. ორთავე ეს სახელმძღვანელო ფასდაუდებელ სამსახურს უწევდა ჩვენს სახალხო სკოლას სწავლების დედანაზე დაფუძნების საქმეში. „ბუნების კარის“ მოქმედების სფერო სცილდებოდა სკოლის ფარგლებს. „დედა ენის“ მსგავსად, იგი ქართულ ოჯახებში სამაგიდო წიგნად იქცა.

„ბუნების კარის“ ბოლო გამოცემა 1918 წელს დაიბეჭდა. ამრიგად, იგი მთელი 50 წლის განმავლობაში ემსახურა ქართველი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმეს. მის ცხოველმყოფელობას ისიც მოწმობს, რომ მასში მოთავსებული მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი დღესაც არის შეტანილი სასკოლო სახელმძღვანელოებში და ნაყოფიერად ემსახურება ჩვენი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის დიდ საქმეს.

ბუნების შესწავლის საქმეს ემსახურებოდა აგრეთვე იაკობ გოგებაშვილის მიერ გამოცემული „საყმაწვილო კონა, პირველდაწყებითი მოთხრობები ბუნებათმეცნიერებიდგან“ (1874). მისი შევსებული გამოცემები შემდგომ წლებში კიდევ ოთხჯერ დაიბეჭდა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს წიგნი „მოსავლის მცველნი, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები“ (1896). ამ წიგნში ი. გოგებაშვილი ცდილობს გააღვივოს ყმაწვილებში ბუნების შესწავლისადმი ინტერესი, გაარკვიოს ისინი ბუნების კანონზომიერებებში; აღზარდოს მათში ბუნებისადმი გონივრული, გულისხმიერი დამოკიდებულება.

იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობა განსხეულებული მის საბუნებისმეტყველო სტატიებსა თუ მოთხრობებში, სასწავლო სახელმძღვანელოებსა თუ დამხმარე საკითხავ წიგნებში, ორიგინალური და მასშტაბურია. ეს მემკვიდრეობა ქართული მიწის, მშობლიური გარემოს, მშობლიური ხალხის მაღლით არის მირონცხებული. ამ ღირსებებით იგი პოტენციურად ეხმარება თანამედროვეობასაც, იმ ტკივილებს, რაც განსაკუთრებული სიმწვავეით გამოვლინდა ჩვენი საუკუნის მეორე ნახევრიდან გარემოსადმი ადამიანთა უდიერ დამოკიდებულებაში.

ბორის ღარჩია

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები მშობლიურ ენაზე*

„ვეფხისტყაოსანი“ ქართველი კაცისათვის ყოველთვის იყო ცხოვრების განუყოფელი თანამგზავრი, სტიმულის მიმცემი, სიბრძნის, სილამაზის, ვაჟკაცობის, მხნეობის, სიხარულის მიმნიჭებელი. ყველა ცდილობდა და ცდილობს ჰქონდეს ეს ძვირფასი წიგნი. ამიტომაც ჩვენი გამოცემლობები ვერ აკმაყოფილებენ მასზე არსებულ მზარდ მოთხოვნილებას და ყველა ახალი გამოცემა უმაღლვე ქრება მალაზიების თაროებიდან.

„ვეფხისტყაოსნის“ სტამბურად გამოცემა გვიან დაიწყო. აღრე იგი ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა. საუკუნეთა მანძილზე მრავალგზისი გადაწერის პროცესში ტექსტმა ბევრნაირი ცვლილება განიცადა. სხვადასხვა მომზადების მწიგნობარ-გადაწერები თავიანთი ცოდნისა და განათლების კვალობაზე ცვლიდნენ მათთვის მიუღებელ და ძნელად გასაგებ ადგილებს, თხზავდნენ და შიგ ამატებდნენ ნაირ-ნაირ სტროფებსა და ეპიზოდებს. ამჯერად არ მოგვეპოვება პოემის არათუ ავტო-

* „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემების შესახებ ლიტერატურა საქმოდ ბევრია: 1957 წლამდე განხორციელებული გამოცემები და მათ შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა ასახულია გაიოზ იმედაშვილის ბიბლიოგრაფიულ ნაშრომში „რუსთველოლოგიური ლიტერატურა, 1712—1956 წლები“. პოემის გამოცემათა ბიბლიოგრაფია ერთვის კონსტანტინე ჭიჭინაძის მიერ 1934 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც აკაკი გაწერელის მიერაა შედგენილი. 1966 წელს კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ ცალკე ბროშურის სახით დაბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემების ბიბლიოგრაფიული საძიებელი (შემდგენლები — თამარ დონდუა, კლარა რამიშვილი). ამავე წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში დაცული „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებისა და ხელნაწერების ბიბლიოგრაფიული საძიებელი გამო-



რისეული, ან მასთან ახლო მდგომი ხელნაწერი, არამედ ისეთიც, რომელიც ძლიერ არ იყოს შერყენილი შემდეგდროინდელი გადაწყვეტილებებისაგან.

გენიოსი პოეტის თხზულების კრიტიკული ტექსტის დადგენა და მკითხველი საზოგადოებისათვის მისი მიწოდება — ეს იყო და არის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებისა.

„ვეფხისტყაოსანი“ პირველად დაბეჭდა ქართული კულტურისა და მეცნიერების დიდმა მოამბემ, ვახტანგ მეექვსემ 1712 წელს მის მიერ დაარსებულ სტამბაში, თბილისში. ეს გამოცემა მოცულობის მხრივ მნიშვნელოვნად განსხვავდება ხელნაწერებისაგან. არც წაკითხვებით ემთხვევა რომელიმე მათგანს. იგი ბევრად მოკლეა. მასში არ მოიპოვება მრავალი ჩანართი და დანართი სტროფი, რომლებიც მეტ-ნაკლები რაოდენობით იკითხება „ვეფხისტყაოსნის“ XVII—XVIII საუკუნეთა ხელნაწერებში.

პოემის ტექსტს ერთვის ვახტანგის კომენტარები, რომლებშიც განმარტებულია თხზულების მრავალი ძნელად გასაგები ადგილი და სიტყვა.

რუსთველოლოგიაში დიდხანს მიმდინარეობდა კამათი, თუ რა ტექსტი დაედო საფუძვლად ამ გამოცემას. ერთხანს მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნდა, რომ ვახტანგს ხელთ ჰქონდა პოემის რომელიღაც ძველი, ამჟამად დაკარგული ხელნაწერი და იგი დაბეჭდა უცვლელად. 1937 წელს ა. შანიძემ მეცნიერული სიზუსტით საბოლოოდ ნათელყო და შემდგომ ს. ცაიშვილმა ახალი მასალებით განამტკიცა რუსთველოლოგიაში არსებული მეორე თვალსაზრისი, რომ ვახტანგს გამოცემისას გამოუყენებია პოემის ვრცელი შედგენილობის ხელნაწერი, გაუცხრი-

აქვეყნა ნოდარ გურგენიძემ. ამ საძიებლებში აღრიცხულია 1966 წლამდე გამოსული და მათდამი მიძღვნილი ნაშრომები. „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები და მათ შესახებ დაბეჭდილი გამოხმაურებანი გაფანტულია სხვადასხვა სახის ბიბლიოგრაფიებსა და საძიებლებში; მაგრამ ყველა ამ ლიტერატურას თავიანთი დანიშნულება აქვს და „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებს მხოლოდ ამა თუ იმ კუთხით განიხილავს და წარმოაჩენს.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები საგანგებოდ შეისწავლა სოლომონ ყუბანიევილმა. მის მრავალტომიან გამოკვლევაში „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის ისტორიიდან“, რომლებიც 1966, 1973, 1975 და 1976 წლებში გამოქვეყნდა (ბოლო ნაწილი გამოქვეყნდა კრებულში: ტექსტოლოგიის საკითხები, V, 1976, გვ. 159—180), „ვეფხისტყაოსნის“ პუბლიკაციები და მასთან დაკავშირებული საკითხები, 1712 წლიდან 1963 წლის ჩათვლით, მონოგრაფიული სისრულით, თითქმის ამომწურავად არის განხილული.

ლავს ის მრავალი ჩანართი და დანართი სტროფისაგან და ამგვარად შეუმუშავებია კრიტიკული ტექსტი.

ჩვენი ერის ისტორიაში ვახტანგის გამოცემა დიდი ისტორიულ-კულტურული მოვლენა იყო. მან მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შემდგომი კვლევა-ძიებისა და დადგენის საქმეში. აღსანიშნავია ამ გამოცემის მაღალი პოლიგრაფიული დონეც.

პოემის ვახტანგისეული გამოცემის მხოლოდ რამდენიმე ათეულმა ცალმა მოაღწია ჩვენამდე, თანაც ყველა დეფექტურია. მისი განსაკუთრებული მეცნიერული მნიშვნელობის გამო ა. შანიძემ სიზუსტით აღადგინა ეს გამოცემა და ვრცელი გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოაქვეყნა 1937 წელს, 1975 წელს კი ხელახლა დაბეჭდა ფოტორეპროდუქციულად.

„ვეფხისტყაოსნის“ შემდგომი გამოცემა საქართველოს უკუღმართი ბედის გამო ძალიან დაგვიანდა, თითქმის 130 წლით. ამ ხნის განმავლობაში პოემა ისევ ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა. ჩვენამდე მოღწეულია 100-ზე მეტი ნუსხა, რომლებიც ვახტანგის გამოცემიდანაა გადაწერილი.

პოემის მეორედ გამოქვეყნება მოხერხდა მხოლოდ 1841 წელს საქართველოს გარეთ, პეტერბურგში. ეს გამოცემა მოამზადა ჩვენი წარსულის შესანიშნავმა მკვლევარმა მარი ბროსემ დავით ჩუბინაშვილსა და ზაქარია ფალავანდიშვილთან ერთად. გამოცემაში მონაწილეობდა თეიმურაზ ბაგრატიონი და გიორგი ავალიშვილი, თუმცა წიგნში მათი საქმიანობის შესახებ არაფერია აღნიშნული.

ეს გამოცემა, რომელიც რუსთველოლოგიაში ბ რ ო ს ე ს ე უ ლ ა დ არის ცნობილი, არსებითად მიჰყვება პოემის ვახტანგისეულ ტექსტს, მაგრამ შეიცავს ზოგიერთ სიახლესაც. შიგადაშიგ დამატებულია 50 სტროფი; შეცვლილია ცალკეული წაკითხვებიც. უნდა აღინიშნოს, რომ მ. ბროსეს განზრახული ჰქონდა დაებეჭდა პოემის ტექსტი ჩანართ-დანართებიანად და დაერთო ხელნაწერთა ვარიანტები, მაგრამ ბოლოს ამ განზრახვაზე ხელი აუღია.

პოემის 1841 წლის გამოცემამ გამოაცოცხლა შოთა რუსთაველისა და მისი პოემისადმი ინტერესი და ახალი სტიმული მისცა მათ მეცნიერულ შესწავლას. საყურადღებოა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გადაწერის ტრადიცია ამგვარადც გაგრძელდა. შემონახულია პოემის რამდენიმე ნუსხა, რომლებიც 1841 წლის გამოცემიდან არის გადაწერილი.

1846 წელს პეტერბურგში დ. ჩუბინაშვილმა გამოაქვეყნა ქართული



მწერლობის ქრესტომათია, რომელშიც „ვეფხისტყაოსანიც“ არის შეტანილი. როგორც ს. ყუბანეიშვილმა გაარკვია, ამ მეცნიერს შეუნიშნავს პოემის 1841 წლის გამოცემის ანაბეჭდები და იგი მექანიკურად ჩაუკინძავს ქრესტომათიაში.

„ვეფხისტყაოსნის“ მორიგი გამოცემაც პეტერბურგში განხორციელდა. 1860 წელს დ. ჩუბინაშვილმა ქრესტომათიის მეორე გამოცემაშიაც შეიტანა „ვეფხისტყაოსანი“, ოღონდ ამჯერად ახალი, საკუთარი რედაქციით. 50 სტროფიდან, რომლებიც 1841 წლის გამოცემაში იქნა დამატებული, დ. ჩუბინაშვილმა 44 ამოიღო. ცვლილებები შეიტანა სტროფთა წაკითხვებშიც.

XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, როდესაც საქართველოში ეკონომიკა განვითარდა, კულტურული ცხოვრებაც გამოცოცხლდა, ხელი მოჰკიდეს „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვასაც. პოემა გამოსცეს თბილისში 1867 წელს გიორგი წერეთელმა და დავით ყიფიანმა, 1875 წელს — არსენ კალანდაძემ, 1883 წელს ქუთაისში — პეტრე წულუკიძემ, 1887 წელს ისევ თბილისში — გრიგოლ ჩარკვიანმა. ეს პუბლიკაციები ემყარება წინა გამოცემებს, მაგრამ თითოეული მცირეოდენით განსხვავდება, საერთო საფუძველს კი ქმნის 1860 წლის დ. ჩუბინაშვილისეული გამოცემა.

XIX საუკუნის 80-იან წლებში ჩვენი ინტელიგენციის წინაშე დაისვა საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერებთან შეჯერებული ახალი კრიტიკული გამოცემისა. ამ საქმის მოთავე და მისი ყოველმხრივ სულისჩამდგმელი იყო იონა მეუნარგია. მალე შეიქმნა ტექსტის დამდგენი კომისია, რომელშიც შევიდნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები — გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი, პეტრე უმიკაშვილი, იონა მეუნარგია, იაკობ გოგებაშვილი, დავით ყიფიანი და სხვები. კომისიამ გამოიყენა მანამდე არსებული გამოცემები და 22 ხელნაწერი, რომელთა შეგროვებაც შესაძლებელი გახდა საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ოჯახებში. ტექსტის დადგენა დაიწყო 1881 წელს, ხოლო გამოიცა თბილისში 1888 წელს. დაბეჭდვის ხარჯები გაიღო ქართული კულტურის მეცენატმა გიორგი ქართველიშვილმა, რისთვისაც ამ გამოცემას ქართველიშვილისეულს ეძახიან.

კომისიას განზრახული ჰქონდა დადგენილი ტექსტისათვის დაერთო ხელნაწერთა ვარიანტები, ლექსიკონი და სხვა საჭირო განმარტებანი, მაგრამ ეს ვერ განხორციელდა.



წიგნი მდიდრულად არის გაფორმებული, ილუსტრირებულია ცნობილი უნგრელი მხატვრის, ქართველი ხალხის დიდი მეგობრის მხაი ზიჩის მიერ. მხატვარმა უფასოდ დახატა ამ გამოცემისათვის საჭირო ილუსტრაციები. აწიგები, სათაურები, ყდა და სატიტულო ფურცლები შესანიშნავად გააფორმა გრიგოლ ტატიშვილმა, რომელმაც უხვად გამოიყენა ძველი ქართული ხელნაწერებისა და საქართველოს ციხე-ეკლესიათა მონათულობანი. პოლიგრაფიული თვალსაზრისით, გაფორმებით, საქართველოში დაბეჭდილ წიგნებს შორის ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო გამოცემა. იგი წარდგენილი იყო მრავალ საერთაშორისო გამოფენაზე და ყველგან დიდი წარმატება ხვდა წილად.

„ვეფხისტყაოსნის“ მომდევნო პუბლიკაციები, რომლებიც XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს განხორციელდა, ძირითადად იმეორებენ ქართველიშვილისეული გამოცემის ტექსტს. რედაქტორებს მხოლოდ მცირეოდენი შესწორებანი შეაქვთ წინა გამოცემების მიხედვით.

„ვეფხისტყაოსანი“ 1890 წელს გამოსცა გრიგოლ ჩარკვიანმა, 1891 წელს — ალფეზ მიქელაიშვილმა და კონსტანტინე თავართქილაძემ ოზურგეთში (ახლანდელი მახარაძე), 1892 წელს — კ. თავართქილაძემ ისევ ოზურგეთში, ხოლო 1896 წელს — მანვე ახალსენაკში (ახლანდელი ცხაკაია), 1899 წელს — ვლადიმერ ყიფიანმა თბილისში, ამავე წელს — ძმებმა თავართქილაძეებმა ბათუმში (ორი სახით), 1900 წელს — გრიგოლ ჩარკვიანმა თბილისში, 1903 წელს — ძმებმა თავართქილაძეებმა და 1910 წელს კ. თავართქილაძემ — ისევ თბილისში.

1903 და 1920 წლებში „ვეფხისტყაოსანი“ გამოსცა დავით კარიჭაშვილმა. ორივე გამოცემა არსებითად მიჰყვება ქართველიშვილისეულს, ოღონდ მათში წაკითხვების მხრივ ცვლილებებია შეტანილი.

XX საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა და, საერთოდ, ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა შესწავლამ მკვლევართა წინაშე თანდათანობით მრავალი ამოცანა დააყენა. რუსთველოლოგიაში ტექსტოლოგიური კვლევა-ძიება მეცნიერულ საფუძვლებზე დადგა. სხვადასხვა სამეცნიერო აპარატებით აღჭურვილი პოემის კრიტიკული ტექსტები გამოაქვეყნეს სარგის კაკაბაძემ 1913 და 1927 წლებში, იუსტინე აბულაძემ — 1914 და 1926 წლებში, კონსტანტინე ჭიჭინაძემ — 1934 წელს. ამ გამოცემებს საფუძვლად დაედო სხვადასხვა რედაქციული ტიპის ნუსხები, რედაქტორების კვლევის მეთოდები და პრინციპები განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან და ამიტომაც მათ გამოცემებში პო-

ემის ტექსტი სტროფული შედგენილობითა და წაკითხვებით რულად შორდება ერთმანეთს.

ს. კაკაბაძის 1913 წლის პუბლიკაცია სრულიად განსხვავდება პოემის წინა გამოცემებისაგან. აქ თავმოყრილი და დაბეჭდილია არა მარტო ის სტროფები, რომლებსაც მკვლევარი რუსთველისეულად თვლის, არამედ შემდეგდროინდელი ჩანართი სტროფებიც. ამგვარად, ეს გამოცემა უპირველესად იმითაა საყურადღებო, რომ ყველაზე მეტად ანგარიშს უწევს ხელნაწერებს და „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდვის ისტორიაში პირველად წარმოგვიდგენს ჩანართ-დანართებიან ტექსტს.

პოემის 1927 წლის გამოცემაში, რომელიც ორგვარი სახით გამოვიდა, ს. კაკაბაძემ დაბეჭდა მის მიერ კრიტიკულად გამართული ტექსტი, რომელსაც დამატების სახით დაურთო ინდო-ხატაელთა ამბის ნაწყვეტები. მან ძირითად ტექსტში ხელნაწერებიდან შემოიტანა რამდენიმე ათეული სტროფი, რომლებიც ადრე არც ერთ გამოცემაში არ ყოფილა. მკვლევარს თავიდან განზრახული ჰქონდა გაეღრმავებინა 1913 წელს დაწყებული საქმე და ვარიანტებითურთ მოეცა როგორც პოემის ძირითადი ტექსტი, ისე ჩანართი და დანართები, მაგრამ ეს განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა.

იუსტინე აბულაძის ორივე გამოცემა ერთი პრინციპითაა მომზადებული. როგორც რედაქტორი თვით აცხადებს, ის ძირითადად ეყრდნობა ვახტანგისეულ გამოცემას; უდარებს მას ხელნაწერებს, უფრო მეტად — მოკლე რედაქციის ხელნაწერებს და ამ უკანასკნელთა მონაცემებით მნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს ტექსტში, როგორც სტროფული შედგენილობის, ისე წაკითხვების მხრივ. მან რუსთველისეულად მიჩნეულ ტექსტს სქოლიოებში დაურთო მის მიერ უარყოფილი სტროფები, რომლებიც წინა გამოცემებში რუსთველისეულ ტექსტად არის დაბეჭდილი. რუსთველოლოგიის ისტორიაში აბულაძისეული გამოცემები იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ მათში (უფრო გაფართოებული სახით — მეორე გამოცემაში) დაბეჭდილია ზოგიერთი ხელნაწერის შერჩეული ვარიანტები.

სრულიად განსხვავებულ ტექსტს შეიცავს 1934 წლის კ. ჭიჭინაძისეული გამოცემა. „ვეფხისტყაოსნის“ ყველა დროის პუბლიკაციებს შორის ეს არის შოთა რუსთაველის სახელით გამოქვეყნებული ყველაზე ვრცელი ტექსტის შემცველი გამოცემა. პოეტმა-რუსთველოლოგმა კ. ჭიჭინაძემ რამდენიმე ხელნაწერსა და 1913 წლის ს. კაკაბაძისეულ გამოცემაზე დაყრდნობით, რუსთველისეულად გამოაცხადა მრავალი,

მანამდე ჩანართ-დანართად ცნობილი სტროფი და შეიტანა პოემის ძირითად ნაწილში, ხოლო მას დაურთო ინდო-ხატაელთა ამბავი.

„ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების საკითხი ერთ-ერთი რთული და დღემდე მეცნიერულად გადაუჭრელი პრობლემაა. ჩვენს ხელთ არსებულ ყველა ძველ ხელნაწერში, თუკი დაზიანებული არ არის, და გვიანდლებშიაც, რომლებიც ვახტანგისეული გამოცემიდან არ მომდინარეობენ, ბოლოს დაერთულია ინდო-ხატაელთა ამბავი და სხვა გაგრძელებები — ხვარაზმელთა, გმირთა გარდაცვალებისა და დაკრძალვის ამბები. პირველად ვახტანგისეულ გამოცემაში არ გვხვდება ეს დანართი ეპიზოდები. პოემის დასასრულს აქ წარმოდგენილია მხოლოდ ინდო-ხატაელთა ამბის ზოგიერთი სტროფი, რომლებშიც ტარიელისა და ნესტანის ქორწილია მოთხრობილი, ხოლო დანარჩენი, რომლებიც ხატაელებს ეხება, მთლიანად ამოღებულია.

რუსთველოლოგიაში დიდი დავაა, რუსთველისეულია თუ არა ინდო-ხატაელთა ამბავი. არსებობს ამისი როგორც მხარდამჭერი, ისე აშკარად უარყოფი საბუთები.

კ. ჭიჭინაძის გამოცემამ რუსთველოლოგიაში იმთავითვე დიდი დისკუსია გამოიწვია და ამ დისკუსიაში ინდო-ხატაელთა ამბავს ერთ-ერთი ძირითადი ადგილი ეჭირა.

„ვეფხისტყაოსნის“ ს. კაკაბაძის, იუსტინე აბულაძისა და კ. ჭიჭინაძის აღნიშნული გამოცემები იმ მხრივაც არის მნიშვნელოვანი, რომ მათ ერთვის გამოცემელთა სხვადასხვა ხასიათის მეთოდური, ისტორიულ-ფილოლოგიური და წმინდა ტექსტოლოგიური შინაარსის გამოკვლევები, რომლებიც ხელს უწყობენ ტექსტის ცალკეული ადგილებისა და ხელნაწერების რედაქციული თვალსაზრისით შესწავლას.

ამ პერიოდში „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული გამოცემების გარდა გამოვიდა ჩვეულებრივი სახალხო გამოცემებიც. 1918 წელს „ვეფხისტყაოსანი“ ქუთაისში დაბეჭდა თ. მთვარელაშვილის ამხანაგობამ, რომელმაც გამოიყენა 1903 წლის დ. კარიჭაშვილისეული გამოცემა, ხოლო 1927 წელს გამოვიდა მცირე ფორმატის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც შეიცავს ვახტანგისეულ ტექსტს.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენისა და გამოცემისათვის დიდი სამუშაოები ჩატარდა პოემის დაწერის 750 წლისთავის იუბილესათვის მზადების დროს. შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო ტექსტის დამდგენი კომისია, რომელშიც შევიდა მაშინდელი ყველა ცნობილი რუსთველოლოგი — იუსტინე აბულაძე, ალექსანდრე ბარამიძე, ვუკოლ



ბერიძე, პავლე ინგოროყვა, სოლომონ იორდანიშვილი (მდივანი), სარგის კაკაბაძე, კორნელი კეკელიძე (პირველი თავმჯდომარე), აკაკი ნიძე (მეორე თავმჯდომარე) და კონსტანტინე ჭიჭინაძე.

კომისია ტექსტის დადგენაზე მუშაობდა ერთი წლის განმავლობაში, 1935 წლის 15 მაისიდან 1936 წლის 10 მაისამდე. მას ხელთ ჰქონდა საქართველოში არსებული პოემის ყველა მნიშვნელოვანი ხელნაწერი, მათ შორის ისეთებიც, რომლებიც კომისიის მიერ საგანგებო ძიების შედეგად იქნა მოპოვებული და ადრე ტექსტის დადგენისას არ იყო გამოყენებული; სარგებლობდა ოქსფორდსა და პარიზში დაცული ორი მნიშვნელოვანი ნუსხის ექვთიმე თაყაიშვილისეული აღწერილობებითაც. კომისიისათვის ხელმეუფედომელი იყო „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე ხელნაწერი, რომლებიც საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ 1921 წელს გაიტანა საზღვარგარეთ სხვა განძთან ერთად და 1945 წელს დაუბრუნდა საქართველოს.

კომისიასთან არსებობდა 16 კაცისაგან შემდგარი ქვეკომისია, რომელიც ჯგუფებად იყო დაყოფილი. ეს ჯგუფები ხელნაწერებიდან ვარიანტებს იწერდნენ და ასრულებდნენ სხვადასხვა მეცნიერულ-ტექნიკურ სამუშაოებს. ამ ქვეკომისიაში მუშაობდნენ გიორგი წერეთელი („ვეფხისტყაოსნის“ სტროფულ შედგენილობას იკვლევდა), ილია აბულაძე, მაკარი ხუბუა, ივანე გიგინეიშვილი — ჯგუფების ხელმძღვანელები, მამია დუღუჩავა, ტრიფონ რუხაძე და სხვები.

შემონახულია ტექსტის დამდგენი კომისიის სხდომათა ოქმები, რომლებიც ნათელ სურათს ქმნის მის მიერ გაწეულ დიდ და დაძაბულ მუშაობაზე.

კრიტიკულად დადგენილი ტექსტი გამოცემამდე განიხილეს და როგორც სტროფული შედგენილობის, ისე წაკითხვების მხრივ საგრძნობი ცვლილებები შეიტანეს შემდგე გამოყოფილმა სარედაქციო კოლეგიებმა და ცალკეულმა პირებმა. კერძოდ, ტექსტში შეტანილი იქნა ინდო-ხატაელთა ამბავი, რომელიც კომისიამ დანართად ცნო. ასე მომზადდა 1937 წლის საიუბილეო გამოცემა, რომელიც სამგვარი ფორმით გამოქვეყნდა. აქედან უფრო მდიდრულად გაფორმებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, რომელსაც უძღვის პ. ინგოროყვას გამოკვლევა „შოთა რუსთაველი“ და ერთვის იუსტ. აბულაძის მიერ შედგენილი ლექსიკონი.

თავიდან განზრახული იყო, საიუბილეო გამოცემას დართოდა ვარიანტები, მაგრამ ეს საქმე ამჯერადაც ვერ განხორციელდა. ჩანართი და.



„ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის საიუბილეო გამოცემის ტექსტის დამდგენი კომისია. მარცხნიდან მარჯვნივ: კ. ჭიჭინაძე, ს. იორდანიშვილი, ა. შანიძე, კ. კეკელიძე, ვ. ბერიძე, იუსტ. აბულაძე, ა. ბარამიძე.

დანართი სტროფები მოგვიანებით, 1948 წელს დაბეჭდა ს. იორდანიშვილმა.

„ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის გამოცემის ტექსტი ერთხანს კანონიკურად ითვლებოდა და კორექტურული და ორთოგრაფიული ხასიათის გასწორებების გარდა მისი შეცვლის უფლება არავის ჰქონდა.

წაკითხვების მხრივ მისი გადასინჯვა 50-იან წლებში მოხერხდა, ხოლო სტროფულ სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელი გახდა თითქმის 30 წლის შემდეგ, 1966 წელს, რუსთაველის დაბადების 800 წლის იუბილეს დროს.

მანამდე „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის გამოცემის ტექსტი სამჯერ დაიბეჭდა — 1938 (პატარა ფორმატის), 1941 და 1949 წლებში.

„ვეფხისტყაოსანი“ 1943 წელს დაიბეჭდა ბერლინში. იგი გამოსცა დავით ხელაძემ, რომლის ტექსტი 1937 წლის გამოცემისაგან განსხვავებულია.

50-იან წლებში კვლავ გაცხოველდა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ძიება და ახალ-ახალი კრიტიკული გამოცემებისათვის მზადება. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი და მრავალფეროვანი სამუშაოები ჩაატარა

რა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტმა. აქ 1957 წელს შეიქმნა რუსთაველოლოგიის განყოფილება (ხელმძღვანელი ა. ბარამიძე), რომელმაც ძველი ქართული ლიტერატურის განყოფილებასთან ერთად (ხელმძღვანელი კ. კეკელიძე) აქტიური მუშაობა დაიწყო ჯერ ვეფხისტყაოსნის გაუმჯობესებელი და შემდეგ აკადემიური გამოცემის მოსამზადებლად.

ინსტიტუტმა 1951 წელს გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“ ა. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქტორობით. მის მომზადებაში აქტიურად მონაწილეობდა აგრეთვე მამია ებრაღიძე. ეს არის 1937 წლის საიუბილეო ტექსტის გაუმჯობესებელი გამოცემა. ახალი ტექსტი წინასწარ განიხილა და მოიწონა ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გაფართოებულმა სხდომამ, რომელსაც ესწრებოდა თითქმის ყველა ცნობილი რუსთაველოლოგი. სადირექტივო ორგანოს მითითების თანახმად, 1951 წლის გამოცემაში შეტანილ იქნა უმთავრესად ორთოგრაფიული, გრამატიკული და პუნქტუაციური ცვლილებები, რომელთა რიცხვი საკმაოდ დიდია. ისეთი გასწორებები, რომლებიც დავას იწვევდა, გადაიღო საკითხის გარკვევამდე.

ეს გამოცემა ორგვარი სახით განხორციელდა.

1953 წელს „ვეფხისტყაოსანი“ გამოვიდა პავლე ინგოროყვას რედაქციითა და შენიშვნებით. ამ გამოცემაშიც საიუბილეო ტექსტის სტროფული შედგენილობა ხელუხლებლადაა დატოვებული, წაკითხვებში კი მრავალი ცვლილებაა შეტანილი. პ. ინგოროყვა, რომელიც თავის ნაშრომებში, ისე როგორც ამ გამოცემაზე დართულ გამოკვლევაში, განსაკუთრებული ნდობით ეკიდება ვახტანგისეულ გამოცემას, ტექსტის დადგენისას უფრო მეტ ანგარიშს უწევს ისეთ გვიანდელ და აშკარად ნასწორებ ხელნაწერს, როგორიცაა ბ. მაყაშვილისეული ნუსხა. ამ ხელნაწერის რედაქციული სახე მაშინ ნათელი არ იყო. იგი მოგვიანებით, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტების გამოქვეყნების შემდეგ გახდა ცნობილი.

ეს გამოცემა უმაღლეს ხარე კამათის საგნად იქცა და მის შესახებ მრავალი შენიშვნა და წერილი გამოქვეყნდა.

1957 წელს „ვეფხისტყაოსანი“ კვლავ გამოვიდა ა. ბარამიძის, კ. კეკელიძისა და ა. შანიძის რედაქტორობით. მას საფუძვლად დაედო 1951 წლის გამოცემა. სტროფული შედგენილობა კვლავაც უცვლელი დარ-

ჩა; წაკითხვების მხრივ, იმდროინდელი კვლევა-ძიების შესაბამისად, საკმაო ცვლილებები განხორციელდა.

წიგნს დაერთო ა. შანიძის მიერ შედგენილი ლექსიკონი. ამ ცემის ტექსტი შემდეგ ორჯერ დაიბეჭდა — 1960 წელს „ჩვენი საუნჯის“ მესამე ტომად და დამოუკიდებლად 1963 წელს.

1963 წელს¹ პარიზში გამოვიდა მიხეილ წერეთლის მიერ მომზადებული „ვეფხისტყაოსანი“ (პირველი ნაწილი). მასში შესულია ის სტროფები, რომლებიც მკვლევარს რუსთველისეულად მიუჩნევია. სრული სახით წიგნი გამოვიდა ისევ პარიზში მ. წერეთლის გარდაცვალების შემდეგ, 1977 წელს. აქ 1963 წელს დაბეჭდილ ტექსტს ემატება ის სტროფები, რომლებიც მკვლევარს ჩანართებად გამოუყვია. ეს ბოლო ნაწილი მ. წერეთლის არქივიდან არის აღებული.

პირველ გამოცემაში ტექსტს ახლავს თარიღი — 1950 წელი, რაც ნაშრომის დამთავრებას უნდა აღნიშნავდეს.

„ვეფხისტყაოსნის“ ამ გამოცემის ტექსტი ძალიან თავისებურია და ბევრად შორდება როგორც ხელნაწერთა, ისე ტრადიციულ ტექსტებს. უპირველესად თვალში საცემია მისი მოცულობა. იგი ყველაზე მოკლე შედგენილობისაა. მრავალი სტროფი, რომლებიც სხვა გამოცემებში ძირითად ტექსტშია მოთავსებული, აქ ამოღებულია და ჩანართებადაა გადატანილი. მაგალითად, თუ ვახტანგისეული გამოცემა, რომელიც ერთ-ერთი მოკლე ტექსტის შემცველია, 1587 სტროფისაგან შედგება, აქ რუსთველისეულ ნაწილში 363 სტროფით ნაკლები, 1224 სტროფია დატოვებული.

თავისებურია აგრეთვე თხზულების თავებად დაყოფა და დასათაურება. ნაწარმოები დაყოფილია რვა კარად და ყოველი კარის დასაწყისში მითითებულია, თუ რა არის მასში მოთხრობილი.

მრავალი ცვლილება აქვს ავტორს შეტანილი ტექსტის წაკითხვებშიც.

გამოცემას ახლავს ზოგიერთი ხელნაწერისა და გამოცემის ვარიანტები, რომლებიც უმთავრესად ს. კაკაბაძის, იუსტ. აბულაძის, პ. ინგოროყვასა და სხვა გამოცემებიდან არის ამოკრებილი. ტექსტს ერთვის მ. წერეთლის შენიშვნები და კომენტარები. როგორც თვით მ. წერეთელი მიუთითებს, ეს არის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ექსპერიმენტული გამოცემა. აქ განზიარებული და განვითარებულია თვალსაზრისი

¹ ისე აწერია წიგნს ყდაზე, თავფურცელზე კი უზის თარიღი — 1961 წ.

ალექსანდრე სარაჯიშვილისა, რომელმაც XIX საუკუნის ბოლოს ქურონალ „მოამბეში“ გამოქვეყნებულ წერილებში („ვეფხისტყაოსნის“ ყალბი ადგილები) პოემის უამრავი სტროფი გვიანდელ ჩანართებად გამოაცხადა.

ჩვენი მეცნიერული საზოგადოების წინაშე დიდი ხანია დგას საკითხი „ვეფხისტყაოსნის“ სრული აკადემიური გამოცემისა, რომელშიც მაღალ მეცნიერულ დონეზე დადგენილ ტექსტს დაერთვება პოემის ყველა მნიშვნელოვან ხელნაწერთა და გამოცემათა სრული ვარიანტები, ვრცელი ლექსიკონი და კომენტარები. ნაჩვენები იქნება, როგორ გავიგოთ ტექსტი, რა განსხვავებას იძლევიან ხელნაწერები და გამოცემები, რატომ მიეცა უპირატესობა ამა თუ იმ წაკითხვას, რა მოსაზრებანი არსებობს მათ შესახებ და ა. შ.

პოემის აკადემიური გამოცემის შესანიშნავი პროექტი, მისი განხორციელების კონკრეტული გზები და საშუალებანი მოგვცა გ. წერეთელმა წერილში „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერული გამოცემისათვის“ („მნათობი“, 1962, № 2).

ამ დიდი, საშვილიშვილო საქმის განსახორციელებლად 50-იან წლებში თადარიგს შეუდგა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი. პირველ რიგში, დღის წესრიგში დაისვა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტების შედგენა და გამოქვეყნება. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, 1956 წელს, ს. ყუბანეიშვილმა ა. ბარამიძის რედაქციით გამოსცა „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტი ყველა ჩანართი და დანართი სტროფებითა და ეპიზოდებით. აქ უცვლელად დაიბეჭდა პოემის ერთ-ერთი შედარებით ძველი, ვრცელი შედგენილობისა და ნაკლებად დაზიანებული ბეჟან წერეთლისეული ხელნაწერის მთლიანი ტექსტი. აქვე სქოლიოებში გამოქვეყნდა ის სტროფები, რომლებიც ამ ხელნაწერში არ მოიპოვებოდა და სხვებში დასტურდებოდა. ამრიგად, ამ გამოცემაში თითო ხელნაწერის დონეზე თავმოყრილია „ვეფხისტყაოსნის“ მთელი სტროფული მემკვიდრეობა, განუზრუნვლად იმისა, რუსთველისეულია იგი თუ შემდეგდროინდელი.

ასეთივე ვრცელი იყო 1913 წლის ს. კაკაბაძისეული გამოცემაც, მაგრამ თავიანთი დანიშნულების გამო მათ შორის გარკვეული სხვაობა არის. ძირითად განსხვავებას ის ქმნის, რომ ს. კაკაბაძე ცდილობდა ერთმანეთისაგან გამოეყო რუსთველისეული სტროფები და ჩანართ-დანართები. ჩანართები სქოლიოშია დაბეჭდილი იმის მიხედვით, თუ



როგორი წარმომავლობისად თვლიდა მას რედაქტორი. განსხვავებული არის იმაშიც, რომ 1913 წლის გამოცემას საფუძვლად უდევს სხვა რედაქციის ნუსხები. ამასთან, 1956 წლის გამოცემა უფრო სრულია.

1956 წელს ს. ყუბანეიშვილმა ცალკე წიგნად გამოსცა „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა სტროფული შედგენილობა“, რომელიც პოემის 1956 წლის გამოცემას უნდა დართოდა, მაგრამ სივრცელის გამო მასში ვერ მოთავსდა. ამ მეტად შრომატევად ნაშრომში საოცარი სიზუსტით არის აღნუსხული ხელნაწერთა მონაცემები ამა თუ იმ სტროფის შესახებ: რომელ ხელნაწერში მოიპოვება იგი და რომელ გვერდზე, რომელ ხელნაწერში არ არის და რა მიზეზით, — საერთოდ უცნობია ამ ხელნაწერისათვის, თუ დაზიანების გამო აკლია და ა. შ.

„ვეფხისტყაოსნის“ 1956 წლის ვრცელი გამოცემის მიხედვით შედგა პოემის ხელნაწერთა ვარიანტები, რომელიც ინსტიტუტმა 1960—1963 წლებში გამოაქვეყნა ა. ბარამიძის რედაქციით. ვარიანტების წიგნში შევიდა ის კითხვა-სხვაობანი, რომლებსაც ხელნაწერები იძლევიან პოემის ს. ყუბანეიშვილის გამოცემის ტექსტთან შედარებით. ვარიანტებში ნაჩვენებია ყველა ხელნაწერი, რომლებიც ვახტანგისა და ბროსეს გამოცემებისაგან განსხვავდებიან. ამ საკითხში ს. ყუბანეიშვილი დაეყრდნო ს. ცაიშვილის გამოკვლევას, სადაც საგანგებოდ შესწავლილია ვახტანგისეული გამოცემა და მისგან მომდინარე ნუსხები. თვით ვახტანგისეული გამოცემა, მსგავსად ხელნაწერისა, ვარიანტების წიგნშია შეტანილი. ვარიანტებში ასახვა ვერ ჰპოვა რამდენიმე ნუსხამ, რომლებიც ს. ცაიშვილმა მოგვიანებით შეისწავლა და გაარკვია, რომ ისინი ხელნაწერული ტრადიციის დამცველები არიან.

ხელნაწერებიდან ვარიანტების ამოწერაზე მუშაობდნენ ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელთა ფართო კოლექტივი, უფრო ძველი ქართული ლიტერატურისა და რუსთველოლოგიის განყოფილებათა თანამშრომლები, აგრეთვე მოწვეული პირები. ამოწერილი მასალები გააერთიანეს და წიგნი გამოსაცემად მოამზადეს: პირველი ნაკვეთი ს. ყუბანეიშვილმა, მეორე — ლიანა კეკელიძემ, მესამე — მერი გუგუშვილმა, მეოთხე — ივანე ლოლაშვილმა.

ხელნაწერთა ვარიანტების ამ გამოცემას მალე, 1964 წელს მოჰყვა „ვეფხისტყაოსნის“ ბეჭდურ გამოცემათა ვარიანტების გამოქვეყნება. ვარიანტები ამოკრებილია ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ პოემის 1957 წლის გამოცემასთან მიმართებით. წიგნში გათვალისწინებულია დამოუკიდებელ ღირებულებათა მქონე ყველა კრიტიკული გამოცემა,



სახელდობრ: მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის, გ. ქართველიშვილის, დ. კარიჭაშვილის ორივე, ს. კაკაბაძის მეორე, იუსტ. აბულაძის, კ. ჭიჭინაძის, პ. ინგოროყვას და მ. წერეთლის (1963 წ.) გამოცემები. წიგნი გამოსაცემად მოამზადა ვახტანგ ბაკაშვილმა.

ამ ნაშრომებმა, განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტების გამოქვეყნებამ ახალი ეტაპი შექმნა პოემის ტექსტის კვლევის საქმეში. ყველა მკვლევარისათვის ხელმისაწვდომი გახდა ტექსტის დადგენის საფუძველთა საფუძველი — ხელნაწერთა მონაცემები. ამ მასალების ერთად თავმოყრამ და დალაგებამ ერთბაშად ნათელი გახადა თითოეული ხელნაწერისა და ვარიანტის რაობა და ღირებულება, რამაც მკვიდრი მეცნიერული ნიადაგი მოამზადა „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა რედაქციული და, საერთოდ, პოემის ტექსტის ისტორიის შესწავლისათვის.

ამავე პერიოდში გამოქვეყნდა აგრეთვე მთელი რიგი ნაშრომებისა, რომლებიც ხელს უწყობს, ხოლო ზოგი უშუალოდ ემსახურება „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენას. ამ მხრივ აღსანიშნავია ა. ბარამიძის მონოგრაფიული ნაშრომი „შოთა რუსთველი“ (1958 წ.), ა. შანიძის ხელმძღვანელობით შედგენილი „ვეფხისტყაოსნის სიმფონია“ (1956 წ.), ზემოთ აღნიშნული გ. იმედაშვილის შედგენილი რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია, ს. ცაიშვილის ნაშრომები „ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია“ (1957 წ.) და „ვეფხისტყაოსნის ძველი რედაქციები“ (1963 წ.) და სხვ.

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში დამუშავდა მთელი რუსთველოლოგიური ლიტერატურა: სტროფების მიხედვით ბარათებზე იქნა ამოწერილი ყველა მოსაზრება, რომლებიც ტექსტის დადგენასა და გაგებას ეხება. სიტყვების მიხედვით ცალკე ბარათებზე იქნა ამოწერილი და ანბანის რიგზე დალაგებული სალექსიკონო მასალა. ასევე, ბარათებზე მომზადდა რუსთაველის ეპოქის ლიტერატურული ნაწარმოებების — „ამირანდარეჯანიანის“, „ვისრამიანისა“ და სხვების სიტყვათა სიმფონია. გაკეთდა „ვეფხისტყაოსანის“ ხელნაწერთა ფოტობირები და სხვ.

ამ მასალებით ინსტიტუტში გარკვეული ბაზა შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი მეცნიერულ-კრიტიკული გამოცემის მომზადებისათვის.

1958 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებ-

რივ მეცნიერებათა განყოფილებასთან შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დამდგენი კომისია ილია აბულაძის, ა. ბარამიძის, ი. გიგინეიშვილის, კ. კეკელიძის, ა. შანიძის (თავმჯდომარე), გ. წერეთლის და მ. ებრალიძის (მდივანი) შემადგენლობით. კომისია, რომელიც ორგანიზაციული საქმეების მოგვარების შემდეგ 1959 წლის შემოდგომიდან ტექსტის დადგენას შეუდგა, მუშაობდა ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში, მის ბაზაზე. კომისიას მუშაობაში ეხმარებოდნენ ინსტიტუტის თანამშრომლები — სარგის ცაიშვილი (შემდეგში კომისიის მდივანი), ივანე ლოლაშვილი, იოსებ მეგრელიძე, მარიამ კარბელაშვილი, მზია ჩაჩავა და სხვები. მუშაობის პროცესში გაირკვა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის ისეთი ფართო პროგრამით მომზადებას, როგორც ამას საქმე მოითხოვდა და კომისია აწარმოებდა, ბევრად ხანგრძლივი დრო სჭირდებოდა, ვიდრე დაგეგმილი იყო. ამიტომ 1962 წელს „ვეფხისტყაოსნის“ სრული აკადემიური გამოცემისათვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნა ახალი, გაფართოებული, ტექსტის დამდგენი კომისია, ხოლო ა. ბარამიძესა და ა. შანიძეს დაევალებათ პოემის ტექსტის 1957 წლის გამოცემის გადამუშავებული რედაქციის მომზადება მოკლე კომენტარებით, ლექსიკონითა და ვარიანტებით.

ა. ბარამიძისა და ა. შანიძის რედაქტორობით მომზადებული ტექსტის (ტექსტის დადგენაში მონაწილეობას ღებულობდა ი. ლოლაშვილი) პირველი ტომი გამოცა 1966 წელს, შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის იუბილეს დღეებში. მასში შესულია რუსთველისეულად მიჩნეული ტექსტი ხელნაწერთა და გამოცემათა ძირითადი ვარიანტებით. რუსთველოლოგიის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც მაღალ მეცნიერულ დონეზე დადგენილ ტექსტს თან ახლავს ფართოდ შედგენილი ვარიანტები. აქვეა წარმოდგენილი ცნობები იმის შესახებ, ესა თუ ის სტრაფი რომელ ხელნაწერში არ არის, დაზიანებულია ან დაზიანების გამო აკლია. მთელი ეს აპარატურა შედგენილია მ. კარბელაშვილის მიერ.

ამ გამოცემის ტექსტი, ადრინდელი გამოცემებისაგან განსხვავებით, უფრო მეტად ემყარება ვრცელი შედგენილობის ბეჟან წერეთლისეული ხელნაწერის ტიპის ნუსხათა ჯგუფს, რომლებიც თავისი სივრცელის გამო ადრე ნაკლები ყურადღებით სარგებლობდა. „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერთა ვარიანტებმა და ტექსტის დადგენის პროცესში ჩატარებულმა ტექსტობრივმა ანალიზმა გამოავლინა, რომ „ვეფხისტყა-



ოსნის“ ყველა ხელნაწერი მნიშვნელოვნად არის ნასწორები, მაგრამ რედაქციული ჯგუფი შედარებით უკეთეს ვითარებას გვიჩვენებს, რედაქციური დანარჩენები, მათ შორის პაპუნა ბებურიშვილისეული ხელნაწერის ტიპის მოკლე შედგენილობის ნუსხები, რომლებიც თავისი სიმოკლის გამო ადრე ყოველმხრივ უკეთესი რედაქციის შემცველად ითვლებოდა. ამ სიახლით პოემის ეს გამოცემა „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტოლოგიურ კვლევა-ძიებას ახალ მიმართულებას აძლევს.

სამწუხაროდ, ეს გამოცემა ძალიან მცირე ტირაჟით დაიბეჭდა (1000 ცალი) და ბევრი სპეციალისტისათვის ხელმიუწვდომელი დარჩა.

მეორე ტომში უნდა შესულიყო რუსთაველის მიმბაძველ-გამგრძელებლების შეთხზული სტროფები ვარიანტებითურთ, „ვეფხისტყაოსნის“ სათაურების ვარიანტები და მთელი პოემის (ჩანართ-დანართებიანად) ძნელად გასაგები ადგილების კომენტარები და ლექსიკონი. ტომის პირველი ნაწილი მომზადდა: „ვეფხისტყაოსნის“ ჩანართი და დანართი სტროფების ტექსტი დადგენილ იქნა, მომზადდა მათი და პოემის სათაურების ვარიანტები², მაგრამ შემდეგ საქმე წინ ვერ წავიდა.

1966 წელს ორგვარი ფორმატით (ერთი მინიატურული) გამოვიდა აკადემიური ტექსტის დამდგენ კომისიაში მომზადებული „ვეფხისტყაოსნის“, რომლის ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს გ. წერეთელმა, ს. ცაიშვილმა და გ. კარტოზიამ, რედაქტორები—გ. წერეთელი, ი. აბაშიძე. ამ გამოცემის მომზადებისას გამოყენებულია და უმთავრესად გაზიარებულია ა. ბარამიძისა და ა. შანიძის რედაქციით გამოსული ვარიანტებიანი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი.

1966 წელს ორგვარი მდიდრული გაფორმებით გამოვიდა „ვეფხისტყაოსნის“ საიუბილეო გამოცემა, რომელსაც საფუძვლად დაედო გ. წერეთლის, ს. ცაიშვილისა და გ. კარტოზიას მიერ მომზადებული ტექსტი. ამ გამოცემის რედაქტორები არიან: ი. აბაშიძე, ა. ბარამიძე, პ. ინგოროყვა, ა. შანიძე და გ. წერეთელი. მათ მცირეოდენი შესწორებანი შეიტანეს აღნიშნულ გამოცემაში.

ამ საიუბილეო გამოცემის ტექსტი შემდეგ ოთხჯერ დაიბეჭდა — 1974 („ქართული პოეზიის“ მეორე ტომად), 1975, 1978 და 1982 წლებში. აქედან თავისი გაფორმებითა და მალალი პოლიგრაფიული დონით გამოირჩევა 1975 წლის გამოცემა, რომელიც აიწყო თბილისში, დაიბეჭდა და აიკინძა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

² ჩანართი და დანართი სტროფების ვარიანტები ჩვენ მოვამზადეთ, პოემის სათაურების ვარიანტები — მ. კარბელაშვილმა.

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ 1966 წელს უსინათლოთათვის „ვეფხისტყაოსანი“ გამოვიდა ბრაილის შრიფტით დაბეჭდილი.

1970 წელს „ვეფხისტყაოსანი“ ვრცელი ისტორიულ-ლიტერატურული და ტექსტოლოგიური გამოკვლევებით მეორედ გამოსცა პ. ინგოროყვამ. ამ გამოცემის ტექსტი მრავალ თავისებურებას შეიცავს და მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც თავისი პირველი, ისე სხვა გამოცემებისაგან.

1974 და 1976 წლებში „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემა განახორციელა ნოდარ ნათაქემ. მკვლევარმა მის მიერ დადგენილ ტექსტს ყოველი თავის შემდეგ დაურთო საკმაოდ ვრცელი განმარტებანი, სა-



„ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის ვარიანტებიანი გამოცემის ტექსტზე მუშაობის დროს. მარცხნიდან მარჯვნივ: ი. ლოლაშვილი, ა. ბარამიძე, მ. კარბელაშვილი, ა. შანიძე, ზ. დარჩია.

დაც მოკლედ ახსნილია ყველა სტროფის თითქმის ყველა ტაეპის ძნელად გასაგები ადგილები.

აი, ეს არის „ვეფხისტყაოსნის“ სრული გამოცემები მშობლიურ ენაზე. სხვადასხვა დროს სხვადასხვა ქრესტომათიებში, ყურნალებში, კრებულებში დაბეჭდილია „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები, ზოგჯერ



საკმაოდ დიდი ნაწილებიც. არსებობს „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული გამოცემებიც.

ამრიგად, შოთა რუსთველის უკვდავი პოემის მშობლიურ ენაზე სრული სახით გამოცემა 60-ს აღწევს. აქედან 15-მდე გამოცემა მეცნიერულ-კრიტიკულია.

მიუხედავად ამდენი გამოცემებისა და უამრავი მეცნიერული გამოკვლევებისა, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენასა და გაგებას ეხება, პოემის ავტორისეული ტექსტი კვლავ საძიებელია. ვინაიდან ძველი ნუსხები არ მოგვეპოვება, „ვეფხისტყაოსნის“ დედნის მთლიანად აღდგენა, როგორც ამას ა. შანიძე აღნიშნავს, შეუძლებელია. მაგრამ, იმავე მეცნიერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ის კია შესაძლებელი, რომ ბევრად მიეუახლოვდეთ რუსთველის ნამდვილ ნაწარმოებს“. ეს კი დიდ და ხანგრძლივ თავდადებაზე შრომას მოითხოვს.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენის საქმე მნიშვნელოვნად შორდება წმინდა რუსთველოლოგიურ სფეროს და უკავშირდება ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის, აზროვნების, ისტორიის, მთელი ჩვენი კულტურის შესწავლას, რუსთველის ეპოქისა და წინა საუკუნეების მსოფლიო რელიგიურ და ფილოსოფიურ მოძღვრებათა დამუშავებას, მეცნიერული მეთოდებისა და საშუალებების განვითარებასა და სრულყოფას...

მაგრამ დასახელებულ მეცნიერებათა განვითარების ამ ეტაპზეც მრავალი წმინდა რუსთველოლოგიური სამუშაოა ჩასატარებელი. უპირველესად საჭიროა პოემის აკადემიური გამოცემა. ამ უდიდესი ეროვნული საქმის მოსაგვარებლად, ორი ათეული წელია იღვწის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისია (თავმჯდომარე ი. აბაშიძე). კომისიაში ირიცხება რუსთველოლოგიისა და, საერთოდ, ჩვენი ისტორიული წარსულის მრავალი გამოჩენილი მკვლევარი. მის სამუშაო ბირთვის ქმნის მთავარი რედაქცია, რომელშიც შედიან: ალექსანდრე ბარამიძე (მთავარი რედაქტორი), ირაკლი აბაშიძე, გურამ კარტოზია (მთავარი რედაქციის სწავლული მდივანი), ცოტნე კიკვიძე, ელენე მეტრეველი, სარგის ცაიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე), შოთა ძიძიგური. 1973 წლამდე (გარდაცვალებამდე) მთავარი რედაქტორი იყო გ. წერეთელი. გარდაცვალებამდე მთავარი რედაქციის წევრები იყვნენ და ტექსტის დადგენაზე მუშაობდნენ აგრეთვე ილია

აბულაძე და ივანე გიგინეიშვილი. მთავარ რედაქციას ტექსტის მომზადებაში ეხმარებიან კომისიის აპარატის მუშაეები.

„ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენმა კომისიამ ტექსტზე მუშაობის დაწყებამდე გ. წერეთლის ხელმძღვანელობით ფართო მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარა: შედგენილ იქნა რუსთველოლოგიური ლიტერატურის ანოტირებული ბიბლიოგრაფია. როგორც ეს ადრე ლიტერატურის ინსტიტუტში მომზადდა, აქ უფრო ფართოდ დამუშავდა რუსთველოლოგიური ლიტერატურა და ბარათებზე ამოწერილ იქნა ტექსტოლოგიური კვლევა-ძიების ამსახველი მასალები. ხელნაწერთა ვარიანტების სრული, ამომწურავი ნუსხის შესადგენად „ვეფხისტყაოსნის“ ყველა ძირითადი ხელნაწერი სტროფობრივ ცალკე ბარათებზე იქნა გადაწერილი. რაც განსაკუთრებით ფასეულია, შედგენილ იქნა მთელი ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა სიმფონია: თითქმის ყველა გამოქვეყნებული და ბევრი გამოუქვეყნებელი თხზულებებიდან თითოეული სიტყვა თავისი ნაირნაირი ფორმებით ბარათებზე იქნა ამოწერილი და ანბანის რიგზე დალაგებული.

აღნიშნული და სხვა მსგავსი სამუშაოების უმთავრესი ნაწილის შესრულების შემდეგ მთავარი სარედაქციო კოლეგია 1968 წლიდან უშუალოდ შეუდგა ტექსტის დადგენას, რაც დღესაც გრძელდება. მათი მუშაობის შედეგები სხდომათა ოქმების სახით სისტემატურად იბეჭდება ჟურნალ „მაცნეში“ (ენისა და ლიტერატურის სერია).

კომისია პოემის აკადემიურ გამოცემას იმავე გეგმითა და პრინციპებით ამზადებს, რომელიც გ. წერეთლის ზემოთ მითითებულ ნაშრომშია ჩამოყალიბებული. კომისიამ 1969 წელს სანიმუშოდ დაბეჭდა პოემის პირველი თხუთმეტი სტროფის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი ვარიანტებითა და ტექსტოლოგიური შენიშვნებით. კომისიის მიერ მომზადებული ტექსტი რამდენიმე ტომად გამოვა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ როდესაც ეს სამუშაო დასრულდება, ხელთ გვექნება „ვეფხისტყაოსნის“ სრული აკადემიური გამოცემა ამ სიტყვის თანამედროვე მეცნიერული გაგებით, და იგი ჩვენი ეროვნული მეცნიერებისა და კულტურის უდიდესი მონაპოვარი იქნება.

მალხაზ აობიაშვილი

მეგობრობის ხილი

1792 წლის 21 ივლისს, შორეულ მირგოროდში, თავის მამულში გარდაიცვალა ღრმად მოხუცებული და ნახევრად დაბრმავებული, სამშობლოსგან მოწყვეტილი, თითქმის უცნობი და მივიწყებული ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი, რომლის ცხოვრების უკანასკნელი წლების, საფლავის ადგილსამყოფელისა და შემოქმედების შესახებ დიდი ხნის განმავლობაში საქართველომ არაფერი იცოდა...

* * *


XVIII საუკუნე კარგს არაფერს უქადა და ჩვენს ქვეყანას. ერთ დროს მრავალრიცხოვანი ქართველი ერი ჯერ მონღოლთა, ხოლო შემდეგ ირანისა და თურქეთის ბატონობის შედეგად საგრძნობლად შემცირდა. ამას თუ დაეუმატებთ იმ შინააშლილობას, სხვადასხვა მთიელ ტომთა უსასრულო თარეშსა და თავდასხმებს ისედაც დასუსტებულდანაწევრებულ ქვეყანაზე, გასაგები გახდება, რომ ამო იყო მეფე ვახტანგ VI-ის ყოველგვარი ცდა ქართლის, კახეთისა და იმერეთის ერთ სამეფოდ გაერთიანებისათვის. არადა, ქვეყნის სიძლიერის შესუსტებასთან ერთად თანდათან ქრებოდნენ უძველესი კულტურის მძლავრი კერები, ინგრეოდა საუკუნეთა მანძილზე ნაგები ტაძრები და ციხესიმაგრეები, დავიწყების მტვერი ეყრებოდა ხელოვნების ნიმუშებს. ამიტომაც შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ სწორედ XVIII საუკუნემ განსაზღვრა საქართველოს ახალი პოლიტიკური ორიენტაცია — ქართველი ხალხი მჭიდროდ შეკავშირებოდა იმ დროისათვის მძლავრსა და ერთმორწმუნე რუსეთს. სხვა გამოსავალი თითქმის აღარ

არსებობდა. მხოლოდ რუსეთი იყო ის სახელმწიფო, რომელსაც შეეძლო ესხნა ტანჯული ქვეყანა განუწყვეტელი შემოსევებისაგან.

სწორედ ამ ისტორიულ კატაკლიზმათა ეპოქაში მოუხდა ცხოვრება ქართველი ხალხის ღირსეულ შვილს, პოეტ დავით გურამიშვილს, რომლის ბედი ყველა დროის ნებისმიერ თავგადასავალთა მაძიებელსაც კი შეშურდებოდა.

მსოფლიოში მცხოვრებ ხალხთა არც ერთ ენაზე არ მოიძებნება, ალბათ, სიტყვა, რომელიც სრულად გამოხატავდა იმ სევდას, ტანჯვას, ზიფათსა და გასაჭირს, რაც ამ ერთმა ადამიანმა გადაიტანა თავისი საკმაოდ ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე. საკმარისია უბრალოდ თვალი გადავაკოთ მის ბიოგრაფიას — არაგვის პირას მდებარე ერთი პატარა ქართული სოფლიდან, უკრაინულ ქალაქ მირგოროდამდე — მაშინვე მივხვდებით, თუ რაოდენ გასაჭირს გადაუვლია მის თავზე.

დავით გურამიშვილმა საკუთარი თვალთ იხილა მტერთაგან გადამწვარი და განადგურებული ქართლ-კახეთის სოფლები, იხილა მშობლიურ მთასა და ტყეებს შეფარებული თანამემამულენი (სხვათა შორის გურამიშვილის ოჯახმაც გაიზიარა მათი ბედი), იხილა ადგილობრივ ფეოდალთა ღალატი და ლეკთა უსასრულო, თავხედური თარეში. ხოლო ერთ-ერთი ამგვარი თავდასხმის მსხვერპლი თვითონაც შეიქნა ჭაბუკი პოეტი. ამ შემთხვევამ სამუდამოდ მოწყვიტა დავით გურამიშვილი მშობლიურ მიწა-წყალს. აქედან იწყება სწორედ მისი დიდი სულიერი ტრალედიაც.



დ. გურამიშვილის ძეგლი თბილისში.

დავით გურამიშვილი სრულიად სამართლიანად ითვლება ერთგულ ღრმა მოაზროვნე პოეტად. იგი ასევე სამართლიანად არის აღიარებული რუსთაველის ღირსეულ მემკვიდრედ. გურამიშვილის პოეზია — ეს არის განსაცდელში მყოფი ადამიანის მიერ გამოხატული უდიდესი სულიერი ტკივილის პოეზია, ტკივილისა, რომელიც განუყოფლად დაკავშირებული მშობლიური ქვეყნის ღრმა სულიერ და ფიზიკურ ტკივილებთან. ამიტომაც მთელ მის მოქმედებას წითელ ზოლად გასდევს ქართლის ჭირის, მისი ძნელბედობის სურათების შეუფერავი და შეუღამაზებელი ხატვა: „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი ენამჭევრი! იფქლი ღვარძლად გარდაიქცა, ზედ მობრუნდა ცეცხლის კევრი...“ რა მწარე აღსარებად ისმის სამშობლოს ბედზე, მის სატიკივარზე მწუხარე პოეტის სიტყვები: „მე კი ვფარავ, მაგრამ ჩემი სატიკივარი არა ჰფარავს, მეტად მწარედ გული მტკივა, მაყრუოლებს და ტანში მზარავს!..“

პოეტი, რომელიც შესანიშნავად ერკვეოდა იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების თვით უმნიშვნელო დეტალებიც კი და რომელსაც შესანიშნავად ეხერხებოდა ავისა და კარგის, შავისა და თეთრის ერთმანეთისაგან გარჩევა, დაუზოგავად ამხელს და კიცხავს XVIII საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების მანკიერ მხარეებს: „მართალს ვიტყვი, შევიქნები, ტყუილისა მოამბე რად? ვერას უქმბ საძაგელთა, უფერულთა პირ-საფერად. მე, თუ გინდა, თავიც მომჭრან, ტანი გახდეს გასაბერად, ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად...“

ამავე ღროს გურამიშვილს ისიც კარგად ესმოდა, რომ „მართალია, მძრახველს ძრახვა თვით კი ავად მოუხდების, მაგრამ ფარვა სიავისა ქვეყანას არ მოუხდების...“, რადგან „რა გინდ რომე კაცმან მალოს, ჭირი თავსა არ დამალავს...“

აქედან ცხადია, პოეტის კრედო, მისი ერთგვარი მანიფესტი, რომლის ძირითად პრინციპს სიმართლე წარმოადგენს. ამაში დარწმუნდება ყველა, ვინც ხელში აიღებს „დავითიანს“, გადაშლის ქართულ ლიტერატურაში არსებულ „ყველაზე პირქუშ წიგნს“ — „ქართლის ჭირს“ და მისი ავტორის პირით მოისმენს XVIII საუკუნის საქართველოს მართლაც რომ პირქუშ ისტორიას, ნამბობს იმ კაცის მიერ, რომელიც განუყოფელი ნაწილია ამ ისტორიისა და ერთგვარი მსხვერპლიც, ვინაი-

მე სისხლი შენი : ა
 შენგნით ვკაყარხ : არიჭვერსა
 არ ვაფქვი ნჭყო : ეშაქეთ შკყო
 ვკა შეშენი :
 შენგნით ვეშკყო : ქიორთ შოტყო
 ვქსეჩქეჩქე : შენ ვაპო შექენთ
 ვხეუქ ჩეჭყო :
 ქრისტე მახე ვარ : ვიხე ვამსახე ვარ
 მჩიეთ ყბო ვარ : სუსი შაოს ხეი ასე

გურამიშვილის ავტოგრაფი

დან იმ სისხლითა და ოფლით მორწყულ გზაზე, რომლის გავლაც მას მოუხდა ლამისყანიდან მდინარე ხოროლის ნაპირებამდე, მთავარ მიზეზად „ქვეყნის წახდენა“ ვგვევლინება, ქვეყნისა, რომლის ერთგულ შვილს ათქმევინა: „გეაჭები, ნუ გამწირავ, მოვჰკვდე, შენ კერძ დამმარხეო...“

თუ რეალურად შევხედავთ იმდროინდელ საქართველოში არსებულ კრიტიკულ ვითარებას, მხოლოდ სინანულის გრძნობა შეგვიპყრობს იმის გამო, რომ პოეტს, რომელიც ასე ძლიერ სჭირდებოდა თავის სამშობლოს იმ ძნელბედობის ქაშს, გარემოებათა გამო სულ სხვაგან და სხვა ვითარებაში უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა. არადა, როგორ აკლდა მაშინ ქართველ ხალხს მხატვრული სიტყვის ის მძლავრი ხმა, რომელიც ისევე ძლიერად და მკაფიოდ უღერს დღესაც, ორი საუკუნის შემდეგ. თუმცა დღეს ისიც ყველასათვის ნათელია, რომ ხმა იმ კაცისა, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ჰუმანური იდეათა სამსახურს შეაღია, არ დარჩენილა „ხმად შლალადებლისა

უდაბნოსა შინა“, ვინაიდან სანთელ-საკმეველი არასდროს არ კარგავს თავის გზას — ასეთია ისტორიის ქეშმარიტი და ობიექტური კანონი და თუკი დავით გურამიშვილის ეპოქაში „წალმა მბრუნავმა დრო-უქმმა უკულმა შექნა ტრიალი“, განვლო დრომ და ისტორიამ შეასრულა თავისი როლი, — ყველაფერი ისევ წალმა დატრიალდა. ის დიდმნიშვნელოვანი საქმე, რომელიც ქართველი ერის ფიზიკური გადარჩენისათვის ვახტანგ მეექვსემ წამოიწყო და რომელიც მარცხით დამთავრდა, დააგვირგვინა ერეკლე მეორემ, რაც 1783 წელს გეორგიევსკში ხელმოწერილი ტრაქტატით გამოიხატა და რომლის შედეგად საქართველო ერთმორწმუნე რუსეთის მფარველობის ქვეშ აღმოჩნდა.

მაგრამ მაშინ, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დავით გურამიშვილს, არც ლეკთა ტყვეობაში, არც ასტრახანში, ვახტანგ მეფის გვერდით და არც შემდეგ, უფრო მოგვიანებით რუსეთის არმიაში მებრძოლს ან მაგდებურგის ციხეში ტყვედ მყოფს, არავითარი საფუძველი არ ჰქონდა ამაზე ფიქრისათვის. თუმცა დროც არ იყო ამისათვის შესაფერისი, რადგან „მრუდი საწუთრო“ წინ კიდევ ახალ სატყვიარსა და განსაცდელს უმზადებდა.

ყველა სხვა „სიკეთესთან“ ერთად ბედი აქაც ვერაგულად მოექცა ისედაც მარტოობას შეწირულ მგოსანს და ამ ქვეყნიდან ისე წავიდა, რომ მემკვიდრე არ დარჩენია. აკი დანანებით წერდა კიდევ თვითონ: „მე საწუთრომ ბერწოვნება მომახვედრა თავში კობლად. ძე არ მომცა, არც ასული, შემქნა სახლ-კარ დასამხოზლადო“. მაგრამ დავით გურამიშვილი საბოლოოდ განწირული მაინც არ აღმოჩნდა. „ყრმით შევედრებული“ წიგნი — „დავითიანი“ აღმოჩნდა ის ღირსეული „მემკვიდრე“, რომელიც უკვე მოწიფულობის ასაკში შექმნა პოეტმა და რომელმაც, მართალია, დიდი ხნის დაგვიანებით, მაგრამ მაინც მოახერხა სამშობლოში დაბრუნება.

მხოლოდ XIX საუკუნის მიწურულს, იქნა აღმოჩენილი „დავითიანის“ ის ავტოგრაფული ხელნაწერი, რომელიც ოთხმოცი წლის გურამიშვილმა გადასცა კრემენჩუგში რუსეთის სარდლობასთან დიპლომატიური მისიით ჩასულ ერეკლე მეორის ძეს, მირიან ბატონიშვილს „თავშესაქცევად პეტერბურგის დაუსრულებელ ღამეებში“.

უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ „დავითიანის“ ხელნაწერმა ჩვენამდე მთლიანი და თითქმის უვნებელი სახით მოაღწია, ეს მაშინ, როდესაც XIX საუკუნის უდიდეს პოეტთა მრავალი ხელნაწერი უგზო-უკვლოდ დაიკარგა და დღემდე არსად გამოჩენილა.



არსებობს ლეგენდა — როდესაც მირიანი მდინარე ვოლგით სამშობლოში ბრუნდებოდა, „დავითიანის“ ხელნაწერი წიგნი თითქოს წყალში ჩაუარდნილა და მირიანსა და მის მხლებლებს ძლივს გადაურჩენიათ. მაგრამ ეს გადმოცემა, ვფიქრობთ, ხალხური შემოქმედების ნაყოფად უნდა ჩაითვალოს, ხოლო რა მოხდა სინამდვილეში და რა ვითარებაში ჩამოაღწია ხელნაწერმა სამშობლოში, არავინ იცის. ერთი კი ცხადია: მირიან ბატონიშვილი ის კაცი აღმოჩნდა, რომელმაც კარგად იცოდა ჭეშმარიტი პოეზიის ფასი. ეს გარემოება რომ არა, ვინ იცის, რა ბედი ეწეოდა იმ ფასდაუდებელ განძს, რომლითაც ასე სამართლიანად ამაცობს ქართველი ერი.


* * *

„დავითიანის“ იმ უნიკალური ავტოგრაფის გარდა, რომელიც დღეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება (S 1598), ჩვენს სიძველეთსაცავებს შემორჩა მისი რამდენიმე მეტ-ნაკლებად სრული პირი, რომელთა უმრავლესობა XIX საუკუნის დასაწყისსა და 20—30-იან წლებშია გადაწერილი იმავე ავტობიოგრაფული ნუსხიდან.

ამ ხელნაწერთა არსებობა იმაზე მიუთითებს, რომ გურამიშვილის შემოქმედებით ქართველები მისი წიგნის დაბეჭდვამდე ბევრად უფრო ადრე დაინტერესებულან. მაგალითად, რიგი მეტად მნიშვნელოვანი ხელნაწერებისა გადაწერილია XVIII საუკუნის ბოლო ხანებში.

მიუხედავად იმისა, რომ 1848, 1852 და 1861 წლებში „დავითიანის“ ვრცელი ნაწყვეტები დაიბეჭდა დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათიასა და ჟურნალ „ცისკარში“, პეტერბურგის ქართველ სტუდენტთა ბიბლიოთეკის თაროზე იგი მაინც დიდხანს ელოდა თავის ისეთ გულშემმატკივარსა და მოჭირანახულეს, როგორც იყვნენ პეტრე უმიკაშვილი, გიორგი წერეთელი, ნიკოლოზ ბერძენოვი (ბერძენიშვილი) და ზაქარია ჭიჭინაძე.

პ. უმიკაშვილი, გ. წერეთელი, ნ. ბერძენოვი და ზ. ჭიჭინაძე იმ ნათელ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნებიან, რომელთა გარეშე დღეს ძნელია წარმოვიდგინოთ XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს კულტურული ცხოვრება. ამ ადამიანებმა, დიდი ილიასა და აკაკის გვერდით, ზიდეს მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ის მძიმე უღელი, რომლითაც ასე ამაცობენ მათი შთამომავალნი. თითოეულ მათგანს



„დავითიანის“ ფოტოპირი

თავისი ცხოვრება და მოღვაწეობის საკუთარი სფერო გააჩნდა, მაგრამ მათი ყოველგვარი საქმიანობა ერთ საერთო პატრიოტულ მიზანს — ერის კულტურული ცხოვრების წინსვლას, მის უკეთეს მომავალს ემსახურებოდა. სწორედ ამ ღვაწლმოსილ ადამიანთა გარჯის შედეგია ის, რომ ქართველ ხალხს დღეს საშუალება ეძლევა გაეცნოს თავის ისტორიას, კულტურას, საისტორიო და სიტყვაკაზმული მწერლობის ისეთ უძვირფასეს ძეგლებს, როგორცაა „ქართლის ცხოვრება“ და „ვეფხისტყაოსანი“, „სიბრძნე სიცრუისა“ და „ვისრამიანი“, „დავითიანი“ და მრავალი სხვა ძეგლი.

1870 წელს პ. უმიკაშვილის, გ. წერეთლისა და ნ. ბერძენოვის ერთობლივი შრომის შედეგად ქართველმა მკითხველმა მიიღო „დავითიანის“ პირველი (თუმცა არასრული) ბეჭდური გამოცემა¹. ეს დიდი მოვლენა იყო იმ დროის საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში.

ვფიქრობთ, წიგნისმოყვარულებისათვის ინტერესმოკლებული

¹ „დავითიანი“, თქმული გურამიშვილის დავითისაგან, წიგნი პირველი. გამომცემელი ნ. ბერძენოვი, პ. უმიკაშვილი, გ. წერეთელი. ტფილისი, 1870.



არ იქნება „დავითიანის“ პირველი გამოცემები, ის, თუ რა სირთულეების წინაშე იდგნენ მაშინ საგამომცემლო საქმის პიონერები საქართველოში. ამიტომ თვალი გადავავლოთ ისტორიასაც და გავიხსენოთ ის ქართველი მწიგნობარნი, რომელთაც მეტად მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით არა მარტო „დავითიანის“, არამედ საერთოდ ქართული წიგნის გამოცემის საქმეში.

სრულიად სამართლიანად ამბობენ, რომ პეტრე უმიკაშვილმა (1838—1904) „ერთმა კაცმა, გაცილებით მეტის გაკეთება შეძლო, ვიდრე იმ დროის სხვადასხვა „გამომცემელთა ამხანაგობებმაო“². ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში ეცნობოდა იგი ძველი ქართული მწერლობის ძეგლებს, რომლებსაც ეძებდა და პოულობდა ბიბლიოთეკებსა და რუსეთში გადასახლებულ ქართველთა ოჯახებში, შემდეგ თვითონვე აგროვებდა ამ ხელნაწერებს, ერთმანეთთან ადარებდა მათ, არჩევდა უფრო სრულ და საიმედო ტექსტებს, ურთავდა ბიოგრაფიებსა და შენიშვნებს. სწორედ პ. უმიკაშვილის დაუღალავმა შრომამ გადაურჩინა შთამომავლობას ისეთ ღირსშესანიშნავ მწერალთა თხზულებები, როგორცაა სულხან-საბა ორბელიანი, ვახტანგ VI, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი. მათ ნაწარმოებთა პირველი გამოცემებიც ამ ცნობილ წიგნის ქომავს ეკუთვნის. დიდი წვლილი მიუძღვის პ. უმიკაშვილს ხალხური სიტყვიერების ნიმუშთა შეკრება-გამომზეურების საქმეშიც. არ დარჩენილა იმ პერიოდის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი სფერო, სადაც თავისი ღირსეული სიტყვა არ ეთქვას ქართული კულტურის ამ დაუღალავ მოამაგესა და მეცენატს.

1869 წელს, პლატონ იოსელიანმა წინადადება რომ წამოაყენა ძველი ქართული წიგნების გამოცემის თაობაზე, მას ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა პ. უმიკაშვილი. მან გაზეთ „დროების“ ფურცლებზე (1869 წ. № 18) გამოაქვეყნა სპეციალური წერილი, რომელშიც სრულიად სამართლიანად საყვედურობდა ძველი თაობის მწერლებს ამ დიდი ეროვნული საქმის მიმართ დაუდევარი დამოკიდებულების გამო.

მაშინ ქართული წიგნის გამოცემა მრავალ სირთულესთან იყო დაკავშირებული, ხოლო საზოგადოების ერთი ნაწილი სკეპტიკურად და

² ალ. კალანდაძე, ნარკვევები ქართული ჟურნალისტიკის ისტორიიდან, თბ., 1965, გვ. 38.



ერთგვარი დაცინვითაც კი შეჰყურებდა ამ საშვილიშვილო საქმეს. სწორედ ეს იყო იმ დიდი გულისტკივილის მიზეზი, რომელიც თიანის“ პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში გამოხატა ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ გიორგი წერეთელმა (1842—1900): „ამ უამად ჩვენში ძვირად იბოვება იმისთანა კაცი, რომ საფუძვლიანი ცოდნა ჰქონდეს ჩვენი ძველის ლიტერატურისა. სულ რომ ბევრი სთქვას, თითო-ოროლა ნაწყვეტს ამბავს იტყვის დიდებულის თამარ მეფის დროზე და აქვე წარმოადგენს დაუფიქვარს რუსთველს იმისი „ვეფხისტყაოსნით“. იმასაც იმისათვის, რომ ეს პოემა საქართველოს ერს სიბრძნის ჭურჭლად მიაჩნია... ამას გარდა ერთი-ორი სხვა მწერლის სახელიც რომ გითხრას, მეტს ველარას გეტყვისთ. აი, ამით გათავდება იმისი ცოდნა ჩვენს ძველს მწიგნობრობაზე... ესეც უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი ახალი თაობა, არამც თუ ჯეროვანს ყურადღებას აქცევს ამ საგანს, ის წინააღმდეგიც არის ამისი; — ძველი ქართული მწიგნობრობის გაცნობით რომ თავი არ დავიმტვერიანო, ის არ სჯობია ევროპის მეცნიერებით გამდიდრებული გონება ახალი ლიტერატურის დაარსებას შევსწიროვო? მაგრამ ეს კი ავიწყლებათ, რომ ვისაც ძველი თესლი ხელში არ უჭირავს, ის ახალს ნამუშევარს ვერ მოიმიკის, ხეს რომ ფესვები გამოვაცალოთ, ნაყოფს როგორღა გამოიღებს? კიდევ იმიტომ არა აქვს ჯერ ჩვენს მოქმედებას მკვიდრი საფუძველი. ან-კი საიდან უნდა ჰქონდეს? მამა-პაპის ღვაწლი არ ვიცით, რომ იმან ჩავვიგდოს გულში სამშობლოს სიყვარული და ახალი დროც მაგდენათ კარგს მაგალითს არ გვაძლევს. ამ შემთხვევაში საუკეთესო ძველი წიგნების დაბეჭდვა და იმათი კრიტიკულად გარჩევა თუ სულ არ გავვიანათებს გონების თვალის წინ ჩვენს ძველს აზრიანს ცხოვრებას, ცოტა შუქს მაინც მიაყენებს ზედ და ესეც კარგია... ჩვენი ახალთაობა დარწმუნებულია, რომ საქართველოს ძველი ლიტერატურა იმის ღირსი არ არის, რომ კაცმა თავისი სიცოცხლე იმათ გაცნობას და განხილვას მოანდომოსო, ამას ამბობენ ისინი, რომელთაც იქნება, ორი სტრიქონიც არ წაეკითხოს იმ ძველი მწერლობისა და, რომ ისურვონ, ვერც წაიკითხავენ. ამაში დამნაშავე ერთის მხრივ ძველი თაობაც კია: თუ ხეირიანი წიგნები რამ ჰქონდათ, დალოცვილებს მაგრად ზანდუკებში დაუკეტიათ, თავგებისათვის და სინოტიოსათვის წაუხდენინებიათ. აი, კიდევ ერთი მიზეზი, რომლისა გამოც აქამდე ყურადღების ღირსნი ხელნაწერნი ახალ თაობას ხელში არ ჩავარდნია შესასწავლად. მით უფრო სასიამოვნოა ახლა დავით გურამიშვილის თხზულების გამოცემა, რო-

მელშიაც ხელოვნებით და მაღალი ნიჭით გამოხატულია ერთი ტრაგიკული და სამწუხარო ყამი ქართველის ერისა...“

იმავე სატიკვარის შესახებ წერდნენ ოდნავ უფრო ადრე „დროების“ ფურცლებზე (1869 წ. № 52) თავიანთ ერთობლივ წერილში „ძველი წიგნების გამოცემაზე“ პ. უმიკაშვილი, გ. წერეთელი და ნ. ბერძენოვი, ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა გამოცემის აუცილებლობაზე გულისტკივილით გვესაუბრება პ. უმიკაშვილი „დავითიანის“ მეორე გამოცემის წინასიტყვაობაშიც. მაგრამ, რაც მთავარია, მათი მონაწილეობა ქართული წიგნის გამოცემის საქმეში მხოლოდ ამ წერილთა გამოქვეყნებით არ დასრულებულა და ისინი, ერთობლივად, დიდის გულმოდგინებითა და თავდადებით შეუდგნენ ამ მეტად საჭირო ბოროტო საკითხის პრაქტიკულად გადაჭრის გზათა ძიებას.

შრომამ თავისი ნაყოფი გამოიღო და 1870 წელს პ. უმიკაშვილმა გ. წერეთელთან და ნ. ბერძენოვთან ერთად „დავითიანის“ გამოცემით ფართო საზოგადოებრიობას პირველად გააცნო დავით გურამიშვილის პიკტური შემოქმედება. მართალია, ამ გამოცემის თანარედაქტორებად გ. წერეთელი და ნ. ბერძენოვიც ითვლებოდნენ, მაგრამ წიგნის ფაქტიური რედაქტორი მაინც პ. უმიკაშვილი გახლდათ, ვინაიდან „დავითიანის“ ტექსტი დასაბეჭდად მხოლოდ მან მოამზადა. ხოლო წინასიტყვაობა ამ გამოცემისათვის „დავით გურამიშვილი და იმისი წინა დროები“, — დაწერა გ. წერეთელმა. ამასთან, რაოდენ ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ „დავითიანის“ პირველი ბეჭდური გამოცემა გამოდგა საწყისი დიდი ნაბიჯი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა როგორც ამ წიგნის, ასევე ჩვენი ძველი მწერლობის სხვა უძვირფასეს ნიმუშთა შემდგომ გამოცემასაც.

„დავითიანს“ გამოსვლისთანავე დაუმსახურებია მოწინავე ქართველი ინტელიგენციის პატივისცემა და სიყვარული, ხოლო შემდგომში მას სხვა ქომაგებიც გამოსჩენია. კერძოდ, ქართული ლიტერატურის კარგ მცოდნესა და წიგნის მოყვარულ გიორგი ზალიკალიანს 1880 წელს გადაუწყვეტია ამ ძეგლის მეორედ გამოცემა, მაგრამ ამჯერად უკვე სრული სახით. აი, რას გვიაპობს მის შესახებ ზაქარია ჭიჭინაძე: „...გიორგი ზალიკალიანი დაიბადა 1837 წელს. იგი არის მწიგნობარი პირი, კარგად მკითხველი ქართული წიგნების... ქართული მწიგნობარი, სხვა ქართული წიგნების გამომცემელიც. ერთ დროს ამან ბევრი რამ ისტორიული საბუთები წერა-კითხვის სამმართველოს შესწირა... სრული „დავითიანის“ ხელნაწერი, თვით პოეტის ნაწერი, შეიძინა პ. უმი-



კაშვილისაგან და თვით მისის რედაქტორობით და წინასიტყვაობით ცალკე წიგნათაც გამოსცა 1881 წელს“...

„დავითიანის“ ამ მეორე გამოცემასაც ქართველი მკითხველი უდიდესი აღფრთოვანებითა და მადლიერების გრძნობით შეხვედრიდა.

1879 წელს თხზულების ავტობიოგრაფიული ხელნაწერი მის სხვა დანარჩენ ნუსხებთან ერთად პ. უმიკაშვილმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცა, თუმცა „დავითიანის“ გამოცემის ისტორია XIX საუკუნეში ამით არ დამთავრებულა.

* * *

„პატარა, ჩია, თხელი კაცი, ტანთ ძველი, გახუნებული სერთუკი ან ასეთივე პალტო აცვია. თავზე ევროპული „ქვაბურა“, უფრო ხშირად კი შავი რბილი ქუდი ახურავს... მოკლე და ნელი ნაბიჯით მოდის ქუჩაში. ხელთ გაზეთები ან ძველი წიგნები უპყრია... მარტოდ მარტოა. პატარა, ჩია, ქედწახრილი მოხუცი“³ — ასეთი დარჩა თანამედროვეთა მესხიერებაში ცნობილი ქართველი მწიგნობარი, მწერალი, ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ზაქარია ჭიჭინაძე (1853—1931). პიროვნება, რომელმაც უდიდესი ამაგი დასდო თავის დროზე ქართული მწერლობის, საერთოდ ქართული კულტურის განვითარებას. როგორც ამბობენ, მას დაწერილი ჰქონია ორას ორმოცდაათამდე წიგნი, რომელთაგან თითქმის ნახევარი დაბეჭდილი და გამოცემულია. იმ დროს საქართველოში არ გამოსულა ეჟურნალი ან გაზეთი, სადაც ზაქარიას არ ეთანამშრომლოს. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ურიცხვბ წერილი და წიგნი ქართველ მაჰმადიანთა შესახებ, ხოლო სამაჰმადიანო საქართველოში პირველად მისი წყალობით შეიჭრა ქართული წიგნი. ზაქარია ჭიჭინაძე იყო „მასების უანგარო კომისიონერი კულტურულ ფრონტზე. მთელი სიცოცხლე, ძალ-ღონე და უშრეტე ენერგია ამ დაუცხრომელმა ენთუზიასტმა შესწირა ჩვენი მშრომელი ხალხის გათვითცნობიერების და კულტურული განვითარების საქმეს“⁴.

სწორედ ზაქარია ჭიჭინაძის უდიდესი მონღომების შედეგი იყო, რომ 1894 და 1911 წლებში თბილისში დაისტამბა „დავითიანის“ მესა-

³ ლ. ასათიანი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1958, გვ. 333.

⁴ იქვე, გვ. 333—334.



მე და მეოთხე გამოცემები⁵, რომლებშიც თხზულებათა ტექსტთან ერთად პირველად დაიბეჭდა დავით გურამიშვილის ავტობიოგრაფიული და მისი მრავალმხრივი ნიჭის დამადასტურებელი „სარწყავისა და წისქვილის ამბავი და მოხაზულობა“. ამ გამოცემებს ზ. ჭიჭინაძემ დაურთო გ. წერეთლისა და პ. უმიკაშვილის ნარკვევები გურამიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, რომლებიც წინ უძღოდა „დავითიანის“ პირველ ორ ბეჭდურ გამოცემას.

მრავალ ხარვეზს, შეცდომასა და უზუსტობას აღმოაჩენს თანამედროვე მკითხველი გურამიშვილის თხზულებათა ადრეულ გამოცემებში, მაგრამ ისინი მაინც არასოდეს დაკარგავენ თავიანთ ისტორიულ მნიშვნელობას. ხოლო დღეს, შეუძლებელია მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიოთ ის ძველი ქართული მწიგნობარნი, რომელთა გარჯასაც უკვალოდ არ ჩაუვლია იმ პირობებში, როდესაც ქართული წიგნის გამოცემა უდიდეს გმირობად ითვლებოდა.

დღეს ჩვენ გურამიშვილის ათამდე შედარებით სრული გამოცემა მოგვებოვება, რომელთაგან მაღალი მეცნიერული ღირებულებით გამოირჩევიან „დავითიანის“ 1931⁶, 1955⁷ და 1980 წლების გამოცემები⁸.

* * *

ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დიდხანს, ძალიან დიდხანს ეძებდნენ უშედეგოდ უკრაინაში დავით გურამიშვილის ნაკვალევს, მისი გარდა-

⁵ „დავითიანი“, თქმული გურამიშვილის დავითისაგან, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფილისი, 1894, 1911 წწ.

⁶ დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და ს. იორდანიშვილის რედაქციით. თბილისი, 1931; ტექსტს წამძღვარებული აქვს ალ. ბარამიძის ნარკვევი „დავით გურამიშვილი“ (ბიოგრაფიულ-კრიტიკული ეტიუდი).

⁷ დავით გურამიშვილი, დავითიანი, თხზულებათა სრული კრებული, სარედაქციო კოლეგია: ი. აბაშიძე, ალ. ბარამიძე (პასუხისმგებელი რედაქტორი); ნ. ბერძენიშვილი, კ. კეკელიძე, გ. ლეონიძე, ს. ჩიქოვანი. თბ., 1955, ტექსტს ერთვის ალ. ბარამიძის შესავალი წერილი და კომენტარები (შედგენილი კ. კეკელიძისა და ივ. გიგინეიშვილის მიერ). გამოცემა აღჭურვილია სამეცნიერო აპარატით (ვარიანტები ტექსტისათვის, ბიბლიოგრაფია).

⁸ დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული, თბილისი, 1980. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, ალ. ბარამიძე, ი. გიგინეიშვილი, ე. მალრაძე, გ. ფანჯიკიძე, ო. ჩერქეზია, ს. ცაიშვილი, შ. ძიძიგური. კრებული შეადგინა და შესავალი წერილი დაურთო ს. ცაიშვილმა.




ცვალებისა და საფლავის ადგილსამყოფელს ილია ჭავჭავაძე, სოფრომ მგალობლიშვილი და მარი ბროსე. ხოლო აკაკი წერეთელი 1896 წელს ხარკოვიდან გამოგზავნილ ბარათში იაკობ გოგებაშვილს სწერდა: „არ ვიცი, რამდენხანს დავრჩები აქ, და თუ დიდხანს დავრჩი და საშუალებაც ჩავიგდებ ხელში, მინდა აქაური არხივიდან, რაც კი რამე ცნობაა ვახტანგის დროის გადმოსახლებულ ქართველებზე, სულ ამოვაწერო... და ეგებ დავით გურამიშვილის საფლავს წავაწყდე...“ ხარკოვში მოგზაურობის პერიოდს ეკუთვნის აგრეთვე აკაკის ერთი საყურადღებო ანდერძის მსგავსი ჩანაწერი უბის წიგნაკში: „მირგოროდსა და სოფელ ზუბოვკაში უნდა მოიძებნოს დ. გურამიშვილის საფლავი“.

მოგვიანებით, უკვე XX საუკუნის 30-იან წლებში ქართველ მოღვაწეთა გვერდით დიდი ინტერესითა და გულმოდგინებით ეძებდნენ გურამიშვილის საფლავს მირგოროდში საქვეყნოდ ცნობილი უკრაინელი მწერლები: პავლო ტიჩინა და პეტრო პანჩი, მაგრამ ვერც მათმა შრომამ გამოიღო დადებითი შედეგი.

ვინ იცის, რამდენი უძილო ღამე ახსოვს უკრაინელ მწერალს, მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს დმიტრო კოსარიკს იმ დღის შემდეგ, რაც მას უკრაინის მწერალთა კავშირმა მეტად პასუხსაგები საქმე დაავალა — უკრაინის არქივებში მოეძებნა დოკუმენტები დ. გურამიშვილის უკრაინაში ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

დრო არ ითმენდა. მრავალი კითხვა მოითხოვდა პასუხის გაცემას, ხოლო დ. კოსარიკი უდიდესი ენერგიისა და ყურადღების დაძაბვით აგრძელებდა მუშაობას, მაგრამ ამჯერად არა მხოლოდ კიევის, ხარკოვის, პოლტავისა და მირგოროდის არქივებში, არამედ მოსკოვის, ლენინგრადის, ლუბნისა და რუსეთის სხვა ქალაქების სიძველეთასაცავებშიც. დროის საკმაოდ ხანგრძლივ მონაკვეთს თავისი დაღი დაეჩნია ძველ დოკუმენტთა „სიცოცხლისუნარიანობაზე“, მაგრამ ხანგრძლივმა და დაუღალავმა კვლევა-ძიებამ მაინც მოიწია თავისი კეთილი ნაყოფი და უკვე 1937 წლის დეკემბერში დმიტრო კოსარიკმა პოლტავის სახელმწიფო არქივში იპოვა პირველი ცნობები დავით გურამიშვილის, მისი მეუღლის ტატიანა ავალიშვილისა და მათი ყმა-გლეხების მირგოროდში ცხოვრების შესახებ. ხოლო 1940 წლის 21 ივნისს აღმოჩნდა დ. გურამიშვილის გარდაცვალების მეტრიკული ჩანაწერი, რამაც მიუთითა მისი დასაფლავების ადგილიც მირგოროდის მიძინების ტაძრის სასაფლაოზე.

„დავით გურამიშვილის საფლავი პირველად მაჩვენა 64 წლის ბო-



მეტრიკული ამონაწერი დ. გურამიშვილის გარდაცვალების შესახებ

რის თომას ძე გავრიშმა, — იგონებს დ. კოსარიკი, — მერე, 1940 წლის ივნისში სასაფლაოს ყარაულმა და ადგილობრივმა მცხოვრებმა ზახარ კუროჩკამ. 1946 წლის თებერვალში მათი ცნობა დაადასტურეს ალ. მალიარმა და მირგოროდის 12 მცხოვრებმა. 1937 წლამდე საფლავზე დებულა თუჯის ფილა, რომელზედაც წარწერილი ყოფილა „Князь Давидъ Гурамовъ“, მაგრამ იმ დროის მირგოროდის მცხოვრებლებიდან არავინ იცოდა ამ წარწერის მნიშვნელობა“⁹.

დღეს, ალბათ, ძნელი არ არის იმის წარმოდგენა, თუ რა დიდ სიხარულს მოუტანდა ქართველ ხალხს დიდი ხნის ნანატრი ცნობა უკრაინიდან: „ნაპოვნია გურამიშვილის საფლავი!“. ამასთან, რაოდენ სასიხარულოა ის გარემოება, რომ ქართველთა გვერდით გურამიშვილის ნაქ-

⁹ დმ. კოსარიკი, დავით გურამიშვილი უკრაინაში, თბილისი, 1957.

ვალევის ძიებაში უდიდესი წვლილი მიუძღვით უკრაინელ მეგობრებს — მწერლებსა და მეცნიერებს, რომლებიც მოწინებით ეკიდებოდნენ და ვით გურამიშვილის უკანასკნელ ადგილსამყოფელსა და მის წინადასახელს.


1948 წლის 1 აგვისტოს, დავით გურამიშვილის ხსოვნის დღეს, საქართველოდან მირგოროდში ჩავიდა ქართველ მწერალთა პირველი დელეგაცია ლევან ასათიანის, ალექსანდრე ბარამიძისა და შალვა დადიანის შემადგენლობით. მათ წილად სვდათ დიდი პატივი — პირველებს მოენახულებინათ სათაყვანებელი პოეტის საფლავი, მისი მეორე სამშობლო მხარე და ის ადგილები, სადაც მას უხდებოდა ცხოვრება, სადაც ქმნიდა პოეტურ შედეგებს.

ქართველმა მწერლებმა სამშობლოდან უკრაინაში წაიღეს ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას საფლავთა თითო მუჟა მთაწმინდის მიწა და ჩუმი შრიალით მოაყარეს ის დავით გურამიშვილის საფლავს. მას შემდეგ ყოველი წლის 1 აგვისტო (ძვ. სტილით 21 ივლისი, დ. გურამიშვილის გარდაცვალების დღე) უკრაინაში გამოცხადებულია დავით გურამიშვილის მოგონების დღე.

აი, როგორ იხსენებდა უკრაინაში — მირგოროდში, ზუბოვკასა და პოლტავაში პირველად გატარებულ დღეებს ლ. ასათიანი: „მე ხშირად შევცქეროდი უკრაინის ლურჯსა და უსაზღვრო ცას, რომლისთვისაც არა ერთხელ აღუპყრია მეოცნებე თვალი დავით გურამიშვილს; მე დავდიოდი იმ მიდამოებში, სადაც მას არა ერთხელ გაუვლია, ვსვამდი იმ წყალს, რომელიც მას დაუღვებია და ვვრძობდი, მთელი არსებით განვიციდიდი მის ცოცხალ ყოფას, მისი გულის ფეთქვას, მისი ხმის ჟღერას“¹⁰. ხოლო მოგვიანებით კი აკად. აღ. ბარამიძე ამ დღეების შესახებ წერდა: „უკრაინაში გურამიშვილის ნაკვალევზე პირველმა მგზავრობამ ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა, ბევრი კეთილი მეგობარი შევიძინე. მაშინ ჩაეყარა საფუძველი იმ ხანგრძლივ მეგობრობას, რომელიც მაკავშირებს მიკოლა ბაჟანთან და მის ოჯახთან. გამიძლიერდა და განმიმტკიცდა მკვიდრო ურთიერთობა და ძმობა დმიტრო კოსარიკთან“¹¹.

¹⁰ ლ. ასათიანი, მირგოროდი, ზუბოვკა, პოლტავა (წიგნში „ჩ. ნაწერები“, I, 1958, გვ. 552).

¹¹ აღ. ბარამიძე, უკრაინაში — გურამიშვილის ნაკვალევზე (წიგნში ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. VII, 1978, გვ. 291).



დ. გურამიშვილის საფლავი მირგოროდში

1949 წლის ზაფხულში საქართველოს მწერალთა კავშირისა და მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია სანდრო შანშიაშვილის, კარლო კალაძის, ბესო ჟღენტის, მაყვალა მრეველიშვილისა და ალექსანდრე ბარამიძის შემადგენლობით კვლავ ეწვია უკრაინას¹². ამჯერად, უდიდესი სახალხო ზეიმის ვითარებაში — გურამიშვილის საფლავზე გაიხსნა მისი ქანდაკება, რომლის ავტორები იყვნენ უკრაინელი მოქანდაკე ი. რაჟბა და ქართველი არქიტექტორები — შ. ჰედია და კ. ჯანაშია. ამ დაუვიწყარ ზეიმს უკრაინის კულტურის წარმომადგენელთა მრავალრიცხოვან დელეგაციასთან ერთად ესწრებოდა აგრეთვე სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის წარმომადგენელი, ცნობილი საბჭოთა მწერალი, პოეტი და მთარგმნელი ვიქტორ გოლცევი, რომელსაც ეკუთვნის დ. გურამიშვილის ცალკეულ თხზულებათა პირველი თარგმანები რუსულ ენაზე¹³.

¹² ამ დაუვიწყარი დღეების შთაბეჭდილებებზე საინტერესოდ მოგვითხრობენ თავიანთ მოგონებებში ალ. ბარამიძე წიგნში „უკრაინაში — გურამიშვილის ნაკვალევზე“, და მაყვალა მრეველიშვილი წერილში „გურამიშვილის დღეები“ (გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949, № 33).

¹³ Давид Гурамишвили, Избранное. Перевод с грузинского, под редакцией В. Гольцева (Вступительная статья А. Барамидзе), 1939.



სახლი სოფელ ზუბოვკაში (ახლა სასოფლო საბჭო), სადაც ცხოვრობდა
დ. გურამიშვილი

ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის შემდგომ, ოდნავ მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ დავით გურამიშვილის „დავითიანის“ უკრაინულ ენაზე ამეტყველება ითავა მწერალმა, პოეტმა-აკადემიკოსმა, საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწემ მიკოლა ბაჟანმა, რომელსაც ქართველ მწერალთა და უშუალოდ ალ. ბარამიძის დახმარებით, იშვიათი გატაცებითა და შთაგონებით უმუშავია ამ თარგმანებზე¹⁴.

აი, რას წერდა მაშინ მიკოლა ბაჟანი ქართული პრესის ფურცლებზე: „...მე მესმის, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა ვიკისრე, როცა ხელი მოვკიდე დავით გურამიშვილის სტროფების თარგმნას, რომლებიც განმსჭვალულია ქართველი ხალხის გულისტკივილით, სევდითა და მწუხარებით, მაგრამ იმავე დროს აღსავსეა ხალხისადმი ურყევი რწმენით, ცხოვრებისაგან მიღებული სიბრძნით. უკრაინელი ხალხი პირდაპირ მოითხოვს უკრაინელი პოეტებისაგან, რომ მათ მივცეთ შესაძლებლო-

¹⁴ ძალზე თბილად იხსენებს ამ მუშაობის პროცესს თავის მოგონებებში ალ. ბარამიძე („უკრაინაში — გურამიშვილის ნაკვალევზე“).



ძველი დ. გურამიშვილის საფლავზე მირგოროდში

ბა გაეცნონ დიდ ქართველ პოეტს, რომლის ბედ-იღბალიც ისტორიამ დაუკავშირა უკრაინის მიწასა და ხალხს... მე იმედი მაქვს, რომ ჩემი ქართველი მეგობრების დახმარებით, რამდენადაც ძალა და უნარი შემეწევს, შევიძლებ უკრაინულ ენაზე ვთარგმნო „დავითიანი“. ვიცი, რომ ჩემი თარგმანი მხოლოდ ჩრდილი იქნება დიდი ქმნილებისა, მაგრამ მე ძალ-ლონეს არ დავზოგავ, რომ რამდენადაც შესაძლებელია, ეს თარგ-



მანი იქნეს დავით გურამიშვილის შემოქმედების მკაფიო, სწორი და ნათელი გადატანა უკრაინულ ენაზე...“¹⁵.

მართლაც, 1950 წელს უკრაინელმა მეითხველმა მშობლიურ ენაზე მიიღო „დავითიანის“ მ. ბაქანიისეული თარგმანი¹⁶, რომლის საშუალებითაც ის სამუდამოდ ეზიარა თავისი ქართველი „თანამემამულის“ უკვდავ შემოქმედებას.

1969 წლის მაისში ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საკმაოდ დიდი ჯგუფი კვლავ უკრაინას ესტუმრა. ამჯერად იქ ქართული ლიტერატურის დღეები მიმდინარეობდა. ამ დეკადის დღეებში მირგოროდის ერთ პატარა მყუდრო ქუჩაზე, მწვანეში ჩაფლულ ერთსართულიან სახლში, 12 მაისს გაიხსნა დავით გურამიშვილის ლიტერატურულ მემორიალური სახლ-მუზეუმი, სადაც ამჟამად ინახება პოლტავის მხარეთმცოდნეობის, კიევის ტ. შევჩენკოს სახელობის, საქართველოს ისტორიის მუზეუმისა და თბილისის რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მიერ გადაცემული გურამიშვილის შემოქმედების, მის მიერ გატარებული ცხოვრების ამსახველი საინტერესო მასალები. საერთოდ, ქართული ლიტერატურის დეკადის დღეები უკრაინაში გადაიქცა ქართველ და უკრაინელ ხალხთა ძმობის ისეთ ზეიმად, რომელშიც მთავარ მოქმედ პირად გურამიშვილის ლექსი, მისი პოეზია გვევლინებოდა.

გავიხსენოთ ის გრანდიოზული საიუბილეო დღეები, როდესაც მთელი ჩვენი მრავალეროვანი ქვეყანა აღნიშნავდა დავით გურამიშვილის დაბადების 250 (1955 წ.) და 275 (1980 წ.) წლისთავს. ამ თარიღებთან დაკავშირებით გამოქვეყნდა მრავალი მონოგრაფია, გამოკვლევა, წერილი და მხატვრული ნარკვევი ქართველი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ როგორც ქართულ, ასევე სხვა მოძმე რესპუბლიკების ხალხთა ენებზეც. ამავე თარიღებს მიეძღვნა აგრეთვე გურამიშვილის „დავითიანის“ თარგმანებიც, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნიკოლოზ ზაბოლოცკისეულ რუსულ თარგმანებს, რომლებიც რამდენჯერმე გამოიცა მოსკოვში, თბილისსა და

¹⁵ ქართული მწერლობა უკრაინულ ენაზე (საუბარი მიკ. ბაქანთან), ვაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949, № 46.

¹⁶ Давид Гурамишвили, Давитиани, перевод с грузинского Миколаы Бажан, редакция и вступительная статья Ал. Барамидзе, 1950. (на укр. языке).



დ. გურამიშვილის ძეგლის გახსნაზე 1949 წ. დგანან: პ. ტიჩინა, დ. კოსარიკი, მ. ბაქანი, ვ. გოლცევი, ს. შანშიაშვილი, ალ. ბარამიძე, კ. კალაძე და სხვ.

ლენინგრადში¹⁷. ამ თარგმანებმა იმთავითვე დაიმსახურა მკითხველი საზოგადოებრიობის, პოეზიის ყველა მოყვარულის მაღალი შეფასება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ ორიოდვე წლის წინ გამომცემლობა „მისტეიტვოს“-ს და გამომცემლობა „ხელოვნების“ მიერ ერთობლივად მომზადებული გურამიშვილის თხზულებათა შესანიშნავად გაფორმებული და ილუსტრირებული უნიკალური გამოცემა: „ბედის ბორბალის ტრიალი“ და „დავითიანი“, რომელიც იმთავითვე იქცა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად.

გურამიშვილის გასახსენებლად დიდი ხანია თითქმის ყოველწლიურად იკრიბებიან თბილისში, საგურამოსა და ლამისყანაში, მოსკოვსა და ლენინგრადში, ერევანსა და ბაქოში, მირგოროდსა და ზუბოვკაში, ტაშკენტსა და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენ ისეთ ქალაქში, სადაც ყველას კარგად ესმის ჰუმანიტარული პატრიოტიზმის, კაცთმოყვარეობის, ადამიანის ამქვეყნიური დანიშნულების, საერთოდ სიყვარულის ფასი. და-

¹⁷ ა) დავიდ გურამიშვილი, დავითიანი, Стихотворения и поэмы, перевод с грузинского Н. Заболоцкого, М., 1953. б) დავიდ გურამიშვილი, დავითიანი, Избранные произведения, перевел с грузинского Н. Заболоцкий. Редакция, вступительная статья и комментарий Георгия Леонидзе, Тб., 1954. г) დავიდ გურამიშვილი, დავითიანი, перевел с грузинского Н. Заболоцкий (вступительная статья и комм. Г. Леонидзе), М., 1955. д) დავიდ გურამიშვილი. Стихотворения и поэмы, переводы Н. Заболоцкого (вступительная статья, составление и примечания С. С. Цаишвили), Л., 1980.

ვით გურამიშვილის სახელიც ხომ სწორედ ამ უსპეტაკეს თვისებათა გამო იქცა ლეგენდად რუსი, ქართველი, სომეხი, უკრაინელი და სხვა ეროვნების ხალხთა ხსოვნაში. და ამიტომაც თვლიან მას ახლა მართლაც სობად ქცეულ უკვდავ სიმღერად.

დიდი ხანია, რაც დავით გურამიშვილის ცხოვრება და შემოქმედება მხოლოდ ქართველი ხალხის კუთვნილებას აღარ წარმოადგენს. იგი ერთნაირად ძვირფასია დღეს ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაში მცხოვრები ყველა იმ ადამიანისათვის, რომელნიც მისი მრავალმხრივი და მრავალსახეობრივი პოეზიის ავტორის მიღმა ხედავენ კიდევ იმ დიდაქტიკოსს, ჰუმანისტ-განმანათლებელს, დიდ პატრიოტსა და ხალხთა მეგობრობის მომღერალს, რომლის შემოქმედება და მსოფლმხედველობა სათავეს იღებს ქართული ეროვნული ლიტერატურის, რუსული, უკრაინული, სომხური, პოლონური და მშობლიური ხალხური სიტყვიერების საუკეთესო ნიმუშებში. ამ აზრის უშუალო დადასტურებაა პოემა „მზიარული ზაფხული“, ამისი ნათელი მაგალითია აგრეთვე გურამიშვილის ის ლექსები და სიმღერები, რომლებშიც ცხადად და მთელი სისრულით წარმოჩნდა პოეტის უსაზღვრო ნიჭი. ამიტომაც ვუწოდებთ მის პოეტურ შემოქმედებას ღრმა აზრისა და ძარღვიანი სიტყვის ზეიმს.

ჩვენი თანამედროვეობა დავით გურამიშვილსა და მის „დავითიანს“ თვლის მეგობრობის იმ ნათელ სიმბოლოდ, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სხვადასხვა ეროვნების ხალხთა ძმობას, რომლითაც ასე ამაყობდნენ XIX საუკუნეში აკაკი წერეთელი და ტარას შევჩენკო, ილია ჭავჭავაძე და მიხეილ კოციუბინსკი; რომლითაც ასე ამაყობდნენ სიმონ ჩიქოვანი, პავლო ტიჩინა, მაქსიმ რილსკი, გოგლა ლეონიძე, ბორის პასტერნაკი, ტიციან ტაბიძე, ნიკოლოზ ზაბოლოცკი, ვიქტორ გოლცევი, პავლე ანტოკოლსკი, კორნელი ზელინსკი, სტეფან ზორიანი, ალექსანდრე ფადეევი, მირზა იბრაჰიმოვი, ნიკოლოზ ტიხონოვი, დერენიკ დემირჭიანი, მირმუხსინი; რომლითაც ასე ამაყობენ დღეს დმიტრო კოსაროვი, ალექსანდრე ბარამიძე, მიკოლა ბაჟანი, ირაკლი აბაშიძე, რასულ გამზათოვი, ნოდარ დუმბაძე, ჩინგიზ აიტმატოვი, ვეგენი ვეტუშენკო, არჩილ სულაკაური, ბელა ახმადულინა, ჯანსუღ ჩარკვიანი, ვიტალი კოროტიჩი და მშობლიური ქვეყნის სხვა მრავალი ღირსეული მამულიშვილი.

დღევანდელი მკითხველი გულგრილი ვერ დარჩება დავით გურამიშვილის იმ პოეტური სტრიქონების მიმართ, რომლებიც ამაღელვებლად მოგვითხრობენ ზუბოვკელ ქალთან შეხვედრის ნაღვლიან ისტორიას.



დ. კოსარიკი ესაუბრება მირგოროდელ მშრომლებს გურამიშვილის ძეგლთან

იმ სტრიქონებისა, რომლებშიც ასევე ამაღლელებლად და დიდი სიყვარულით არის მოთხრობილი იმ კაზაკის შესახებ, რომელმაც ჩრდილო კავკასიაში აშკარა სიკვდილისაგან იხსნა უიმედო მდგომარეობაში მყოფი ქართველი პოეტი. დღევანდელი მკითხველი ასევე ვერ დაფარავს თავის აღტაცებასა და აღივლებას, როდესაც გაეცნობა გურამიშვილის მიერ შედგენილ წიგნებისა და სარწყავი მანქანის „პროექტებს“, რომლებიც მდინარე ხოროლის ნაპირებზე მომუშავე უბრალო უკრაინელი გლეხის შრომის შესამსუბუქებლად იყო გამიზნული.

სამოცდაორი წლის განმავლობაში იარაღებით გურამიშვილმა რუსეთისა და უკრაინის განსაცდელით აღსავსე გზებზე. ამ წლებით არის გაცდილი ის უზარმაზარი შემოქმედება, რომლითაც თამამად და შეუპოვრად იბრძოდა დიდი პოეტი-მოქალაქე ეპოქის მოწინავე იდეალებისათვის. და გურამიშვილის ისტორიული როლიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან, თავისი დროის მკვიდრთა ყველა დამახასიათებელი თვისებების მატარებელმა ადამიანმა, შეძლო გადაეღახა თავისი ეპოქის დროთა საზღვრები და წინ გაესწრო თანამედროვეთათვის,

არადა, გურამიშვილის ცხოვრების ბოლოს ხომ, „უკვე ქვერდა ქვერდა“
პაში მოცარტისა და ჰაიდნის მუსიკა, ხატავდნენ დავითი და გოია,
წერდნენ ვოეთე, ბერნსი, შილერი და განა მხოლოდ ისინი? ადამიანებმა
დაიპყრეს მონბლანი, გამოიგონეს ორთქლის მანქანა... და ამ
ფონზე მით უფრო დიადად მოჩანს დავით გურამიშვილის გმირობა,
რომელიც თავისი საუკუნის უმაღლეს მწვერვალთა დონეზე აზროვნებდა“¹⁸.

როგორც ვხედავთ, არ გამართლდა პოეტის მიერ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში წარმოთქმული ღრმა სინანულით აღსავსე სიტყვები: „ცოცხალი არვის ვახსოვარ, მკვდარს ვინღა მამიგონებსა?!“ — და ამიტომაც, დღეს ჩვენ ისევ ვფიქრობთ გურამიშვილზე, ვფიქრობთ ისეთივე ალტაცებით, როგორი იმედითა და ალტაცებითაც ეგებებოდა ის თითოეული გაზაფხულის მოსვლას უკრაინის მიწაზე; ვფიქრობთ, ისეთივე ალტაცებით, როგორი ალტაცებითაც თარგმნიდნენ, ალბათ, მიკოლა ბაჟანი, ვიქტორ გოლცევი ან ნიკოლოზ ზაბოლოცკი მის უკვდავ „ქართლის ჭირსა“ და „მზიარულს ზაფხულს“; ვფიქრობთ, ისეთივე ალტაცებით, როგორი ალტაცებითაც ეძებდა დემიტრო კოსარიკი უკრაინის არქივებში გურამიშვილის ნაკვალევს და ვფიქრობთ, ალბათ ისეთივე ალტაცებით, როგორი ალტაცებითაც იღვწენ პოეტის საფლავთან ის ქართველი მამულიშვილები, რომელთაც წილად ხვდათ ბედნიერება — პირველნი შეხვედროდნენ დიდი ხნის წინათ დაკარგული მოძმის მეორედ დაბადებას.

თ ბ ი ლ ის ი

¹⁸ В. Коротич, Бессмертие война, мечтателя и поэта, журн. «дружба народов», 1980. № 10, стр. 268.

ხუტა ბერუღაშა

„ღავითიანის“ გადამრჩენელი

კრემენჩუგში მყოფ ქართველთა ელჩს,
მირიან ბატონიშვილს, გურამიშვილმა
თავისი წიგნი გამოატანა საქართველოში.

მას ეპატროს, ვით ჰაბუკ დესპანს,
შეხედვა უნდო და იჭვიანი,
როცა მოხუცმა მიმართა ლექსად
და გაუწოდა „ღავითიანი“.

მას ეპატროს, თუკი მოკვდავი...
უკვდავებასთან იდგა მეფურად...
მასში იპოვა მხსნელი ვარსკვლავი
მშობლიურ მიწას მოშორებულმა.

და ჩააბარა, როგორც შვილს შვილი,
ის, რაც სიცოცხლის ნუგეშად დარჩა,
შიგ იყო კაცის დარდი, შიმშილი,
ოცნება, ფიქრი, იმედი, გარჯა...

მირიანს უბით მოჰქონდა ფრთხილად
ლტოლვილი მოძმის ხელით ნაწერი, —
სიკეთისა და სიმწარის ხილვა,
მთელი სიცოცხლის ნამოღვაწევი!

მე ახლაც ურყოლა მივლის და მზარავს,
როს გავიფიქრებ: რა გვექნა მაშინ,

რომ წასწყდომოდა უეცრად ქარაფს
და ჩავარდნოდა მერანი ხრამში.

მაშინ რა გვექნა, მდინარის ტალღებს
რომ გაეტაცათ მგზავრი დაღლილი, —
ვინღა გვეტყოდა პოეტის ნაღველს,
როგორ გაგვეგო მისი ძახილი?

მაშინ რა გვექნა, დავითის ცრემლებს,
რომ სამშობლომდე ვერ მოედწიათ,
ვერ იპოვიდნენ ნუგეშისმცემელს,
ქვეყნად რამდენიც უნდა ეწვიმათ...

ყოველთვის, როცა დიდი წინაპრის
უკვდავი წიგნი მიპყრია ხელში,
მე თვალწინ მიდგას სახემბრწყინავი
და ფიქრიანი ჭაბუკი ელჩი.

მხოლოდ მადლობის სიტყვა თუ კმარა?
არა მშურს ჯილდო არავითარი
მისთვის, ვინც მამულს არ დაუკარგა
განძი მდიდარი, ნადავითარი!

ხშირად დავყურებ მე ამ საუნჯეს,
ის არის ჩემი ბრძენი მრჩეველი
და... დავიწყებას მსურს გადაურჩეს
„დავითიანის“ გადამრჩენელი.

გიგლიოთეკები

და

გიგლიო,
ფილები



სიმონ ხაღური

მეცნიერების სამსახურში

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი აკადემიისა და რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციის სისტემაში. ბიბლიოთეკა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური კადრებით, რომლებიც კმედით დახმარებას უწევენ რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს, უმაღლეს სასწავლებლებს, სამინისტროებსა და სხვა უწყებებს მეცნიერების სხვადასხვა დარგის ლიტერატურის შერჩევისა და სისტემატიზაციის საქმეში.

ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა 1941 წელს დაარსდა, მისი წიგნადი ფონდი 2 ათას ტომს არ აღემატებოდა. შტატში ერთი თანამშრომელი ირიცხებოდა და საბიბლიოთეკო მომსახურებას უწევდა მხოლოდ აკადემიის პრეზიდიუმის აპარატის მუშაკებს. 1947 წლისათვის კი წიგნადი ფონდი 4 ათას ერთეულამდე გაიზარდა. მაშინ ბიბლიოთეკას 15—20 კვადრატული მეტრი ფართობი ეკავა. შტატში ხუთი თანამშრომელი ირიცხებოდა.

ცენტრალურმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ ნამდვილი სახე მიიღო 1949 წლიდან, როდესაც მას სათავეში ჩაუდგა საბიბლიოთეკო საქმის დიდი ენთუზიასტი ვლადიმერ უზნაძე. ამჟამად ბიბლიოთეკის ფონდში 2 470 000 ტომი ირიცხება, მუშაობს 200-ზე მეტი თანამშრომელი, მუდმივ მკითხველთა რაოდენობა 22 ათასს აღემატება. ბიბლიოთეკა მოთავსებულია სპეციალურად აგებულ ექვსსართულიან შენობაში, რომელიც აკმაყოფილებს წიგნის დაცვისა და მკითხველთა მომსახურების ყველა თანამედროვე მოთხოვნას (მისი ფართობი დაახლოებით 12 ათას 600 კვადრატული მეტრია).

დღეს ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის სისტემაში შედის

აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების 43 ბიბლიოთეკა/ და წიგნადი ფონდი 5 370 000 ერთეულს აღწევს, ხოლო მკითხველთა რაოდენობა 34 ათასს აღემატება. გასულ წელს გაცემულ იქნა 3 მილიონზე მეტი წიგნი და ჟურნალი (აქედან 960 000 უცხოური გამოცემა).

მდიდარი და უნიკალურია აკადემიის სისტემის ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდები. აქ დაცულია უცხოური ლიტერატურა მე-16 საუკუნიდან დაწყებული, თანამედროვე სამეცნიერო გამოცემებით დამთავრებული. მკითხველი აქ ნახავს ათასობით ისეთ ბეჭდვით თუ სხვა ხასიათის გამოცემას, რაც არათუ რესპუბლიკის, არამედ საბჭოთა კავშირის არც ერთ სხვა ბიბლიოთეკაში არ მოიპოვება. ბიბლიოთეკები ყოველწლიურად იძენს 528 სახელწოდების, ხოლო საერთაშორისო წიგნთგაცვლის წესით — 700 სახელწოდების უცხოურ ჟურნალს და 2 200 სახელწოდების საბჭოთა ჟურნალს. ბიბლიოთეკების უცხოური ლიტერატურით დაკომპლექტების საქმე ცენტრალიზებულია და მას ჩვენი ბიბლიოთეკა ხელმძღვანელობს.

უდიდესი ღირებულება აქვს გამოჩენილი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების პირადი ბიბლიოთეკების ფონდებს, რომლებიც ინახება აკადემიის სისტემის ბიბლიოთეკებში. ესენია: პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმი (65 ათასი ბეჭდ. ერთეული), აკად. ე. თაყაიშვილის (6 ათასი ბეჭდ. ერთეული), აკად. ა. ბაიკოვის (7 ათასი ბეჭდ. ერთეული), აკად. ვ. ვორონინის (11 ათასი ბეჭდ. ერთეული), პროფ. მ. პოლიევქტოვის (7 ათასი ბეჭდ. ერთეული), ძმების ვ. და შ. ასლანიშვილების (4 ათასი ბეჭდ. ერთეული), არქეოლოგ გ. ლომთათიძის (6 ათასი ბეჭდ. ერთეული), ი. ტოლსტოის, ი. ლებედევის, ნ. კეჭყაძის, ა. ტვერდინოვას (12 205 ბეჭდ. ერთეული), აკად. კ. კეკელიძის (2 411 ბეჭდ. ერთეული), პროფ. ი. აბულაძის (4 303 ბეჭდ. ერთეული), ნ. და კ. სალიების (3300 ბეჭდ. ერთეული), პროფ. ვ. დონდუას (6 367 ბეჭდ. ერთეული), აკად. ივ. ჯავახიშვილის (3 300 ბეჭდ. ერთეული), აკად. ნ. ბერძენიშვილის (2239 ბეჭდ. ერთეული), ნ. ბუშის (8957 ბეჭდ. ერთეული), ა. გროსპაიმის (5 657 ბეჭდ. ერთეული), დ. სოსნოვსკის (4811 ბეჭდ. ერთეული), აკად. ი. ბერიტაშვილის (2167 ბეჭდ. ერთეული), აკად. ლ. დავითაშვილის (10 000 ბეჭდ. ერთეული) და სხვათა კოლექციები.

ქართული კულტურის მნიშვნელოვანი შენახვითა და ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის ბიბლიოთეკიდან 215 სახელწოდების ე. წ. სინური და იერუსალიმური ქართული ხელნაწერის (IX—XV საუკუ-



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობა

ნეები) მიკროფილმები, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ: 864 წლის სინური მრავალთავი; ბასილი დიდის ცხოვრება (XI საუკუნე), სვინაქსარი ჯვრის მონასტრის აღაპებით (XII ს.), წინასწარმეტყველთა წიგნები (XI—XII სს.), გრიგოლ ნოსელის, იოანე ოქროპირისა და ბასილი დიდის თხზულებანი (XI—XIII სს.), ჰაგიოგრაფიული და ეგზეგეტიკური თხზულებანი (XI—XIII სს.), ი. ოქროპირის ცხოვრება (XII ს.), ჰაგიოგრაფიული და დოგმატიკური თხზულებები (VIII—XII სს.), წმიდანთა ცხოვრებანი (XI—XII სს.), საგალობელთა კრებულები (IX—X სს.), იოანე ოქროპირის სწავლანი (XIV—XVI სს.), ბიბლიური წიგნების ლექციონარი (X ს.), ოთხთავი — სახარება (979 წ.), დავითნი (X ს.), ეფრემ ასურის თხზულებანი (X ს.) და სხვ.

აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით დამზადდა ამ უძვირფასესი ძეგლების ფოტო-ასლები 2 ცალად, რომლის ერთი პირი გადაეცა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს, ხოლო მეორე, მიკროფილმებთან ერთად დაცულია ჩვენს ბიბლიოთეკაში. ამ მიკროფილმების მიღებამ ქართველ მეცნიერებს საშუალება მისცა გასცნობოდნენ ქართული მწერლობის მრავალ ძეგლს, რომლებიც აქამდე



მხოლოდ კატალოგებით იყო ცნობილი. მიკროფილმებში „ბალავარიანის“ ვრცელი ვერსია (პროფ. ი. აბულაძემ ეს ძეგლი გამოსცა გამოკვლევითა და კომენტარებით), აგრეთვე უძველესი თარიღიანი (864 წლის) ე. წ. „სინური მრავალთავი“, ქართული მწერლობის ეს შესანიშნავი ძეგლი გამოსცა თბილისის უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრამ ა. შანიძის რედაქციით.

აკად. გ. წერეთელის თხოვნით ამერიკიდან (კონგრესის ბიბლიოთეკიდან) მიღებულ იქნა იერუსალიმის ბერძნული და სომხური საპატრიარქოების 90 სახელწოდების ხელნაწერის მიკროფილმი.

აკად. ა. შანიძის თხოვნით კორაისის ბიბლიოთეკიდან (ქიოსის კუნძული, საბერძნეთი) მივიღეთ პეტრიწონის ქართული მონასტრის წესდება-ტიპიკონის XI საუკუნის ხელნაწერის მიკროფილმი. ეს ძეგლი მეცნიერულად შეისწავლა და გამოსცა ა. შანიძემ სათაურით: „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში“, რომელმაც აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. პრემია დაიმსახურა. მივიღეთ აგრეთვე პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ბერძნული ტექსტი, რომელიც ქართული თარგმანითა და შესავალი წერილით გამოსცა აკად. ს. ყაუხჩიშვილმა.

ამ ცოტა ხნის წინათ ათონის ივერთა მონასტრიდან კინორეჟისორმა გ. პატარაიამ ჩამოიტანა 72 სახელწოდების ძველი ქართული ხელნაწერის მიკროფილმი, რომელთა ასლები უნივერსიტეტმა გადმოსცა ჩვენს ბიბლიოთეკას¹. ამჟამად მიმდინარეობს მათი ფოტოასლების დამზადება. უკვე ამ მიკროფილმებში პროფ. ი. ლოლაშვილმა აღმოაჩინა და გამოაქვეყნა XI საუკუნის უცნობი პოეტური თხზულებანი -- ეფრემ მცირის „შესხმა გიორგი მთაწმინდელისა“ და თეოფილე თარგმანის (მთარგმნელის) ანდერძი და ჰიმნები, რომლებმაც ჩვენამდე ავტოგრაფების სახით მოაღწია.

ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის ბიბლიოთეკიდან მივიღეთ „ვეფხისტყაოსნის“ ე. წ. თარხან-მოურავისეული (XVII საუკუნის) და მზეხათუნისეული (XVIII საუკუნის) ნუსხების მიკროფილმები. აღსანიშნავია, რომ ეს ნუსხები შედის ვეფხისტყაოსნის იმ ხელნაწერთა რიცხვში, რომელთა მიხედვითაც ხდება „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დადგენა. ამავე ბიბლიოთეკიდან მივიღეთ მარჯორი უორ-

¹ ქართული მწერლობის ამ ძვირფასი ძეგლების ასლების გადმოცემისათვის უღრმეს მადლობას მოვასხენებთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს აკად. ვ. ოყუჯავას, პრორექტორს პროფ. ს. ჯორბენაძეს და უნივერსიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორს შ. აფაქიძეს.

ღრობის მიერ ინგლისურად თარგმნილი ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“ და სხვა საარქივო მასალების მიკროფილმი.

ბიბლიოთეკის ზრუნვითა და მცდელობით მიღებულია ამერიკის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთისა და სხვა ქვეყნების საცნობარო ლიტერატურა, მრავალტომეული ენციკლოპედიები ფიზიკის, მათემატიკის, კიბერნეტიკის, გამოთვლითი ტექნიკის, ფილოსოფიის, ენათმეცნიერების, ტექნიკის, მედიცინის და სხვა დარგებში.

ბიბლიოთეკა დიდ ყურადღებას აქცევს საზღვარგარეთ გამოქვეყნებული ქართველოლოგიური გამოცემების შექენას. ბიბლიოთეკაში დაცულია ცნობილ ქართველოლოგთა შრომები, როგორცაა: კ. სალიას „ქართველი ხალხის ისტორია“, ჯ. დიუმეზილის „ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ენების შედარებითი შესწავლა“, რ. ლაფონის „ბასკური და კავკასიური ენები“, „ბასკური და ქართული ენების მორფოლოგიური შესატყვისობანი“, უ. გარტიის „სინას მთის ქართული ლიტერატურის ხელნაწერები“, „შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურისა და კულტურის ისტორია“, ი. ასფალგის „ქრისტიანული აღმოსავლეთის მცირე ლექსიკონი“, „ძველი ქართული ენის გრამატიკა“, „ქართული ხელნაწერები“, ჰ. ფოგტის „ქართული ენის გრამატიკა“, „ქართული ენის ფონეტიკის სტრუქტურა“, „ქართული ენის ეტიმოლოგია“, „ბასკურ-ქართული ეტიმოლოგია“, „ცნობები ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ენების შესახებ“, დ. ლანგის „ქართული ნუმისმატიკის ისტორია“, „ძველ ქართველ მოღვაწეთა ცხოვრებანი და ლეგენდები“, „ექვთიმე ივერი და თქმულება ვარლაამსა და იოდასაფზე“, „ქართული მონარქიის უკანასკნელი წლები“ (1658—1832) და სხვა მრავალი. ჰარვარდის უნივერსიტეტიდან მიღებულია ანტიკური ხანის მწერლობის მეცნიერულად დადგენილი ტექსტების ინგლისურად თარგმნილი 450 ტომი, რომლებიც გამოცემულია „ლობის კლასიკური ბიბლიოთეკის“ სერიით. ავსტრიის ბიბლიოთეკიდან გაცვლის წესით მივიღეთ ჰუნგერის „ბერძნულ-რომაული მითოლოგიის ლექსიკონი“, „ბიზანტიელი მემატიანეები“ (8 ტომი). ამ ბოლო ხანებში ბიბლიოთეკის ფონდს შეემატა მსოფლიოში განთქმული როშერის „დიდი მითოლოგიური ლექსიკონის“ ახალი გამოცემა (7 ტომი, 10 წიგნად)².

ამ წიგნად ფონდებს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული

² ეს გამოცემა მიღებულია მწერალ აკაკი გელოვანის უანგარი დახმარებით, რისთვისაც გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ.

საბჭოთა მეცნიერების ზრდა-განვითარებისა და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის.

საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციებზე მომუშავეთათვის ბიბლიოთეკას აქვს კარგად მოწყობილი პერსონალური კაბინეტები.

ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა ერთადერთია საბჭოთა კავშირის დიდ ბიბლიოთეკებს შორის, სადაც მკითხველს საჭირო ლიტერატურის მისაღებად ყველაზე მცირე დრო (7—10 წუთი) ეხარგება. მკითხველებს შერჩევით სისტემატურად ეგზავნებათ შეტყობინებები ახალშემოსული სამეცნიერო გამოცემების შესახებ.

რეგულარულად ეწყობა სამამულო და უცხოური ლიტერატურის გამოფენები, მიმდინარე პერიოდიკის დარბაზში 10 დღეში ერთხელ ხდება უცხოური სამეცნიერო ჟურნალების გამოფენა, საიდანაც მკითხველები ირჩევენ მათი მეცნიერული მუშაობისათვის საჭირო ლიტერატურას. მათვე გასამრავლებელ აპარატებზე ვუმზადებთ საჭირო გამოცემების ასლებს. ამ მიზნით მარტო 1980 წელს ბიბლიოთეკის ფოტოლაბორატორიამ დაამზადა 230000 ფურცელი ქსეროასლი, 60000 ფოტოპირი, 55000 მიკროფილმი, გასულ წელს მოეწყო 1804 გამოფენა, აქედან — 380 თემატური; მკითხველებს მიეცათ 80 000 ზეპირი და 360 წერილობითი ცნობა.

მაღალ დონეზე ეწყობა საზღვარგარეთის ქვეყნების სამეცნიერო ლიტერატურის გამოფენები. უკანასკნელი წლების მანძილზე ბიბლიოთეკაში მოეწყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „შპრინგერ-ფერლაგის“ ნაბეჭდი პროდუქციის გამოფენა, ამერიკის შეერთებული შტატების გამომცემლობა „აკადემიკ პრესის“ სამეცნიერო ლიტერატურის გამოფენა, ამავე ქვეყნის სამეცნიერო ინფორმაციის ინსტიტუტის ფრიადმნიშვნელოვანი გამოცემების გამოფენა. ამ გამოფენების მოწყობის შემდეგ დაიწყო თბილისის წიგნის მაღაზიებში კაპიტალისტურა ქვეყნებიდან შემოსული სამეცნიერო წიგნებით ვაჭრობა; ამან გამოიწვია სავალუტო სახსრების ერთგვარი დაზოგვა. ამასთანავე, მოეწყო სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების — რუმინეთის, უნგრეთის, გდრ-ის, ბულგარეთისა და პოლონეთის სამეცნიერო წიგნების გამოფენები, რომელთაც მეცნიერთა დიდი დაინტერესება გამოიწვია და ხელი შეუწყო აკადემიის ბიბლიოთეკების უცხოური სამეცნიერო ლიტერატურით გამდიდრებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 27 ნოემბრის დადგენილებით ბიბლიოთეკა ამზადებს და აქვეყნებს ახლადშემოსული



„შპრინგერ-ფერლანგის“ ბექლეითი პროდუქციის გამოფენაზე

უცხოური ლიტერატურის საინფორმაციო ბიულეტენს, სადაც აღწეს-
ხულია არა მარტო აკადემიის სისტემაში შემოსული გამოცემები, არა-
მედ რესპუბლიკის დიდ ბიბლიოთეკაში მიღებული უცხოური სამეც-
ნიერო ლიტერატურაც.

ბიბლიოთეკას ფილიალი აქვს თბილისის გ. დიმიტროვის სახ. საავი-
აციო ქარხანაში. მუდმივ მკითხველთა (ქარხნის მუშები, ინჟინერ-ტექ-
ნიკური პერსონალი, მოსამსახურეები) რიცხვი 2000-ს აღემატება. აქ
სისტემატურად ეწყობა ლიტერატურული გამოფენები, მიმოხილვები,
ადგილობრივი რადიოქსელის საშუალებით გადაიცემა ინფორმაციები
ახლადმიღებული მნიშვნელოვანი გამოცემების შესახებ. საქარხნო გა-
ზეთში იბეჭდება ანოტაციები სამეცნიერო გამოცემების თაობაზე. ფი-
ლიალი სამსახურს უწევს ქარხანას კადრების კვალიფიკაციის ამაღლე-
ბის საქმეში.

ბიბლიოთეკა დიდ დახმარებას უწევს საინგილოს ქართულ სკო-
ლებს, მარტო 1980 წელს 15000-ზე მეტი წიგნი (მათ შორის ი. გოგე-
ბაშვილის „დედა ენა“, „ბუნების კარი“) გადაეცა კახის რაიონის ქარ-
თულ სკოლას. გაიგზავნა აგრეთვე 1000-ზე მეტი რვეული ქართული
ენის წერთი სამუშაოებისათვის. 2000-ზე მეტი წიგნი გაეგზავნა ფსა-
ნაურის სადაბო ბიბლიოთეკას მესაქონლეობის ფერმის მუშაკებისა-
თვის, 1500 წიგნი — გორის რაიონის სოფ. არბოს ნ. ლომოურის სახ.



პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სამეცნიერო წიგნების გამოფენას
ხსნის აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე

სკოლას და ახალციხის I საშუალო სკოლას. ამგვარი მუშაობა მომავალში უფრო გაფართოვდება.

მკითხველთა დიდი მოწონებით სარგებლობს ბიბლიოთეკის მიერ შედგენილი წერილობითი ცნობები. მაგალითად, გორის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის შედგა ბიბლიოგრაფია: „ულტრაიისფერი სხივების გამოყენება მეცნიერებასა და მრეწველობაში“. ბიბლიოთეკა დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის სხვა დაწესებულებებსაც. მაგალითად, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალურ სამეცნიერო ბიბლიოთეკას გაეგზავნა „საქართველოში გამოქვეყნებული ტარას შევჩენკოს ნაწარმოებები და ლიტერატურა მის შესახებ“ (მოგვიანებით ეს ცნობა ცალკე წიგნად გამოიცა. ბიბლიოგრაფიები გაეგზავნა აგრეთვე საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის



აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს — „ინდოეთი“ (ლიტერატურა-ქართულ ენაზე), დალესტინის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს — „საკონსერვო მრეწველობა“, „საკონსერვო მრეწველობის ბაზა“, მოსკოვის იშვიათ ელემენტთა მინერალოგიის, გეოქიმიისა და კრისტალოქიმიის ინსტიტუტის ლაბორატორიას — „მიკროელემენტები ბიოლოგიასა და მედიცინაში“.

თორმეტ წელზე მეტია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საერთაშორისო ფოლკლორისა და ეთნოგრაფიული ჟურნალის რედაქციას ეგზავნება მასალები კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის შესახებ. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის თხოვნით შედგა და გაიგზავნა წერილობითი ცნობები „ხალიჩებისა და ნაბდების წარმოება ამიერკავკასიაში“, „გამოყენებითი ხელოვნება ამიერკავკასიაში“, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში — „მასალები ინჟინერ თევდორე ივანეს ძე ბალიშკევიჩზე“. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას გაეგზავნა „საქართველოში გამოცემული მასალები გ. დიმიტროვის შესახებ“ და სხვა.

ათასობით გამოცემა ეგზავნებათ საზღვარგარეთ მომუშავე ქართველოლოგებს საქართველოს ისტორიის, ქართული ლიტერატურის, ქართული და ქართველური ენების, ეთნოგრაფიისა და ქართული ხელოვნების შესახებ.

ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში 1965 წელს გაიხსნა მარჯორი უორდროპის სახელობის ფონდი. ანდერძის თანახმად, ფონდის დამაარსებელთა მიზანია შექმნან ბიბლიოთეკა, რომლითაც ისარგებლებენ ქართული კულტურით დაინტერესებული პირები.

ფონდის ხელმძღვანელობამ კავშირი დაამყარა ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკასთან და მოითხოვა წიგნების გაცვლა. ისინი სთავაზობდნენ იმ წიგნებს, რომლებიც სჭირდებოდათ საქართველოს სამეცნიერო დაწესებულებებს; სამაგიეროდ მოითხოვენ აქედან გაუგზავნონ ლიტერატურული და ენათმეცნიერული ნაშრომები.

ამ საქმით დაინტერესებულია ჩვენი ინგლისელი თანამემამულე თამარ დრაგაძე. მისი თხოვნით 1971 წელს 650 სახელწოდების გამოცემა გაიგზავნა მარჯორი უორდროპის ფონდში, რისთვისაც დავით ბარეტის მადლობის წერილი მივიღეთ: „უღრმეს მადლობას მოვახსენებთ ამ უძვირფასესი განძის შემოწირვისათვის“.

ამის შემდეგ ყოველწლიურად 600-ზე მეტი დასახელების წიგნი და



დებს ბიბლიოგრაფიულ საძიებელს „ვ. ი. ლენინი ამიერკავკასიისა და ამიერკავკასიელი მოღვაწეების შესახებ“, ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა შემდეგ თემატურ ბიბლიოგრაფიებზე: „ქართული ჩაი“, „კლასიკური ლიტერატურის ათვისება“, „ქართული არქეოლოგია“, „საქართველო-უკრაინის ლიტერატურული ურთიერთობანი“. ეს გამოცემები დიდ დახმარებას გაუწევენ მეცნიერ-მუშაკებს საჭირო მასალის შეგროვებაში და ამ მასალების შედგენის მიზანიც სწორედ ის არის, რომ მეცნიერმა რაც შეიძლება ნაკლები დრო დაკარგოს მასალების შეკრებისათვის.

ქართული საბჭოთა ბიბლიოგრაფიის განვითარების საქმეში განსაკუთრებით დიდი დამსახურება მიუძღვით კარლ მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკურ საჯარო ბიბლიოთეკას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკასა და საქართველოს წიგნის პალატას. საბიბლიოთეკო სპეციალისტებისათვის დღესაც სამაგიდო წიგნებს წარმოადგენენ „ქართული ჟურნალებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, „ქართული გაზეთების ანალიტიკური ბიბლიოგრაფია“, „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცemათა ბიბლიოგრაფია“, „ქართული წიგნი“ (ბიბლიოგრაფია). სამწუხაროდ, ამჟამად ცოტა რამ კეთდება ამ ასპარეზზე, განსაკუთრებით რუსული პერიოდიკის ანალიტიკური აღწერილობის შედგენისა და გამოცემისათვის, როგორცაა „კავკაზ“, „კავკაზსკი სბორნიკ“, „კავკაზსკიე გუბერნსკიე ვედომოსტი“, „კავკასსკიე იზვესტია“, „სბორნიკ სვედენიი ო კავკაზსკიხ გორცახ“, „სბორნიკ ოპისანიე მესტონოსტეი ი პლემიონ კავკაზა“ და სხვა მრავალი შესანიშნავი გამოცემა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში არადაამკმაყოფილებელ მდგომარეობაშია XIX საუკუნისა და XX საუკუნის 30-იან წლებამდე გამოსული პერიოდული გამოცემების დაცვა.

ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას ეწევა. გამოქვეყნებულია მრავალი საინტერესო ნაშრომი, რომელთაგანაც აღსანიშნავია: „საბიბლიოთეკო საქმე საქართველოში“, „ქართული ხალხური სიტყვიერების შესწავლის საკითხი რევოლუციამდელი საქართველოს რუსულ პერიოდიკაში“, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საბიბლიოთეკო და საგამომცემლო მოღვაწეობა“, „ქართულ გვარ-სახელთა ბიბლიოგრაფიული საძიებელი“, „თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ისტორია“, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლი-

ოთეკა“, „ბიბლიოგრაფიული საკლასიფიკაციო სისტემები სსრ კავშირში“ და მრავალი სხვა.

ამჟამად საბჭოთა კავშირის ყველა ბიბლიოთეკის ფონდში ითვლება 5 მილიარდი საბიბლიოთეკო ერთეული 200 მილიონ მკითხველზე, ხოლო მოსახლეობის პირად ბიბლიოთეკებში დატულია 35 მილიარდი წიგნი. ყოველწლიურად სახელმწიფო ბიბლიოთეკებში შემოდის 180—190 მილიონი წიგნი, ხოლო პირადი მოხმარების ბიბლიოთეკებში — ერთი მილიარდი. სახელმწიფო ბიბლიოთეკების უკეთ დაკომპლექტების მიზნით მიღებულ იქნა საჭირო ზომები, მაგრამ ჩვენში დროულად არ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 27 ნოემბრის დადგენილების ზოგიერთი მუხლი და პუნქტი. მაგალითად, ახლად გამოსული ლიტერატურით პირველ რიგში ბიბლიოთეკების მოთხოვნათა დაკმაყოფილების, წიგნებთან ერთად საკატალოგო ბარათებისა და წიგნის, ჟურნალისა და გაზეთის სტატიების მატთანების დროულად გამოცემის თაობაზე.

ამ მხრივ უნდა გაძლიერდეს რესპუბლიკის ბიბლიოთეკების სამეცნიერო და სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიული მუშაობის კოორდინაცია, გაგრძელდეს ჟურნალ-გაზეთებისა და კრებულების ანალიტიკური ბიბლიოგრაფიების გამოცემა. მათ შორის რევოლუციამდელი რუსული პერიოდიკისა საქართველოში. არსებითად შემცირდეს დრო სამეცნიერო ინფორმაციების მომზადებასა და გამოცემაზე.

მკითხველმა არ უნდა დატოვოს ბიბლიოთეკა (განსაკუთრებით დიდი ბიბლიოთეკა) ისე, რომ არ მიიღოს ამომწურავი პასუხი მისთვის საინტერესო ყველა საკითხებზე, ყველა მოთხოვნაზე საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ მეცნიერ-მუშაკთა (და არა მარტო მეცნიერ მუშაკთა) ყველა მოთხოვნა მაქსიმალურად სწრაფად კმაყოფილდებოდეს.

ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა და აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ბიბლიოთეკები სსრ კავშირის მრავალათასიან ბიბლიოთეკებთან ერთად აქტიურად უწყობენ ხელს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის პროპაგანდას, საბჭოთა ადამიანების იდეურ-პოლიტიკურ, შრომით, ზნეობრივ, ესთეტიკურ აღზრდას, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა გავრცელებას.

კლარა რამიშვილი

ნიკო ნიკოლაძის პირადი ბიბლიოთეკა

ცნობილ ქართველ პუბლიცისტსა და საზოგადო მოღვაწეს ნიკო იაკობის ძე ნიკოლაძეს უსაზღვროდ უყვარდა წიგნები. წიგნი მისი ცხოვრების განუყრელი თანამგზავრი იყო. XIX საუკუნის მიწურულს, როცა თავის მამულში — დიდ ჯიხაიშში ცხოვრობდა, ნიკო ნიკოლაძემ შექმნა შესანიშნავი ბიბლიოთეკა; შემდეგ, როცა ფოთის ქალაქის თავად აირჩიეს, განაგრძობს თავის ბიბლიოთეკის საუცხოოდ დაკომპლექტებას, ხოლო როდესაც საბოლოოდ თბილისში დასახლდა, იმდროინდელ საქართველოში ერთ-ერთი უნიკალური ბიბლიოთეკის მფლობელი იყო.

წიგნის სიყვარული ნ. ნიკოლაძეს ოჯახურმა გარემომ ჩაუნერგა. იგი დაიბადა 1843 წლის 27 ოქტომბერს ქ. ქუთაისში, შეძლებული მოქალაქის ოჯახში.

მის მამას — იაკობ ნიკოლაძეს ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ კომედიოგრაფ ზურაბ ანტონოვთან. მისი კარგი ნაცნობი იყო მწერალი და მსახიობი მეიფარიანი; იგი გასცნობია სახელგანთქმულ ფრანგ ქართველოლოგს მარი ბროსეს, რომელიც გასული საუკუნის ორმოციან წლებში არქეოლოგიური ძეგლების შესასწავლად მოგზაურობდა საქართველოში. იაკობს სიბერემდე ჰყვარებია მარი ბროსეს გაცნობის, მასთან ერთად ბაგრატის ტაძრის დათვალიერებისა და მისი „ახირებული ქართულის“ გახსენება. იაკობ ნიკოლაძეს არ აკმაყოფილებდა ის ვიწრო წრე, რომელთანაც ყოველდღიური საქმიანობით იყო დაკავშირებული. იგი სულიერ საზრდოს მეუღლის — ელისაბედ ლორთქიფანიძის მიერ მოწყობილ შინაურ საღამოებში და ხელოვნებისა და მეცნიერების სხვადასხვა დარგის მუშაკებთან ურთიერთობაში პოულობდა.



ნ. ნიკოლაძე

„მოგონებებში“ ნ. ნიკოლაძე წერს: „მამა-ჩემს საშინლად ეთაკილებოდა, რომ თვითონ უსწავლელად იყო დასაჩვენებელი: ქართული წერა-კითხვისა და ანგარიშის მეტი არა იცოდა-რა. ამიტომ ის არავითარ ხარჯს და მეცადინეობას არ ზოგავდა ჩემი რიგიანად აღსაზრდელად“¹.

ნიკო ნიკოლაძის დედა — ელისაბედი „შესანიშნავი მწიგნობარი“ იყო, ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“ და ცდილობდა თავისი ცოდნა ოჯახის ყველა წევრისათვის გაეზიარებინა. იაკობ ნიკოლაძეს ქართულ ენაზე გამოსული ყველა წიგნი მოსდიოდა თბილისიდან. ამანათის მიღებისთანავე დიასახლისი შეკრებდა ოჯახის წევრებს და მიღებულ ლიტერატურას უკითხავდა. ყირიმის

ომის დაწყებამ შეაფერხა ქართული წიგნის ბეჭდვის საქმე, რაც კითხვას მიჩვეული ოჯახისათვის დიდ დანაკლისად იქცა. ელისაბედმა გამოსავალი ნახა: იგი განმეორებით უბრუნდებოდა წაკითხულს. ოჯახურ საღამოებზე წაიკითხეს მარი ბროსეს მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრებაც“, რომელიც იაკობ ნიკოლაძეს მისგანვე შეუძენია.

უბრალო „მნათობის“ 1869 წლის ივლის-აგვისტოს ნომერს დართული აქვს ხელნაწერთა სია, სადაც მოხსენიებულია ელისაბედ ნიკოლაძისა. ეს პატარა დეტალი კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რამდენად დიდი იყო ამ შინნასწავლი მანდილოსნის ინტერესი ლიტერატურისადმი.

ეს გახლდათ ყველაზე ადრეული წრე, რომელმაც პატარა ნიკოს გააცნო, შეუთვისა და შეაყვარა წიგნი — ცხოვრებაში ყველაზე საუკეთესო მეგობარი და მეგობარი.

შემდეგ გიმნაზია, სადაც მასწავლებლები თავიანთ მოვალეობას უსულგულოდ, ყოველგვარი ინტერესისა და შემოქმედების გარეშე იხდიდნენ. რა თქმა უნდა, ცოცხალი გონების ნიჭიერ ახალგაზრდას

¹ ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. 1, გვ. 11.

გიმნაზიის სწავლების მეთოდი ვერ დააკმაყოფილებდა. ამიტომ იგი ცდილობდა ეს დანაკლისი წიგნის კითხვით შეეცნო. ამ პერიოდში გადაიკითხა მან თავისი მეზობლის იმ დროისათვის არცთუ ლარიზმული ლიოთეკა. გიმნაზიაში სწავლის დროს წიგნის კითხვაში ყველაზე ნაყოფიერ პერიოდად მას ფოთში გატარებული ერთი წელი მიაჩნია, როდესაც მალარიის გამო ლოგინს იყო მიჯაჭვული. მამამისი იწერდა ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს. მათ შორის ჟურნალ „ილუსტრაციას“, „სოვრემენიკს“ — ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების ჟურნალს, რომელიც ისეთ იწვიათობას წარმოადგენდა, რომ ქუთაისში მხოლოდ მასწავლებელი პეტრე ჩარეჭიშვილი იღებდა.

დამათავრა გიმნაზიის კურსი და 17 წლის ნიკო უმაღლესი განათლების მისაღებად მიემგზავრება პეტერბურგში, სადაც საცხოვრებლად ქართველ სტუდენტებთან სახლდება. მის გაცემას საზღვარი არა ჰქონდა, როცა იმ სტუდენტის ოთახში, როგორც თვითონ იგონებს, „წიგნის ხსენებაც არსაით იყო“. კიდევ უფრო გააკვირვა მასპინძლის სიტყვებმა: „თუ წავეყარეთ საღმე, ვითხოვთ წიგნს და წავიკითხავთ, მაგრამ ან კითხვის დრო ვისა აქვსო“².

ნ. ნიკოლაძის ყოფნა პეტერბურგში დაემთხვა იმ პერიოდს, როდესაც მოსწავლე ახალგაზრდობა აღსდგა უნივერსიტეტში გამეფებული ბიუროკრატიული რეჟიმის წინააღმდეგ. მათ რიგებში იყო ნიკო ნიკოლაძეც. იგი დააბატიმრეს და სხვა სტუდენტებთან ერთად კრონშტადტის ციხეში ჩასვეს. მალე საგანგებო კომისიამ განიხილა სტუდენტთა საქმე და IV კატეგორიის შემადგენლობა — „ქუქუშწოვრები“ — მშობლების თავდებობით გაათავისუფლეს და აუკრძალეს პეტერბურგში ცხოვრება, ნ. ნიკოლაძე არ დაემორჩილა მთავრობის გადაწყვეტილებას და არალეგალურად ცხოვრობდა პეტერბურგში აკაკი წერეთლის ბინაში. ამ პერიოდს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის. იგი აქტიურად ჩაება განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა საქმიანობაში. გაეცნო და დაუახლოვდა ჩერნიშევსკის, თანამშრომლობდა რუსეთის მოწინავე ჟურნალ-გაზეთებში, როგორიც იყო „სოვრემენიკი“, „ისკრა“ და „ნაროდნოე ბოგატსტვო“.

ახალგაზრდა ნიკო ნიკოლაძის ახლო ურთიერთობას „სოვრემენი-

² ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 41.

კის“ თანამშრომლებთან და მისი მოღვაწეობის დაფასებას ადასტულებს მიხეილ ნიკოლოზის ძე ჩერნიშევსკის წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი, რომლითაც ატყობინებს, რომ ნ. გ. ჩერნიშევსკის დაპატიმრების დროს პოლიციის მიერ წაღებული საბუთების გარჩევისას იგი წასწყდომია „სოვრემენიკის“ თანამშრომლის — სტოპაკევიჩის წიგნს „Родные картины“, ძალიან გულთბილი წარწერით: «Будущему витязю Имеретни, другу несчастного крестьянина и ревнителю демократизма, Николаю Яковлевичу Николадзе от автора. 9 июля 1862 г.»³.

45 წლის შემდეგ ეს წიგნი მიხეილ ჩერნიშევსკიმ ნ. ნიკოლაძეს გამოუგზავნა საქართველოში.

როგორც ცნობილია, 70-იანი წლების რუსეთში რეაქცია გაძლიერდა: დაიხურა უნივერსიტეტი, „სოვრემენიკი“ აიკრძალა, ნ. ჩერნიშევსკი დააპატიმრეს და გადაასახლეს, ნიკოს ნაცნობ-მეგობრები პეტერბურგიდან წაეიდნენ. თვით ნიკო ნიკოლაძეც „ნათელი ფერის ჩემოდანში“ ჩალაგებული წიგნებით, რომლებშიც იყო ეგზომ მრავალი უფრო ნათელი იდეები⁴, მოემგზავრება საქართველოში.

ნ. ნიკოლაძის სამშობლოში დაბრუნება ემთხვევა იმ პერიოდს, როდესაც საქართველოში მწვავე იდეურ-პოლიტიკური ბრძოლა მიმდინარეობს ძველ და ახალ თაობას შორის.

ერთი წლის შემდეგ ნ. ნიკოლაძე მიემგზავრება რუსეთში, იქიდან კი საზღვარგარეთ, სწავლის გასაგრძელებლად. აქ იგი უახლოვდება რუს რევოლუციონერ ემიგრანტებს გერცენსა და ოგარიოვს, თანამშრომლობს „კოლოკოლში“, სწავლობს ფრანგულს, ფრანგულ ენაზე იცავს დისერტაციას და ახალი მიზნებითა და ენერგიით აღსავსე ბრუნდება საქართველოში.

1887—1895 წლებში ნ. ნიკოლაძე მუდმივად ცხოვრობდა სოფ. დიდ ჭიხაიშში. მისი ერთსართულიანი, ყაერთ გადახურული სახლი ამ პერიოდში „წარმოადგენდა ერთგვარ კერას, სადაც ლიტერატურული, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ხასიათის არა ერთი და ორი თვალსაჩინო საკითხი გადაწყვეტილა. აქ ხშირად იყრიდნენ თავს იმდროინდელი საზოგადო მოღვაწეები და მწერლები: გიორგი წერეთე-

³ Письма русских литературно-общественных деятелей к Н. Я. Николадзе.

⁴ ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 144.

ლი, კირილე ლორთქიფანიძე, სოფრომ მგალობლიშვილი, ილია ხონელი (ბახტაძე), აკაკი წერეთელი და სხვები⁵.

დიდი ჯიხაიშის ბიბლიოთეკა, აკაკი დევციძის აზრით, 40 ათას წიგნს ითვლიდა. გიორგი ნიკოლაძის მეგობარი, ცნობილი ინჟინერ-მეტალურგი ირაკლი ლორთქიფანიძე იგონებს, რომ მას ყოველთვის უხაროდა მისვლა ნიკოლაძეებთან მათ ლამაზ მამულში, სადაც მშვენიერი ბიბლიოთეკა ჰქონდათ⁶.

დიდ ჯიხაიშში ნ. ნიკოლაძის სამუშაო გარემოსა და მისი ბიბლიოთეკის ნათელ სურათს იძლევა ნ. ნიკოლაძის პირად არქივში დაცული გაზეთის ამონაჭერი, სადაც ვკითხულობთ: «В деревне он получает ежегодно столько периодических изданий, сколько не получает любая редакция, полки его кабинета просто трещат под тяжестью томов в роскошных переплетах, заключающих в себе все «последния слова» науки. Словом, получается иллюзия хорошо обставленного кабинета в Петербурге, а то и самой читальни Петербургской публичной библиотеки»⁷.

დიდ ჯიხაიშში ნ. ნიკოლაძეს „აუარებელი ჟურნალ-გაზეთები და კორესპონდენცია მოსდიოდა, რომლის მიღება ნიკოს სპეციალური მინდობილობით დავალებული ჰქონდა მოქ. გიორგი ნემსაძეს, სანამდე ჯიხაიშში არ იყო ფოსტა და ნიკოს ფოსტა კომიტნარიდან ან სამტრედიიდან იყო საზიდავი“⁸.

1895—1914 წლებში ნიკო ნიკოლაძე მუდმივად ცხოვრობდა ფოთში. ბიბლიოთეკის ნაწილი — ეკონომიკური, საცნობარო-ბიბლიოგრაფიული ხასიათის წიგნები, ლექსიკონები და ჟურნალ-გაზეთები დიდი ჯიხაიშიდან ფოთში ურმებით გადაუზიდავთ, ხოლო სასოფლო-სამეურნეო და მხატვრული ლიტერატურა დიდ ჯიხაიშში დაუტოვებიათ, სადაც ზაფხულობით მთელი ოჯახი ჩადიოდა დასასვენებლად.

1914—1915 წწ. ნ. ნიკოლაძე ისევ დიდ ჯიხაიშში ცხოვრობდა და რამდენადაც იზრდებოდა მისი ინტერესთა არე, იმდენად იზრდებოდა და ფართოვდებოდა მისი ბიბლიოთეკაც.

⁵ ა. დევციძე, ნიკო ნიკოლაძე დიდ ჯიხაიშში, 1958, გვ. 30.

⁶ ჟურ. „დროშა“, 1963, № 8, გვ. 9.

⁷ ნ. ნიკოლაძის არქივი, 14—224. სტატია ხელმოუწერელია, არა აქვს არც დასაწყისი, არც ბოლო. საქართველოს დამსახურებული ბიბლიოთეკარის თ. მაჭავარიანის მოსაზრებით, სტატია უნდა ეკუთვნოდეს იმ დროისათვის ცნობილ პუბლიცისტს „ნოვოე ობოზრენიეს“ თანამშრომელს ილია ხონელს (ბახტაძეს).

⁸ ა. დევციძე, ნიკო ნიკოლაძე დიდ ჯიხაიშში, 1958, გვ. 30.

1920-დან 1922 წლამდე დიდი ჯიხაიშის ბიბლიოთეკის შესახებ არა ვითარი ცნობა არ მოგვეპოვება. 1922 წელს ნ. ნიკოლაძის სახლში მამულში დაარსდა სასოფლო-სამეურნეო საცდელი სადგური. ოთახების დაცლისას ბიბლიოთეკის ნაწილი გაიფანტა, რასაც ადასტურებს 1923 წლის აპრილში საქართველოს განათლების კომისარიატში წარდგენილი მოხსენებითი ბარათი. «О приеме бывшей библиотеки (историко-литературного характера) Н. Я. Николадзе в сел. Диди-Джихаиси Кутаисского уезда»⁹.

მოხსენებით ბარათში ნათქვამია, რომ კომისიას ბიბლიოთეკა ქალთურ მდგომარეობაში დახვედრია. უწესრიგოდ გაფანტული წიგნების ნაწილი საძინებელ ოთახში, ნაწილი საკუჭნაოში და სხვა სათავსოებში უნახავთ. წიგნების დიდი რაოდენობა დაკარგულიყო. ბიბლიოთეკა შედგებოდა ქართული, რუსული, ფრანგული, გერმანული და ინგლისური წიგნებისაგან.

მოხსენებით ბარათს დართული აქვს კომისიის მიერ შედგენილი აქტი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წიგნები თავმოყრილ იქნა ერთ ოთახში, რომელიც დაულუქავთ. სრული აღწერილობა დროის უქონლობის გამო არ შემდგარა, გარდა სასოფლო-სამეურნეო ხასიათის 23 წიგნისა, რომელიც გადაეცა მეურნეობას, და აგრეთვე იმ 13 წიგნისა, რომელთა წამოღებაც კომისიას საჭიროდ ჩაუთვლია.

1924 წლის 26 ივნისს ნ. ნიკოლაძეს სსრ კავშირის განათლების სახალხო კომისარიატისათვის უთხოვია დიდი ჯიხაიშის მამულში დატოვებული წიგნების დაბრუნება¹⁰. 12 ივლისს საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის განკარგულებით ნ. ნიკოლაძეს დიდი ჯიხაიშის მამულიდან საოჯახო ნივთებისა და წიგნების თბილისში გადმოტანის ნება დართეს¹¹. ასე გადმოინაცვლა დიდი ჯიხაიშის შესანიშნავი ბიბლიოთეკის ნარჩენმა თბილისში.

1894 წელს, როდესაც ნ. ნიკოლაძე ფოთის ქალაქის თავად აირჩიეს, იგი დასახლდა მე-16 საუკუნეში თურქების მიერ აგებულ ციხე-კოშკში და აქვე დააბინავა თავისი ბიბლიოთეკაც, რომელიც დღითი-დღე ივსებოდა და 1912 წლისათვის უკვე 10 ათას ტომს ითვლიდა. ბიბლიოთეკა რომ მდიდარი იყო, იქიდანაც ჩანს, რომ დავირავებისას (1912 წ.) იგი 30 ათას მანეთად შეუფასებიათ. ნ. ნიკოლაძის განცხადებაში დავირა-

⁹ ნ. ნიკოლაძის არქივი, 40—495.

¹⁰ იქვე, 68—30.

¹¹ იქვე, 40—500.



კოშკი ფოთში, სადაც ცხოვრობდა ნ. ნიკოლაძე და მოთავსებული იყო მისი ბიბლიოთეკა

ვების შესახებ ნათქვამია, რომ ბიბლიოთეკა შედგება გამოჩენილ რუს და უცხოელ ავტორთა თხზულებების სრული კრებულების, XIX საუკუნის მეორე ნახევრის გაზეთებისა და ჟურნალების სრული კომპლექტების, 1871—1909 წლების „საფრანგეთის პარლამენტისა და სენატის სხდომათა სტენოგრაფიული ანგარიშების“, რუსეთის კანონების სრული კრებულების, „კავკასიის არქეოლოგრაფიული კომისიის აქტების“ სრული კომპლექტისაგან, აგრეთვე მრავალი რუკის, ბროშურისა და გაზეთების კომპლექტებისაგან.

ფოთის ურთიერთდამხმარე კრედიტის საზოგადოებას ბიბლიოთეკა

დაუგირავებია 12 ათას მანეთად¹². 1917 წელს ნ. ნიკოლაძეს ბიბლიოთეკა გამოუსყიდია¹³.

ფოთის პირად ბიბლიოთეკაზე შეიძლება ვიმსჯელოთ აგრეთვე ნ. ნიკოლაძის არქივის სურათების კოლექციაში დაცული სამი სურათით: ერთ სურათზე ჩანს კოშკი, სადაც ნ. ნიკოლაძე ცხოვრობდა (გადაღებულია 1901 წელს); მეორეზე ნ. ნიკოლაძის სამუშაო ოთახი წიგნების კარადებით; მესამეზე — ოთახი კოშკში, რომელშიც ბიბლიოთეკა იყო მოთავსებული (1906 წ.). კედლის გასწვრივ თაროები წიგნებითაა სავსე, წიგნები აწყვია იატაკზეც. ნ. ნიკოლაძის მეგობარს, ვლადიმერ გორჩინს წესრიგში მოჰყავს ბიბლიოთეკა. სურათს მეორე მხარეს აქვს გ. ნიკოლაძის ხელით შესრულებული წარწერა, საიდანაც ჩანს, რომ ნ. ნიკოლაძის ბიბლიოთეკაში იყო „სოვრემენნიკი“, „ოტეჩესტვენნიე ზაპისკი“ და სხვ. „თავისუფლად მოაზროვნე“ ჟურნალები. ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ ამ ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარი ყოფილა პოლიცია.

რ. ნიკოლაძის მოგონებით, ფოთის ბიბლიოთეკიდან წაუღიათ ნ. ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი ტომი, რომელიც სხვა დანარჩენ 9 ტომთან ერთად ნ. ნიკოლაძისათვის ჩერნიშევსკის ვაჟს — მიხეილს მეტად გულთბილი წარწერით უჩუქებია, როგორც მამამისის მოწაფისათვის, აგრეთვე პირადად მისთვის ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოცემის საქმეში ფასდაუდებელი დახმარებისათვის. სწორედ ეს წარწერა მოსჩვენებია პოლიციას საექვოდ. ეს ტომი დაიკარგა, დანარჩენი 9 ტომი კ. მარქსის სახელობის სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის თაროებს ამშვენებს.

1906 წლის 28 ნოემბერს სამოციანი წლების რუს რევოლუციონერ-ემიგრანტს მიხეილ ელზიდინს ნ. ნიკოლაძისათვის გაუგზავნია ქენევაში არალეგალურად გამოცემული წიგნი: «Библиографический каталог. Профили редакторов и сотрудников». წიგნი ოდესის ცენზორს დაუკავებია და ელზიდინისათვის უკან დაუბრუნებია. 1907 წელს ელზიდინი ნ. ნიკოლაძეს სწერს: «Желание было послать и напомнить о старине, но уголовные преступники, что ныне во власти. не допускают...»¹⁴. იგი ხელმეორედ უგზავნის მხოლოდ წიგნის ყდას და ჟურნალების სახელწოდებებს, რომლებიც კატალოგში შედიოდა: „სვობოდნოე სლოვო“, „კოლოკოლი“, „პრავდა“, „ვოლნოე სლო-

¹² ნ. ნიკოლაძის არქივი, 40—70.

¹³ იქვე, 40—176.

¹⁴ იქვე, 40—1661.




ნ. ნიკოლაძის კაბინეტი

ვო“, „ნაროდნაია ვოლია“, „სვობოდნაია როსია“ და სხვ. რა თქმა უნდა, რეაქციის პერიოდში ოდესის ცენზორი ასეთი ლიბერალური ჟურნალების კატალოგს არ გამოატარებდა საზღვარზე.

ნ. ნიკოლაძის არქივში ინახება ვოლოგდის გუბერნიის სოფ. ვოზნესენიდან გამოგზავნილი პოლიტიკური პატიმრის მაქსიმე ჯიშკარიანის ბარათი¹⁵ (1909 წლის 8 ივნისი). იგი ადრესატს სთხოვს „გონების გასახსნელს“ ლიტერატურას, პარტიის პროგრამებსა და სხვა. ეს წერილი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ნ. ნიკოლაძის ბიბლიოთეკაში იყო ცენზურისაგან აკრძალული ლიტერატურა.

1920 წელს ნ. ნიკოლაძემ სახელმწიფო ბიბლიოთეკას გადასცა ფოთის ბიბლიოთეკის ნაწილი, რომელიც ფოთიდან საგანგებო ვაგონით ჩამოიტანეს. იგი ამჟამად კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ფონდებშია დაცული. აქ იყო „გოლოსის“, „ნოვოე ობოზრენიეს“ და „ობოზორის“ სრული კომპლექტები, 1905 წელს გამოცემული რუსული იუმორისტული ჟურნალები და სხვა მრავალი შესანიშნავი გამოცემა.

¹⁵ ნ. ნიკოლაძის არქივი, 40—1142.



ე. გორჩინს წესრიგში მოჰყავს ნ. ნიკოლადის ბიბლიოთეკა

როგორ აკომპლექტებდა ნიკოლაძე კოლაცე თავის პირად ბიბლიოთეკას? ამ საქმეს იგი ნამდვილი ბიბლიოთეკარ-აკომპლექტატორის პასუხისმგებლობით ეკიდებოდა; თვალს ადევნებდა, ახალი რა ლიტერატურა გამოდიოდა მსოფლიოში, ინიშნავდა მისთვის საინტერესო წიგნებს და იძენდა. არქივში მრავლადაა ასეთი ჩანაწერები: „ვიშოვნო წიგნები...“ „გამოვიწერო...“ „ვიყიდო...“ ეს მასალები გვიჩვენებს, რომ ნ. ნიკოლაძეს ბიბლიოთეკის დაკომპლექტების ორი წყარო ჰქონია: შექმნილი წიგნები და ნაჩუქარი წიგნები. შემონახულია გამოწერილი პერიოდიკის ქვითრები, აგრეთვე მიმოწერა წიგნის მალაზიების მფლობელებთან. 1915 წელს ნ. ნიკოლაძეს „ნაუკას“ წიგნის მალაზიიდან გამოუწერია 15 დასახელების წიგნი¹⁶; ერთ-ერთ ბარათში პეტერბურგის წიგნის მალაზია

„ნოვოე ვრემია“ ნ. ნიკოლაძეს ატყობინებს¹⁷, რომ ვერ აკმაყოფილებს მის თხოვნას, ვერ უგზავნის ჟეზეს წიგნს „Грузия в 17 столетии“, ვინაიდან მისი შოვნა პეტერბურგში შეუძლებელია. დაცულია აგრეთვე ბეგიჯანოვის მალაზიიდან¹⁸ და „ზაკენიგადან“¹⁹ ნაღდ ანგარიშზე შექმნილი წიგნების ქვითრები; განსაკუთრებით ბევრი მასალაა კერძო პირთაგან წიგნების, გაზეთებისა და ჟურნალების შექმნის შესახებ. ერთ-ერთი საბუთიდან ვიგებთ, რომ 1884 წელს გაზეთ „ს. პ. ვ-ის“ ყოფილი რედაქტორის, ცნობილი ჟურნალისტიკისა და ლიტერატურის ის-

¹⁶ ნ. ნიკოლაძის არქივი, 40—709.
¹⁷ იქვე, 10—397.
¹⁸ იქვე, 40—727.
¹⁹ იქვე, გვ. 68—32.



ტორიის მკვლევარის, ვალენტინ თეოდორეს ძე კორშის ქერივისაგან დიონისია კორშისაგან, ნ. ნიკოლაძეს შეუძენია 1864—1874 წლებში გაზეთი „ს. პ. ვ.“ ეს კონპლექტი დღეს კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაშია დაცული. იმავე საბუთიდან ვიგებთ, რომ დიონისია კორშმა ნ. ნიკოლაძეს შესთავაზა ჟურნალების „სევერნი ვესტნიკის“ 1877-78 წლების სარედაქციო ცალები და „ზაგრანიჩნი ვესტნიკის“ 1881-82 წლების სრული კომპლექტები. ეს უკანასკნელი ნ. ნიკოლაძეს შეუძენია და ამჟამად რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაშია დაცული.

საინტერესოა თეატრალური მოღვაწის, მწერლისა და ჟურნალისტის, ნიკო ავალიშვილისადმი 1926 წელს მიწერილი ბარათი²¹, ნ. ნიკოლაძე მორიდებით სწერს: „...ბოდიშს ვიხდი, რომ გაწუხებ, მაგრამ სხვა გზა ვერ მიპოვია“ და სთხოვს ცნობებს პლატონ იოსელიანის წიგნებზე, რომლებიც სოფ. გიორგიშინდის მცხოვრებს — მღვდელ ნიკოლოზ ოქრომჭედლიშვილს ჰქონია გასაყიდი. ეს ცნობა ნ. ნიკოლაძისათვის მელიტონ კელენჯერიძეს მიუწოდებია. ნიკო ავალიშვილის დახმარებით ნ. ნიკოლაძეს შეუძენია პ. იოსელიანის წიგნები და ისინიც დღეს რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაშია დაცული.

წიგნით მოვაჭრე მატყვი დემინი თავს ვალდებულად რაცხს აცნობოს ნ. ნიკოლაძეს საინტერესო ახალი წიგნების მიღების შესახებ, რომ მან შეარჩიოს მისთვის საჭირო ლიტერატურა²².

ნ. ნიკოლაძე ბუკინისტური მალაზიების ხშირი სტუმარიც იყო. არქივში დაცულია იმ წიგნების სია, რომლებიც მას პარიზიდან, მიუზარის წიგნის მალაზიიდან გამოუყიდა — სულ 6 დასახელება, 121 მანეთად²³. ლონდონის მალაზიის პროსპექტში აღუნიშნავს მარჯორი უორდროპისა და ოლივერ უორდროპის შრომები²⁴.

ნ. ნიკოლაძე არა მარტო თავის ბიბლიოთეკას აკომპლექტებდა, არამედ გულმოდგინედ ურჩევდა წიგნებს თავის შვილებს, საჩუქრად სთავაზობდა მათ სამშობლოს ისტორიისა და ლიტერატურის საკითხებზე დაწერილ წიგნებს. მაგალითად, იუზოვკაში მყოფ თავის ვაჟიშვილს — გიორგის გულთბილი წარწერით: „ჩემს ძვირფას გიორგის“


²⁰ ნ. ნიკოლაძის არქივი, 13—127.

²¹ იქვე, 65—12.

²² იქვე, 65—48.

²³ იქვე.

²⁴ იქვე, 68—69.



„პატარა კახი“
აკაკის ავტოგრაფით

საჩუქრად გაუგზავნა საქართველოს საისტორიო და საეკონომიკური საზოგადოების კრებული „ძველი საქართველო“, პ. ინგოროყვას „ძველი ქართული სასულიერო პოეზია“ (წიგნ. I), ა. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია“. დ. ბაქრაძის „Тифлиშ в историческом и экономическом отношениях“ და სხვ.

ნ. ნიკოლაძის მიერ საჩუქრად მიღებული წიგნების ერთი ნაწილი რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში ინახება.

1890 წელს აკაკი წერეთელს ნიკო ნიკოლაძისათვის უძღვნია ამავე წელს ჟურნალ „თეატრის“ მიერ გამოცემული „პატარა კახი“ ავტოგრაფით: „მის მტერ-მოყვარეს, ნ. ნიკოლაძეს. აკაკისაგან“. აკაკი წერეთელსა და ნიკო ნიკოლაძეს გიმნაზიის დროინდელი მეგობრობა აკავშირებდათ. ერთმანეთს დიდ მოთხოვნილებას უყენებდნენ. აკაკის სჯეროდა, რომ ნიკო დიდი პუბლიცისტი იყო და ფოთის ქალაქის თავად მის მოღვაწეობას ქართული პუბლიცისტიკისათვის დაკარგულ დროულ თვლიდა. ეს და სხვა პრინციპული საკითხები იყო მიზეზი დავისა, რომელიც ხშირად მწვავე კამათის სახეს იღებდა, და ეს ერთმანეთისა და სამშობლოს სიყვარული ხდიდა მათ „მტერ-მოყვარედ“.

„პატარა კახის“ ავტოგრაფიანი წიგნი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ მე-10, 21-ე, 22-ე და სხვა გვერდებზე აკაკის ხელით გასწორებული ადგილებია, რომლებიც 1940 წელს გამოცემულ ა. წერეთლის თხზულებათა მე-3 ტომში შეტანილი არ არის. ეს შესწორებები არ გაუთვალისწინებიათ ა. წერეთლის თხზულებათა 15-ტომეულის გამოცემის დროსაც.



ქურნალისტსა და საზოგადო მოღვაწეს — იოსებ იმედაშვილს ნიკო ნიკოლაძისათვის უჩუქებია ორი წიგნი. 1926 წელს მიძღვნილ „მზეთამზეს“ თავფურცელზე აქვს წარწერა: „მუდამ მალალ მოაზროვნეს, ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის შეუდარებელ მოციქულს, სამშობლო ქვეყნის ნაამაგარ საამაყო შვილსა და ქართული საზოგადო მწერლობის მამამთავარს ძვირფას ნიკო ნიკოლაძეს. უღრმესი პატივისცემით ავტორი“. ხოლო 1927 წელს გამოცემულ პოემას „მშვენიერას“ წარწერილი აქვს: „ქართული მწერლობის, აზროვნებისა და საქმიანობის უდიდეს შემოქმედს ნიკო ნიკოლაძეს უღრმესი პატივისცემით. ავტორისაგან“.

„უღრესად დამსახურებულ და ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ბ.-ნ ნიკო ნიკოლაძეს წრფელი გულით მთარგმნელისაგან“ — ასეთი წარწერით უძღვნია ებრაულიდან თარგმნილი „გალობათა გალობა“ გერცელ ბაზოვს.

1924 წლის „კავკასიონი“ და 1925 წლის „ახალი კავკასიონი“ უჩუქებია პავლე ინგოროყვას შემდეგი ავტოგრაფით: „დიდად პატივცემულ ნიკო ნიკოლაძეს, რომელსაც სამართლიანად ეკუთვნის სახელი ქართული მწერლობის პატრიარქისა და რომლის ბრწყინვალე მოღვაწეობა სამაგალითოდ არის გამხდარი ჩვენი თაობისათვის. პ. ინგოროყვა“.

„დიდ ნიკოს“ უძღვნა ი. გრიშაშვილმა მის მიერ თარგმნილი ჰოვანეს თუმანიანის რჩეული ნაწერები, შემდეგ „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“ ავტოგრაფით: „საქართველოს აყვავების ბურჯს ნიკო ნიკოლაძეს“. საინტერესოა 1922 წელს გამოცემული ი. გრიშაშვილის მე-2 ტომის გარეკანზე გაკეთებული წარწერა: „ნიკო ნიკოლაძეს. ი. გრიშაშვილი. 1923 წ. 1 იანვარი. ტფილისი“. შემდეგ მოჰყვება ი. გრიშაშვილის ლექსი „მე და ევროპა“ მთლიანად. ამ დროს ნ. ნიკოლაძე ლონდონში იყო, სადაც მისმა ქალიშვილმა თამარმა ჩაუტანა ეს წიგნი. თუ რამდენად სასიამოვნო იყო სამშობლოდან დაშორებული ნ. ნიკოლაძისათვის ეს საჩუქარი, ამას ადასტურებს მეუღლისადმი მიწერილი ბარათი: «Я был так рад книгам, которые привезла мне Тамара. Поблагодарн от меня Гришашвили за его подарок, меня услаждающий донельзя».

ცნობილ ლიტერატორსა და მთარგმნელს — ივანე ტხორევესკის 1878 წელს პეტერბურგში გამოცემული თავისი წიგნი „Собрание стихотворений“ უძღვნია წარწერით: „Заправскому ценителю Н. Я. Николадзе На память от Тхоржевского“. ი. ტხორევესკის აზრს ნ. ნიკოლაძეზე, როგორც წიგნის ჭეშმარიტ შემფასებელზე,



იზიარებდა დრამატურგი სუმბათაშვილ-იუჟინი, რომელსაც ვადაწყვეტილი ჰქონია მისთვის შესაფასებლად გამოეგზავნა თავისი ახალი პიესა „Цепи“. «Позволю себе немедленно по ее выходе прислать Вам и по возможности скорее, чтобы не успели ее сыграть до того, пока Вы с ней не ознакомитесь в оригинале; артистическим переводам я верю плохо, а Вашим мнением я дорожу пожалуй больше, чем чьим бы то не было»²⁵.

ნ. ნიკოლაძისადმი კეთილი განწყობილება გამოუხატავთ წიგნების მიძღვნილ ექიმ ვახტანგ ღამბაშიძეს, ცნობილ მესტამბესა და გამოცემელს ექვთიმე ხელაძეს, დიდ მწიგნობარს ზაქარია ჭიჭინაძეს, პროფესორ მიხეილ ზანდუკელსა და სხვ.

ნ. ნიკოლაძის არქივში დაცულია აგრეთვე მისი მეუღლის ოლგა გურამიშვილისათვის ნაჩუქარი წიგნები. ლუი ბლანის „საფრანგეთის ისტორიის“ პარიზში გამოცემულ ორტომეულს, რომელიც აკინძულია ოთხ წიგნად, თითოეულს აქვს წარწერა: „Из книг О. А. Гурамовой“. პირველი წიგნის ფორზაცზე პროფესორ რ. ნიკოლაძის მინაწერიდან ჩანს, რომ ეს წიგნები 1872—1879 წლებში ოლგა გურამიშვილისათვის უჩუქებია პარიზის კომუნის მონაწილეს ვუსტავ ლეფრანსეს, რომელიც შვეიცარიაში იმყოფებოდა, როგორც ემიგრანტი. წიგნზე ნაჩუქრობის წარწერა არ არის, ვინაიდან ამით წიგნის საზღვარზე გამოტარება შეუძლებელი გახდებოდა.

ნ. ნიკოლაძეს წიგნის შენახვის ორი სისტემა ჰქონდა. ერთ შემთხვევაში წიგნები, ჩვეულებრივ, თაროებზე იყო განლაგებული, მეორე შემთხვევაში წიგნს ათავსებდა არქივში იმ საკითხებთან დაკავშირებულ საბუთებთან ერთად, რა საკითხებსაც ეხებოდა ეს წიგნი. გარდა გაზეთებისა და ჟურნალების სრული კომპლექტებისა, ნ. ნიკოლაძე პერიოდიკაში გამოქვეყნებულ მასალებსაც აგროვებდა ამონაჭრების სახით, რომლებიც წიგნებისდაგვარად საკითხებისდა მიხედვით იყო ჩართული არქივის საბუთებში. მაგალითად, „რკინის გზების არქივში“ თავმოყრილია საბუთები, წიგნები და ამონაჭრები გაზეთებიდან. ასევეა დალაგებული „ქიათურის შავი ქვის“ მასალები და სხვა.

ნ. ნიკოლაძე დაინტერესებული ყოფილა წიგნის კითხვის მეთოდებითაც. არქივში დაცულია ფოთის გიმნაზიის მერვე კლასის მოსწავლის სავამოცდო ნაშრომი, რომელსაც ბოლოში აქვს მინაწერი: „Перевел

²⁵ ნ. ნიკოლაძის არქივი, 13—261.

ს ლათინური უ. 8 კლასი პოტიისკი მამაკაცი გიმნაზიის ანტი-
ლაა“.

როგორც მასალებიდან ჩანს, ქალაქის თავი სკოლების მზრუნველად ითვლებოდა და იგი დასწრებია გამოცდებს. ვფიქრობთ, იგი დაინტერესა ამ ნიჭიერი მოსწავლის ნაშრომის თემამ, რომელიც ეხება კითხვის მეთოდის გარჩევას: „Письмо философа Сенеки, современника Нерона, «О чтении книг»“.

უდავოა, ნაშრომში გამოთქმულ შეხედულებებს თვით ნ. ნიკოლაძეც იზიარებდა. მაგალითად, «Чтение без разбора многих писателей и всяких произведений заключает в себе нечто шаткое и неустойчивое. За этим надо строго следить. Следует остановить свое внимание на известных, признанных всеми талантах и питаться ими, если ты хочешь из чтения извлечь что-нибудь полезное, что-нибудь такое, что бы засело тебе прочно в душу».

ამ ნაშრომის ავტორმა გიმნაზია 1913 წელს დაამთავრა. შემდგომში იგი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მეტად საპატიო უბანზე მოღვაწეობდა, ეს გახლდათ ლენინური პრემიის ლაურეატი, ქირურგი, სსრკავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნიკოლოზ ანთელავა.

1941 წლის 27 აგვისტოს ნ. ნიკოლაძის მემკვიდრეებმა კ. მარქისის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკას გადასცეს მამის პირადი ბიბლიოთეკის ნაწილი, სამიათასამდე (2883) ბეჭდური ერთეული, რომელთაგანაც ბევრი ბიბლიოთეკაში პირველ ცალად შევიდა. მაგალითად, გერცენის თხზულებათა 1919 წლის ლემკესეული გამოცემის 22 ტომი, ჟურნალ „კოლოკოლის“ სრული კომპლექტი და სხვ. აგრეთვე ათიათასამდე (9450) საბუთისაგან შემდგარი პირადი არქივი.

ნ. ნიკოლაძის მდიდარ ბიბლიოთეკასა და პირად არქივს დიდი მნიშვნელობა აქვს XIX საუკუნის კულტურული და ეკონომიკური ცხოვრების ისტორიის შესასწავლად. ამდენად, იგი ფასდაუდებელი საჩუქარია ბიბლიოთეკისათვის და ეს შემთხვევითი არაა, ნ. ნიკოლაძე ბიბლიოთეკის საზოგადოების კულტურული დონის ამაღლების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად მიიჩნევდა და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მის მუშაობას. ცნობილია, რომ სამოციან წლებში იგი იყო ე. წ. ივანოვის ბიბლიოთეკის ერთ-ერთი დამაარსებელი და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მის საქმიანობაში.

1887 წელს „ნოვოე ობოზრენიეში“ გამოქვეყნებულია ნ. ნიკოლა-

ძის სტატია თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის შესახებ, სადაც აღნიშნულია ამ ბიბლიოთეკის მუშაობის ნაკლი, განსაკუთრებით ადმინისტრაციის მიერ მკითხველთა მიზიდვისადმი გულგრილი დამოკიდებულება. ნ. ნიკოლაძე კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ბიბლიოთეკა ქალაქის თვითმმართველობისათვის გადაეცათ, რათა მისი მუშაობა უფრო მოქნილი, ხოლო წიგნები ხელმისაწვდომი ყოფილიყო საზოგადოების ფართო მასებისათვის.

ნ. ნიკოლაძის სწორედ ამ მოსაზრებით სარგებლობდნენ მისი მემკვიდრეები, როდესაც მათი სასიქადულო მამის მიერ იშვიათი გამოცემებით დაკომპლექტებული პირადი ბიბლიოთეკა და უმდიდრესი არქივი უსასყიდლოდ გადასცეს კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკას და ამით იგი გახადეს საზოგადო სარგებლობის წყაროდ.

გურამ თაყნიაშვილი

ახალგაზრდობას უანდერკა

„საქართველო — ჩემი წმიდათა-წმიდა, ჩემი ღვთაება, ჩემი სალოცავი ხატი! მე არ მახსოვს ჩემი თავი სამშობლოს სიყვარულის გარეშე. მე უდავოდ ამ სიყვარულით დავიბადე.

მე მინდოდა კარგი ცყოფილიყავი მხოლოდ ჩემი სამშობლოს სახელისათვის; მე მინდოდა შემკული ცყოფილიყავი ყოველგვარი სიკეთით: ჭკუით, სილამაზით, დიდი ნიჭით, იმისათვის, რომ ჩემი პატარა ქვეყანა მესახელებინა. მე მეშინოდა ცუდი რამ არ ჩამედინა, რომ ჩემი ღვთაებისათვის ჩრდილი არ მიმეყენებინა.

ჩემი სამშობლო! თუ შეიძლება ადამიანს ვინმე ან რამე უყვარდეს უსპეტაკესი, თავდადებული, თავგანწირული სიყვარულით, ასეთი სიყვარულით მიყვარდა და მიყვარს საქართველო!“ — წერს ქეთევან დათიკაშვილი თავის დღიურში.

როდესაც ლექსიკოგრაფმა ქალმა გადაწყვიტა თავისი პირადი ბიბლიოთეკა თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტისათვის შეეწირა, მისი ხშირი სტუმრები იყვნენ პროფ. ალ. ლლონტი, პროფ. გ. შიქაძე, დოც. ი. მაისურაძე. იმ პერიოდში ქეთევანი ცოტა შეუძლოდ გრძნობდა თავს.

— ახლა ცოტას ვისვენებ, — დაბალი ხმით ებასებოდა ქეთევანი სტუმრებს. რაღაცა ავადმყოფობა შემომეჩვია ამ ბოლო დროს, მაგრამ იმედია მოეღრევი და ძალე კვლავ გავაგრძელებ ლექსიკონზე მუშაობას.

მისი ქართული ტკბილი და საამო მოსასმენი იყო, თხრობის დროს სიტყვებს თანაბრად, ძარღვიანად, ბუნებრივად და, რაც მთავარია, ძალდაუტანებლად ალაგებდა. მასთან საუბრისას სიფხიზლე იყო საჭირო. სწორ ქართულს თუ ვერ იტყოდი, ქეთევანი შეგაჩერებდა, მაგრამ მზამზარეულ სიტყვას როდი მოგაწვდიდა, გაიძულებდა დაფიქრებუ-



ქ. დათიკაშვილი თავის ბიბლიოთეკაში.

ლიყავ, გექებნა და მართებული ქართულით გეტქვა სასურველი აზრი.

მაშინ ქეთევანი კმაყოფილი სახით გაიღიმებდა და წყნარად შენიშნავდა: ჩვენმა ახალგაზრდობამ ბევრი უნდა იკითხოს. ქართული ენა ლამაზია და შინაარსიანი; ყოველ სიტყვას თავისი ადგილი აქვს, მისი ბუნებრივი დინების დარღვევა იგივეა, რაც წყლის აღმართში შეყენება. — იტყოდა და კმაყოფილებით შეავლებდა თვალს თაროებზე დიდა გემოვნებით შერჩეულ და ჩამწკრივებულ წიგნებს.

— მთელი ჩემი ცხოვრება წიგნზე მუშაობას შევალიე, წიგნი ჩემი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა, — ამბობდა ქეთევანი და სათითაოდ ესიყვარულებოდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ტომებს, სხედასხვა სახის ცნობარებსა და ენციკლოპედიებს.

— ახლა, როდესაც მოვხუცდი, გადავწყვიტე ჩემი პირადი ბიბლიოთეკა საზოგადოებამ, სტუდენტობამ, ახალგაზრდობამ გამოიყენოს. წაიღეთ, ისარგებლეთ, — უთხრა ქეთევანმა მის სანახავად მოსულ სტუმრებს.

იმ პერიოდში ქეთევანი ქართულ-რუსული ლექსიკონის განმეორე-

ბით გამოცემაზე მუშაობდა; ხელმეორედ ამოწმებდა ყოველი სიტყვის თარგმანს, ამატებდა ახალ სიტყვებს. თავისი ჯანმრთელობის შესახებ ნაკლებად ლაპარაკობდა: ახლა მალე გამოვკეთდებით, — იტყოდა ვისთვის და სიტყვას კვლავ ლექსიკოგრაფიულ საქმიანობასა და თავის ბიბლიოთეკაზე ჩამოაგდებდა.

— გამოუყენებელი წიგნი მიწაში ჩაფლული განძია, — თქვა ქეთევანმა და სიამაყით შეხედა წიგნებს. ჩვენ თვალი მოვაგლეოთ მის საცხოვრებელ ბინას; ყველგან წიგნები ეწყო: მაგილაზე, სკამზე, ტახტზე; ზოგი გადაშლილი, ზოგი სანიშნით, ზოგიც თავისებური ხერხით ცალკე ჰქონდა გამოყოფილი.

განსაკუთრებით მდიდარი იყო ქეთევან დათიკაშვილის ბიბლიოთეკა ლექსიკოლოგიური ლიტერატურით; აქ ნახავდით ქართულ ენაზე გამოცემულ ყოველგვარ ლექსიკონს: დარგობრივს, ენობრივს, განმარტებითს. ყოველგვარი საცნობარო ლიტერატურა სამუშაო მაგიდის გარშემო ეწყო, ისინი ნიადაგ საჭირო იყო ლექსიკონზე მუშაობისათვის.

მეტად მძიმე საქმე იტვირთა ქეთევანმა. ბავშვობა გაჭირვებაში გაატარა და ისწავლა მოთმინება, შრომის სიყვარული და, რაც მთავარია, გულში შთაინერგა — გაეკეთებინა რამე საშვილიშვილო, მამულსა და ერს რომ გამოადგებოდა მარად.

ქეთევან დათიკაშვილი გორში დაიბადა, მაგრამ ბავშვობა და სიყმაწვილე ვოლოგდაში გაატარა, სადაც მისი მამა ბესარიონი რევოლუციური საქმიანობისათვის გადაასახლეს. აქ ქეთევანმა წარმატებით დაამთავრა ვოლოგდის ქალთა გიმნაზია და ტომსკის უნივერსიტეტშიც ჩაირიცხა თავისუფალ მსმენელად, მაგრამ ხელმოკლეობის გამო იძულებული გახდა სწავლისათვის თავი დაენებებინა. წიგნისადმი სიყვარული ქეთევანმა თავიდანვე გამოავლინა. რუსულ კლასიკურ ლიტერატურასთან ერთად ქართული წიგნების კითხვასაც ეწაფებოდა, რამაც მისი ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობის ნიადაგი შეამზადა.

როდესაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ბესარიონ დათიკაშვილის ოჯახი თბილისს დაბრუნდა. ქეთევანი ერთხანს რუსული ენის მასწავლებლად მუშაობდა, მერე ბიბლიოთეკარადაც წაიმუშავა და ღრმად დარწმუნდა თავის მოწოდებაში. ჯერ კიდევ ვოლოგდაში ყოფნისას მიზნად დაისახა ქართულ-რუსული ლექსიკონის შედგენა და ახლა, როდესაც იგი რუსულ ენას ასწავლიდა თბილისის ერთ-ერთ სკოლაში, ნათლად გრძნობდა ლექსიკონის შედგენის აუცილებლობას.

ასე შეუდგა ქეთევანი ამ დიდ საშვილიშვილო საქმეს — ქართულ-
რუსული ლექსიკონის შედგენას, და ვინ იცის, რამდენმა უძილო ღამემ
გაიარა სიტყვასთან ჭიდილში, რა დიდი ძალა და ენერჯია დახარჯა ¹⁹⁵³ ~~დახარჯა~~
საწადელისათვის მიეღწია! I ტომის გამოსაცემად დიდი დაბრკოლების
გადალახვაც მოუხდა. წიგნის მაღალმა აკადემიურმა სტილმა, შემდგენ-
ლის მუყაითობამ, ნიჟმა, წიგნისადმი პრაქტიკულმა მოთხოვნილებამ და
ბოლოს ცნობილი ქართველი მეცნიერების მიერ წიგნის დადებითად
შეფასებამ თავისი ნაყოფი გამოიღო: 1942 წელს საზოგადოებამ მიიღო
ქეთევან დათიკაშვილის მიერ შედგენილი ქართულ-რუსული ლექსიკო-
ნის პირველი ტომი. ლექსიკონს ნათლად ამჩნევია, რომ მის შემდგე-
ნელს დამუშავებული ჰქონია დიდალი პოლიტიკური, მეცნიერული და
მხატვრული ლიტერატურა. წიგნში უხვადაა გამოყენებული ცოცხალი
მეტყველების ნიმუშები, რომლებსაც წლების მანძილზე აგროვებდა
ლექსიკოგრაფი.

ლექსიკონის შედგენა-გამოცემაში ქეთევანს დიდ დახმარებას უწევ-
დნენ პროფ. ი. აბულაძე და დოც. ლ. კაკაძე. განსაკუთრებული მოწი-
წებითა და მადლიერების გრძნობით იხსენიებს ქეთევანი პროფ.
გ. ახვლედიანს „გულთბილი დამოკიდებულებისათვის ამ შრომისადმი
და იმ რჩევა-დარიგებისათვის, რითაც სისტემატურად სარგებლობდა
ავტორი ლექსიკონის ბეჭდვის პროცესში“¹.

ლექსიკონის შედგენაში ავტორს დიდ დახმარებას უწევდა მისი ძმა
არჩილიც; ამის შესახებ ქეთევანი საგანგებოდ აღნიშნავს თავის დღიუ-
რებში და პირველი ტომის წინასიტყვაობაში. არჩილს შეუგროვებია
გეოგრაფიული და ზოოლოგიური მასალა და ანბანზე გაუწყვია ისინი,
რათა ლექსიკოგრაფს გაადვილებოდა მასზე მუშაობა.

ლექსიკონის მეორე ტომი გამოიცა 1948 წელს. ავტორი აგრძელებ-
და ლექსიკონის სრულყოფაზე მუშაობას. დაძაბული შრომის შედეგად
მოამზადა მეორე გამოცემა და მკითხველმა საზოგადოებამ 1953—1967
წლებში მიიღო აღნიშნული გამოცემა სამ ტომად.

ქ. დათიკაშვილი ლექსიკონზე მუშაობის პარალელურად აქტიურად
მონაწილეობდა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რედაქ-
ციის შედგენაში. რუსული და ქართული ენების ზედმიწევნით
ცოდნამ საშუალება მისცა შეესრულებინა ეს დიდი და საპატიო საქმე.
მან აგრეთვე რუსულიდან თარგმნა გონჩაროვის „ობლომოვი“, პავლენ-

¹ ქ. დათიკაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ტ. 1, თბ., 1953, გვ. 5.



ქ. ლათიაშვილის ბიბლიოთეკა ა. ს. პუშკინის სახ. თბილისის
სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში

კოს „ბედნიერება“, და ყოველივე ეს გააკეთა საქმის დიდი სიყვარულითა და მალალი პასუხისმგებლობის გრძნობით.

წიგნების შეგროვებას ქეთევანი ბავშვობიდანვე შესდგომია. მასმისაგან დანატოვარ პირად ბიბლიოთეკას დღენიადგ ამდიდრებდა. წიგნებს დიდი გემოვნებით აგროვებდა. მის ბიბლიოთეკაში თავმოყრილია უმთავრესად ქართული და რუსული კლასიკური მხატვრული ლიტერატურა, ლექსიკოლოგიური ფონდი 2000 ეგზემპლარს აღემატება.

ქეთევანი წიგნებს არა მარტო იძენდა და კითხულობდა, არამედ ამუშავებდა, იყენებდა სიტყვათა კონტექსტზე მუშაობის დროს. ქეთევანის ბიბლიოთეკაში დაცული გ. ტაბიძის „რჩეულის“ თითქმის ყველა გვერდი განსაკუთრებული აღნიშვნებითაა სავსე. ზოგან რითმები აქვს გახაზული, ზოგან ცალკეული სიტყვა—„სილაყვარდე“, „მათოვდა“ და სხვ. ასეთივე ჩანიშვნებითაა სავსე ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. წერეთლის, ი. გრიშაშვილის და სხვა ქართველ კლასიკოსთა თხზულებანი.

როდესაც ქეთევანის ბიბლიოთეკას კომისია იბარებდა, იგი ერთხელ კიდევ მიესიყვარულა თითოეულ წიგნს, გადაშალა, შეათვალიერა; ზოგი წიგნის შესახებ იქვე მოკლედ მოუთხრო ბიბლიოთეკარებს, თუ სად, რა პირობებში შეიძინა ესა თუ ის გამოცემა: „სულხან-საბას ეს „სიტყვის კონა“ ძმამ (არჩილმა) მომიტანა, — ამბობდა ქეთევანი, — იგი ხომ ჩემი სამაგიდო წიგნია“; სანიმუშოდაა დაცული პავლე ინგოროყვას, შიო მღვიმელის, სერგი მესხის, აკაკი შანის, ი. გოგებაშვილის თხზულებანი და ცალკეული გამოცემები. ბიბლიოთეკა მდიდარია აგრეთვე რუსული კლასიკური ლიტერატურის ნიმუშებით. ქეთევანს საგანგებოდ შეურჩევია ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის, ნ. ოგარიოვის, ა. ტოლსტოის, ბ. ბელინსკის, ლ. ტოლსტოის, ი. ტურგენევის, ა. ჩეხოვის და სხვ. თხზულებანი. უცხოური ლიტერატურის ნიმუშებიდან დაცულია ლ. არაგონის თერთმეტტომეული, ა. ნერსეს ათტომეული, პ. იბსენის ხუთტომეული, აქვეა იაპონური, ჩინური, სპარსული კლასიკური ლიტერატურის თარგმანები; ორენოვანი და განმარტებითი ლექსიკონები, ჰომეროსის „ოდისეას“ ვ. ა. ლუგოვსკისეული თარგმანი (1935 წლის ილუსტრირებული გამოცემა).

ქეთევანმა ინსტიტუტს 1000-მდე წიგნი შემოსწირა. წიგნები დამუშავდა ბიბლიოთეკური წესით, შედგა კატალოგი. იგი მოთავსებულია ცალკე ოთახში, სტუდენტებს საშუალება აქვთ ისარგებლონ ამ წიგნებით.

ქეთევან დათქაშვილის ცხოვრების ქრონიკას წარმოადგენს მისი

დღიური. ჩაიკითხავთ ამ დღიურს და თვალწინ წარმოგიდგებათ თან შექიდებული, წარბშეუხრელი, ღრმად განსწავლული მწიგნობარი, მამულის წინაშე ვალმოხდილი ქართველი ქალი. ქეთევანის ჩანაწერები შემოქმედის ყოფა-ცხოვრებისა და დიდი გონებრივი შრომის ამსახველ მასალას წარმოადგენს.

ქეთევანმა კარგად იცოდა თავისი ნაშრომის ფასი და დანიშნულება, იცოდა და მას შეაღია ყოველივე — ცოდნა, ნიჭი და უნარი, ქალური შემართება, სიყვარული და ერთგულება. ასეთი თვისებებით იყო შემკული ქეთევანი სიცოცხლის დასასრულამდე და, როდესაც 1978 წლის ზაფხულის ერთ დღეს მისი ნეშტი სამუდამოდ მიაბარეს მიწას ვაკის სასაფლაოზე, მის მაგიდაზე დარჩა გადაშლილი წიგნები, ანბანზე გაწყობილი ქართულ-რუსული სიტყვები, მელანშეუმშრალი ჩასწორებები და შენიშვნები.

დარეჯან კაციტაძე

ცხოვრობს სოფელში ბიბლიოფილი...

ცრემლმა დაუნმა თვალები, როცა გაიგო: რუსეთის ერთ-ერთი საავადმყოფოდან ნოდარ დუმბაძისათვის წერილი გამოუგზავნიათ ავადმყოფებს — „რაც თქვენი წიგნი წავიკითხეთ, თავს მშვენივრად ვგრძნობთ“. ძალზე მახლობელია კორნელისათვის ასეთი გრძნობა.

ცხოვრებაშიც ხომ ისევე ხდება ყველაფერი, რაც წიგნშია, და, პირიქით, წიგნი ასახავს ცხოვრებას, მაგრამ მისი უპირატესობა სწორედ ამალელებლად გადმოცემაშია. ამიტომ, როცა განსაკუთრებით მოეწონება ძარღვიანი ქართულით ნათქვამი, ყელში რალაც ბურთივით მოგბჯინება და გული სხვაგვარად დაუწყებს ძვერას.

ეს-ესაა სამოცს გადააბიჯა კორნელი გორგასლიძემ, მაგრამ თავს მაინც მხნედ გრძნობს. ყოველთვის სადღაც ეჩქარება, უნდა მოასწოროს ყველაფერი, რათა შემდეგ დამწვიდებით მიეახლოს ყველაზე სანუკვარს და ამალელებელს... იგი ხომ წიგნის ტრფილია. ბევრი სიძნელე გადალობებია გზაზე და წიგნს გაუწვდია მეგობრის, მრჩევლის ხელი, ხორციელი და სულიერი ტკივილი წიგნს მოუშუშებია.

პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი იყო, ჯარში რომ გაიწვიეს. ჩვენი ქვეყნის დასავლეთის საზღვრებთან იცავდა მშვიდობას რიგითი ჯარისკაცი კორნელი გორგასლიძე, დიდი სამამულო ომი რომ დაიწყო. იბრძოდა პერემიშლისათვის, ლოვინისათვის, ვინიცისათვის, პოლტავისა და კიევისათვის, ხარკოვისათვის... ჯერ, როგორც ათეულის მეთაური, შემდეგ კი, როგორც ოცეულის მეთაური. აქაც წიგნი იყო მისი გამამხნეველი. ჯერ კიდევ ომამდე მამას შემოუთვალა, აკაკის საიუბილეო კრებული გამოემიგზავნეო. მამამ შეუსრულა თხოვნა. იმ დამეს, როცა მთელ პოლკს ეძინა, მას „გამზრდელის“ კითხვისას ჩასძინებოდა. მეთაური წამოადგა



კ. გორგასლიძე თავისი ბიბლიოთეკის მკითხველებთან

თავზე. ახსოვს, გამოღვიძებულს და შემკრთალს ასე უთხრა: „მაგ წიგნს უმაღლოდ, რომ სასჯელი აგცდაო“.

ომში მაინც მოუწია ამ წიგნთან გამოთხოვება. ოკუპირებულ ტერიტორიაზე გააგზავნეს პარტიზანებთან დასაკავშირებლად. წიგნის თან წაღება სახიფათო იყო და სანამ ხარკოვიდან გავიდოდა, „გადაცმული“ აკაკი ერთი სახლის ეზოში ვაშლის ძირში ჩაფლა. ახლაც კარგად ახსოვს ის სოფელი და სახლი. ან რა დაავიწყებს სამხრეთის ფრონტის სარდალთან, საბჭოთა კავშირის მარშალ ბუდიონთან შეხვედრას?..

ომთან დაკავშირებით ბევრი რამ აქვს მოსაგონარი. ომმა შეიწირა უმცროსი ძმა ნოე, რომელიც კავკასიის დაცვის დროს დაეცა. დაკარგა ბევრი მეგობარი. თვითონაც რამდენჯერმე დაიჭრა, რამაც გამოიყვანა მწყობრიდან და ომის დამთავრებამდე დაბრუნდა, მაგრამ რაც შეეძლო, ყველაფერი უყოყმანოდ შესწირა სამშობლოს. ამ დროს მისი ოჯახი უკვე ასურეთში ცხოვრობდა, სადაც ამჟამად მთელი არსებით ეწევა სოფლის მშრომელთა კულტურული ცხოვრების საქმეს.



ომის დროს უყურადღებობით გაჩანაგებული პატარა ბიბლიოთეკა მალე აღადგინა და გაამდიდრა. ხშირი სტუმარი იყო ბუკინისტიკისა და ხელმოწერით გამოცემათა მაღაზიების. მისი ბიბლიოთეკის მშვენიერად დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის 50 ტომი, ჩვენი საუნჯის 20 ტომი, მსოფლიო ისტორიის 12 ტომი, ნიურნბერგის პროცესის 7 ტომი, დიდი სამამულო ომის ისტორიის 6 ტომი, მეორე მსოფლიო ომის ისტორიის 12 ტომი, ვ. ი. ლენინის თხზულებათა 38 ტომი, ი. ბ. სტალინის თხზულებათა 13 ტომი; კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოებები, ილიას 10 ტომი, აკაკის 15 ტომი, მსოფლიო კლასიკოსთა ნაწარმოებები და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი საუკეთესო წიგნი. ბიბლიოთეკის მცირე ნაწილი მის სამუშაო კაბინეტშიცაა, კულტურის სახლში.

შესცქერის კორნელი თავის ბიბლიოთეკას და აგონდება ბავშვობა, რაჭის პატარა სოფელი კლდისუბანი, სადაც ბაბუას სკოლის ბიბლიოთეკიდან მოტანილ „შელის ნუკრის ნაამბობს“ უკითხავდა და ორთავეს ცრემლით ევსებოდათ თვალები. როგორ ოცნებობდა მაშინ ჰქონოდა პატარა ბიბლიოთეკა. აგონდება შრომით ნაშოვნი გროშებით შეძენილი წიგნები. რა ბედნიერად თვლიდა თავს, ათიოდე წიგნი რომ შეაგროვებდა. შემდეგ სწავლის გაგრძელება თბილისში და ისევ ბიბლიოთეკის შექმნაზე ზრუნვა...

ომმა შთანთქა ყოველივე... და თავიდან დაიწყო ყველაფერი...

კორნელის ბიბლიოთეკით თავიდანვე სარგებლობენ სოფლის სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობა და სტუდენტები. ხშირად ეეჭვება, დაუბრუნდება თუ არა წიგნი, მაგრამ მაინც ვერ ეუბნება უარს კითხვის მსურველს, რადგან სჯერა: ვინც წიგნს შეიყვარებს, კარგი ადამიანი დადგება. ამიტომ ბევრი სტუმარი ჰყავს მის ბიბლიოთეკას. ასურეთის ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციის მდივანი ციალა დონაძე შთაბეჭდილებათა წიგნში წერს: „რა სიამოვნებას მგვრის, რომ მყავს ასეთი სულითა და წიგნებით მდიდარი მეგობარი, როგორიც ჩვენი კორნელია — მე ხომ მისი ბიბლიოთეკის მუდმივი მკითხველი ვარ — მადლობა ყოველივე ამისათვის“.

ასურეთის მეცხოველეობის ფერმის მწველავი ქეთინო ნეფარიძე თავის მადლობას მოკლედ გადმოგვცემს: „არ ვიცი რამდენჯერ შევაწუხო წიგნებისათვის პატივცემული კოლია ბიძია — ვინ იცის რამდენი კარგი წიგნით უსიამოვნებივარ ამ მოკლე დროში, მადლობა ათასჯერ მას“.



თეთრი წყაროს რაიონული გაზეთის „ლენინური გზით“ ფოტოკოპირების რესპონდენტი ა. კონევი განცვიფრებას ვერ ფარავს და ამბობს: „სწრაფად შეიძინეთ ამდენი უნიკალური წიგნები და როგორ კარგი მოვლილია — ყოჩაღ თქვენ“.

მისი ბიბლიოთეკის თითქმის ყოველდღიური სტუმარია ასურეთის საშუალო სკოლის პედაგოგი ოთარ კაკულია. თვითონაც შეუწირავს წიგნი კორნელის ბიბლიოთეკისათვის, რომელზეც წაუწერია: „კორნელის ბიბლიოთეკას რომ ერთი წიგნი აკლდეს, ის ბიბლიოთეკა აღარ იქნება...“ ქართული ლიტერატურის ქრესტომათიებით სარგებლობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი ლიანა წულუკიძე, რომელსაც თავისი მადლობა ასეთი სადა მინაწერით გამოუხატავს: „კოლია ბიძიას ბიბლიოთეკა რომ არა, მე რა შეშველებოდა“. ბიბლიოთეკის მკითხველები არიან თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი ლილი კობახიძე, ასურეთის საფოსტო განყოფილების გამგე ნინო ჯანიაშვილი და სხვ.

განსაკუთრებით სიამოვნებს კორნელის, როცა მისი წიგნები, როგორც თვითონ ამბობს, „ჯარშიც მსახურობენ“. ჯარისკაცი გოჩა მაცაბერიძე ურალიდან დედას სწერდა: „დედა, კოლია ბიძიას სთხოვე ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირალები“, ვიცი არ დამიკავებს, წავიკითხავთ აქ ქართველი ბიჭები და უკან დაუვბრუნებთ“. მეკლუდ აფციანურს ესტონეთში გაუგზავნა „შერლოკ ჰოლმისის თავგადასავალი“.

33 წლის შემდეგ კორნელიმ კვლავ ინახულა ის ადგილები, სადაც თავგამოდებით იბრძოდა ფაშისტების წინააღმდეგ. მღელვარებით იგონებს 1975 წლის შემოდგომას, როდესაც ვინიცის ოლქის მოგილიოვპოდოლსკის რაიონის სოფელ სოკოლს ეწვია ასურეთის დელეგაციასთან ერთად, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა აქვთ დამყარებული. ვერ დაფარა მღელვარება ნაცნობი სოფლის, შენობის, სკვერის დანახვისას. პარტიის საოლქო კომიტეტში საზეიმოდ გადასცეს მას მედალი „უკრაინის განთავისუფლებაში გამოჩენილი მამაცობისათვის“.

უკრაინელ მეგობრებსაც უგზავნის კორნელი გორგასლიძე წიგნებს. ათამდე წიგნი გაუგზავნა საჩუქრად ჯანბუნქტის გამგეს დ. ლუკიანენკოს და მის მეუღლეს, საშუალო სკოლის დირექტორს ვლადისლავას. „რუსულ-ქართული ლექსიკონით“ ქართულიც შეასწავლა მათ და წერილებს ქართულად სწერენ ერთმანეთს. ლენინგრადელი ინჟინერი ვოიცეხოვიჩიკ გზავნის ასურეთში წერილებს ქართულად, რაც კორნელის დამსახურებაცაა — მასაც უსახსოვრა „რუსულ-ქართული ლექსიკონით“.



სიკონი“. არც მისი მეგობრები რჩებიან ვალში. ვინიცის ოლქში მიწვევის დროს სოფ. სოკოლის საშუალო სკოლის დირექტორმა ვლადისლავა ლუკიანენკომ კ. გორგასლიძეს უსახსოვრა წიგნი „უკრაინის ქალაქებისა და სოფლების ისტორია — ვინიცის ოლქი“ შემდეგი წარწერით: „ძვირფას მეგობარს კორნელის, რომელიც შაშხანიტ ხელში იცავდა უკრაინის მიწა-წყალს და კერძოდ ვინიცის ოლქს — თქვენ ჩვენი ხალხის დაუვიწყარი შვილი ხართ“.

აქ მრავლადაა თანამემამულეთა ნაჩუქარი წიგნები გულთბილი წარწერებით. ბათუმის სანაოსნო გემის „ა. წულუკიძის“ ერთ-ერთმა მეზღვაურმა დავით წულუკიძემ თავის სამახსოვრო საჩუქარ წიგნს კორნელისადმი ასეთი წარწერა გაუკეთა: „წიგნის დიდ ტრფიალს, კორნელის, ძღვნად ჩვენი მეზღვაურებისაგან — მიიღეთ ეს „მითოლოგიური ლექსიკონი“ ნიშნად დიდი აღიარებისა“.

წიგნის სიყვარული ტრადიციადაა ქცეული კორნელის ოჯახში. შესანიშნავი ბიბლიოთეკა აქვს მის ქალიშვილს, ასურეთის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელს იზოლდა გორგასლიძეს. მის ბიბლიოთეკაში ხშირად ბევრი წიგნია წარწერით: „სახსოვრად იზოლდას მამისაგან“. კორნელი საერთოდ წიგნის რამდენიმე ეგზემპლარს ყიდულობს. ყოველთვის ახსოვს მეგობრების სურვილი და გემოვნება.

როგორც შესანიშნავი ბიბლიოფილი და წიგნის პროპაგანდისტი, იგი წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ერთ-ერთი აქტივისტია. საზოგადოების რაიონული ორგანიზაციის გამგეობას ეხმარება ღონისძიებების ჩატარებაში, მოხსენებებითაც გამოდის წიგნის მოყვარულთა წინაშე. განსაკუთრებული ინტერესით მოისმინეს წიგნის მოყვარულთა სრულიად საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოების მეორე ყრილობაზე მიღებული შთაბეჭდილებანი, რომლის დეღეგატად წარგზავნილი იყო საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების მეორე ყრილობის მიერ. როგორ წარმოიდგენდა იგი, რომ წიგნის სიყვარული ასეთ დიდ ფორუმამდე მიიყვანდა. მასზე სპეციალური სტატიებიც დაიბეჭდა „Книжное обозрение“-ში, „წიგნის სამყაროში“ და სხვა.

შეჰყურებს წიგნებით სავსე კარადებს და უხარია, რომ ასრულდა მისი ბავშვობისდროინდელი ოცნება — ჰქონოდა საინტერესო წიგნები, რომლებიც სიამოვნებას მოჰკვრიდა მასაც და მისი ბიბლიოთეკის მკითხველებსაც.

ა. პინტო

მშობელთა წიგნის თარო

ახლა იშვიათად შეხედებით ოჯახს, საკუთარი ბიბლიოთეკა რომ არ ჰქონდეს. მაგრამ ხშირად მათ კარადებში ვერ ნახავთ წიგნებს ბავშვთა აღზრდის შესახებ, მშობლებისათვის.

— ვიყავი მეორე კლასის ყველა მოწაფის ოჯახში — მოგვეთხოვს მასწავლებელი ქალი, — და მხოლოდ სამ ოჯახში მაჩვენეს ორი-სამი ასეთი წიგნი.

— პედაგოგიური ლიტერატურა ბიბლიოთეკიდან გამოგვაქვს.

— გაზეთებში ვკითხულობთ სტატიებს.

— ვისმენტ საუბრებს აღზრდაზე რადიოთი, სკოლაში, მშობელთა კრებებზე.

— ვუყურებთ პედაგოგიურ გადაცემებს ტელევიზორში — ამბობენ მშობლები.

ვილაყამ ისიც კი თქვა: „მე მშობლებმა უწიგნოდ აღმზარდეს. არა მიშავს — ვცხოვრობო...“

ცხადია, აღზრდას წიგნით ვერ ისწავლი, მაგრამ აღზრდის შესახებ აზრების, აზრთა სფეროში ჩაწვდომის სწავლა შეიძლება.

აღზრდის რთულ ხელოვნებას გვასწავლის შესანიშნავი საბჭოთა პედაგოგის, ა. ს. მაკარენკოს წიგნები, რომელთა გარეშე საოჯახო ბიბლიოთეკა სრულფასოვანი ვერ იქნება. ვფიქრობთ, მისი ბრძნული რჩევა-დარიგებანი იციან ბევრ ოჯახში.

ავიღოთ მეორე ცნობილი საბჭოთა პედაგოგის — ვ. ა. სუხომლინ-სკის წიგნები. მისი საუკეთესო ნაშრომები: „ფიქრი აღამიანზე“, „მძიმე ბედი“, „მოსწავლის სულიერი სამყარო“, „პიროვნების აღზრდა საბჭოთა სკოლაში“, „საუბარი სკოლის ახალგაზრდა დირექტორთან“, „მოქა-

ლაქის დაბადება“, „გულს ვუძღვნი ბავშვებს“, „მშობლის პედაგოგობა“ — მან სამოციან წლებში დაწერა.

მიაქციეთ ყურადღება: ვ. ა. სუხომლინსკის ყველაზე მნიშვნელოვანად მიაჩნია აღზრდის ის პრობლემები, რომელნიც სწორედ უკანასკნელ ათწლეულში წამოიწია პირველ პლანზე იმის გამო, რომ ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში, გარემომცველ პირობებში და, ცხადია, ოჯახში საოცარი ცვლილებები მოხდა.

ერთხელ, არც თუ ისე ახალგაზრდა მამამ მშობელთა კრებაზე თქვა: „თქვენ იცით, თურმე უფრო რთულია ერთი ბავშვის აღზრდა, სწორედ აღზრდა (და არა გამოკვება და ჩაცმა) იზოლირებულ ბინაში, რომელშიც აქვთ ძვირფასი ავეჯი, ტელევიზორი და მაგნიტოფონი, ვიდრე რამდენიმე ბავშვის აღზრდა კომუნალურ ბინაში, რომელსაც აქვს დიდი საერთო სამზარეულო, ეზო, სადაც აპობენ შეშას, ეზიდებიან წყალს, შეიძლება ჩაქუჩიც ურტყა, მშობლების და ყველა მეზობლის თვალწინ, ხშირად მათთან ერთადაც, ითამაშო ქალაქობანა, დამალობანა. მე თვითონ გავიზარდე ასეთ სახლში, მყავს ორი და, ორი ძმა. ჩვენ ყველანი ასეთ დასკვნამდე მივედით“.

მაგრამ რა აზრი აქვს ასეთ „აღმოჩენას“, თუ ისინი არ გვაიძულებენ ჩაუფიქრდეთ, როგორ დავძლიოთ სიძნელები, როგორ გამოვიყენოთ აღზრდისათვის ის უპირატესობანი, რაც დროს მოაქვს.

ვ. ა. სუხომლინსკის წიგნები გვეხმარება ამ რთულ საკითხებზე ფიქრის დროს. მათი ყურადღებით კითხვა ხელს უწყობს ოჯახურ აღზრდაზე საკუთარი პედაგოგიური პოზიციის ჩამოყალიბებასაც. „ჩემი ღრმა რწმენით, პედაგოგია მეცნიერება უნდა იყოს ყველასათვის — მასწავლებლებისთვისაც და მშობლებისთვისაც“, — ამბობდა ვ. ა. სუხომლინსკი. იგი ამტკიცებდა, რომ ოჯახი, სადაც არ არის წიგნი, ბიბლიოთეკა, უკეთეს შემთხვევაში, არავითარ გავლენას არ ახდენს სასკოლო აღზრდაზე, ხოლო უარეს შემთხვევაში, ასეთი საოჯახო გარემო აჩლუნგებს ბავშვს, ზღუდავს მის გონებრივ განვითარებას, და სკოლას დიდი შრომა სჭირდება, რომ როგორმე მოახდინოს ოჯახის ინტელექტუალური ინტერესების შეზღუდულობის კომპენსირება.

„მშობლის პედაგოგიკაში“ ვ. ა. სუხომლინსკი წერს: „რა პასუხსაგები, რთული, შემოქმედებითი სამუშაოც არ უნდა გქონდეთ წარმოებაში, იცოდეთ, რომ შინ გელოდებათ უფრო საპასუხისმგებლო, უფრო რთული, უფრო სათუთი სამუშაო — ადამიანის აღზრდა“.

„...უნდა შევიგნოთ ყველამ, პატივცემულო დედ-მამავ, რომ

ცუდად აღზრდილი, უმეცარი, ჭკუათხელი ადამიანი — იგივეა, რაც გაფუჭებული ძრავით გასაფრენად გაშვებული თვითმფრინავი: თვითონაც დაილუპება და ადამიანებსაც დალუპავს“.



ბევრს წერს გამოჩენილი პედაგოგი სიყვარულის, ცოლ-ქმრული ბედნიერების, ერთგულების საკითხებზე: „უკანასკნელი ათი წლის მანძილზე შევისწავლე 200 ახალგაზრდა ოჯახის დაშლის მიზეზი. 189 განქორწინება მოხდა სწორედ იმის გამო, რომ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს არ შესწევდათ ურთიერთგაგების უნარი“. ასეთი სავალალო მდგომარეობის ერთ-ერთ მიზეზად ვ. ა. სუხომლინსკი თვლის იმას, რომ ჭბაბუკები და ქალიშვილები როცა ქორწინდებიან, წარმოდგენა არა აქვთ იმ რთულ, სათუთ კულტურაზე, რასაც ოჯახური ცხოვრება მოითხოვს.

ყოველივე ამის შესახებ ბავშვებთან და ჭბაბუკებთან საუბარი უნდა ვისწავლოთ. ვ. ა. სუხომლინსკი თავის წიგნებში გვიჩვენებს, რომ ეს მარტო მაშინ კი არ უნდა გავაკეთოთ, როცა ახალგაზრდები მომავალი ოჯახური ცხოვრებისათვის ემზადებიან. აღზრდისადმი თანამედროვე მოთხოვნები მშობლებისაგან მოითხოვს აქტიურად გადაწყვიტონ ბევრი რთული ამოცანა.

უნდა ვისწავლოთ პედაგოგიური ცოდნის გამოყენება პრაქტიკაში, ანალიზი გავუკეთოთ ჩვენს აღმზრდელობით ქცევას, ვისწავლოთ ბავშვების ასაკობრივ და ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებებში გარკვევა, მათი ინტერესების, მოთხოვნილებების, გემოვნების მართვა. ბავშვებს რომ ვზრდით, უნდა აღვზარდოთ, ხელახლა აღვზარდოთ საკუთარი თავიც.

გამომცემლობა „ზნანიე“ სახალხო უნივერსიტეტის (პედაგოგიური ფაკულტეტი) სერიით, 1964 წლიდან ყოველთვიურად უშვებს პატარა, მაგრამ მშობლებისათვის ძალზე საჭირო წიგნებს, რომლებიც დაგვეზმარება გავიანზრთ სწორედ დღეს წამოჭრილი აღზრდის პრობლემები.

დავასახელებ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს: „იზრდებიან ახალი ადამიანები“ (ფ. კუხნეცოვი), „ჩვენი საუკუნის ბავშვები“ (ვ. გლოტოვი, ი. პოროკოვი), „ჩვენ და ჩვენი ბავშვები“ (ლ. სუსლოპაროვა), „ბავშვები ჩვენთან და უჩვენოდ“ (ვ. მატვეევი, ო. გამანიანი), „ისინი ხომ მოზრდილები არიან“ (ე. პოპოვა), „რაზე კამათობენ ისინი?“ (ო. მიხაილოვი), „ბიჭუნები და გოგონები“ (ი. ტარნოვსკი, ვ. ბლინოვი), „მოქალაქის აღზრდა ოჯახში“. (თ. პანფილოვა), „ოჯახის აღმზრდელი-

ბითი კლიმატი“ (ი. გრებენიკოვი), „ოჯახურ ურთიერთობათა პედაგოგია“ (ი. აზაროვი), „ბავშვი და გარემო“. (ა. ფონარევი), „ბავშვის ნებრივი განვითარების საკითხები“ (ნ. მენჩინსკაია), „კინო და ბავშვები“ (ლ. კაბო).

ამ წიგნების სათაურებს განმარტება არ სჭირდება. თითოეული მათგანი ერთგვარად აშუქებს საკითხებს, რაც თითქმის ყოველ ოჯახში აღელვებს ახლა მშობლებს, აიძულებს სერიოზულად ჩაუფიქრდნენ თავიანთ დამოკიდებულებას ბავშვთა აღზრდისადმი.

„როცა წიგნს გადადებ და ფიქრს იწყებ, წიგნმა მიზანს მიაღწია“. ეს სიტყვები ეკუთვნის შესანიშნავ პოლონელ პედაგოგს იანუშ კორჩაკს. სწორედ ასეთია მისი დაწერილი წიგნები ბავშვებზე, რომლებსაც მთელი სიცოცხლე შესწირა და 1942 წელს თავი დასდო სასიკვდილოდ, როცა ჰიტლერელებმა მისი აღზრდილები ტრებლინკის საკონცენტრაციო ბანაკში გარეკეს.

მისი ცნობილი წიგნი „როგორ უნდა გვიყვარდეს ბავშვი“ — მშობლებისთვისაა დაწერილი. აქ გამოთქმული მრავალი აზრი მოგვიწოდებს, გვაიძულებს, მამებმა და დედებმა ყურადღება მიაქციონ აღზრდის ყველაზე სათუთ, რთულ პრობლემებს.

„უბრძანო ვინმეს, მოგაწოდოს მზამზარეული აზრები — ეს ნიშნავს, დაავალო სხვა ქალს, შვას შენი შვილები. არის აზრი, რომელიც თვითონვე უნდა შვა ტანჯვით, და იგი ყველაზე ძვირფასი იქნება“.

„ვინ უნდა იყოს შენი შვილი? მებრძოლი თუ უბრალოდ მშრომელი? კომანდირი თუ რიგითი, თუ მხოლოდ ბედნიერი?“

„კარგი ბავშვი. ფრთხილად უნდა ვიყოთ ერთმანეთში არ აგვერიოს „კარგი“ და „აღვილად აღსაზრდელი“.

ვამბობთ „...ზრდილობიანია, დამჯერია, კარგია, ადვილად აღსაზრდელია, და აზრადაც არ მოგვივა ვიფიქროთ, იქნებ შინაგანად უნებისყოფო და უსიცოცხლოა“.

„ვინც საფუძვლიანად ვერ მოიფიქრებს, რა აუკრძალოს ბავშვს და რა უბრძანოს, როცა ნაკლებია ამის საჭიროება, დაიბნევა და ყველას ვერ მოიცავს, როცა მეტი იქნება საჭიროა“.

თუ ოჯახში აქვთ იანუშ კორჩაკის წიგნი, კიდევაც შეგიძლია ისაუბრო მათთან, მოისმინო ბრძნული აზრები, დაფიქრდე აღზრდის საკითხებზე, რომელნიც ასე გვალეღვებს.

ბავშვებიც კითხულობენ და ისევე, როგორც ჩვენ, მოზრდილები, ისმენენ რადიოთი საუბრებს აღზრდაზე, უყურებენ კინოფილმებს,

ტელეგადაცემებს ამ თემაზე. ამჟამად სახლის კარებს ვერ ჩაუკეტავ
მეცნიერებისა და ცხოვრების ყველა დარგის უხვ ინფორმაციას. მშობ-
ლის სიბრძნე სწორედ ისაა, რომ დღენიადაგ იფიქროს, თანამედროვე
სამყაროს ეს თავისებურება როგორ დაუმორჩილოს ოჯახური აღზრ-
დის ინტერესებს.

ვ. ა. სუხომილისკის „მშობლის პედაგოგიკაში“ პირველი საუბარი
ასე იწყება: „დედისა და მამის მოვალეობისადმი ადამიანი თითქმის
აკვნიდანვე უნდა ვამზადოთ — აი, რა არის პრობლემა“. საზოგადო-
ების წინაშე, შენი შვილის წინაშე. ეს მაღალი, საპატიო და პასუხსა-
გები მოქალაქეობრივი მოვალეობა გულისხმობს, რომ ვიცოდეთ, რო-
გორ აღზარდოთ ბავშვი. შვილებისათვის ასეთი მნიშვნელოვანი სწავ-
ლების პირველი გაკვეთილი ხომ არ იწყება მაშინ, როცა მოზარდები
უსმენენ ამა თუ იმ პედაგოგიურ გადაცემას, კითხულობენ პედაგო-
გიურ წიგნებსა და სტატიებს და ჩვენთან ერთად მსჯელობენ ამ საკი-
თხებზე?

მშობლის ავტორიტეტი სულაც არ ილახება იმის გამო, რომ ბავ-
შეები იგებენ, როგორ უნდა აღიზარდოს ადამიანი, რომ ეს ადვილი არ
არის და რა მრავალმხრივ თავდადებულ შრომას მოითხოვს მამებისა
და დედებისაგან. და თუ ოჯახში პედაგოგიური წიგნის თაროცაა, იგი
ბავშვების თვალში ამაღლებს დედ-მამის მშობლიურ პრესტიჟს და
უადვილებს მათ მოზარდი თაობის აღზრდას.

და როცა ჩვენი წიგნის ფაბრიკას...

როს ჩვენი წიგნის ფაბრიკის გვერდით
ჩავივლი,
გული რეკავს ზარულად —
ის სტამბა — ვახტანგ მეექვსის ღმერთი —
არც დანგრეულა, არც დაზარულა.

და არც ანთიმოზ ივერიელის —
საქმით მაღლის და სულით ძლიერის —
წარმოგზავნილი უნგროვლახელის
ვერ წაუშლია დროუამს სახელი.

რა უხვად დატოტიანებულა
ის სტამბა — ელვა სულის ქართულის,
ჩასუქებია გულს მზისებურად
მამულის ძარღვში სისხლად ჩართული.

გაუდგამს ფესვი მას ღონიერი
ქართულ სულში და ქართულ მიწაზე,
მისით რუსთველის სუნთქვა ძლიერი
ხალხს აღბეჭდია გულის ფიცარზე.

მისით აფრინდა სიტყვა — ფრინველი
და ყველა ჰერქვეშ ბუდეს იკეთებს,
სულთამპყრობელი, გულთამხილველი
ბარტყობს სინათლედ, სიბრძნედ, სიკეთედ.

როცა გადაშლილ კარგ წიგნს უზიხარ,
ნამდვილი განძის მფლობელი გქვია.
როგორც დიდსა და ლამაზ მუსიკას,
ვისმენ საბეჭდი მანქანის გრიას.

და როცა ჩვენი წიგნის ფაბრიკას
ჩავუვლი,
გულის მესმის ძახილი:
— სინათლის ტოტი ვერვინ დადრია,
მზისკენ მიიწევს კვირტებდაყრილი!

ქივიზანი



ივანე ლოლაშვილი

ფილოსოფიის განსაზღვრებათა კვლევითი წიგნები

კაცობრიობის დიდ მოაზროვნეებს ოდითგანვე აინტერესებდათ საკითხი, თუ რა არის ფილოსოფია, მისი საგანი და მიზანი. ანტიკური ხანის ფილოსოფოსებს ამაზე გარკვეული პასუხი მოეპოვებოდათ, რადგანაც კარგად იცოდნენ, რომ ფილოსოფია, აზროვნების ეს ერთ-ერთი ურთულესი დარგი, საჭიროებდა განსაზღვრებასა და კლასიფიკაციას. საკითხისადმი სხვადასხვა კუთხით მიდგომამ განაპირობა ფილოსოფიის სხვადასხვანაირი დეფინიცია, შემდეგ მათი ერთად თავმოყრა და მეცნიერული ანალიზი. და აი, შუა საუკუნეების წარმართულ ფილოსოფიურ სკოლებში დაიწერა რამდენიმე სახელმძღვანელო, რომელთა მიზანს შეადგენდა ფილოსოფიის რაობისა და საგნის განხილვა. ამ მხრივ დიდად ისახელეს თავი ალექსანდრიელმა ნეოპლატონიკოსებმა— ამონიოს ერმისმა, ოლიმპიოდორე მცირემ, იოანე ფილიპონმა და დავით ფილოსოფოსმა (უძლეველმა). ისინი მოღვაწეობდნენ V—VI საუკუნეებში ალექსანდრიაში და ეწეოდნენ პლატონისა და არისტოტელის ფილოსოფიური მოძღვრების პროპაგანდას: ძირითადად წერდნენ არისტოტელეს ლოგიკური ნაშრომების კომენტარებს და ამკობდნენ მათ მნიშვნელოვანი ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული ცნობებით. რაკი ეს კომენტარები იყვნენ ნეოპლატონური სკოლის მოძღვარნი, ისინი თავიანთ მოწაფეებს ასწავლიდნენ უპირველესად ფილოსოფიის განსაზღვრებისა და კლასიფიკაციის შესახებ იმხანად შემუშავებულ მოძღვრებას, რომელიც ფილოსოფოსობის ექვსი განსაზღვრებითაა მოცემული ამონიოს ერმისისა (V ს.) და დავით უძლეველის (VI ს.) წიგნებში. ეს მოძღვრება VIII საუკუნიდან პოპულარული გახდა შუა საუკუნეების სქოლასტიკურ ფილოსოფიაში დამასკელის „დიალექტიკის“ მეოხებით. იგი კარგად ყოფილა ცნობილი XI—XII საუკუნეების საქართველოშიც.

ამონიოს ერმისი (ანუ ერმის ძე) ალექსანდრიული ნეოპლატონური სკოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელია. მისი მამა ერმია იყო პროკლე დიადოხოსის (410—485 წწ.) მეგობარი და ალექსანდრიაში ფილოსოფიას ასწავლიდა. პროკლეს მეშვეობით მან შეიღწა კარგი მეცნიერული განათლება მიაღებინა ათენის ნეოპლატონურ სკოლაში, რომელიც მაშინ მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ფილოსოფიურ ცენტრად ითვლებოდა. ათენიდან ამონიოსი მშობლიურ ქალაქ ალექსანდრიაში დაბრუნდა და შეუდგა ფილოსოფიურ-პედაგოგიურ მოღვაწეობას. მან აღზარდა რამდენიმე ცნობილი ფილოსოფოსი — ათენის სკოლის უკანასკნელი მეთაური დამასციოსი, არისტოტელეს თხზულებათა ცნობილი კომენტატორი სიმპლიციუსი, რომელიც ათენის სკოლის დახურვის შემდეგ სპარსეთში გადაიხვეწა, თუმცა ბოლოს ისევ ათენს დაუბრუნდა (გარდაიცვალა 549 წელს), და ალექსანდრიელი მეცნიერი იოანე ფილოპონი (იგივე გრამატიკოსი)¹.

ელუარდ ცელერი წერს: ამონიოსი „იყო პლატონურ და განსაკუთრებით არისტოტელურ თხზულებათა საფუძვლიანი კომენტატორი და მათემატიკურ მეცნიერებათა კარგი მცოდნე. [ოლონდ] მის მოძღვრებაში რამდენადმე არსებითი მნიშვნელობის თავისებური თვალსაზრისი არა მყდვანდება“². ალბათ, ამ მოსაზრებამ უკარნახა შ. ნუცუბიძეს, რომ ამონიოსისთვის ეწოდებინა „ალექსანდრიის სკოლიდან გამოსული ეპიგონი“³, მაგრამ უდავო ფაქტია, რომ ეს „ეპიგონი“ იყო ანტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი პოპულარიზატორი, რომლის ნაშრომებმა დიდი გავლენა მოახდინეს XI—XII საუკუნეების ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებაზე.

როგორც ცნობილია⁴, XI საუკუნის მიწურულს (თუ XII საუკუნის დასაწყისში) იოანე ფილოსოფოს პეტრიწს ბერძნულიდან ქართულ ენაზე გადმოუღია ამონიოსის ორი თხზულება: „მოსაჯსენებელი ათთა ჯმათადმი არისტოტელისთა“ და „მოსაჯსენებელი ხუთთა ჯმათადმი პორ-

¹ В. П. Зубов, Аристотель, М., 1963, с. 71.

² Эдуард Целлер, Очерки истории греческой философии, М., 1912, с. 247.

³ შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, 1958, გვ. 158.

⁴ იოანე პეტრიწი, სათნობათა კიბე, გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ი. ლოლაშვილმა, 1968, გვ. 31—36, 74—84.

ფირი ფილოსოფოსისათა⁵. მეორე „მოსაჯენებელი“ წარმოადგენს პორფირის „კატეგორიათა შესავლის“ კომენტარებს; უძღვის წინაბჭე (71r—95v), რომელშიც მოცემულია ფილოსოფიის ექვსი განმარტება და მისივე კლასიფიკაცია. ეს წინაბჭე კომენტარებისაგან დამოუკიდებლად შეთხზული ტრაქტატია და შეიძლება დასათაურდეს როგორც „რამ ვიდრემე არს ფილოსოფოსობაჲ“ (ან „განსაზღვრებანი ფილოსოფოსობისანი“). იგი ფრიალ მნიშვნელოვანია ძველქართული მეცნიერული აზრის ისტორიის შესასწავლად; ფილოსოფიური ტერმინოლოგიის გასათვალისწინებლად, აგრეთვე დავით უძღველის „ფილოსოფიის პროლეგომენების“ ლიტერატურული წყაროს დადგენისათვის.

ამონიოსის წიგნის ქართულ აარგმანში გვხვდება რამდენიმე ცნება — „ქუემდებარე და დასასრული“ (=საგანი და მიზანი), „ველოვნება და ზედმიწევნულობაჲ“ (=უნარი და ცოდნა; ხელოვნება და მეცნიერება), „განფენაჲ“ (=განზომილება), „წურთაჲ“ (=სწავლება, ზრუნვა), „ასო“ (=ელემენტი, კავშირი), „ბალდამი“ (=ცოცხალ ორგანიზმში არსებული სითხე), „ეპიფანიაჲ“ (=სიბრტყე), „კენტროჲ“ (=ცენტრი), „სიმიჲ“ (=წერტილი), „საკრველი“ (=ბორკილი), რომლებიც ამავე მნიშვნელობით იხმარებიან პეტრიწის შრომებში — ნემესიოს ემესელის „ბუნებისათჳს კაცისა“ და პროკლე დიადოხოსის „კავშირთა“ თარგმანებსა და კომენტარებში⁶. ამ ტექსტების შინაარსობრივი ანალიზი უფრო მეტის თქმის შესაძლებლობას იძლევა: ამონიოსისმიერი განმარტებანი სიტყვასიტყვით გამეორებულია იოანე პეტრიწის „კავშირთა“ ბოლოსიტყვაში⁷.

ასევე, ორგვარი სიკვდილის მოძღვრებას (ანუ ფილოსოფოსობას, როგორც წურთას სიკვდილის შესახებ), რომელსაც ამონიოსი განმარტავს პლატონის ფილოსოფიის შესაბამისად, იოანე ფილოსოფოსი ავითარებს „სათნოებათა კიბეში“ (სტროფი 64):

სიკუდილი ორად განიყოფის, იხედე:
ერთად — ბუნებით ყოველთა კაცთად ესე,
ხოლო მეორედ — საქმეთაგან სიკუდილად
ჯორციელებრთა სულისა განშორებით.
ფილოსოფობაჲ არს წურთაჲ ამისი მარად⁸.

⁵ S 2562, ფ. 71r—251v (ტექსტი მოღწეულია ჩვენამდე ნაკულად).

⁶ ნემესიოს ემესელი, ბუნებისათვის კაცისა, ს. გორგაძის გამოცემა, 1914, გვ. 177—221; იოანე პეტრიწის შრომები, I, 1940, გვ. 175—319.

⁷ იოანე პეტრიწის შრომები, II, 1937, გვ. 223—225.

⁸ იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, 1968.

არიან“. 2. ფილოსოფოსობა არს მეცნიერება საღმრთოთა და კაცობრივთა საქმეთა“. 3. „ფილოსოფოსობა არს მსგავსება ღმრთისა რაოდენ ძალუც კაცსა“. 4. „ფილოსოფოსობა არს წურთა სიკუდილისა“ და 5. „ფილოსოფოსობა არს გელოვნება გელოვნებათა და ზედმიწევნულება ზედმიწევნულებათა“.

დაბოლოს, ამონიოსი იმოწმებს მეექვსე განსაზღვრებასაც: „ფილოსოფოსობა არს სიყუარული სიბრძნისა“, მაგრამ ამას ზემოხსენებული ხუთიდან რატომღაც გამოჰყოფს.

წიგნში პირველი განსაზღვრების ავტორი არ არის დასახელებული. ამონიოსი ამბობს: „არს უკუე პირველი ესრეთ“. მეორეს უძღვის ფრაზა: „ხოლო პლატონ ესრეთ განსაზღვრებს ფილოსოფოსობასა“. მესამის მიმართ ნათქვამია: „რამეთუ ესრეთ განსაზღვრა პლატონ“, ან: „სამართლად პლატონ მსგავს-ყოფად ღმრთისა ძალისაებრ კაცისა განსაზღვრა ფილოსოფოსობა“. მეოთხეც პლატონს მიეწერება, მეხუთის შესახებ კი აღნიშნულია: „ხოლო არს სხუადაცა განსაზღვრება ფილოსოფოსობისა არისტოტელისი ზესთაღმატებისაგან მისისა სხუათა ზედმიწევნულობათა და გელოვნებათა მიმართ“. ხოლო მეექვსესთან დაკავშირებით იკითხება: „პითალორაცა ვიდრემე უკუე: «ფილოსოფოსობა არსო», იტყუს, «სიყუარული სიბრძნისა»“.

შინაარსის მიხედვით პირველი და მეორე განსაზღვრება სავნისმიერი, რამდენადაც მათ საფუძვლად უდევს სავანი („არსება“, „საღმრთო და კაცობრივი საქმენი“). მეორე და მესამე მიზნისმიერია („ღმრთის მსგავსება“ და ხორციელ ვნებათა მოკვდინება), მეხუთე აღნიშნავს ფილოსოფიის უპირატესობას მეცნიერებასა და ხელოვნებაზე, ხოლო მეექვსე დაკავშირებულია სიტყვის ეტიმოლოგიასთან (ფილოსოფია — სიბრძნის-მოყვარება).

ამონიოსი თვითიველ განსაზღვრებას ურთავს კომენტარს და ცდილობს, რომ ყველა მათგანი დაასაბუთოს ლოგიკურად თვალსაჩინო ნიმუშების მოშველიებით (ან ესა თუ ის განმარტება ახსნას ანალოგიების შედარებითი ანალიზით). საამისოდ იმოწმებს ბერძნული წარმართული ფილოსოფიის კორიფეებს (პითაგორას, პლატონს, არისტოტელეს) და მათ გამონათქვამებს, რითაც თავის ტრაქტატს უფრო მნიშვნელოვანსა და საინტერესოს ხდის. ამით ის გვევლინება ე. წ. „გარეშე ფილოსოფიის“ საუცხოო მცოდნედ და პოპულარიზატორად.

ფილოსოფიის განსაზღვრებათა შემდეგ ამონიოსი იწყებს მის კლასიფიკაციას („განწვალებას“): ერთმანეთისაგან გამოჰყოფს მეცნიერე-



ბათა დარგებს და თვითეულ მათგანს განსაზღვრავს კიდეც. უპირველესად ის ეხება „განწვალების“ სახეებს. ამბობს: არსებობს „სრულწილობითი განწვალება“ (მთლიანი განყოფა), „ზედგანწვალება“ (ქვეგანყოფა) და „ქუეგანწვალება“ (განლაგება); შემდეგ განაგრძობს: ერთნი ფიქრობენ, რომ ფილოსოფია განიწვალების ორად — „მხედველობითად და საქმიითად“, მეორენი კი „სამად განსწვალებენ: მხედველობითად, მოქმედებითად და სიტყვერებითად“, მაგრამ სწორია ვთქვათ, რომ „განიწვალების უკუე ფილოსოფოსობაა... მხედველობითისა მიმართ და საქმიითისა“ (ანუ თეორიულ და პრაქტიკულ ფილოსოფიად). ამის მიზეზია ორი გარემოება: რაკი ვამბობთ „ფილოსოფოსობასა მსგავს-ყოფად ღმრთისა“ და ღმერთს კი „მრჩობლნი ჰქონან მოქმედებანი — რომელნიმე მეცნიერებითნი მყოფთა ყოველთანი, ხოლო რომელნიმე მოურნეობითნი ჩუენ უკნიესთანი“, ამიტომაც ფილოსოფოსობაც სამართლიანად იყოფა „ხედვითისა მიმართ და საქმიითისა, რამეთუ მხედველობითისა მიერ უწყნით მყოფნი (= არსებანი), ხოლო საქმიითისა ვემოურნეებით უკნიესთა და ესრეთ მივამსგავსებთ თავთა თვსთა ღმერთსა“. ასევე ჩვენს სულსაც აქვს ორგვარი მოქმედება: „მეცნიერებითი“, ანუ შემეცნებითი (თნებად, გრძნობად, ოცნებად, გავონებად) და „ცხოველობითი და წადიერებითი“ (მაგ., „განზრახვად, გულის-წყრომად, გულის-თქუმადა“). ფილოსოფოსს სურს „ყოველთა სულისა ნაწილთა შემკობად და სრულებისა მიმართ აღყვანებად“. და რადგანაც „მხედველობითისა მიერ სრულ იქმნების ჩუენ-შორისი მეცნიერებითი, ხოლო საქმიითისა მიერ — წადიერებითი, სამართლად უკუე ორად განიწვალების საზღვარი ფილოსოფოსობისა — მხედველობითისა მიმართ და საქმიითისა“.

თავის მხრივ, მხედველობითი (თეორიული) და საქმიითი (პრაქტიკული) ფილოსოფიაც იყოფა ქვეგანყოფებად: მხედველობითი—ღმრთისმეტყველებად (თეოლოგიად), სწავლულებითად (მათემატიკად) და ბუნებისმეტყველებითად, ხოლო საქმიითი — „საყოფაქვეგომასა (=ეთიკის) მიმართ, სასახლის-სჯულომასა (=ეკონომიკისა) და მოქალაქობითისა (=პოლიტიკისა)“. თეორიული ფილოსოფიის ქვეგანყოფთაგან „განწვალებისა ჰეშმარიტება უპირატესად ღმრთისმეტყველებად არს“, რადგანაც ყოველთა დასაწყისია საღმრთო საქმე. „ხოლო ბუნებათმეტყუელებითი, ვითარცა ჩუენდა მომართ, ვიდრემე პირველ არს, რამეთუ ვერ-ვითარ ვაცნობთ გონიერსა არსებას უწინარეს გრძნობადისა, ხოლო ვითარცა ჰეშმარიტებისა მიმართ — უკუანაასკნელი, რამეთუ

უკანასკნელი არს ნივთის-შორისი (მატერიალური), რომლისათვის უკუანამსკნელივე მიუღიეს წესი. ხოლო საშუალ ამათსა (ე. ი. ატმოსფერიალურსა და მატერიალურს შორის) არს სწავლულებითი (= მათემატიკა), ვინაიდან ბუნებითცა საშუალი აქუს წესი“. ასე რომ, რამდენადაც ბუნებისმეტყველება თავისი არსით განუშორებელია ნივთისა და გემისა, იგი პირველადია, ხოლო ღვთისმეტყველება, როგორც „ყოველად-ყოველითურთ განუშორებელი ნივთისა და გუამისა“, უმაღლესი ჭეშმარიტებაა, რომლის წვდომა ნიშნავს „ღმრთის მსგავსებას, რაოდენ ძალ-უც კაცსა“, მათი საშუალი კი არის მათემატიკა, როგორც შემაერთებელი ხიდი ბუნებისმეტყველებასა და ღვთისმეტყველებას შორის. ადამიანი ცდილობს, რათა მატერიალური ყოფიდან ამაღლდეს არამატერიალურამდე. ეს ცდა უნდა განხორციელდეს მათემატიკის მეშვეობით. „რამეთუ საღმრთო პლუტინოს იტყვს: «მეცემოდედ ჭაბუკთა სასწავლელნი შესაჩუვევლად უსხეულოთამსა ბუნებისა». რამეთუ უკუეთუ ვინებოთ მეყსეულად ბუნებათ-მეტყველებითგან ღმრთისმეტყველებად აღყვანება მათი უსაშოვლოდ დავაბრმოთ, ვითარ-იგი ბნელისა სახლისაგან სინათლისა მიმართ უსაშოვლოდ გამოსრულთა, რამეთუ უკმს პირველად სახლსა შინა მიმოვლა მქონებელსა ზომიერისა ნათლისასა და ეგრეთვე მოსლვა უნათლესისა მომართ. ესრეთვე უკუე შემდგომად ბუნებითთასა უკმს მოარულ ქმნილთა დასასწავლელთა (= მათემატიკურ მეცნიერებათა) შორის აღსლვა ღმრთის-მეტყველებისა ზედა, რამეთუ კიბე რამე და ჯიდ არიან დასასწავლელნი, ზიარქმნილნი ვიდრემე ბუნებითანი, ვითარ-იგი განუშორებელ არიან, ხოლო — საღმრთოთანი, ვითარ განუშორებულ არიან“.

ამონიოსი იძლევა ასევე მათემატიკის დარგების დანაწილება-დახასიათებას, იუწყება, რომ „დასასწავლელობითი (= მათემატიკა) განიწვალების ოთხად: ქუეყნის-მზომელობისა (= გეომეტრიის) მიმართ, ვარსკვლავთ-მრიცხველობისა (= ასტრონომიის), მუსიკობითისა და მრიცხველობითისა (= არითმეტიკის)“, და მათი განსაზღვრების შემდეგ იწყებს პრაქტიკული ფილოსოფიის ნაწილთა (ეთიკის, ეკონომიკისა და პოლიტიკის) მიმოხილვას. აღნიშნავს, რომ: რაკი საქმიითი (პრაქტიკული) ფილოსოფია განიწვალების „საყოფაქცევომსა მიმართ, სასახლის-სჯულომსა და მოქალაქობითისა“, ხოლო თვითეულ მათგანსაც „განსწვალებენ სჯულისდებითად (კანონმდებლობად) და მსაჯულობითად (მართლმსაჯულებად)“, სამოქალაქო ფილოსოფოსი (სახელმწიფო მოღვაწე, სჯულმდებელი) ან კანონებს დააწესებს და მის მიხედვით

ცხოვრობენ მოქალაქენი, ან მოსამართლეობს და ზოგს ქველ-ყოფისა ღირს-ჰყოფს“, ზოგსაც კანონის დარღვევის გამო მისაგებელსა მისაგებელსა ზღაფს. „სასახლის-სჯულობითსაცა შინა (ანუ ეკონომიკაშიც) ინიციატივის სჯულის-დებამ და მსაჯულობამ, რამეთუ სახლსა შინა სჯულთა დავსხამთ და ესვით მრწემთავანთა ანუ ძეთა გარდამავალთა“; ასევე „ყოფა-ქცევითსაცა შინა არს სჯულისდება და მსაჯულება“, რადგანაც ვაწესებთ ვითკურ ნორმებს და ვავალდებულებთ ყველას მის დაცვას.

დასასრულ, ამონიოსი ხელახლა სვამს კითხვას, თუ: „რამ არს ფილოსოფოსობამ და რომელინი კერძონი მისინი“ და იქვე იძლევა პასუხსაც: ფილოსოფია „საღმრთო ვიდრემე არს და სასურველი, და კეთილად ითქუა მისთვის, ვითარმედ: «გეგევითარი კეთილი არცა მოვიდა კაცთა შინართ, არცა მოვიდეს ოდესცა». ამ ფრაზაში დამოწმებულია პლატონის შესანიშნავი თქმა: „მოკვდავთა ტომისათვის ფილოსოფიაზე უკეთესი საჩუქარი ღმერთებისაგან არც ყოფილა და არც იქნება“¹⁰.

ასეთია მოკლედ მოსაჯსენებელის“ პირველი ნაწილის შინაარსი, რომელიც ფილოსოფიის დეფინიციასა და კლასიფიკაციას ეხება¹¹.

* * *

ამონიოსის წიგნი მრავალმხრივია მნიშვნელოვანი. იგი მკითხველს ნათელ წარმოდგენას უქმნის იმ ცნობილ მოძღვრებაზე, რომელიც შემუშავდა ალექსანდრიულ ნეოპლატონიკურ სკოლაში ფილოსოფიის რაობაზე, მისი საგნისა და დისციპლინების შესახებ. უდავოა, ეს ძეგლი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი საუკეთესო სახელმძღვანელო ფილოსოფიით დაინტერესებულ პირთათვის. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამან განაპირობა მისი ქართულად გადმოღებაც.

იოანე პეტრიწის თარგმანმა დიდი სამსახური გაუწია ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარებას, ხელი შეუწყო ქართული ქრისტიანული ნეოპლატონიზმის აღმავლობასა და გავლენის არეალის გაფართოებას. მისი წყალობით ფილოსოფია გამოცხადდა საღმრთოდ და სასურველად („საღმრთო საღმრთოდ გასაგონად“, როგორც შოთა რუსთაველი ამბობს), ღვთაებრივ სიკეთედ და ნიჭად, რომელიც ღმერთმა

¹⁰ Платон, Сочинения, III², М., 1971, с. 487—488.

¹¹ ამონიოსის თხზულების ბერძნული დედანი გამოცემულია ა. ბუსეს მიერ: Commentaria in Aristotelem graeca (IV, 3), ქართული თარგმანი არ არის გამოცემული და ამიტომაც წარმოვადგინე აქ მისი ვრცელი შინაარსი.

კაცობრიობას მოუვლინა მატერიალური სამყაროდან საღმრთო ჰეშმა-
რიტებამდე ასამაღლებლად.

მკითხველში დიდ ინტერესს იწვევს წიგნის ყოველი ფრაზა, ტერ-
მინი და მსჯელობა, რომელიც მკაცრი ლოგიკური თანმიმდევრობით
ვითარდება თავიდან ბოლომდე. შევეხებით რამდენიმე მხარეს.

მეთოხე განსაზღვრება „ფილოსოფოსობაა არს წურთაჲ სიკუდილი-
საჲ“ ეკუთვნის პლატონს (დაცულია „ფედონში“). ზოგიერთმა „წურ-
თაჲ სიკუდილისაჲ“ გაიგო, როგორც ცდა თვითმკვლელობისათვის.
ცნობილია, რომ ამერაკიელმა ჰაბუკმა, რომელსაც სურდა შეეტყო, თუ
რა არის ბუნებითი სიკვდილი, თავი მოიკლა (კლდეზე გადაიჩეხა).
ამონიოსი ილაშქრებს ამგვარ მოფილოსოფოსო მწიგნობართა წინააღმ-
დეგ. იგი თვითმკვლელ ჰაბუკს, რომელიც, ცხადია, ვერა სწვდა ჰეშმა-
რიტებას, უბადრუკად სთვლის და კალიმაქეს (310—250 წწ.) იამბიკო-
თი დასცინის: მან ვერ გაიგო პლატონის თქმა „უმჯობეს არს სული-
სათჳს განშორებაჲ ვორცთაგან“. იქვე მას მოჰყავს პლატონის „ფედო-
ნი“-დან ციტატა — „რამეთუ, — წერს იგი, — პლატონ ბრძანებს არა-
განყვანებად თავისა თჳსისა და იტყჳს ესრეთ: «ვითარცა საპყრობილე-
სა რასმე შინა ვართ კაცნი, და არა გვგმს თავთა თჳსთა განყვანებაჲ
მისგან, არცა განვლდომამ დიდად რადმე მიჩნს მე და არცა ადვილ
განსახილველად. ხოლო არა ჯერ-არს განყვანებაჲ თავთა თჳსთაჲ»¹²,
შემდეგ განაგრძობს: „რამეთუ ვითარ-იგი საპყრობილეს შინა მყოფმან
და შევრდომილმან ბრალისა რამსათჳსმე ინებოს თუ განპარეჲ, დაარ-
ლუევეს, რაოდენ მას ძალ-უც, სჯულთა; ეგრევე მოსწრაფეცა განმგნა-
სა სხეულისა საკრველისა მიცემულისასა წინა-განგებისა მიერ დაარ-
ლუევეს დამბადებლობითთა სჯულთა. არა ჯერ-არს უკუე მკულელ თა-
ვის ყოფამ“ (იქვე).

მაშ. რა არის „წურთაჲ სიკუდილისაჲ“? — ეს არის მოძღვრება
„სულისა სხეულისაგან განშორებისაჲ“, ანუ სხეულებრივ ვნებათა
მოკვდინება და სულის ამაღლება მატერიალურიდან ღვთაებრივ ჰეშმა-
რიტებამდე. ამგვარი წურთა ბუნებრივი სიკვდილის საწინააღმდეგოა
და ემთხვევა ქრისტიანულ მოძღვრებას ადამიანის გაღმერთების შესა-
ხებ. რომელიც ერთ-ერთ ქვაკუთხედად იქცა ქრისტიანული ნეოპლა-
ტონიზმისათვის, რაც შესანიშნავად არის გამოხატული ფილოსოფიის
მესამე განსაზღვრებაში — „ფილოსოფოსობაჲ არს მსგავსება ღმრთი-

¹² შტრ.: პლატონი, ფედონი, 1966, გვ. 11—12; Платон, Соч., II, М., 1970, с. 19.

სამ, რაოდენ ძალ-უც კაცსა“. მაშასადამე, ფილოსოფოსობით აღწმიან
მა უნდა შესძლოს თავის სიცოცხლეში (მანამდე, სანამ მისი სხეულებრივი
გაეყრებოდეს სულს) მოაკვდინოს (დათრგუნოს) სხეულებრივი ვნებე-
ბი. სხვაგვარად ეს ნიშნავს: „სიცოცხლესა შინა მყოფმა“ უნდა განაშო-
როს თავი თვისი სხეულისაგან და ამით შეძლებისამებრ ეზიაროს
ღვთაებრივ ბუნებას, ანუ მიემსგავსოს ღმერთს. ასე რომ, „მსგავსება
ღმრთისა“ არის ფილოსოფოსობის მესამე განსაზღვრების ძირითადი
ატრიბუტი და ეს მიეწერება პლატონს¹³.

პლატონი დიалოგ „თეეტეტში“ წერს: „მაგრამ შეუძლებელია,
თეოდორე, ბოროტების აღზოცა, რადგანაც ყოველთვის აუცილებლად
უნდა არსებობდეს რაღაც სიკეთის საწინააღმდეგოდ. ღმერთებს შორის
ბოროტება არ მკვიდრობს, მაგრამ ის ძალაუნებურად ეწვევა ხოლმე
მოკვდავ ბუნებას და სააქაოს. ამიტომაც უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლე-
ბა, მალე გავიქეთ აქედან იქ. ეს გაქცევა არის შეძლებისდაგვარად
მომსგავსება ღმრთისა. ხოლო ღმრთის მიმსგავსება ნიშნავს გახლე გო-
ნივრულად სამართლიანი და გონივრულადვე ღმრთის-მოსავი“¹⁴.

ამ სიტყვებში ჩადებულია ის შინაარსი, რომელიც ლაკონიურად
გადმოცემულია ფილოსოფოსობის მესამე განმარტებაში.

შ. ნუცუბიძე ფიქრობს, რომ „მსგავსება ღმრთისა“ არის იგივე
„თეოზისი“ (აღამიანის გაღმერთება), ხოლო მის საფუძველზე შემუშა-
ვებული განმარტება წარმოადგენს არეოპაგიტულ დამუშავებას, რომე-
ლიც ქართულმა აზროვნებამ მიიღო დავით უძლეველის მეოხებით პეტ-
რე იბერიელის მოძღვრებიდან¹⁵. მაგრამ ეს მოსაზრება არ დასტურ-
დება ამონიოსისა და დავით უძლეველის ცნობებით, თვით არეოპაგი-
ტულ წიგნებში კი ფილოსოფოსობის არც ერთი ზემოხსენებული ღე-
ფინიცია არაა მოცემული.

ამონიოსის მეორე მსჯელობა ეხება მუსიკას. მუსიკა, — ამბობს ფი-
ლოსოფოსი, — არის „ლართა თანამეკმეობა“, რომელიც აღამიანში
იწვევს სხვადასხვანაირ განცდასა და განწყობილებას. იგი „მოიპოვებს
კილოთაცა რათმე დამაძინებელთა, ვიდრემე სულისა ვნებათაჲსა და
აღმადგინებელთა სათნოებისა მიმართ“. მაგ., საყვირის ხმის გაგონებაზე

¹³ შტრ.: Давид Непобедимый (Анахт), Определения философии, пер. С. С. Арешатяна, Ер., 1960, с. 85—87.

¹⁴ Платон, Сочинения, II, М., 1970, с. 270.

¹⁵ შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, 1958, გვ. 292—297.



„უმწყარაღეს ვიქმნებით“, რადგანაც იგი ბრძოლად მოწოდების ნიშანია, ხოლო „სათეატროთა კილოთა“ მოსმენისთანავე „უმსუამრესობად“ (ახუ ნესტეთმბერაობის საწინააღმდეგოდ) წარვკპართებთ სულთა“.

ამონიოსის წიგნში ყურადღებას იპყრობენ ისოკრატეს გნომებიც, რომლებიც თავმოყრილია ეთიკის რაობის განხილვასთან დაკავშირებით. ძველ საბერძნეთში ერთ-ერთ განთქმულ გნომისტად ითვლებოდა ისოკრატე (436—338 წწ. ჩვ. ერამდე). მას მიეწერება მრავალი გონება-მახვილური თქმა და ბრძნული შეგონება. იგი ძველ ქართულ მწერლობაში ნაკლებად ცნობილი ავტორია. მისი დიდაქტიკური გამო-ნათქვამები შემოუნახავს მხოლოდ ერთ ძველ აპოფთეგმურ კრებულს, რომელსაც ეწოდება „სიბრძნისაგან მრავალთა ფილოსოფოსთაჲსა, ძუენი“¹⁶. მაგრამ ძველ საქართველოში დიდად სახელმოხვეჭილი ფილოსოფოსი იყო სოკრატე. ამიტომაც ქართველ გადამწერებს ისოკრატე ხშირად ერეოდათ სოკრატეში და პირველის გნომებს აკუთვნებდნენ მეორეს. ამის ნათელ ნიმუშს იძლევა ამონიოსის ტრაქტატის შედარება აპოფთეგმურ კრებულებთან. ერთ-ერთი გნომი — „ღმერთთა ვიდრემე ჰშიშვობდ, ხოლო მშობელთა პატივის-ცემდ და მოყუარეთა ჰმორცხობდ“ — ამონიოსის ცნობით მიეწერება ისოკრატეს, „სიტყვანი და სწავლანი სამეცნიერონის“ მიხედვით — სოკრატე ფილოსოფოსს და იკითხება განსხვავებული ვარიანტით: „ღმრთისაგან გეშინოდენ, მშობელთაგან გრცხუნოდენ და მოყუარეთა ერცხოდე“ (I, 422). შეიძლება ეს იყოს შემთხვევითი ტექსტობრივი თანხვედრა, მაგრამ აქ არც ალრევის შესაძლებლობაა გამორიცხული. თავისთავად საყურადღებოა ის, რომ ამონიოსის თხზულების ქართულ თარგმანს დაუცავს ისოკრატეს ბრძნული შეგონებანი. ეს უკვე მეორე ძველქართული ძეგლია, რომელშიც მოხსენიებულია ისოკრატე და გვხვდება მისი გნომები.

* * *

ამონიოსის „მოსავსენებელი“ სანამ ქართულად გადმოითარგმნებოდა, იგი უკვე ფართოდ გავრცელებულა VI საუკუნეში ალექსანდრიელ ნეოპლატონიკოსთა შორის და საფუძვლად დასდებია ამონიოსის მოწაფეთა და მოწაფის მოწაფეთა ანალოგიურ ნაშრომებს, სახელდობრ,

¹⁶ სწავლანი და სიბრძნენი ფილოსოფოსთანი, ი. ლოლაშვილის რედაქციით, 1969. (II 37, 39, 62, 99.



სომეხი ფილოსოფოსის — დავით უძლეველის მთავარ თხზულებაში „საზღვართა წიგნს“, რომელიც ფილოსოფიურ ლიტერატურაში ცნობილია „ფილოსოფიის განსაზღვრებათა“ სათაურით¹⁷. ამ ძეგლს ვრცლად განიხილავენ ვ. ჭალოიანი¹⁸ და ს. არევშატანიანი¹⁹. ისინი გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ დავითმა ეს წიგნი დაწერა ალექსანდრიელ ნეობლატონიკოსთა წრეში მათი ფილოსოფიური მოძღვრების გავლენით. დავით უძლეველი, — ამბობს ვ. ჭალოიანი, — წარმომადგენელია ალექსანდრიული ნეობლატონური სკოლისა. მის ნაწერებში ვხვდებით ისეთ მოსაზრებებს, რომელთაც საერთო აქვთ ალექსანდრიელ ფილოსოფოსთა მოძღვრებასთან. მათი ლიტერატურული და იდეური წყაროებია ამ მოაზროვნეთა თხზულებები. მოგვეპოვება პირდაპირი მითითებაც, რომ დავითი დიდად აფასებდა ამონიოსს, ოლიმპიოდორე მცირესა და ელიასს; მათ თვლიდა თავის მასწავლებლებად, იზიარებდა მათს ნაზრევს და მათი ნაწერებიდან იმეორებდა საჭირო გამონათქვამებს და მსჯელობებსაც. ამასვე აღნიშნავს ს. არევშატანიანი: დავითსა და ალექსანდრიელ ფილოსოფოსთა (ამონიოსს, ოლიმპიოდორე მცირესა და ელიასს) შორის არსებობს ისეთი იდეური ერთიანობა, რომელიც დებულებათა და გადაწყვეტათა ტექსტობრივ დამთხვევამდეც კი მიდის²⁰.

ეს ითქმის განსაკუთრებით „ფილოსოფიის განსაზღვრებაზე“, რომლის მოდელად დავითს აუღია ამონიოსის „მოსაჯენებელის“ შესავალი ნაწილი და იქიდან შეუტანია თავის წიგნში ფილოსოფიის ექვსივე განსაზღვრება და მეცნიერებათა კლასიფიკაცია²¹. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ დავით უძლეველი უდავოდ დამოუკიდებელი მოაზროვნეა და მის ტრაქტატში გაცილებით მეტია ნათქვამი, ვიდრე ამონიოსის თხზულებაში. იგი ზოგჯერ თავისი წყაროს ცნობებს სცვლის, ზოგჯერ

¹⁷ Davidis Prolegomena et in Porphyrii Isagogen commentarium. ა. ბუ სეს გამოცემა: Commentaria in Aristotelem graeca, XVIII, 2 (1904); Давид Непобедимый, Определения философии, пер. С. С. Аревшатиана, Ер., 1960; Антология мировой философии, I² (1969), с. 634—638.

¹⁸ В. К. Чалоян, Философия Давида Непобедимого, 1946, с. 135—152; Его же, Развитие философской мысли в Армении, М., 1974, с. 87—96.

¹⁹ С. С. Аревшатиан, Формирование философской науки в древней Армении (V—VI вв.), Ер., 1973, с. 298—308.

²⁰ В. Чалоян, Развитие... С. 61—62; С. Аревшатиан, Формирование... с. 272.

²¹ ამონიოს ერმიოსისა და დავით უძლეველის შრომების ურთიერთობის საკითხი ვრცლად განიხილა მ. რაფაეამ ნარკვევში „ფილოსოფიის განსაზღვრებანი ამონიოს ერმიოსისა და დავით უძლეველის მოძღვრებაში“ (მრავალთავი, VIII, 1980, გვ. 38—49) და იქვე წარმოაჩინა მათი მსგავსება. მისი ძირითადი მოსაზრებები მისაღებია.



კი ამა თუ იმ დებულებას აზუსტებს. ეს ითქმის განსაკუთრებით მისი ტრაქტატის წინა ნაწილზე, რომელშიც ოთხი არგუმენტით დასაბუთებულია უფლება ფილოსოფიის არსებობისა. ეს ნაწილი მიმართულია პირონისა (365—275 წწ. ჩვ. ერამდე) და მის მიმდევართა წინააღმდეგ, რომელნიც გამობენ ფილოსოფიას და საერთოდ ცოდნას. დავითის პოლემიკა ძლიერია, თანაც ზუსტად დასაბუთებული. ამიტომაც არის, რომ მისმა ნაშრომმა ფართო აღიარება ჰპოვა არა მარტო ბერძნულენოვან სამყაროში, არამედ სომხეთსა და საქართველოშიც. შუა საუკუნეებში „საზღვართა წიგნი“ ითვლებოდა ფილოსოფიის ერთ-ერთ სახელმძღვანელოდ, რომლითაც ახალგაზრდობა სწავლობდა ცოდნის მნიშვნელობას, ფილოსოფიის რაობას, მის საგანსა და დანიშნულებას და მაშინდელ სამეცნიერო დისციპლინებს.

* * *

როგორც ითქვა, „ფილოსოფიის განსაზღვრებათა“ ის რედაქციები, რომლებიც შეიქმნა და ისწავლებოდა ალექსანდრიულ ნეოპლატონურ სკოლაში, ფართოდ გავრცელდა სირიაში და გავლენა მოახდინა ქრისტიანულ სკოლასტიკაზე. მათი შესწავლა და პოპულარიზაცია დაიწყეს ბერ-მონაზონთა შორის ფილოსოფიურად მოაზროვნე საეკლესიო მოღვაწეებმა, მათ შორის — იოანე დამასკელმა, მართლმადიდებელი ეკლესიის მამამ. მეტიც, იოანემ „ცოდნის წყაროს“ პირველ ნაწილში, რომელიც ცნობილია „დიალექტიკის“ სახელწოდებით, უცვლელად შეიტანა ფილოსოფიისა და მის დისციპლინათა ის განსაზღვრებანი, რომლებიც ცნობილია ამონიოსისა და დავით უძლეველის წიგნებით. „დიალექტიკაში“ ვკითხულობთ:

„განსაზღვრებანი ფილოსოფოსობისანი ექუს არიან: 1. ფილოსოფოსობა არს მეცნიერება ნამდვლევთა, უკუეთუ ნამდვლევ რა არიან, ესე იგი არს, ცნობა ბუნებისა თვისსა; 2. ფილოსოფოსობა არს მეცნიერება საღმრთოთა და კაცობრივთა საქმეთა; 3. ფილოსოფოსობა არს წურთა სიკუდილისა შემთხვევითისადაცა და ბუნებითისადაცა; 4. ფილოსოფოსობა არს მსგავსება ღმრთისა ძალისაებრ კაცობრივისა, ხოლო ვემსგავსებით ღმერთსა სიმართლითა და სიწმიდითა და სახიერებითა... 5. ფილოსოფოსობა არს გელოვნება გელოვნებათა და მოძღურება მოძღურებათა, რამეთუ ფილოსოფოსობა დასაბამი არს ყოველთა გელოვნებათა, რამეთუ მის მიერ ყოველი



ველოვნება მოპოვებულ იქნა. 6. ფილოსოფოსობა არს სიყუარული სიბრძნისაჲ, ხოლო სიბრძნე ჭეშმარიტი ღმრთისაჲ არს. აწ უკუე სიყუარული ღმრთისა მიმართ — ესე არს ჭეშმარიტი სიბრძნე.

ხოლო განიყოფების ფილოსოფოსობაჲ ხედვითად და საქმითად. და ხედვითი იგი განიყოფების სიტყუერებითად და სწავლულლებითად და ბუნებათ-მეტყუელებითად. კუალად სწავლულლებითი იგი განიყოფვის მრიცხუეელობითად, და მუსიკობითად, ქუეყნის-მზომელობითად და ვარსკვლავთ-მრიცხუეელობითად. ხოლო საქმითი განიყოფვის სწავლითად, განგებითად და მოქალაქობითად²².

ფილოსოფიის ეს განსაზღვრებანი და „განწვალებანი“, რომლებიც წარმოდგენილია იოანე დამასკელის „დიალექტიკაში“ (ტერმინოლოგიურ სხვაობას თუ არ მივაქცევთ ყურადღებას), არსებითად იგივეა, რაც მოცემული აქვთ ამონიოსსა და დავით უძლეველს. აქ საყურადღებო ისაა, რომ ფილოსოფია გამოცხადებულია ღმრთისადმი სიყვარულად, რამდენადაც სიბრძნე აღიარებულია ღმერთად, რომელსაც ადამიანი ემსგავსება „სიმართლითა და სიწმიდითა და სახიერებით“. სიბრძნის-მოყვარობის ამგვარი ინტერპრეტაციით იოანე დამასკელმა ფილოსოფოსობის ნეოპლატონური განსაზღვრებანი შეუფარდა სქოლასტიკურ მოძღვრებას და, როგორც იტყვიან, ფილოსოფია ჩააყენა ღმრთის სამსახურში და მოუპოვა მას მოქალაქეობრივი არსებობის უფლება. ამან კი განაპირობა ის, რომ „გარეშე ფილოსოფიამ“ თამამად გაიკაფა გზა შუა საუკუნეების ქრისტიანულ სქოლასტიკაში. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულეს ბიზანტიური რენესანსის მესვეურებმა — მიქაელ ფსელოსმა და იოანე იტალმა, როდესაც ისინი პლატონური და არისტოტელური ნაზრების აღდგენით შეუდგნენ ფილოსოფიისა და სქოლასტიკის ურთიერთშეთავსებას. საქართველოში მათ მიმდევრებად ითვლებოდნენ არსენ იყალთოელი და იოანე პეტრიწი, რომელთაც გელათსა და იყალთოში დააარსეს ბიზანტიური ტიპის უმაღლესი სასწავლებლები და დაიწყეს ახალი რენესანსული მოძღვრების ქადაგება. მათ მიერ ბერძნულიდან ქართულად თარგმნილმა ფილოსოფიურმა ტრაქტატებმა ფართო გზა გაუხსნეს პერიპატოულ და ნეოპლატონურ იდე-

²² ვიმოწმებ ეფრემ მცირის თარგმანიდან (A 24): იოანე დამასკელი, დიალექტიკა, ქართული თარგმანების ტექსტი გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პ. რაფაევამ, 1976, გვ. 172 (არსენ იყალთოელის თარგმანში ეს თავი არ მოიპოვება). შტრ.: Антология мировой философии, I², 1969, с. 622—623.

ებს და იმ ფილოსოფიურ წყაროებს, რომლებითაც უხვად სარგებლობდა სქოლასტიკის ცნობილი მამამთავარი იოანე დამასკელი.

ცნობილი ფაქტია, რომ ბიზანტიაში იუსტინიანე კეისრის ედიქტით, რომელიც გამოიცა 529 წელს, დაიხურა თითქმის ყველა საერო ფილოსოფიური სკოლა (მათ შორის ათენის ნეოპლატონური სკოლაც, რომელსაც მსოფლიო აღიარება ჰქონდა მოპოვებული პროკლე დიადოხოსის წყალობით) და ფართო გასაქანი მიეცათ სამონასტრო სკოლებს, რომლებიც ამზადებდნენ კადრებს მართლმადიდებლური ეკლესიისათვის. საერო ფილოსოფიაზე სქოლასტიკის გამარჯვებამ საეკლესიო მოღვაწეთა შორის აღძრა ერთგვარი საზეიმო განწყობილება. მაგ., ერთ-ერთმა მწერალმა ასეთი რამ განაცხადა (H 1347, ფ. 259 rv):

„ამიერ დაცხრა აკადემია, ამიერ დადუმნა სტოვამ, ამის მიერ უქმ-არს პერიპატომა, ამის მიერ მწოლარე არს ლკკიონ, ამის მიერ დათრგუნვილ არს ათინამ, რათა არა დაუტეობდენ ღმერთსა დამბადებელსა და ღმერთ ჰყოფდენ დაბადებულთა, რაჟამს ღმერთსა ზედა განეწყობვოდინ სიბრძნითა მით ღმრთისა მიერიოთა და ხილულთა ამათ უზეშთაეს ჰყოფდენ ღმრთისა უხილავისა; და არა უხილავსა მას ხილულთა შორის საცნაურად იხილვიდენ, არამედ ხილულთაგან უხილავსა შეურაცხ-ჰყოფდენ. ამისთვის სულელ იქმნეს, ამისთვის დადუმნეს, ამისთვის უფსკრულსა დავიწყებისასა დაინთქნეს“.

აქ ჩამოთვლილია ის „გარეშე“ ფილოსოფიური სკოლები, რომელთა საქმიანობაც დამთავრდა ქრისტიანულ სქოლასტიკასთან ბრძოლის პერიოდში — VII საუკუნემდე. მართალია, ამ ბრძოლაში სქოლასტიკამ გაიმარჯვა, მაგრამ ხსენებულმა საგანმანათლებლო ცენტრებმა თავისი ნაყოფი მაინც გამოიღეს: ნაცარწყაყრილი ნაკვერჩხალი თანდათან გადავიდა და XI საუკუნის ბიზანტიაში კვლავ აღდგა ნეოპლატონიზმი, ახლა უკვე ქრისტიანულ სამოსელში გახვეული. შეიქმნა ფილოსოფიური მოძღვრება, რომელმაც ქრისტიანულ დოგმატიკას შეუთავსა პლატონისა და არისტოტელის ნაზრევი, ხოლო დოგმატიკოსებს მოსთხოვა ლოგიკის მეცნიერებათა კანონებისადმი მორჩილება. ასე რომ, ამიერიდან უპირატესობა მიეცა მეცნიერებას, რამაც განაპირობა ზრუნვა მეცნიერული ცოდნის შექენაზე.

ეს მოძღვრება საქართველოში განავითარა იოანე პეტრიწმა მაშინ, როდესაც ბიზანტიური რენესანსის მესვეურები მიქაელ ფსელოსი და იოანე იტალი კონსტანტინოპოლელ სქოლასტიკოსებთან ბრძოლაში დამარცხდნენ და დევნილ ფილოსოფოსებად გამოცხადდნენ. მან ქარ-

თულ ენაზე გადმოიღო ამონიოსის „მოსაქსენებლები“, პროკლეს „კავ-
შირნი ღმრთისმეტყუელებითნი“ (რომელსაც დაუბრუნებია კომენტარები
შესავალი და ბოლოსიტყვა) და ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის
კაცისა“, აგრეთვე — არისტოტელის ლოგიკური ნაშრომები. ამ თარ-
გმანებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა ამონიოსის
განხილულმა წიგნმა, რომელიც მკითხველს აცნობს ფილოსოფიის გან-
საზღვრებებსა და სამეცნიერო დარგებს. ეს ძეგლი საუკუნეთა განმავ-
ლობაში ქართულ ფილოსოფოსთა სამაგიდო წიგნად ითვლებოდა.
ამას ადასტურებს ის დიდი ინტერესი, რომელსაც მის მიმართ იჩენდნენ
ქართველი მწიგნობარნი XVII—XVIII საუკუნეებში.

* * *

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც გაცხოველდა ქარ-
თულ-სომხური ფილოსოფიური ურთიერთობა, სომხურიდან ქართულ
ენაზე ითარგმნა დავით უძლველის „წიგნი საზღვართა“. ეს არის სწო-
რედ ის თხზულება, რომელსაც სომხურად ეწოდება „ფილოსოფიის
განსაზღვრებანი“. იგი 1758—1762 წლებში ერეკლე მეფის ბრძანებით
გადმოუქართულებია ორ ავტორს — დოსითეოს ჩერქეზიშვილს და ფი-
ლიპე ყაითმაზაშვილს. ტექსტი უთარგმნია ფილიპეს, ხოლო ტერმინო-
ლოგიურად და სტილისტურად გაუმართავს დოსითეოსს²³ ამონიოსის
ტრაქტატის მიხედვით. მაგ., აქაც „ქვემდებარე“ ნიშნავს საგანს, „დასას-
რული“ — მიზანს, „ზედმიწვენილება“ — მეცნიერებას, „ველოვნება“ —
ხელობის ცოდნას. ამბრაკიელ ჭაბუკზე ნათქვამი სიტყვები „აღსრულ-
მან ზღუდით შთაიგდო თავი თვისი“, ან „შთაჭრილმან მალლით ზღუდით
ჯოჯოხეთადმდე“, რომელიც იკითხება ამონიოსის ძველქართულ თარ-
გმანში, „საზღვართა წიგნშიც“ ისევეა დატული: „შთააგდო თავი თვისი
ზღუდით და აღესრულა“, ან „შთაჭრილი მალლის ზღუდით ჯოჯოხე-
თად“ (H 69, ფ. 45 r). თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ დოსითე-
ოსი ამ თარგმანის ანდერძში იმოწმებს ამონიოს ერმისის სიტყვებსაც —
„მყოფთა ყოველთა თვთ-აღძრვით ჰსურისთ უკეთილესისადმი აღტრ-
ფობად“, ექვემდებარება უნდა დავასკვნათ, რომ დოსითეოსს კარგად
სცნობია ამონიოსის „მოსაქსენებლები“ და ფილიპეს თარგმანის გამარ-
თვისას გამოუყენებია კიდევ. ერეკლე მეფე დიდად მოყვარული ყო-

²³ H ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, I, 1946, გვ. 54—55.

ფილა ფილოსოფიისა. თელავის სემინარიის „მესხოლეთ“ (ფილიპეა და დოსითეოს) მისი შეკვეთით პირველ რიგში დავით უძღვეველი „წიგნი საზღვართა“ გადმოუღიათ, რადგანაც იგი ითვლება „სიბრძნის მოყვარეობის არსების მამტიცად“ და მიმართული იყო აგნოსტიკოსთა წინააღმდეგ.

როგორც ჩანს, დოსითეოსი და ფილიპე განათლებული მწერალ-მთარგმნელები ყოფილან, ირკვევა, ისინი მნიშვნელოვან ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდნენ²⁴. მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ „წიგნი საზღვართა“ წარმოადგენს XVIII საუკუნის ერთ-ერთ კარგ თარგმანს. და ითვლებოდა თელავის სასულიერო სემინარიის ერთ-ერთ სახელმძღვანელოდ²⁵. უფრო მეტიც: ეს წიგნი იყო იოანე ბაგრატიონის ენციკლოპედიური შრომის, „კალმასობის“ ფილოსოფიური ნაწილის ძირითადი წყარო²⁶, როგორც ეს დამაჯერებლად დაასაბუთა გ. დედაბრიშვილმა²⁷ და, მაშასადამე, მას ჯეროვანი წვლილიც უდევს XVIII—XIX საუკუნეების ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების საქმეში.

ძველმა ქართულმა მწერლობამ ათვისა ფილოსოფიის განსაზღვრებები იოანე დამასკელის „დიალექტიკის“ ეფრემ მცირისეული თარგმანიდან (XI ს.) და ამონიოს ერმისის ზემოთ განხილული წიგნიდან, რომელიც XI—XII საუკუნეთა მიჯნაზე უთარგმნია იოანე პეტრიწს; ანტონ ბაგრატიონმა კი დავით უძღვეველის გვერდის ავლით შემაერთებული ხიდი გადო ძველი ქართულიდან ახალ ევროპულ ფილოსოფიურ აზროვნებაზე გადასასვლელად. აი, რას ვკითხულობთ ფრიდერიკს-ქრისტიან ბაუმისტერის „ლოლიკის“ (ანუ „ახალი ფილოსოფიის დასაბამის“) წინასიტყვაში (Q 585):

„ფილოსოფია უკვე სახელისა ძლით და სიტყვსა არა რამე სხუა არს, თვნიერ მოყუარება სიბრძნისა; ხოლო თუ სადამე განსჯი ღმრთის-მეტყუელებრ, არს მოყუარება ქრისტესი, რომელიცა «ღმრთისა და-

²⁴ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1960, გვ. 364—372.

²⁵ ამით აიხსნება მისი ხელნაწერების სიმრავლე: A 183, H 69, S 334, 1180, 2563, 3085 და სხვ.

²⁶ იოანე ბაგრატიონი, კალმასობა. ფილოსოფიური ნაწილი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა გულნარა დედაბრიშვილმა (კრებული „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები“, III, 1974, გვ. 173—220).

²⁷ გ. დედაბრიშვილი, იოანე ბაგრატიონის «კალმასობის» ფილოსოფიური ნაწილის გამოკვლევა და ლექსიკონი (კრებული „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ნარკვევები“, IV, 1974, გვ. 79—94).

ლი არს და სიბრძნე» (I კორ. 1,24). გარნა ესეცა მოყუარება სიბრძნისა მოიგების სწავლულებითა, რომელსაცა სწამებს მცნობელნი და უფროსდა გულის-ვმის-ყოფლობაცა. ხოლო კერძონი სწავლულები სანი, რომელნიცა მიიწოდებებიან ბუნებითისაგან გულის-ვმის-ყოფისა, არიან ესენი: ცნობა ისტორიკებრი, ცნობა ფილოსოფოსებრი და ცნობა მათიმათიკოსებრი, რომელნიცა წინა დავსხნე მკითხველთადმი მომხმელმან ფილოსოფოსებითა განსაზღვრებათა ახალთა ფილოსოფოსთასა და რომელთამე ძუელთაგანცა.

ცნობა ისტორიკებრი არს ცნობა საქმეთა ოდენ.

ცნობა ფილოსოფოსებრი არს ცნობა მიზეზი ნივთთა მათ, რომელნიცა არიან ანუ იქმნებიან. და ესე უკუე საზღვარი ახალთა ფილოსოფოსთა: ხოლო ციცერონ განსაზღვრებულ ჰყოფდა ესრეთ, მიმღებელი განსაზღვრებათაგან პლატონისთა: «ფილოსოფია არს ცნობა საღმრთოთა და კაცობრივთა საქმეთა და მიზეზთა მათთა». ხოლო პლატონ, განსაზღვრებელი ფილოსოფიისა დასასრულისაგან — «ფილოსოფია არს მსგავსება ღმრთისა, რაოდენ ძალუძს კაცსა» — იტყოდა: «რამეთუ ღმერთსა მრჩობლი ჰქონან მოქმედებანი: რომელნიმე — მეცნიერებიანი, რომელთაებრ ყოველნი უწყის, ვითარ სიტყვს-მოქმედნიცა დაჰნიშენენ მეტყუელნი: ხოლო ღმერთთა ყოველნი უწყიან, ხოლო რომელნიმე — წინა-განმგებლობითნი უკინესთანი, რომელთაებრ ყოველი სოფელი წინა განეგების, ვითარცა სიტყვს-მოქმედნი იტყვან: ღმერთი — მომცემელ კეთილთა. ხოლო ფილოსოფოსსა ორისაებრვე ჰნებავს თავის თვისისა [მი]მსგავსებად ღმრთისა, რამეთუ ჰნებავს მხედველ-ყოფადაცა ყოველთა, რამეთუ ყოველთა ზედა დასჭურეტს და თანად წინაგანგებასაცა ჰყოფს უკინესთასა, რამეთუ სამოქალაქოთა ფილოსოფოსი მსაჯულობს და სჯულთა დასხამს, ვინცა (ანუ მაშასადამე) [სამართლად] მსგავსება ღმრთისა არს ფილოსოფია». ამისთვის სადამე განსაზღვრებს ფილოსოფიასაცა მცნობელად მიზეზთა ნივთთასა ჰაზრი ახალთა ფილოსოფოსთა. კუალად, თუ სადმე იცნის ვინ ნივთთა თვთეულთა არსებანი, რომელნიცა მოიგონნა ღმერთმან საუკუნითგან ყოვლად წმიდითა მით გულის-ვმის-ყოფითა თვისითა, ცნობა არსებათა მათთა არს ფილოსოფია. მაგალ., ნერგი არს ორძილობითი ცხოველი უგარძნობელი.

აჰა, ცნობა ფილოსოფოსებრი!

ცნობა მათიმათიკებრი არს ცნობა რაოდენობისა ნივთთაჲსა, ოდეს-იგი აღსავალთა და რაოდენობასა ვითარებითსა სიხარული-



სასა, რომელთა მეგობარი შენი იხარებს. ძალ-ვიძს განსაზღვრებდა და ამას მეცნავი ხარ, თუ რაოდენ მრავალნი და რაოდენ ცხოველნი წარმოდგინებანი შეებათანი სათანადო არიან შემთხვევად. თუ სადამე აღსავალსა ამას შინა და არა სხუასა უკმს განღვებად სიხარულსა მეგობარსა შორის შენსა, მაშინ გაქუს სადმე მათიმათიკებრი ცნობა სიხარულისა“.

აქ ანტონი ყურადღებას ამახვილებს ფილოსოფიის ძველ და ახალ ფილოსოფოსთა განსაზღვრებებზე. მათგან პლატონის განმარტება და მისი დასაბუთება მთლიანად ამოღებულია ამონიოს ერმისის ზემოთ განხილული ტრაქტატიდან, ხოლო „ახალთა ფილოსოფოსთა“ განსაზღვრება — ფრიდერიკოს ბაუმისტიერის „ლოლიკიდან“, რომელსაც შესავლად უძღვის მსჯელობა ფილოსოფიის არსისა და საგნის შესახებ. აქ ანტონს უყურადღებოდ აქვს დატოვებული დავით უძღველის „წიგნი საზღვართა“, რომელიც მისთვის კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი სომხურად და ქართულად. როგორც ითქვა, ეს წიგნი სომხურიდან ჩვენს ენაზე ითარგმნა XVIII საუკუნის 60-იან წლებში და მისი გავლენის ხანგრძლივობა შემოიფარგლა მხოლოდ ნახევარი საუკუნით (ანუ მისი თარგმნის დროიდან იოანე ბაგრატიონის „კალმასობის“ დაწერამდე). ასეთივე ბედი ეწიათ დავით უძღველის ნაწერების სხვა ქართულ თარგმანებს, აგრეთვე არისტოტელესა და იოანე პეტრიწის ფილოსოფიური შრომების ძველსომხურ თარგმანთა ქართულ თარგმანებს, რომლებიც საქართველოში გავრცელდნენ XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სომხურენოვან მწიგნობართა მთარგმნელობითი მოღვაწეობის შედეგად. ამგვარი მთარგმნელობითი საქმიანობა იყო ერთ-ერთი დროებითი ნაკადური მოვლენა, რომელიც შორსსა ქართული ფილოსოფიური აზრის განვითარების მაგისტრალური ხაზიდან, და ამიტომაც მისი გავლენის არეალი მალე შეიზღუდა კიდევ. სამაგიეროდ ძველი ქართული ფილოსოფიური ტრადიციების განახლებამ და რუსულის გზით ახალი ევროპული ფილოსოფიის გაცნობამ, რომელთა მესვეურებად გვევლინებიან XVIII საუკუნეში ანტონ ბაგრატიონი, ხოლო XIX საუკუნის 20—30-იან წლებში — სოლომონ დოდაშვილი, დიდად შეუწყო ხელი ევროპული განმანათლებლური იდეებისა და გერმანული კლასიკური ფილოსოფიური მოძღვრების გადმონერგვას.

მცხედელ ჩემოვანი

„ქორქუთის წიგნი“ და ქართული საგმირო ეპოსი

„ოლუზური ეპიკური ძეგლი „დედე ქორქუთი“, ანუ „პაპა ქორქუთის წიგნი“, სრული სახით პირველად 1950 წელს რუსულ ენაზე გამოაქვეყნეს აზერბაიჯანელმა მკვლევარებმა ჰ. არასლიმ და ჰ. თაჰმასიბმა. თარგმანი შესრულებულია ვ. ვ. ბარტოლდის მიერ. წინასიტყვაობაში იგი მკვლევარებმა აზერბაიჯანული ხალხური შემოქმედების ნიმუშად მიიჩნიეს.

1962 წელს ამ თარგმანის აკადემიური პუბლიკაცია განახორციელეს ვ. მ. უირმუნსკიმ და ა. ნ. კონონოვმა¹ და მას „ოლუზური საგმირო ეპოსი“ უწოდეს.

ამდენად „ქორქუთის წიგნი“ არ მიეკუთვნება ერთ რომელიმე ხალხს, არამედ იგი საერთო კულტურული მემკვიდრეობაა იმ ერებისა (თურქმენები, აზერბაიჯანელები და თურქები), რომელთა ჩამოყალიბებაში წვლილი მიუძღვით ოლუზებს².

არსებობს აგრეთვე ჰ. ქოროლდის მონოგრაფიული გამოკვლევა ამ თემაზე³.

„პაპა ქორქუთის წიგნის“ ორი ხელნაწერი არსებობს: ერთი დრეზდენში აღმოჩნდა, რომელიც 12 თავისაგან შედგება. ბოლო გვერდზე მას ოსმან-ფაშას გარდაცვალების თარიღი — 1585 წ. უზის. მეორე ვატიკანში აღმოჩნდა, რომელიც 6 თავისაგან შედგება, იგი 1591 წელს კაიროში ჰქონიათ, 1615-16 წწ. კი იერუსალიმში.

¹ Книга моего деда Коркута. Огузский героический эпос, перевод акад. В. В. Бартольда. Издание подготовили В. М. Жирмунский, А. Н. Кононов, изд. АН СССР, 1962. ტექსტში ამ გამოცემის გვერდებს მივუთითებთ.

² Кратк. литер. энциклопедия, III, М., 1966, с. 546.

³ Х. Короглы, Огузский героический эпос. «Наука», 1976.

ეპოსის ლიტერატურულად გაფორმების დროდ ვ. ბარტოლდი XV ს. მიიჩნევს (გვ. 120); ვ. მ. ყირმუნსკი ამას ეთანხმება⁴, პ. ქორჭეთის ლი კი მეთექვსმეტე საუკუნისაკენ იხრება⁵.

„პაპა ქორჭეთის წიგნი“, საერთოდ ოლუზების ეპოსი, ყოველთვის ინტერესს იწვევდა ქართულ ფოლკლორისტიკაში. „ოლუზ-ნამე“, ანუ „ოლუზის წიგნი“ უილერული ენიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლია ჩლაიძემ⁶, ხოლო ქორჭეთის წიგნის IX სიმღერის ზოგი პრობლემა ქართულ სამონადირეო ეპოსთან კავშირში აღძრა ელ. ვირსალაძემ⁷. თვითონ ძეგლის თურქული ვერსიის ნაწილობრივი თარგმანი გამოქვეყნებულია „არმალანის“ მეორე და მესამე წიგნებში გ. შაყულაშვილისა და ე. ჯაველიძის მიერ.

„ქორჭეთის წიგნის“ IX სიმღერის კავშირს ქართულ სინამდვილესთან ადასტურებენ ფოლკლორულ-ისტორიული ხასიათის საბუთები.

ამ სიმღერაში საქართველო სამჯერ არის ნახსენები. პირველ აბზაცში ნათქვამია: „მოიღეს საქართველოს ცხრა ღუმენის ხარკი: ერთი ცხენი, ერთი ხმალი, ერთი კვერთხი“ (გვ. 83). აქ მარტო მხატვრულ გამოთქმასთან არა გვაქვს საქმე. მასში მწარე ისტორიული სინამდვილეა არეკლილი; საქართველო, ქართველი ხალხი ამ შემთხვევაში მოხარკეა, მაშასადამე, ის დალაშქრული და დაპყრობილია.

ღუმენი ადმინისტრაციული და საგადასახადო ერთეული იყო, რომელიც მონღოლებმა შემოიღეს შუა აზიაში, ირანსა და ამიერკავკასიაში. ქართული წყაროები საშუალებას იძლევიან განისაზღვროს, რა დროიდან დამკვიდრდა ჩვენში ამგვარი დაყოფა და როდის შეექმნა ქორჭეთის წიგნში შესულ ცნობას არსებობის საფუძველი.

„ღუმენი“, ანუ „ღუმანი“ „ათი ათასს“ ნიშნავს. „უამთაღმწერლის“ ცნობით: „გამოვიდა სამეფოსაგან დავითისა ცხრა ღუმანი მკედარი, თათართა თანა წარმავალი, რომელ არს ცხრა ბევრი“⁸, ე. ი. თათრებმა, ანუ მონღოლებმა, საქართველოდან 90 000 მხედარი გაიყვანეს.

ქართველი ანონიმი ისტორიკოსის მიერ „ცხრა ღუმანის“ ხსენება

⁴ В. Жирмунский, დას. შრ., გვ. 63.

⁵ Х. Корогли, დას. შრ., გვ. 5.

⁶ „ოლუზ-ნამე“, თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლია ჩლაიძემ „მეცნიერება“, 1974.

⁷ Е. В. Вирсаладзе, Грузинский охотничий миф и поэзия, М., 1976, с. 99.

⁸ ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედ. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1956, გვ. 235.

ემთხვევა ოლუზური ეპიკური ძეგლის გამოთქმას. ასეთ შეხვედრას ისტორიული რეალიის მნიშვნელობა ენიჭება. ქამთაალმწერლის რეზონანსით ღუმენების სიის შედგენაც ხერხდება.

„და განაჩინეს თათართა ბევრისა მთავარი, რომელსა ღუმენის თავად უწოდეს, და გამოაჩინეს მთავარი“.

მემატინან „ღუმენის თავებსაც“ იქვე ჩამოთვლის:

„პირველად ეგარსლან ბაკურციხელი, კაცი ღრმად მოუბარი, ხოლო არა ნიჭთა მჭონებელი საკმართა, და მას ველთ უღვეს სპა ჰერეთისა და კახეთისა და კამბეჩიანისა, ტფილისითგან და აღმართ ვითარ მთამდე შამახიისა; და შანშეს ველთ უღვეს მამული მისი და ავაგისი; ვარამ გაგელსა ველთ უღვეს ყოველი სომხითი, გრიგოლ სურამელსა—ქართლი და გამრეკელსა თორელსა მსგავსადვე ეგარსლანისასა საჭაბუკოთა შინა, ველთა უღვა ჯავახეთი, სამცხე და აღმართ, ვიდრე კარნუ-ქალაქამდე. ხოლო ცოტნე დადიანსა და რაჭის ერისთავსა—ყოველი იმერი სამეფო“⁹. აქ შვიდი ღუმენი ჩანს, ეტყობა, იგი სრული არ არის ან აღმინისტრაციული დაყოფა ამ დროისათვის დაუმთავრებელი იყო¹⁰.

ქორქუთის ნაამბობში ცხრა ღუმენი კიდევ ორჯერ იჩენს თავს:

ა) „მოემზადა საქართველოს ცხრა ღუმენში გადასასვლელად“ (გვ. 84) და ბ) „ჩუენ საკუთარი ხალხითა და ტომით ავიყაროთ აქედან, გადავიდეთ საქართველოს ცხრა ღუმენში“ (გვ. 85).

ჩანს, ღუმენებად დაყოფილ ქართველთა ქვეყანას ქორქუთის მოთხრობების ავტორი თუ გადაამკეთებელი მშვენივრად იცნობს, იმედი აქვს თავშესაფრის მიღებისა და დახმარებისა. განსაკუთრებით ეს უკანასკნელი გარემოებაა აღსანიშნავი.

საქართველოს ფარგლებში შემოსვლას ბეგილი თავისი ტომითა და ხალხით არა უბრალო სამსახურებრივი, ვთქვათ, როგორც ზოგჯერ ამ ებოსშია საუბარი, სასახლვრო მეთვალყურეობის მიზნით აპირებს, არამედ, პირიქით, თავისი ხანის — ბაინდურის მფარველობიდან გამოსვლისათვის, ე. ი. აჯანყებასა და განდგომას იწყებს. სწორედ ასეთ სიტუაციაში მოეშურება საქართველოსაკენ, რომ თავი შეაფაროს, მოკავშირე და მფარველი იპოვოს. ამით ახალი სიტუაცია ინასკვება: ჩანს, თვითონ საქართველოშიც არსებობს ანტიმონღოლური მოძრაობა, რომელ-

⁹ ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის რედაქ. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1956, გვ. 207—8.

¹⁰ ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, „მეცნიერება“, 1973, გვ. 106.



საც შეიძლება გარედან, სხვა დაპყრობილი ქვეყნებიდანაც შემოუერთდნენ და საერთო ფრონტი შეიქმნას! ამგვარი დაძაბული სიტუაცია საქართველოსა და მონღოლების მიერ დაპყრობილ სხვა ქვეყნებშიც ბევრია ცნობილი. მოვიყვანოთ ორი ისტორიული ფაქტი:

ერთი საქართველოში მიმდინარეობს, მეორე კი სათავეს მის გარეთ იღებს, მაგრამ საბოლოო სახეს საქართველოს მიწა-წყალზე ღებულა. პირველია კონტასთავის 1247 წლის შეთქმულება და ცოტნე დადიანის გმირობა, მეორე — 1269 წელს აბალა ყაენის წინააღმდეგ თეგუდარის განდგომა და დასავლეთ საქართველოში დავით-ნარინის მიერ მისი შეფარება¹¹. აღნიშნული გამოსვლები დრამატულ სიტუაციებში მიმდინარეობდა და ფართოდ ვახშაურდა. ამიტომ ბუნებრივია დავასკვნათ, რომ „ქორქუთის წიგნის“ IX სიმღერაში ნახსენები საქართველო რეალური ქვეყანაა, ცნობა კონკრეტულ-ისტორიულ გარემოში აღმოცენებულ სიტუაციას ემყარება.

ისტორიული სინამდვილის ამსახველ ცნობათა კატეგორიას მიეკუთვნება აგრეთვე თქმულების ტოპონიმები. მაგალითად, ბარდა და განჯა. ხანისაგან დასაჩუქრებული და 300 სახელოვანი ჯიგითი ზურგგამაგრებული ბეგი „დაიდრა ოღუზთა მხარიდან ბარდასა და განჯისაკენ, იქ დასახლდა“ (გვ. 84). მაშასადამე, დაბინავდა, ბანაკი დასცა. იქვე ძეგლში ნათქვამია: ეს ბეგი „მოემზადა საქართველოს ცხრა დუმენში გადასასვლელად“. ამ ერთგვარი განმარტების მიხედვით, უნდა ვიგულისხმოთ, რომ, როცა „ბაბა ქორქუთის წიგნის“ IX თავი იწერებოდა, განჯა და ბარდავი არ შედიოდა საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში და აზერბაიჯანის ტერიტორიის სუვერენულ ნაწილს წარმოადგენდა. ისტორიულად ეს უფრო გვიან მოხდა, დაახლოებით XVI საუკუნის პირველ ნახევრამდე. ამგვარად, ტოპონიმიკური ორიენტირის თანახმად, ქორქუთის თქმულების IX თავი აღნიშნულ თარიღზე გვიან ვერ გაფორმდებოდა.

ახლა გავიხსენოთ, როგორ იქნა დატყვევებული ქართველ მოლაშქრეთა მიერ ყაზან-ყაენის შვილი ურუხ-ბეგი.

ყაზანმა მორიგი წლიური ნადიმის დროს დიდძალი საჩუქრები გასცა და გაიხარა. მარჯვნივ და მარცხნივ სახელოვანი მეომრები უსხდა. წინ გაიხედა და 16 წლის ვაჟიშვილი დაინახა, გული შეეკუმშა და

¹¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1949, გვ. 137, 193—98.



ატირდა. ამის მიზეზს მამა-შვილის საუბრიდან ვიგებთ: „როგორც კი წინ გავიხედე, შენ დაგინახე, 16 წელი იცხოვრე შენ; სიკვდილის მომიახლოვდა მე, შენ დარჩები; აქამდე მშვილდი არ დაგიჭიმავს, ისრები არ გისროლია; სისხლი არ დაგიღვრია; მამაც ოღუზთა შორის ჯილდოები არ მიგიღია. ხვალ დრო შეიცვლება: მე მოვკვდები, შენ დარჩები; ჩემ გვირგვინს, ჩემ ტახტს შენ არ მოგცემენ! ეს გავიფიქრე და ავტირდი“. მამის შეშფოთება შვილმა არ გაიზიარა: სიდიდით აქლემის ოდენა ხარ და ჭკუა პატარა გქონიაო. შენგან ისეთი რა ვნახე, მესწავლაო. ყაზან-ბეგმა გადაწყვიტა, აჩვენოს პირმშოს საქმენი საგმირონი: ჯერ სანადიროდ გაიწვიოს, მერე კი ლაშქრობაში მიაღებინოს მონაწილეობა. მისი გამართვა კი დაპყრობილ ქვეყანაშია ნაგულისხმევი.

სანამ ოღუზები ნადირობით ერთობოდნენ, მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნის მეთაურები თვალს ადევნებდნენ მტრის საეჭვო მოძრაობას საზღვრებისაკენ! „ქორქუთის წიგნის“ მე-4 თავში ნათქვამია:

„ამ დროს ბაში-აჩუკ ქართველების, დადიანის ციხე-სიმაგრიდან, ახალციხის ციხე-სიმაგრიდან ურწმუნოთა მზვერავი გამოვიდა, დაინახა ისინი (ყაზანის მოლაშქრენი), მოვიდა მეფესთან და უთხრა: — რას უხიხარ? კიდევ არ აიძულე შენი ძალო, ყმუილი დაეწყო? არ აიძულე შენი კატა კნავილი დაეწყო? რაინდთა მეთაური ყაზანი შვილთან ერთად მთვრალი წევს“. გიაურების, ანუ ქრისტიანების მეფემ 16 ათასი მეომრით თავდასხმა მოაწყო, დახოცა რჩეული ჯიგიტები, დაატყვევა ყაზანის ვაჟი ურუზ-ბეგი და მისი დედა.

აქ ყველაზე რეალური ბაში-აჩუკ დადიანისა და ახალციხის ციხე-სიმაგრის ხსენება ჩანს. ერთიცა და მეორეც საქართველოს სინამდვილიდან არის შესული ოღუზთა სიტყვიერებაში, და, მასასადამე, ქორქუთის წიგნშიც. ნაწარმოებში ფართო პლანით დახატული ყაზანიც ისტორიული პირია, რომელმაც ყაენობა 1296 წელს, დავით VI მეფობის დროს მიიღო.

ურუზ-ბეგი მამას, ყაზანს, ეუბნება: ომის მოყვარულ აფხაზ ხალხთან წავალო (გვ. 49). ვ. ბარტოლდის აზრით, „აფხაზი“ აქ „ქართველის“ მნიშვნელობით არის გამოყენებული¹². ვფიქრობთ, იგი უფრო ვიწრო გაგებითაა ნახმარი, სახელდობრ, დასავლეთ საქართველოში

¹² В. В. Бартольд, Турецкий эпос и Кавказ. «Книга моего деда Коркута», 1962, с. 115.

მცხოვრებ ქართველებს ნიშნავს. ასეთი დასკვნის საფუძველს თვითონ ქორქუთის წიგნი იძლევა, რადგან მასში ხშირად გვხვდება გურჯინების საქართველო აღმოსავლეთელ ქართველთა საცხოვრისის აღსანიშნავად. განვიხილოთ „სიმღერა იმაზე, თუ როგორ იქნა განადგურებული სალორ-ყაზანის სახლი“. იგი შემდეგ დიალოგს შეიცავს: „ერთი მწუხარება დაგვრჩა ყაზან-ბეგზე მისაყენებელი“. მეფე შიუკლი ამბობს: „სთქვი, აზნაურო, რა მწუხარება დაგვრჩა?“ (გვ. 23). სოციალური შინაარსის ტერმინი „აზნაური“ აქ აშკარად ქართული სინამდვილის ანარეკლი გახლავთ. „ქორქუთის წიგნში“ ეს სიტყვა დიდგვაროვანი დიდებულის მნიშვნელობითაა გამოყენებული, რადგან აზნაური მეფეს წარუდგება და ლაშქრობის შედეგებს მოკლედ მოახსენებს.

* * *

ხალხური შემოქმედების ნიშანდობლივი მოვლენების განხილვის დროს ერთმანეთისაგან უნდა განვასხვავოთ საერთო ეპიკური და კერძო ამირანოლოგიური მოვლენები. არის თუ არა რაიმე ქართული ეპოსიდან შესული ქორქუთის თქმულებაში?

საერთო ეპიკური ტრადიციითაა განსაზღვრული თვითონ ძეგლის სახელწოდება: „პაპა ქორქუთის წიგნი“.

„წიგნი“ პაპა ქორქუთის დახასიათებით იწყება. მაგრამ იგი მოთხრობის ჩვეულებრივი გმირი არ არის, არამედ სხვის თავგადასავალთა მომთხრობი და აღმრიცხველია მხოლოდ. პაპა ნამდვილი გულთმისანია, ხალხური სიბრძნის შესაშური მცოდნე. ეს ყველა მის თქმულებასა და სიმღერაში გამოსჭვივის. ქორქუთი მოძღვარიცაა, მასწავლებელიც, შემგონებელიც, მთქმელის სიბრძნე კი იგივე ხალხის სიბრძნეა.

„შესავალი“ მთქმელს არ ეკუთვნის, რადგან სავაჟკაცო ამბავთა თხრობას საკუთარი პერსონის შექებით არ დაიწყებდა.

ღვთისმოციქულის (მუჰამედის) დაბადების ახლო ხანებში ბაიათის ტომიდან გამოვიდა კაცი, რომელსაც „ქორქუთ-ათა“ (მამა ქორქუთი) ერქვა. „ოღუზთა შორის იგი პირველი კაცი იყო, მან ყველაფერი იცოდა; რასაც იტყოდა, ყველაფერი ახდებოდა“. წინასწარმეტყველებამ და მართალმა გულმა დიდი გავლენა მოუპოვა. თეთრწვერა აქსაკალი საერთო საქმის უებარი გამრჩევი იყო.

„წიგნის“ დასაწყისში ვკითხულობთ: „ქორქუთ-ათა ოღუზებს ყოველგვარ გასაჭირში შევლოდა. რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ მის-

თვის რჩევა არ ეკითხათ! ყველაფერს, რასაც ურჩევდათ, ასრულბ-
დნენ!“

ქორქუთის მოქმედების საფუძველი კოლექტიური სიბრძნე და ტრადიციაა. შეგონების წყაროც ფოლკლორიდან მოდის. აქ მრავალი ხალხური ანდაზაა ჩამოთვლილი. პაპა ქორქუთი ამბობდა: „მკვდარი არ გაცოცხლდება“, „ამაყი ადამიანი ღმერთს არ უყვარს“, „ძველი მტერი მეგობარი ვერ გახდება“, „შვილი მამის მაგალითის გარეშე საჩუქარს არ ვასცემს“... შეგონების ფორმულები სხვადასხვანაირია. მომღვენო წინა ნიმუშისაგან განსხვავებული ჩანს: „პაპა ქორქუთმა კიდევ თქვა: ვისაც აღმართ-დაღმართზე მგზავრობა არ შეუძლია, ის კავკასიურ ცხენ-ზე ნუ შეჯდება“ და სხვ.

შინაარსის მიხედვითაც შეიძლება ანდაზების დაჯგუფება: საყოფა-ცხოვრებო, რელიგიური, სამხედრო, სამეურნეო და სხვ.

ქორქუთი სახალხო მომღერლის ზოგად ტიპს განასახიერებს. ვ. მ. ყირმუნსკის დასკვნით: „ქორქუთი კრებითი სახელია“¹³. ყოველი ამაღლებული მხატვრული სახე და ტიპი ამავე დროს კონკრეტულიც შეიძლება იყოს. ზოგი მისი ნიშან-თვისება მოსალოდნელია დაემთხვას რომელიღაც ადამიანის ცხოვრებასა და თავგადასავალს. მაგრამ პაპა ქორქუთს ისევე არ ჰყავს პროტოტიპი, როგორც ბერძენ დემოდოკეს „ოდისეაში“, ქართველ მესტიერეს „არსენას ლექსში“, ფინელ ვეინე-მეინენს „კალევალაში“, რუს ბაიანს „იგორის ლაშქრობაში“ და ა. შ. თუმცა ზოგჯერ მხატვრულ ნაწარმოებებში სახალხო მომღერალთა დამახასიათებელ სახეებს წინ უსწრებენ რეალური ადამიანები, როგორც მაგ., ალექსანდრე ყაზბეგის ღინჯას („ელგუჯა“) ხევში კარგად ცნობილი მოლექსე ღინჯა ხულელი, რომელსაც მწერალი პირადად იცნობდა და მისგან ფოლკლორული ტექსტებიც ჩაუწერია¹⁴.

ქორქუთის აზრით, სადა სიტყვა და საამო ხმა აქ სიუჟეტების განვითარების საშუალებას წარმოადგენს. იგი აკავშირებს, მთლიანობას ანიჭებს შინაარსითაც და განწყობილებითაც ერთიმეორისაგან დაშორებულ მოვლენებს. ამის გამო მოხუცი პაპის ფუნქცია თავიდან ბოლომდე გასდევს თხზულებას, მამოძრავებელი ღერძის მოვალეობას ასრულებს. ვ. ბარტოლდი ამბობდა: „ქორქუთი გმირი კი არა, პატრი-

¹³ В. Ж и р м у н с к и й, Тюркский героический эпос, «Наука», 1974, с. 558.

¹⁴ მ. ჩიქოვანი, ქართული ხალხური სიტყვიერების ისტორია, I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; 1975, გვ. 24.

არქია, ხალხური სიბრძნის მთავარი დამცველი და გამომხატველი; მის მორალურ შეგონებას მთელი ხალხი ემორჩილება¹⁵.

მოხუცი მომღერლის გამოჩენა სასიამოვნო გრძნობას იწვევს მსმენელებში. მას ახალი ამბავი მოაქვს ყოველთვის: „მოვიდა პაპა ქორქუთი და სამხიარულო სიმღერა დაუკრა“. პირველი მზერა ქვეყნის მმართველ ხანს მიაპყრო. მის სახეზე მკმუნვარება ამოიკითხა. „ჩემო ხანო, რისთვის დანაღვლიანიდი?“ — ჰკითხა მაშინვე, რადგან მის წარმოდგენაში მეთაურის უგუნებობა ოღუზი ხალხის ბედზე დაფიქრებას მოასწავებდა. უცდომელი ფსიქოლოგი არის მოხუცი; შესწავლილი ჰყავს ურდოს შემადგენლობა და პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ეჭვიან ხანთა ზნეს იცნობს. ალლო არც ამ შემთხვევაში ღალატობს. გაიგებს თუ არა, გურჯისტანიდან მოტანილი მცირე ხარკის გამოა დანაღვლიანებული ხანიო, ურთიერთობის გაუმწვავებლად ცდილობს სიტუაციის განეიტრალებას.

ხალხური მგოსნის მძიმე მოვალეობა ყოველმხრივ აქვს გათვალისწინებული ქორქუთს. „შესავალში“ დავიწყებული არ არის მის მსგავსთა უფლება-მოვალეობანი. „კალმასობის“ ოთარა ხუმარასავით, ქორქუთი „კობზით“* ხელში, ხალხიდან ხალხში, ბეგიდან ბეგამდე დადის მომღერალი; ვინ არის ვაჟკაცი ან მხდალი — იცის მომღერალმა; დღესასწაულების დროს, ხალხსა და ნათესავებში, სიმებს აჩქამებს მომღერალი“ (გვ. 12).

ქორქუთის განუყრელი თანამგზავრია კობზა, ვით ჩვენებური მეჩონგურესათვის ჩონგური, ან მესტვირესათვის სტვირი. თვით ინსტრუმენტი ფართოდ არის გავრცელებული აზიასა და ევროპაში. კობზის დამკვრელი მარტო სამხედრო საქმეთა მომღერალი არაა, იგი სამოქალაქო ცხოვრებაშიც იღებს ცხოველ მონაწილეობას, მაგალითად, ქორწილში. მომღერალი არაა უბრალო შემსრულებელი, იგი ავტორ-მთქმელია, შესაბამისად მისი ფუნქცია თანდათან იზრდება ძეგლის ფარგლებში. ამრიგად, პაპა ქორქუთს პროფესიული მომღერლის ნიშნები ახასიათებს და მისი შემოქმედება უზნანთა — ნამდვილ პროფესიულ შემსრულებელთა რეპერტუარში მკვიდრდება (გვ. 113).

ქორქუთის წიგნის IX თავის გაცნობისას გვახსენდება ქართული ხალხური ნაწარმოები „ამირანიანი“, რასაც სათაურში მოხსენიებულ

¹⁵ В. В. Бартольд, Китаби Коркуд, I, ЗапВОРАО, т. VIII, 1894.

* მუსიკალური საკრავია.



გმირის სახელიც მიგვანიშნებს: „სიმღერა ბეგილის შვილ ამრანზე“.
 „ამრანი“ სხვა ენობრივ გარემოში ჩამოყალიბებული იგივე „ამირან-
 ნია“. ამას ამირანის თქმულების თანამედროვე გეოგრაფიული ვაგრცე-
 ლებაც ადასტურებს: ამირანს ოსები ხშირად ამრანის ფორმით იხსე-
 ნიებენ, როგორც წერილობით, ისე ზეპირსიტყვიერ წყაროებში¹⁶. კრე-
 ბულში „ოსური ხალხური შემოქმედების ძეგლები“ მოთავსებულია
 ჩანაწერი სათაურით „Амрани таурат“¹⁷. ზოგ მკვლევარს ეს სახე-
 ლი ბიბლიური წარმოშობის ეგონა: ამირან-ამრან-აბრაამ და მოითხოვ-
 და მის მართებულ დაწერას: ოსთა წარმოთქმაში (Амуган) „у“ იკარ-
 გება და „ამრან“ უნდა ვწეროთ¹⁸. ამგვარად, ოღუზების ეპიკურ
 ძეგლში ფიქსირებული სახელი Amran პირდაპირ დადასტურებას
 პოულობს ირანულენოვანი ოსი ხალხის დარეჯანიანთა თქმულებებში,
 ამ უკანასკნელის საფუძველს კი ქართული ფოლკლორი წარმოადგენს.
 ქორქუთის წიგნიდან ცხადია, რომ ოღუზური ეპოსის მთქმელი იცნობს
 საქართველოს, მის ისტორიას, ხალხს, რელიგიას, ზეპირსიტყვიერებას.
 წერილობით წყაროებთან ერთად მას ფოლკლორულ შემოქმედებაზეც
 მიუწვდებდა ხელი. ყოველივე ეს ზეპირი ინფორმაციის გზითაც შეეძლო
 მიეღო ქართველებთან ცოცხალი კონტაქტების საფუძველზე. შესაძლე-
 ბელია ქართული სახელი სხვადასხვა ენაზე პარალელურად განიცილიდა
 ფონეტიკურ ცვლილებებს.

როგორც ქორქუთის ეპოსის შესანიშნავმა მკვლევარმა ვ. ყირიმუნ-
 სკიმ დაასკვნა: „სახელი ამრან“ (ვატიკანურ ხელნაწერში — ემრან) კავ-
 კასიური წარმოშობისაა, ის გვაგონებს „კავკასიურ პრომეთეს“, ამირა-
 ნის, ანუ ამრანის სახელს, რომელიც ცნობილია საქართველოსა და
 ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ეპოსისა და ფოლკლორის მიხედვით“
 (გვ. 230). ჩანს, „ამრან“ თურქულ-ირანულ ენობრივ გარემოში გან-
 მტკიცებული „ამირან“-ის შეკუმშული ფორმაა, ფუძე „ამირან“ ძვე-
 ლია. იგი აპოლონიოს როდოსელის დროიდან ბერძნულ და ლათინურ
 წყაროებშიცაა დადასტურებული — „ამარანტა“, ამარანტოი, «ამა-

¹⁶ Памятники народного творчества осетин, V. г. Орджоникидзе, 1941, с. 235.

¹⁷ Амран. Перевод, обработка и комментарии Д. Гатуева, 1932, с. 20.

¹⁸ მ. ჩიქოვანი, ქართული ეპოსი, II, „მეცნიერება“, 1965, გვ. 141.

რანუს» ფორმების სახით¹⁹ და პრომეთეს მითს პრობლემას უკვე შეიძლება²⁰.

გავეცნოთ ოღუზური ამრანის სახეს სიუჟეტის მიხედვითაც. ამრანის მუდმივი ეპითეტია „ბაჰადურ“. სიტყვა შეიძლება მონღოლური წარმოშობის იყოს და გოლიათს, დევგმირს, ბუმბერაზს, ვაჟკაცს ნიშნავს. მთქმელის წინასწარი რეკომენდაცია გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის: მიძიმედ ავადმყოფი მამა წუხს, რომ მოზრდილი ვაჟი არ ჰყავს და იცის, იქნებ ისეთი ვითარება შეიქმნას, ჭაბუკობის ოქროს დღეები გაუხდეს სანატრელი! ეს მაშინ მოხდება, თუ ღირსეული მემკვიდრე არ ეყოლება. ირკვევა, ამრანი ზრდითაც ნამდვილ ეპიკურ გმირს ჰგავს; ადრე ჭაბუკდება და გაჭირვებაში ჩაეარდნილ მამას ჯეროვნად ეხმარება. „ბეგილის შვილი ამრან-ბაჰადური მამამისს წინ მიეგება, როგორც კი დაინახა, რომ მას სახე გაყვითლებია და ჩაღმის სახვევებიც კისერზე ჩამოშლია“ (გვ. 85). თანაგრძნობით ხვდება მცირეწლოვანი შვილი ავადმყოფ მამას. საინტერესო დიალოგი იმართება მათ შორის. საუბარი აღმოსავლური სტილის დასტანური ხასიათისაა. შვილი კითხულობს:

„—შენ შეჯექი შავფაფარიან კავკასიურ ცხენზე; შენ გაემგზავრე სანადიროდ ჩვენ მხარეზე ჭრელი მთის ძირას. იქნებ შავად მორთულ გიაურებს შეხვდი? იქნებ შენი ნათელთვალემა ჯიგიტები დაგელუშა? ბაგეებით, ენით მომაწოდე რამდენიმე სიტყვა მაინც, ან ცნობა! დეე, შეიქნეს ჩემი უბედური თავი, ძვირფასო მამაე, შენი მსხვერპლი!“

—ჩემო შვილო, შვილო! მე წამოვიწიე და ჩემი ადგილიდან ავდექი. მე სანადიროდ წავედი დიდი მთების წინამხარეს. შავად ჩაცმული გიაურები არ შემხვედრიან, ჩემი ნათელთვალემა ჯიგიტები არ დამილუპავს; ისინი უვნებლად არიან. ნუ დარდობ, შვილო! უკვე სამი დღეა ფრინველთა სანადირო ადგილებში აღარ შევსულვარ, ჩამომსვი ცხენიდან, ჩამაწვინე ჩემს ლოგინში!“

სახალხო მომღერალი ამრანის შექებასაც არ ივიწყებს: „ლომისა ლეკვი — თვითონაც ლომია!“

ნადირობიდან დაბრუნებულ ბეგილს ცოლმა ფეხის მოტეხის ამბავი ათქმევინა და მსტოვრებმა ეს ამბავი მტერს მიუტანეს. თეძოლამსხვ-

¹⁹ ა. როდოსელი, არგონავტიკა, აკ. ურუშაძის გამოცემა, „მეცნიერება“, 1970, გვ. 346—47.

²⁰ M. Tschikovani, Das Buch vom Helden Amirani. Überzt. Heinz Fähnrich. 1978. G. Kiepenheuer verlang. Leipzig und weimar, S. 181.



რეული და ლოგინად ჩავარდნილი ბეგილი დარიგებას აძლევს შვილს, რომ ახლავე წავიდეს ყანთან, მიიღოს დამხმარე ძალა და შეთქმულ გიაურთა მეფე შიუკლის ეკვეთოს. ამრანის პასუხი აქაც მამაცურია. შვილი სრულ საბრძოლო საჭურველს მოითხოვს, რადგანაც ომში ნაცადი იარაღი და აღჭურვილობა გამარჯვების საწინდარია. ასეთი პირობის წამოყენება რჩეულთა ხედვრია. ეპიკურ წესზე ყველაფერი რიგის მიხედვით უნდა შესრულდეს! იარაღი და ცხენი მხოლოდ იმას ეკუთვნის, ვისაც მოხმარების ძალი შესწევს. მომავალი პატრონი გამოცდის წინაშე არის: მამამ დალოცა შვილი:

— დეე, შენი კეთილი სიტყვებისათვის მოვკვდე, შვილო! იქნებ ისე მოხდეს, რომ არ მაიძულო წარსული დროება მოვიგონო! მომიტანეთ ჩემი საჭურველი, დეე, ჩემმა შვილმა ჩაიცვას იგი! მოიყვანეთ ჩემი წითელი ულაყი, — დეე, ამხედრდეს მასზე ჩემი შვილი! სანამ ხალხი არ აფორიაქებულა, დეე, ჩემი შვილი საასპარეზო მოედანზე გავიდეს!“ წითელი ულაყი საგმირო ცხენია და მხედრის პირუთვნელი შემოწმებელი: თუ ჭაბუკს ფხა არ აღმოაჩნდება, ზედ არ შეისვამს!

ზღაპრული გმირივით გამოეწყო ამრანი. ყველა ტრადიციული პირობა დაიცვა. ცხენი, ტანსაცმელი, შეიარაღება მემკვიდრეობით მამის ხელიდან მიიღო. იგივე მოტივები გვხვდება ამირანიანში, კერძოდ, მის სვანურ ვარიანტებში. ამირანი, ბადრი და უსუპი სავაშლეთის დევთან საბრძოლველად გაემგზავრენ, როცა აღმზრდელმა იამანმა მათ რკინის მშვილდ-ისარი უშოვა²¹. სხვა ჩანაწერის მიხედვით იამანმა ახალგაზრდებს მკაცრი შემოწმება მოაწყო სალაშქროდ წასვლის წინ: „უნდა გამოვცადო თითოეული თქვენთაგანი ღონეშიო“. ჯერ ჯაჭვის ნაბდის მოხმარების უნარი გაუსინჯა. ბადრიმ და უსუპმა ჯაჭვის ნაბდის გამოყენება ვერ შეძლეს, ამირანმა „ნაგლეჯებად აქცია“. მეორე გამოცდის დროს მაღალი კოშკის თავზე წისქვილის ქვას აისროდნენ და მეორე მხარეს იჭერდნენ. აქაც ამირანმა ივაჟკაცა. მესამე დავალება ელია წინასწარმეტყველის ცეცხლის ჩაქრობის ხერხის დაუფლება იყო. ძმებმა „ყოველივე იამანის ნათქვამის მიხედვით მოიმარაგეს“²².

ქართული ამირანიანი და ოლუშური ამრანის თქმულება საბრძოლო მომზადების ეპიკურ წესს ემყარება. მოტივის ხორცშესხმაშია

²¹ მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1947, გვ. 377.

²² იქვე.



მათი მსგავსებაც და განსხვავებაც: საერთოა მოღელი, სქემა; დამოუკიდებელია მხატვრული გაფორმება. მეფე შიუკლის მიერ მოწინააღმდეგვის შესამუსრავად თანამდგომთა წაქეზება და შეგულიანება ხალხური ვეფხისტყაოსნის იმ ადგილის ასოციაციას იწვევს, სადაც როსტევან მეფე ხელქვეითებს უცხო მოყმის შეპყრობას და მის წინაშე მოყვანას უბრძანებს.

„ადექით, აიყარებით ძმანო ედემ და ომარე, ის კაცი აქ მომიყვანეთ, ვინ არის ველთა მჯდომარე“²³.

ამგვარადვე, წინდახედული მომზადება, მოულოდნელად იქ გამოჩენა, სადაც უცხო ჭაბუკია შეგულვებული და სასწრაფოდ შებოჭვა არის ნავარაუდვეი შიუკლის განკარგულებაში: „ცხენთა სარბევ მოედანზე რომ ჭაბუკი არის, შეიპყარით იგი, შეუყარით თეთრი ხელები, ნუ მისცემთ გონზე მოსვლის საშუალებას. მოკვეთეთ მშვენიერი თავი, დაღვარეთ მიწაზე მისი ალისფერი სისხლი“ (გვ. 87). ამ მრისხანე განკარგულებას საგანგებოდ უმეორებდნენ ამრანს, რათა გატეხონ, დააძაბუნონ, წინასწარ დააშინონ და აიძულონ ბრძოლის ველი უომრად დატოვოს, იქაურობას გაერიდოს! მალე გაირკვა, რომ უცხო ჭაბუკი ადამიანთა ამ კატეგორიას არ ეკუთვნის. ომის წინ ამრანი სწორედ ამირანივით, შავ ღრუბელს ჰგავს, საავდროდ გამზადებულს!

ამ ნაწარმოებთა შედარებისას მხედველობაში არ ვიღებთ მომავალი ბუმბერაზების ასაკს, მათ ნაადრევ დავაუკაცებსა და ფორმაში შესვლას. ქორქუთის მონათხრობის მიხედვით, ამრანი პატარაა, მას ბიჭს ეძახიან და ბეგილი დარდობს, რომ მოზრდილი ვაჟი არა ჰყავს, მამასაღამე, ამრანი ასაკით მცირეწლოვანია, ძალა კი ბუმბერაზისა შესწევს. ასევე, ამირანი გმირის ნიშნებს ჯერ კიდევ აკვანშივე ამჟღავნებს და ა. შ. ბავშვობიდანვე ძალის გამოჩენა და უსასაკოთა ბუმბერაზობა საყოველთაო ფოლკლორული მოტივია და ქართულ-ოღუზურ ეპიკურ ურთიერთობაში რაიმე სიახლის შეტანა არ შეუძლია.

მემკვიდრეობით მიღებულ საჭურველში ამრანი ბუმბერაზს ჰგავს; შიშის ზარს სცემს ყველას. რიგითი მოლაშქრეები კი არა, თვითონ მეფე ამბობს: თქვენზე ადრე მე გავიქცევი, თუ ისაა, ვის იარაღსაც ვხედავთო. მოწინააღმდეგე იცნობს ბეგილის მკლავის ძალას. ასეთი

²³ მ. ჩიქოვანი, შოთა რუსთაველი და ქართული ფოლკლორი, „მეცნიერება“, 1966, გვ. 59.



მხედრის გამოჩენა ფსიქიკურად მოქმედებს. ამის გამო, სასწრაფოდ ცდილობენ მისი ვინაობის გამორკვევას, ამირან-დევებისა არაა. „ყურადღებით გასინჯეთ!“ — ბრძანა მეფემ. „მსტოვარმა დაათვალიერა. ნახა, ცხენი ბეგილისაა, მაგრამ მხედარი სხვა არის, ახალგაზრდაა“ (გვ. 87). რაკი მხედარი ახალგაზრდაა, იქნებ შეშინდეს კიდეც! „მეფემ თქვა: შეადგინეთ ასკაციანი რაზმი, ასტეხეთ ხმაური და ჭაბუკი შეაშინეთ; ახალგაზრდას გული ფრინველივით უცემს, ასპარეზს დატოვებს, უკლიქცევა“. ხერხმა არ გაჭრა. ამჯერად არ გამართლდა ანდაზა, რომელიც ძეგლის მეორე თავშიც არის გამოყენებული ყაზანის შვილის, ურუზ-ბეგის დასახასიათებლად, მაგრამ სხვა მიზნით და სხვა სიტუაციაში: „ახალგაზრდას ფრინველივით გული აქვს, ის გაიქცა, თავის დედას დაუბრუნდა!“ (გვ. 52). აქ მეორე ანდაზა უფრო მართლდება: „ლომის ლეკვი — თვითონაც ლომია!“. ამრანმა ეს საქვეყნოდ დაამტკიცა. ხმაურმა და მუქარამ ვერ შეაშინა, ფერი ვერ უცვალა. ახლა ქართული ფოლკლორიდან გავიხსენოთ: ამირანის გამოჩენით შეშინებულმა დევებმა კეკლუცი ქალი გამოგზავნეს უცხო ჭაბუკის შესათვალიერებლად და პირად ნიშანთა გამოსაცნობად. „გადი, გაუარ-გამოუარე, გაუცინე და ეგები იმანაც გაგიცინოსო. თუ ოქროს კბილი გამოუჩნდა... თადარიგი უნდა დავიჭიროთ“²⁴. ოღუზთა ეპოსში სხვა სიტუაციაა: ამრანს სახელი სურთ გამოსტყუონ, თანაც შეურაცხყოფელი, აბუჩად ამგდები და დამამცირებელი სიტყვებით მიმართავენ, რათა მოთმინებიდან გამოიყვანონ და ათქმევინონ ის, რაც გარკვეულ საიდუმლოებას წარმოადგენს.

— შენს წითელ ბედაურს ჩვენ ვიცნობთ, ის ბეგილისაა, თვითონ სადაა ბეგილი? შენი შავი ფოლადის ხმალი ბეგილისაა, სად არის თვითონ ბეგილი? შენს მხრებზე ჯაჭვის პერანგიც ბეგილისაა, სადაა თვითონ ბეგილი? შენთან მყოფი მხედრები ბეგილისაა, სადაა თვითონ ბეგილი? აქ რომ ყოფილიყო ბეგილი, დაბინდებამდე ვიბრძოლებდით... გვითხარ ჩვენ, ჭაბუკო, რა ხარ შენ ბეგილისა?

შენიღბულად დასმულ კითხვათა შორის ყველაზე მთავარი მაინც ვეღარ დაფარა ენაჭარტალა მოლაშქრემ და ამრანსაც აღარ უცდია ვინაობის მიჩქმალვა, თუმცა მამის ავადმყოფობაზე კრინტიც არ დაუბრაეს.

— ბეგილმა მიბრძანა მე: შევჯღე მის წითელ რაშზე! თავის ძლი-

²⁴ მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. 319.



ერების ნიშნად მომცა საკუთარი შავი ფოლადის ხმალი; გზის დალოცვის ნიშნად თავისი გრძელტარიანი შუბი მიბოძა; ამხანაგად სახელოვანი მხედარი მომცა. მე შვილი ვარ ბეგილისა! აქეთ მოდექი, ვიაურო, შევებრძოლოთ ერთმანეთს! (გვ. 88).

ეს დიალოგი ამირანისა და დევის ქალის შეხვედრას ემსგავსება, თუმცა პირველი ბრძოლის ველზე შესარკინებლად გამოსულების კბილთა ღრქენაა, მეორეს კი საღალღობო ქილიკის იერი დაჰკრავს:

„რას მიცინი დევის ქალო, რას მიელვი თეთრსა კბილსა, გამივლი და გამომივლი, გამისინჯავ ბაგე-კბილსა!“²⁵

ორივე შემთხვევაში ძიების მიზანი მიღწეულია: აბჯროსანი ბეგილის შვილი ამრანი აღმოჩნდა, ხოლო „ვილაც კაცს“ ოქროს კბილი ჰქონდა.

ქორქუთის ნამბობის თანახმად, ამრანს ნამდვილი მხედრული ცხენი ჰყავს, აშკარად მითიურ რაშს რომ ემსგავსება. მართალია, ის ადამიანივით არ მეტყველებს, მაგრამ თავის მხედარს მუდამ თანაშემწედ უდგას მხარში. მოკლეა მისი ეპიკური პასპორტი: „წითელი ულაცი იგრძნობდა თუ არა მტრის სუნს, მიწაზე ფეხების ცემას იწყებდა და ბღღვირს აყენებდა“ (გვ. 87). ქართულ თქმულებაში მას ბადრის თეთრონი შეესაბამება; იგი „ზღვაში ნგრევით გადის“ და ამირანს ყამარის მოტაცებაში შველის²⁶.

სიუჟეტური მსგავსება კულმინაციას აღწევს ძალის მომატების მოტივით.

ამრანის ბრძოლა შიუკლისთან „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილ ბუმბერაზთა შერკინებას ვვაგონებს. პაპა ქორქუთი ამბობს: „იომეს კვერთხებით, მერე შავი ფოლადის ხმლები იშიშვლეს; დიდხანს იბრძოლეს ხმლებით საშიშ მოედანზე; საფეთქლები დაუსქდათ, ხმლები დაემტვრათ, ძლევით ერთმანეთს მაინც ვერ სძლიეს. შუბებით შეიბნენ, ხარებივით რქენდნენ და აწყდებოდნენ ერთმანეთს მოედანზე, გულები დაეებგვათ, შუბებიც დაემტვრათ, ერთმანეთი მაინც ვერ დაიმორჩილეს! ახლა ცხენებით შეეტაკნენ, ჩასქიდეს ხელი ურთიერთს“ (გვ. 88). ჭიდილში ღონე მოუსინჯეს ერთმანეთს ახალგაზრდა ამრანმა და ჭარმაგმა შიუკლიმ. „გიაურს მეტი ღონე ჰქონდა, ჭაბუკი დასუსტ-

²⁵ მ. ჩიქოვანი, მიჯაჭვული ამირანი, 1947, გვ. 319.

²⁶ იქვე, გვ. 320.

და, ღმერთს დაუწყო ვედრება: მე შენ მოგენდე, მხოლოდ ერთადერთ ღმერთს. დიდებულო ღვთაებავ, ჩემო ღმერთო, შემეწიე მე!“ (გვ. 88).
 შიუკლი გასაჭირს მიუხვდა მოწინააღმდეგეს და დაცივნით ჰკითხა: „ჰაბუკო, როცა გამარცხებენ, ლოცულობ თუ არა მაშინ შენს ღმერთს? თუ შენ ერთი ღმერთი გყავს, სამაგიეროდ მე სამოცდათორმეტი საკერპე ბომონი მაქვს!“ ამრანმა უპასუხა: „წყევლო, ღვთის ურჩო, ურწმუნოვ, შენ თუ კერპზე ლოცულობ, მე ღმერთს ვსასოებ, ვინც ქვეყნად არარაობას სიცოცხლედ ააყვავებს!“ ამრანის პირით აქ მონისტური რელიგიური კულტის მსახური მეტყველებს და თავის სარწმუნოებრივ მსოფლმხედველობის უპირატესობის ჩვენებას ცდილობს. ფიზიკურად დასუსტებული და მტრის გასაგმირავად განწირული ამრანი სასწაულის გამოცხადებას მოელის, ძალის მომატებას ელოდება. მოლოდინი აცხადდა!

„უზენაესმა ღვთაებამ გაბრიელს უბრძანა: მომეახლე, გაბრიელ! იმ ჩემს მონას ორმოცი კაცის ძალა მივანიჭე მე“ (გვ. 88). ძალმომატებულმა ამრანმა „გიაური ზეასწია, მიწაზე დაახეთქა და ცხვირის ნესტოებიდან სისხლის ღვარი გადმოადინა; შევარდენივით ზედ დააფრინდა და ყელში სწვდა“. აქ თავს იჩენს არა მხოლოდ საჭირო ეპიკური მოტივი, არამედ რელიგიური მსოფლმხედველობაც, მაჰმადიანური სარწმუნოების პროპაგანდა მხატვრული ფორმით.

ეს ეპიზოდი გვაგონებს ამირანისა და ანდრერობის შეხვედრას. ამირანმა ანდრერობის ფეხს „ძვრაც ვერ უყო“. მაშინ „საბნელოს ჩაჯდა ამირან, შემოიკრიფა ფეხები“. ქართლური ვარიანტით ნათლია — უფალმა მას „კიდევ იმდენი ღონე მისცა, რამდენიც ცხრა უღელ კამეჩს ჰქონდა“²⁷. ფშაური გადმოცემა მეტ გულუხვობას იჩენს: „მაშინ მოუმატა ღმერთმა ამირანს კიდევ სამის ალაღებულის წყლის ღონე და სამის ფერდოს ზოვის ძალა და სიმარდე“²⁸. სტიქიური ძალების დონემდე ამალღებულ ამირანს, ცხადია, ადამიანური ძალა ველარ შეაფერხებდა და საბოლოოდ მისი შემბორკველის როლშიც კვლავ უზენაესი ღვთაება მოგვევლინება! ქართულ თქმულებაში ძალის მომატება არ განიხილება სარწმუნოებრივი თვალსაზრისით. არც ამირანი და არც მის მიერ დამარცხებული პერსონაჟები სარწმუნოებას არ იცვლიან. ეს ნიუანსი მხოლოდ ოლუზურ თქმულებას ახლავს.

²⁷ მ. ჩიქოვანი, მიჯაჭული ამირანი, 1947, გვ. 277.

²⁸ იქვე, გვ. 325.



ამრანმა შემწყნარებლობა გამოიჩინა და სასიკვდილოდ მიწაზე ვარდნილი თხმული მეფე შიუკლი აღარ მოკლა, რადგან რწმენა შეიცვალა და მაჰმადიანობა აღიარა. „წიგნში“ ვკითხულობთ: „დაცემული ამბობს: „შემიწყალე, ჭაბუკო! რას ამბობენ, როცა შენს რწმენას იზიარებენ? მე ვაღიარე შენი სარწმუნოება“. მან თითი ასწია, რწმენის სიბზოლო წარმოსთქვა და მუსულმანი გახდა“ (გვ. 88—89). მაშასადამე, „პაპა ქორქუთის წიგნი“ სარწმუნოებრივ საკითხებს მნიშვნელოვან ადგილს უთმობს. ეს შეინიშნება არა მარტო IX თავში, არამედ ძეგლის წინა ნაწილებშიც, კერძოდ, II თავში, სადაც საქართველო-გურჯისტანის შესახებ ნათქვამია: „საქართველოს გასასვლელში ცხოვრობს უწმინდური სარწმუნოების ხალხი“ (გვ. 22). ამ ხალხს, გიურებს, ყაზან-ბეგმა თავდასხმის დროს მუსრი გაავლო. „მინდორი მოჭრილი თავებით დაიფარა. ბურთივით ხტოდნენ თავები ფიცხელი ცხენების ფეხთაგან“ (გვ. 30).

„პაპა ქორქუთის წიგნის“ სიუჟეტების ჩამოყალიბება კავკასიაში მონღოლების ბატონობის ხანას ემთხვევა. მონღოლთა დამპყრობლურმა ომებმა ეტაპები განვლო. ყველაზე მწვავე, ყოვლისმომცველი და დამანგრეველი თემურ-ლენგის შემოსევები იყო. სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ დამონებას სარწმუნოებრივი შეუთავსებლობაც დაემატა: ათასწლოვან ქრისტიანულ ქვეყანას გამუსულმანება და გადაგვარება დაემუქრა. XIV ს-ის უკანასკნელ მეოთხედში ჩვენს ქვეყანას, ისევე როგორც დანარჩენ მაშინდელ აღმოსავლეთს, მრისხანე თემურ-ლენგის მეთაურობით კვლავ მონღოლები შემოესია, მაგრამ უკვე წარმართნი კი არა, არამედ გამაჰმადიანებულნი. თუ წინათ მონღოლთათვის სარწმუნოებრივ განსხვავებას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, თავიანთი სარწმუნოების გავრცელება ფიქრადაც არ მოსვლიათ, ახლა ისინი, როგორც ახალმოციქულს შეეფერება, ხმლითა და იძულებით ცდილობდნენ დამორჩილებულ ერთა შორის ისლამის გავრცელებას. ამრიგად, იმ საშინელ ხოცვა-ჟლეტას და ქვეყნის აოხრებას, რომელიც მონღოლთა პირველ შემოსევას და ბატონობის ხანას თანსდევდა, ახლა სარწმუნოებრივი მძულვარებაც და დევნილობაც დაერთო ზედ“²⁹.

ამგვარად, ქართული თქმულების ერთი გმირი ჯერ ამრანად გადაკეთდება მონღოლურ-ოღუზურ გარემოში, შემდეგ წერილობით გან-

²⁹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, 1949, გვ. 328.



მტკიცდება „პაპა ქორქუთის წიგნში“. ტრანსფორმაციის ამ რთულ გზაზე მოხდა მისი მუსულმანიზაცია, ისევე, როგორც საქართველოში IV ს-ში ახალი სარწმუნოების მიღების შემდეგ ძველი ეროვნული ეპოსის ქრისტიანიზაცია.

შეუძლებელია უყურადღებოდ დავტოვოთ ერთი სამონადირეო არქაული წარმოდგენა, რომელიც არა ამრანის, არამედ მისი მამის, აგრეთვე სწორუბოვარი გმირისა და მეომრის, ბეგილის სახელთან არის შერწყმული. მხედველობაში გვაქვს IX თავში აღწერილი ნადირობა და ბეგილის უცნაური ქცევა. ბაინდურ-ხანმა ბეგილის პატივსაცემად დიდი ნადირობა მოაწყო. 366 ჭაბუკი ფეხმარდ ნადირს დასდევდა და ზოცავდა. „ამ დროს ბეგილი არც მშვილდს ჰმიავდა და არც ისრებს ისროდა; მშვილდს მხოლოდ ქამრიდან იხსნიდა, გადააცვამდა თავზე მამალ თხას და წინ გაიჩერებდა; თუ გარეული თხა მჭლე აღმოჩნდებოდა — ყურს გაუხვრეტდა და იტყოდა: „დეე ნადირობისას გამოიცნონ ივი», თუკი მსუქანი იქნებოდა, ყელს გამოსჭირდა. ბეგები, როცა ყურგახვრეტელ ნადირს იჭერდნენ, ბეგილს უგზავნიდნენ: „ეს ბეგილის მაცნეა“ (გვ. 84). მონიშნული ნადირის მოტივი XV—XVI სს. ოღუზურ ეპოსში კოლიზიისათვის არის გამოყენებული. როგორც ელ. ვირსალაძემ სამართლიანად აღნიშნა, აქ მთავარია მონადირის მიერ ნადირობის დადამღვა, მონიშვნა, გამორჩევა, განსაკუთრებული ყურადღების ობიექტად ქცევა³⁰, რათა მნახველს შეეცდომა არ მოუვიდეს და უბრალო ცხოველად არ მიიჩნიოს, ე. ი. თავი საფრთხეში არ ჩაიგდოს! რა საფრთხეა ეს? მისი გაშიფვრა შეიძლება უძველეს სამონადირეო მითოლოგიურ წარმოდგენათა ფონზე. გავიხსენოთ თიანელი მონადირის თავგადასავალი, რომელმაც ნადირთა მწყემსს უნებართვოდ ცალქა ირემი მოუკლა და ამით თავის ოჯახს უბედურება შეამთხვია, სამი შვილი დაკარგა³¹. ტრაგედიის მიზეზი მონადირის მხრივ ტაბუს დარღვევა არის: მან მოკლა ცხოველი, რომლის ხელის ხლება აკრძალული იყო. ელ. ვირსალაძე წერს: „ქართული სამონადირეო გადმოცემებით, ტყის ყველა ცხოველი მწყემსი ქალის ან კაცის ჯოგის ნაწილია, რომელსაც ისინი მორიგეობით უვლიან. ნადირთ მწყემსები ამავე ნადირით იკვებებიან. თუ ნადირი მჭლეა, უშვებენ, მხოლოდ მსუქანს ჰამენ, შემდეგ აგროვებენ ძვლებს, აცოცხლებენ და მხოლოდ ასეთი შეჭმუ-

³⁰ E. Вирсаладзе, დას. შრ., გვ. 101.

³¹ ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, 1964, გვ. 30.

ლი და გაცოცხლებული ცხოველებით ასაჩუქრებენ მონადირეებს. მკლე
ცხოველები ნიშანს იღებენ ნადირთ მწყემსებისაგან. „მონიშნულია“
ე. წ. ნადირთ ბატონებისაგან დაცული ცხოველები არ შეიძლება მო-
ნადირეთაგან იქნენ მოკლულნი“³². ტაბუს დარღვევის მიზეზი ისიცაა,
რომ დროთა განმავლობაში მისი პირდაპირი მნიშვნელობა დავიწყე-
ბულ იქნა, ისევე როგორც ბეგისის მოქმედება, ნაწარმოებში სრუ-
ლებით არ აღიქმება, ვითარცა ძველი მითოლოგიის ანარეკლი. ამავე
დროს ისიცაა მხედველობაში მისაღები, რომ ნადირთა მწყემსი ქალ-
ღვთაება დალი — მაქციაა. შეუძლია გარეგნობა იცვალოს და მონადი-
რეს იმ ცხოველის სახით მოევიწიოს, რომელსაც მფარველობს. მონა-
დირეთა შორის გავრცელებულ ბევრ ლექსსა და სიმღერას, ვედრებასა
და ლოცვას რიტმული ფუნქცია ნაწილობრივ ბოლო დრომდე შემორ-
ჩა³³. „ქორქუთის წიგნი“ აღწერილი ნადირის მონიშვნის, ყურის გახ-
ვრეტის მოტივი ტრანსფორმირებული ფორმითაა მოღწეული. ჩანს,
ოდინდელი რიტუალური გაგება თხრობით ელემენტამდე ჩამო-
ქვეითდა.

ნადირთმწყემსის მაქციობის ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს
აგრეთვე მონადირეთა ციკლის დამახასიათებელი მოტივი, რომლის
მიხედვითაც მოსანადირებელ ცხოველთან შეხვედრას მონადირის სიკვ-
დილი მოსდევს შედეგად. თ. რაზიკაშვილის კახურ კრებულში გამო-
ქვეყნებული „მონადირის შვილი“ ამ მხრივ უნიკალურ მასალას შეი-
ცავს. „ერთხელ მონადირე ერთ ტრიალ მინდორზე გავიდა. უცებ წინ
ერთი თეთრი ირემი ამოუხტა; გადაუდგა წინ და უთხრა: მესროლე,
თუ დამკარ, ნეტავი შენ, თუ ვერ დამკარ — ვაი შენო! ესროლა მონა-
დირემ და ააცდინა. ირემი გაქრა, დაბრუნდა შინ მონადირე და ცოლს
უთხრა: დღეს თეთრ ირემს თოფი ვესროლე, ვერ დავკარ, მოგკვდები,
სუდარა მომიზადეო. მართლაც, იმ ღამეს მოკვდა მონადირე“. რამდენ-
იმე ხნის შემდეგ იგივე თეთრი ირემი გარდაცვლილი მონადირის
შვილს შეხვდა: „დაუმიზნა ვაჟმა და შიგ გულში გაახედა, წაიქცა ირე-
მი და მოკვდა“. მაგრამ სახლში მიტანისა და გატყავებისთანავე ცო-
ცხლდება, ძველ ღვთაებრივ გარეგნობას იბრუნებს. „დადო ტყავი და
დაისვენა. შევხედოთ, გაცოცხლებულა ირემი, ბეწვზე თვალმარგალიტი

³² Е. Вирсаладзе, დას. შრ., გვ. 101.

³³ ქართული ხალხური პოეზია, I, მითოლოგიური ლექსები, მიხ. ჩიქოვანის რედ.
„მეცნიერება“, 1972, გვ. 194—243.



ასხია, დადის და დააქლარუნებს“. როგორც ჩანს, თეთრი ირემი ჩვეულებრივი ირემი არაა, ის ზებუნებრივ არსებათა კატეგორიას ეკუთვნის, ოდინდელი ნადირთმწყემსის ტრანსფორმირებული სახეა. მისი დირება მხოლოდ განსაზღვრული წესის დაცვით შეიძლება. აქ ახალი პრობლემა წამოიჭრება: რამდენად დასაშვებია ნადირთა მწყემსის, იგივე მოკლული ნადირობის ღვთაების შექმა? მითოლოგიური და ტოტემისტური წარმოდგენების საფუძველზე აღნიშნული მოვლენის ასხნა შეიძლება. ცხადია, ამ ციკლის სიუჟეტებში თავს იჩენს ტოტემიზმის გადმონაშთები. ისიც სავარაუდოა, რომ ყველა ამგვარ ცხოველს თუ ფრინველს ტოტემური წარსული აქვს.

ამირან-ამრანის გვერდით არ შეიძლება დავივიწყოთ ამრანის მამის სახელთან ახლოს მდგომი ფორმების არსებობა საქართველოში: ქართული ბეთქილი, სვანური ბეთქილ, ბეთქი; ოღუზური ბეგილ, ბექილ, ბეკილ, სვანური ალბევილა. ყველა ისინი ერთ საერთო ძირზე დაიყვანება.

„ქორქუთის წიგნში“ რამდენჯერმე არის ნახსენები დერბენტი, ანუ ქართული ძეგლებითა და ლეგენდებით ცნობილი დარუბანდი. II თავში ნათქვამია: მოვარდა მამაცი ღუნდაზი დარუბანდის ხეობის რკინის კართა ამლები და გამანადგურებელი“ (გვ. 29). IV მოთხრობაშიც ღუნდაზის სიმამაცეზეა საუბარი, ვინც „დარუბანდის შავი ხეობა ალყაში მოაქცია და რკინის კარნი აიღო“ (გვ. 57). სწორედ ეს რკინის ჭიშკარია ლეგენდად ქცეული; მისი შემმუსრავი და ხელში ჩამგდები უებრო მეომრის სახელს იძენს. „დარუბანდის კარი“ საკმაოდ პოპულარულია „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით. ფოლკლორი მის ჩამოხსნასა და გელათში მიტანას დავით აღმაშენებელს მიაწერს³⁴.

ქორქუთის მეორე მოთხრობაში აღწერილია, როგორ გაასწორეს მიწასთან სალორ-ყაზანის სახლ-კარი, როცა იგი სანადიროდ იყო წასული. დიდებული ბაინდურ-ხანის სიძემ სალორ-ყაზანმა ავისმაუწყებელი სიზმარი ნახა. ასხნა ძმას, ყარა-გიუნეს სთხოვა, მაგრამ მან სანუგეშო ვერაფერი უთხრა. წაბლისფერ ცხენზე ამხედრებული ყაზანი მალე შინ დაბრუნდა და ნაცარტუტად ქცეული სახლ-კარი დახვდა. მოამბეც არავინ დარჩენილიყო. ყაზანს გული შურისძიებით აევსო და „ურჯულო“ თავდამსხმელთა ნაკვალევს გამოუღვა. მალე მდინარეს მიიჭრა და

³⁴ ქართული ხალხური საისტორიო სიტყვიერება, I, ქს. სიხარულიძის რედ., აკად. გამოც. 1961, გვ. 63.

წყალს სთხოვა, უამბოს, რა მოხდა! „წყალს ღეთის სახე უნახავს, მე მას გამოვკითხავ“, — ფიქრობდა ყაზანი.

— ო, წყალო, კლდეებზე ჩქეფვით მომავალო წყალო! ო, ხის გემებზე მოთამაშე წყალო! ო, წყალო, ჰუსეინისა და ჰასანის მწუხარება! ო, წყალო, ბალ-ბალჩების მშვენიეობა!.. იცი თუ არა ჩემი ურდოს ამბავი? მითხარი მე. დეე, ჩემი უბედური თავი გახდეს შენი მსხვერპლი, ჩემო წყალო, შენდა საბედნიეროდ! (გვ. 25).

ოღუზური ეპოსის სახელოვანი გმირი წყალს სულიერ არსებასავით მიმართავს. მასთან ცნობიერი კონტაქტის დამყარებას ცდილობს. მაგრამ ქორქუთ-ათა სხვაგვარი წარმოდგენებისა და მსოფლმეგობრების აღამიანია და იგი ამბობს: „წყალს როგორ შეეძლო პასუხის გაცემა?!“ (გვ. 25). ყაზანი გზას აგრძელებს, მდინარეს გადალახავს თუ არა, წინ მგელი შემოეყრება...

ზემოთ აღწერილ ეპიზოდს ქართულ ხალხურ ეპოსში ზუსტად ტარიელიანის ის ვარიანტი შეესაბამება, რომელშიც ლერწამდარეჯანის ძებნის ისტორიაა მოთხრობილი. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ნესტან-დარეჯანი ზღვას მისცეს. ხალხურ ვერსიაში სხვაგვარი სიტუაციაა, ტარიელმა არ იცის, სად არის მისი მზეთუნახავი და ამბავს ისიც მდინარეს ეკითხება:

- აი, შენ წყალო, შენ წყალო, შენ წყალო არაგვიანო!
არც გესროლების ისარი, არც შუბნი გეცემიანო.
წყალო, რა უყავ ჩემი მზე, წყალო, შენ არეზიანო?
- შენი მზე წყალმა წაიღო, შენი აღარა ჰქვიანო!
- სხვას თუ აღარას დაგაკლებ, აღარ თუ დაგლევე, ტიალო!³⁵

მეხუთე მოთხრობა ფილოსოფიურ იდეას ემსახურება: ვის ვისთვის შეუძლია თავის განწირვა? მამაცმა დორმულმა ამომშრალ მდინარეზე ხილი ააგო: ვინც ზედ გაივლიდა, 33 მონეტას ახდევინებდა, ვინც გვერდს აუქცევდა — დაიჭერდა, გულახავდა და 40 მონეტას წაართმევდა. ოდესღაც ხიდის მახლობლად მოხეტიალე ოჯახი დასახლდა. მალე ამ ოჯახს უბედურება შეემთხვა, მარჩენალი გარდაეცვალა. — რა გატირებთ? იკითხა დორმულმა. — საყვარელი ჯიგიტი მოგვიკვდა. — ვინ მოკლა? — წითელფრთებიანმა აზრაილმა წაიყვანა მისი სული. — რა კაცია ეს აზრაილი? ნეტავ, ერთხელ მაინც მაჩვენა და დამჭიდა!“

³⁵ მ. ჩიქოვანი, ხალხური ვეფხისტყაოსანი, თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1937, გვ. 190.



ღმერთს არ მოეწონა დორმულის სითამამე და აზრაილს უთხრა: ვინაა ეს უგუნური, რომ არა მცნობს! წადი, ფერი უცვალე და ამოართვი! სულთამხუთავემა ადვილად შეძლო უშიშარი კაცის დამორჩილება, მაგრამ ბოლოს ერთი სურვილი მაინც შეუსრულა: ღვთის წინაშე წარადგინა შეწყალების მიზნით. უზენაესმა აზრაილს უბრძანა: თუ სამაგიერო სულს იშოვის, ცოცხალი დატოვეო. დორმულს იმედი მიეცა: აკი მოხუცი დედა და მამა ჰყავს, იქნებ მათ იხსნან მისი სული! აქედან იწყება დიალოგი, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა ქართული ფოლკლორის თვალსაზრისით. სახელოვანი მხედარი და ჯიგიტი მოხუც მამას ეწვია პირველად.

— მამა, შენს სულს ვთხოვ. მომცემ თუ არა მას, თუ ამჯობინებ ასე დამიტირო: შეილო ჩემო, მამაცო, დორმულო? "... ყოყმანისა და ფიქრის შემდეგ თეთრწვერა მამა აზრაილთან გამგზავრებაზე აშკარად უარს აცხადებს.

— სული ტკბილია, სიცოცხლე ძვირფასი! სულის მოცემა არ შემიძლია, ასე იცოდე ეს. შენ დედა გყავს, ჩემთვის ყველაზე ძვირფასი! წადი, შეილო დედასთან!

გაწბილებული ვაჟკაცი დედას ეწვია სულთამხუთავეთან ერთად, მასაც აუხსნა ვითარება.

— მამას ვთხოვე, უარი მითხრა. ახლა შენა ვთხოვ, დედა, სულს! მომცემ თუ არა სულს, თუ ასე ტირილს ამჯობინებ: შეილო ჩემო, დორმულო!"

— სული ტკბილია, სიცოცხლე ძვირფასი! სულის მოცემა არ შემიძლია, ასე იცოდე.

იმედგაცრუებულ კაცს აზრაილი მიეძალა, საჩქაროდ სულის ამოხდა დაუბირა, მაგრამ დორმული მეუღლესთან მისვლის ნებას ითხოვს უკანასკნელად. ახლა სახელოვანი ვაჟკაცი აღარ ეძებს სულის მონაცვლეს, მეუღლეს მხოლოდ იმას სთხოვს, რომ მის ორ ვაჟს უპატრონოდ ნუ დაყრის და ისეთ კაცს ნუ გაჰყვება, ვინც გულით არ შეუყვარდება. ეს ფიცის თანაბარი სიტყვები საყვარელ ცოლსა და მეუღლეს — სხვის შვილს მთელი არსებით შესძრავს, თანაგრძნობით გამსჭვალავს.

— დეე, ჩემი სული იყოს შენი სულის სანაცვლოდ! მტკიცედ გადაწყვიტა მან.

როცა აზრაილი სულის მისაღებად მოვიდა, დორმულიც იქ იყო და არ ფიქრობდა მეგობრის მიტოვებას, ორივეს ერთად წაყვანას სთხოვდა. უზენაესს კვლავ მოეწონა მამაცი კაცის საქციელი, ერთგულ ცოლ-

ქმარს 140 წლის სიცოცხლე აჩუქა. ხოლო მოხუცი მშობლების სულე-
ბი მაშინვე მიიბარა.

როგორც ჩანს, თავგანწირვის საფუძველი შეიძლება იყოს არა ნა-
თესაობა ან მემკვიდრეობა, არამედ სიყვარული, ფსიქოლოგიური
ერთობა და მეგობრობა. „ქორჭუთის წიგნში“ აღწერილ სიუჟეტს დი-
დი დიაბაზონი აქვს, იგი, შეიძლება ითქვას, პოეტური შემოქმედების
საყვარელ თემას წარმოადგენს და სხვადასხვა ქვეყანაში იჩენს თავს.
გვაქვს ამ თქმულების ქართული შესატყვისიც. გაბაასება, რომელსაც
„მენაცვალე“ ეწოდება, სტრუქტურულად უფრო ფართოა, ვიდრე
ოლუზური ეპოსის ზემოთ ნაჩვენები ვერსია. ლექსი უშუალოდ დია-
ლოგით იწყება, რაც იმის მაჩვენებლად უნდა მივიჩნიოთ, რომ იგი
სანახაობის ნაწილი იყო, ანდა ტექსტს შესავალი აკლია.

- დედავ, დედავ, დედშვილობას, სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე.
- მე შენ არას გენაცვლები, მამა გყავს და ინაცვალე.
- მამავ, მამავ, მამშვილობას, სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე.
- მე შენ არას გენაცვლები, დაი გყავს და ინაცვალე.
- დაო, დაო, და-ძმობასა, სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე.
- მე შენ არას გენაცვლები, ძმაი გყავს და ინაცვალე.
- ძმაო, ძმაო, ძმათძმობასა, სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე.
- მე შენ არას გენაცვლები, ცოლი გყავს და ინაცვალე.
- ცოლო, ცოლო, ცოლ-ქმრობასა, სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე.
- მე შენ არას გენაცვლები, საყვარელ გყავს, ინაცვალე.
- საყვარელო, საყვრობასა, სიკვდილ მითხოვს, მენაცვალე.
- გენაცვლები შენსა მზესა, გზა საით არს გამასწავლე!

ამ მცირე ლექსში სულის შენაცვლება ექვს პერსონას ეხება, აქე-
დან ოლუზურში მხოლოდ სამია ცნობილი (დედა, მამა, ცოლი). დედ-
მამა ორივეგან უარს აცხადებს სულის მიცემაზე. მსგავსი გადმოცემა
აღმოსავლეთ საქართველოში პროზითაც გვხვდება³⁶. დასავლეთ საქარ-
თველოში რიტუალურ სიმღერას ახალი სოციალური გააზრება შეუძე-
ნია და აზნაური ქალის დატირებაში გადაზრდილა, სადაც დედა, მამა,
და, ძმა მორიგეობით მიდიან მდინარესთან და წყლიდან იხმობენ ქალი-
შვილს თავის დახრჩობის მუქარით (ე. ი. თვითონაც ეწირებიან)³⁷.
მსგავსი სიუჟეტები და კომპოზიციები პოპულარულია აგრეთვე სლა-

³⁶ ვ. კოტეტიშვილი, ხალხური პოეზია, „საბჭოთა მწერალი“, 1951, გვ. 367.

³⁷ აქარის ხალხური პოეზია, I, „მეცნიერება“, 1969, გვ. 35.

ვების ფოლკლორში³⁸. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ოლუზურ სიტყვი-
ერებაში ქორქეთის ლეგენდისებურ გადმოცემას მუნაზარეს განუ-
გაბაასების სახე ჰქონდა და სახალხო მგოსანთა რეპერტუარში მნიშვნე-
ლოვანი ადგილი ეჭირა. აზრაილის ფუნქციას ქართულ ფოლკლორში
მიქელგაბრიელი ასრულებს.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ XII—XVI ს-ში, როცა ოლუ-
ზური ეპოსის კლასიკური ნიმუშის — „ქორქეთის წიგნის“ დამუშავება
მიმდინარეობდა, საკუთრივ თურქულენოვან გადმოცემებთან და წყა-
როებთან ერთად გამოყენებულ იქნა ქართული ეპოსი და ის ისტო-
რიული გადმოცემები, რომლებიც ასახავდნენ მონღოლთა ლაშქრო-
ბებს ჩვენს ქვეყანაში.

თ ბ ი ლ ი ს ი

³⁸ Л. Н. Виноградова. Композиционный анализ польских колыбельных обрядовых песен. Славянский и балканский фольклор, «Наука», 1971, с. 32.

ივოლდა ზიკანიძე

თამარის ცხოვრების წიგნი და არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“

არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ ქართული მწერლობის ერთ-ერთი შესანიშნავი მხატვრული საისტორიო პოემაა, რომელშიც ასახულია XVI—XVII საუკუნეების საქართველოს აგზადითი დრო და იგი დაპირისპირებულია თამარის მეფობისდროინდელ საქართველოსთან. თხზულებაში ერთმანეთს ეპაექრებიან მეფე-პოეტი თეიმურაზ პირველი (1509—1663) და შოთა რუსთაველი, ახასიათებენ თავიანთი ეპოქების პოლიტიკურ და კულტურულ მდგომარეობას და მოუთხრობენ თავიანთ ცხოვრებას. კ. კეკელიძის თქმით, სწორედ ეს გარემოება აძლევს არჩილის პოემას „საისტორიო ეპოსის ხასიათსა და შინაარსს“¹.

„გაბაასებაში“ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თეიმურაზ პირველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერას, რაც ფრიად მნიშვნელოვანია XVI—XVII საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესასწავლად. მაგრამ არა ნაკლებ საინტერესოა რუსთაველის მეფერამეტე პასუხი, რომელშიც მოთხრობილია თამარის ეპოქის ისტორიული ამბები. ამ ნაწილისათვის არჩილს შეუტყმევია: „აქა კვალადცა პასუხი რუსთველისა, რომელი მოახსენა მეფეს, თამარ დედოფლისა და მეფედაც წოდებულს, მის ჟამის ნაქმარნი სრულნი, რომელნი სწერია ცხოვრებასა შინა საქართველოსასა ვრცლად, აწ მე შემოკლებით ვთქვი ლექსად“. ეს პასუხი „გაბაასების“ ყველა ნუსხაში არ არის შეტანილი, შესაძლებელია იმიტომ, რომ „ზოგიერთ გადაწყვერთ არაბუნებრივად მიაჩნდათ თეიმურაზის ცხოვრების მიმდინარეობა და მთლიანობა დაერღვიათ ან

¹ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 515.



აეშალათ მეთორმეტე საუკუნის ამბების შიგ ჩარევით². მაგრამ სწორედ ორივე ამბავთა თხრობა აძლევს პოემას სრულყოფილ სახელებს კომპოზიციურ მთლიანობას.

როგორც თვით არჩილი წერს, „მეფის თეიმურაზის, ამ ქვემოს ხსენებულთ სახელთა და სარჯელთ ამბავი თვითმნახავთა და თანა-ახლთ მის ყმათ ქართველთა და კახელთაგან ჰსმენოდა, არა ხოტბა, არამედ მართალი, რამეთუ ათორმეტ წელს კახეთს მეფობდა“, თეიმურაზის „დაზრდილნი და ნამსახურნი დარბაისელნი გვერდს ახლდნენ, ჰკითხავდა [მათ] ნაქმარსა მეფისასა და უამბობდნენ“³. ასე რომ, პოემის ერთი ნაწილი შეთხზულია „თვითმნახავთა და თანაახლთა“ მონათხრობის მიხედვით, ხოლო რუსთაველის ეპოქისა და ცხოვრების ამბები ამოკრებილია ძველი საისტორიო წყაროებიდან.

XVII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, როდესაც „გაბაასება“ იწერებოდა, ცნობილი იყო თამარ მეფის ცხოვრების ამსახველი სამი მატიაზე: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (ანუ თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულება)⁴, „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი“ (მეორე ისტორიკოსის მატიაზე)⁵ და „ლაშა გიორგისდროინდელი მატიაზე“, რომელიც ანასეულ „ქართლის ცხოვრებაშია“ ჩართული⁶. „თამარის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქცია, რომელიც „სწავლულ კაცთა“ მიერ შემუშავებულ „ქართლის ცხოვრებაშია“ შეტანილი, გვიანდელია და შეუძლებელია არჩილს იგი ხელთ სჭეროდა, თანაც იგი შემუშავებულია თამარის პირველი და მეორე ისტორიკოსთა საისტორიო თხზულებათა ურთიერთშერწყმის შედეგად⁷.

„გაბაასების“ მე-16 პასუხში, სადაც მოთხრობილია XII საუკუნის საქართველოს გმირული წარსული, გამოყენებულია მხოლოდ თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულება — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. იგი იწყება პატარა შესავლით, რომელსაც უძღვის რიტორ-

² კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 516.

³ არჩილიანი, II, ა. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1938, გვ. 7.

⁴ კ. კეკელიძის გამოცემა, 1941 (ქვემოთ ყველგან ამ გამოცემით ვსარგებლობთ. შედარებისას ზოგჯერ ვიყენებთ „ქართლის ცხოვრების მარიამ დედოფლისეულ ნუსხას“, 1906 წ.).

⁵ ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 115—150.

⁶ ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 369—371.

⁷ ი. ლოლაშვილი, რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა, 1961, გვ. 40.



რული მიმართვა ღვთისადმი, შემდეგ აღწერილია გიორგი III-ის, თამარ მეფისა და დავით სოსლანის მეფობის პერიოდები, მათი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მოღვაწეობა, ბრძოლები, ქვეყნის კულტურული საქმიანობა. მთავრდება თამარის გარდაცვალების მოკლე აღწერით.

„გაბაასებაში“ აღწერილია მხოლოდ თამარის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა და ცხოვრება მისი გამეფებიდან გარდაცვალებამდე, ე. ი. 1184—1213 წლების ამბები. პოეტი თხრობას იწყებს თამარის სილამაზის წარმოსახვითა და სამეფო ტახტზე ასვლით. შემდეგ აღწერს, თამარმა როგორ მოაგვარა საქართველოს საშინაო საქმეები; იმორჩებს იმ ადგილს, სადაც შეჯამებულია ზოგადად თამარის თორმეტწლიანი მეფობის შედეგები. მაგ., ისტორიკოსი წერს: თამარმა „ესევეთარი იუჟუმა სიბრძნე და ფრიადებამ ცნობიერებისამ და სიმშვიდე გონებისამ, ვიდრემდის ამისსა განგებასა ათორმეტსა (კ. კეკელიძით — ოცდათერთმეტსა) წელიწადსა შინა არცა თუ ტაჭგანაკი უბრძანა ვის სადმე კრვად“ (გვ. 80). არჩილი ამას ერთი სტროფით გამოხატავს.

„თორმეტ წელიწადს სიბრძნითა სამეფოს გაარიგებდა,
ურჩს შეიპყრობდა, ერთგულთა სვე-ბედით ამაღლებდა,
ლაშქართა სარდლებს უჩენდა, ერს ამირსპასალარებდა,
მშვიდი მშვიდთ პატივს უპყრობდა, ამაყთა მოამდაბლებდა“. (787)

„ისტორიათა და აზმათა“ ტექსტში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საქართველოს სიძლიერის აღწერას: „გააზნაურდეს ქუეყანისა მოქმედნი, გადიდებულდეს აზნაურნი და გაგელმწიფდეს დიდებულნი მეფობასა შინა ამისსა ...თამარ იპყრნა ზღვთ პონტოსით ზღუადმდე გურგანისად და სპერითგან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიის იმერნი და ამერნი ხაზარეთამდის და სკვთთამდის მომკუმელ იქნა ცხრათა ნეტარებათა“ (გვ. 79—80).

იგივე ფაქტები არჩილს ასე აქვს გადმოცემული:

„აჩინა ყოვლი მოხელე, მის მის პატივსა უპყრობდა...
აწვა ისმინე, სამზღვარი საით-სადამდი იპყრობდა: (789)

პონტოს ზღვით გურგანის ზღვამდის, სპერითგან დარუბანდამდის,
ყოველნი კავკასნი, იმერნი, ამერნი ხაზარეთამდის“. (790)

ამის შემდეგ მემატინე მოგვეთხრობს თამარის გამეფებასა და მის მეფედ კურთხევას, გიორგი რუსთან შეუღლების ისტორიას, მაგრამ არჩილი ყურადღებას ამახვილებს ქართველი მხედრების ბრძოლის ამ-



სახველ ეპიზოდებზე: გვიყვება კარის ლაშქრობას, სამხრეთ საქართველოში თურქთა შემოსვლას, გუზან აბულასანისა და ბოცო ჯაყელის მეთაურობით მათ წინააღმდეგ ამხედრებას, მხარგრძელის ძეთაგან „დვინის ქუეყანასა მივდომასა და გამარჯვებას“, გიორგი რუსის მონაწილეობით პართელთა ქვეყნის მორბევას, გელაქუნის მოხრებას და ასათ გრიგოლის ძის მიერ განძის დალაშქრებას (791—808). ორი სტროფი (809—810) ეთმობა გიორგი რუსის ექსორიობას, შემდეგ მოთხრობილია გუზან აბულასანის ძის განდგომა, გიორგის შემოსვლა საქართველოში, თამარის წინააღმდეგ შეთქმულების ამბავი, თმოგვსა და ერუშეთს შორის მომხდარი ბრძოლა და თამარის მომხრეთა გამარჯვება (811—828), მახატლის ძის მიერ გიორგი რუსის შეპყრობა, ლაშა გიორგის დაბადება და მის ბედზე ლაშქრობა, კარისა და არზრუმის აღება, რახსის პირის მორბევა და თამარისათვის შარვან-შაჰისაგან ლომის ბოკვერის მოგვრა (829—854). არჩილი ვრცლად გადმოგვცემს აგრეთვე შამქორისა და ბასიანის ბრძოლას (855—910), არდაველი სულტნისაგან ანისელთა ამოხოცვას და ქართველთაგან სამაგიეროს მიზღვას (911—928), სპარსეთში ლაშქრობას (829—964) და ბოლოს — ზაქარია მხარგრძელის მიცვალებას, ივანე ათაბაგისაგან ფხოველთა მორბევას და თამარის მიცვალებას (965—976). თხრობა მთავრდება ასეთი სიტყვებით:

მზე უღრუბლო დაგვიბნელდა, მოწმენდილი აწ ბინდ არი,
 სვე-სვიანი გარდიცვალა, მწუხარება ჩვენზედ არი,
 მაშინ მყოფთა ყოვლთ პატრონთა უმჯობესი, არვის მდარი,
 აღარ დაჯდეს მის ტახტზედა იმისთანა, იმის დარი... (974)
 რა საჩინო დაგვიფარა, — ვაი ჯავრი სამარისა! —
 ბრალი იყო წასახდენად პირი მნათი თამარისა. (976)

არჩილი კვალდაკვალ მისდევს პირველ ისტორიკოსს და იმეორებს მის მიერ მოთხრობილ ფაქტებს. ხშირად „გაბაასებაში“ გადმოაქვს პროზაული ტექსტის გამთქმეები და სიტყვები, ზოგჯერ მთელი პასაჟებიც. აი, რამდენიმე ნიმუში:

„ისტორიანი და აზმანი“:

„პირველ ილაშქრეს ქუეყანასა კარისასა და კარნიფორისასა და მოარბიეს ვიდრე ბასიანამდის და გამარჯვებულნი და აღვსებულნი შემოიქცეს და მოვიდეს წინაშე პატრონისა მის ღმრთივ-განათლებულისა, და აღივსნენ სიყუარულითა და სიხარულითა“ (გვ. 82).

„გ ა ბ ა ა ს ე ბ ა“:

პირველ ილაშქრა ქვეყანას კარის და კარნიფორისა,
სულ მოარბია ერთ პირად სამზღვრამდის ბასიანისა,
გამარჯვებულნი ნაშოენი მოვიდენ წინაშე მისა,
მადლისა, გულთ მდაბლისა მეფის ღვთის-განბრძობილისა. (791)

„ისტორიანი და აზმანი“:

„ამის უწინარეს მოვიდეს ლაშქარი არანისა და გელაქუნისა თურქ-
თანი ქუეყანასა პალაკაციოს და ძაღლის-გევად წოდებულისა და მომრ-
ბეველთა ზედა გამრეკელი კახას ძე მიუტდა; და სუისაგან თამარ
უძლეველისა მცირეთაგან დიდნი იძლივნეს, გააქცივნეს, ამოსწყუნეს
და მოიღეს არმალანი წინაშე თვთ-მპყრობელისა“ (გვ. 82).

„გ ა ბ ა ა ს ე ბ ა“:

ამის პირველად მოვიდენ ლაშქარი თურქთა ქვეყნისა,
მუნ ბევრეულნი თათარი გელაქუნელთა არნისა,
ქვეყანას პალაკაციოს, ძაღლის-ხევ წოდებულისა,
ზედან მიუხდა კახას ძე სვითა მით ძალ-ძლიერისა. (792)

იქ გაემარჯვა გამრეკელს, მცირეთაგან დიდნი იძლივნეს
იოტეს ბანაკი მათი, მომცროთა ბევრთა იძლივნეს,
მათ არმალანი მოიღეს, მეფეს წინ გამოაჩინეს,
კვლა სატურფალი ტურფასა თვით ნებით შემოაძლივნეს. (793)

„ისტორიანი და აზმანი“:

„ამისდა შემდგომად წარვიდეს მგარგრძელნი სარგისისნი და ვარა-
მისანი, მოყმენი პირ-წალმართნი, უხუცესნი ზაქარია და ზაქარია, და-
ლოცვილნი, ივანე და სარგის დაულოცველნი, და ილაშქრეს ქვეყანასა
ღვინისასა; და გამარჯვებულნი და ალაფალებულნი მოეწივნეს ლაშქარ-
ნი ღვინელნი, და შებმად იყო ლომის სიფიცხედ, ვინაჲცა ბოლოდ
გააქცივნეს. და გამარჯვებულნი და აღვსებულნი და სახელოვანნი მო-
ვიდეს წინაშე მეფეთა და მათი წყალობის მყოფელთა გარდაივადნეს
მადლნი“ (გვ. 83).

„გ ა ბ ა ა ს ე ბ ა“:

ამის შემდგომად მხარგრძელნი, ძენი საღირ და ვარამის
ზაქარია და ივანე და სარგის, მნახი ვარამის,
ილაშქრეს ღვინის ქვეყანას, ქალნი იშოვნეს არამის... (797)

ალაფ-ალებულთ ეწინენს უკან ლაშქარი მწვე ძნელი...
სძლიეს მხარგრძელთა მომწვეთა, მათ ზორცთა იქმნეს ამქნელი,
გამარჯვებული მოვიდეს, აქ თამარ დახვდა ნათელი. (798)



„ისტორიანი და აზმანი“:

„წარსულთა დაიბანაკეს წყალსა ზედა ელექციისასა; და მუნით
აყრილნი მოვიდეს სახლსა შამქორისასა თთუესა ივნისასა, დღესა
ხუთშაბათსა, რომელი გათენდებოდა პარასკევად, რომელსა შინა ქრის-
ტემან ღმერთმან ჩუენმან შემუსრა ძლიერებაჲ მკდომისაჲ და დათრ-
გუნა ორთავე იგი ვეშაპი“ (გვ. 105):

„გაბაასება“:

წარსულთა დაიბანაკეს წყალზედა ელექციისას.
მუნით ვიარეთ, მოვიდით სახლედ სახლ-შამქორისას,
თვისა ივლისსა, ხუთშაბათს, თენებას პარასკევისას,
რომელსა შინა ქრისტე ჰყოფს ძღვეას ორთავის გველისას. (861)

„გაბაასებაში“ არჩილი ზოგჯერ მხოლოდ ლექსად აწყობს „ის-
ტორიითა და აზმათა“ ტექსტიდან ცალკეულ გამოთქმებსა და წინადა-
დებებსაც კი. მაგ.:

„ისტორიანი და აზმანი“

„გაბაასება“

გუზან... წარწყმედილი თვისაჲ, აწცა
გამტანელი ტაოს-კარისა, ვაშლოვანისა
და სხუათა. (გვ. 96)

გუზან, წარწყმელმა თვისა, ავს ავი
მოღმატოსა, აწ გამტანელმა კარისაჲ,
ვაშლოვნის სახლის ტაოსსა. (826)

ლაშა... გამოითარგმანების ქუეყანისა გან-
მანათებლად. (გვ. 97)

ლაშა... გამოითარგმნა სხვას ენით ქვეყ-
ნისა განმანათებლად. (831)

შეყრილნი გავიდეს გელაქუნად და ჩა-
იარეს ზაჩიანი და ჩავიდეს ქუეყანად
ყარყარისად (ვარ.: ყუარყუარისად) და
მიიწიეს ბალაყუნამდის. (გვ. 99)

ოდეს ეაშსა ერთსა შინა შეიყარნეს და
გავიდეს გელაქუნად, ჩაიარეს ზაჩიანი
და ჩავიდეს ქვეყანასა ყვარყვარისასა,
ბალიყუნამდის წავიდეს. (838)

ამოიარეს კარი განძისა და შემქმნა კარ-
თა ზედა დიდი შულლი და განალამცა
გააქციენეს. (გვ. 99)

ამოვლეს კარი განძისა, შეიქმნა ომი
ძლიერი, განალამც გავაქციენით ჩვენ
ღვთისა იმათი ერი. (839)

წავიდეს მორბევად რავსის პირისა, (გვ.
99)

რავსის პირი მოარბიეს. (841)

ოდესმე შარვანშას ლომისა ბოკვერი გა-
მოეგზავნა. (გვ. 100)

შარვანშა ოდეს ბოკვერი გამოეგზავნა
ლომისა. (851)

შეკრბეს თამარის წინაშე ყოველი ვა-
ზირნი და სპანი. (გვ. 104)

შეკრბეს წინაშე თამარის ყოველი მის-
ნი ვაზირნი..., სპანი. (859)

ღაითრენეს ისარნი სისხლითა და ზრმალ-
ნი სჰამდეს ჯორცთა მტერსა მათისა.
(გვ. 107)

ისარი სმიდა სისხლსა და ზრმალი შეს-
ჰამდა მათს ზორცსა. (871)

წარუღეს დროშაიდა, ხალიფასაგან
ღაზოდ წარმოგზავნილი. (გვ. 107)

დროშა იშოვნეს ხალიფას ღაზოდრე გა-
მოგზავნილი. (873)

ვერავინ წინა აღუდგა სპარსეთს შეს-
რულთა — ვერცა ხვარასნისა სულტანი,
ვერც ერავისა, (გვ. 135)

ვერავინ წინა აღუდგა, ვერ ზორასნისა
სულტანი, ვერ ერავისა მოგვიდგა. (952)

აღნიშნული ამონაწერები ადასტურებს, რომ არჩილს გაუღექსავს თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, მაგრამ გაუღექსავს განოკრებულად. ამას თვით არჩილიც ამბობს: ამბავი, რომელიც „სწერია ცხოვრებასა შინა საქართველოსასა ვრცლად, აწ მე შემოკლებით ვთქვა ლექსად“. ისიც ცხადია, რომ მას თამარის ცხოვრების სხვა ნუსხა (ან წყარო) არა ჰქონია: მის განკარგულებაში ყოფილა „ქართლის ცხოვრების“ ისეთი კრებული, რომელშიც შეტანილი ყოფილა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. მართლაც, ასეთი კრებული დაცული იყო შაჰნავაზის (1658—1676) სამეფო კარზე და ეწოდებოდა მას „მარიამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება“. იგი არჩილისათვის კარგად უნდა ყოფილიყო ცნობილი. კ. კეკელიძე წერს: „გაბაასებაში“ თამარისდროინდელი „ისტორიული ფაქტები აღწერილია იმ რიგითა და თანმიმდევრობით, როგორც „ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეულ ვარიანტშია. არჩილს რომ ხელთ ჰქონდა სწორედ ეს ვარიანტი, ჩანს იქიდან, რომ ზოგიერთი გეოგრაფიული თუ სხვა საკუთარი სახელი იმნაირადვე დამახინჯებული სახითაა მოყვანილი პოემაში, როგორითაც ამ მატიანეში“ (გვ. 518).

„ქართლის ცხოვრების“ მარიამ დედოფლისეული ნუსხა გადაწერილია 1633—1646 წლებში⁸. სავარაუდოა, რომ როდესაც არჩილი მამის — შაჰნავაზის სამეფო კარზე იზრდებოდა და ქართულ კულტურას ეცნობოდა, საქართველოს ისტორიას ამ ნუსხის მიხედვით შეისწავლიდა, მაგრამ როდესაც „გაბაასებას“ წერდა, საეჭვოა, მაშინ მარიამისე-

⁸ კ. გრიგოლია, ახალი ქართლის ცხოვრება, 1954, გვ. 114—116; S ფონდის „ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“, I, 1960, გვ. 41—45.



ული „ქართლის ცხოვრება“ ჰქონოდა ხელთ. უფრო სწორი იქნებოდა ვიტყვი, რომ მას ამ ნუსხის პირი ჰქონდა (ან მსგავსი ცალი). უნდა ვივარაუდოთ, რომ არჩილს რუსეთში წაღებული ჰქონდა „ქართლის ცხოვრების“ საკუთარი ხელნაწერი, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია. ალბათ, ის დაიღუპა იმ დროს, როდესაც არჩილს მოსკოვში სახლი დაეწვა.

არჩილი „ისტორიათა და აზმათა“ თხზულებას ბრმად არ მიჰყვება. ზოგან ვრცელ პასაჟებს ამოკლებს და უფრო ლაკონიურად აღწერს ამა თუ იმ საისტორიო ამბავს, ზოგანაც ავრცობს ამა თუ იმ ფაქტის კომენტარის ხარჯზე, ან სცვლის საკუთარ თუ გეოგრაფიულ სახელს. მაგ.:

თამარის ისტორიკოსი წერს, რომ როდესაც გიორგი რუსი გააძევეს საქართველოდან, „მიიწია კონსტანტინეპოლედ“ (გვ. 85). არჩილი კი წერს: „განაძეს რუსი სტამბოლსა“ (810,4). თამარის დროს ბიზანტიის დედაქალაქს ეწოდებოდა კონსტანტინოპოლი და, ცხადია, მისი შეცვლა სტამბოლით, რომელიც შეერქვა მას 1453 წლის შემდეგ, შეცდომაა.

მეორეგან მემატთანე აღნიშნავს: ქართველებმა გაილაშქრეს კარისა და არზრუმისაკენ, „მუნ იყო სიმრავლე ომთაჲ, წყობაჲ ჰუნეთაჲ და ხეთქებაჲ აბჯართაჲ, რომლისა მეშველად იყვნეს სურმანელი, კარელი და შიგნით სალდუხის ძე ნასრ-ადდინ და ორნი ძენი მისნი ლაშქრისა სიმრავლითა, ქოითისა და ცხენოსნისაჲთა უამრავითა“ (გვ. 898). არჩილი კი წერს:

მსწრაფლ წარვედით არზრუმზედა, კარისაკენ თავნი ვარეთ,
მოქალაქეთ ციხის მცველთა ყოფა, დიად, გაუმწარეთ,
მას შიგნითა ანადოლი ჩვენად სამტროდ შემოგყარეთ. (834)

აქ ციხის შიგნით მეშველთა სახელების (სალდუხის ძე ნასრ-ადდინისა და მისი ორი ძის) მაგიერ ნახმარია გეოგრაფიული ცნება „ანადოლი“ (ანატოლია), რომელიც მცირე აზიისათვის შერქმეული თურქული სახელია.

„გაბაასებაში“ დამახინჯებულია ზოგიერთი გეოგრაფიული და საკუთარი სახელი იმის გამო, რომ, როგორც კ. კეკელიძე შენიშნავს, თვით „ქართლის ცხოვრების“ არჩილისეულ ნუსხაშიც დამახინჯებით წერებულა. აი, ესენიც:



ვარდან და ნამან ოზთავე. (808)
 დაწვეს ქალაქი ოზურხე. (815)
 ლიანას ველსა ვეწიეთ. (823)
 ქვეყანა შარემანისა. (826)
 ქვეყანა ყვარყვარისა. (838)
 გორლა ქვეყანა. (843)
 დაუდინ თმოგველს. (897)
 მივალთ მანსა, ცნა მალიქმა
 მანისამან. (946)

ვარდან დადიანმან. (გვ. 80)
 დაწვეს ქალაქი ოძრევე. (გვ. 92)
 მივიწიეთ ველსა ნილისასა. (გვ. 93)
 ქუეყანა შაპარმენისა. (გვ. 96)
 ქუეყანა ყარყრისა. (გვ. 99)
 გორალაუქისა. (გვ. 99)
 თაყაიდინ თმოგუელისა. (გვ. 127)
 მიჰმართეს მიანას და ცნა მელიქმან მი-
 ნისამან. (გვ. 134)

„ისტორიათა და აზმათა“ და „გაბაასების“ შესაბამისი ადგილების შედარებიდან ირკვევა, რომ არჩილი მეტ ყურადღებას აქცევს იმ ადგილებს, სადაც აღწერილია თამარისდროინდელი ძლევამოსილი ომები და ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი სამხედრო სიძლიერე, მაგრამ როგორც ეს შენიშნული აქვს ბ. ქიქოძეს, არჩილი ზოგჯერ უშვებს ანაქრონისტულ შეცდომებს. მემატიანეს ცნობით, შამქორის ომს ღვინის აღება მოჰყვება, „გაბაასებაში“ კი შამქორის ომის ამბავი მოთხრობილია გელაქუნის, განძისა და ბარდავის დალაშქვრის შემდეგ. ასევე ზოგიერთი საბრძოლო ეპიზოდის შესატყვისი არ არის თამარის ცხოვრების წიგნში, ზოგჯერ კი ხდება პირიქით: არ არის ნახსენები ისეთი დიდი პოლიტიკური მოვლენა, როგორცაა ტრაპიზონის სამეფოს დაარსება. რაც წყაროს დეფექტურობით აიხსნება⁹, და სხვა.

დასასრულ, საყურადღებოა ერთი გარემოებაც, რომელიც იწვევს „აზმათა“ და „გაბაასების“ შინაარსობრივ სხვაობას:

არჩილი თამარის ცხოვრების აღწერისას რუსთაველის პირით გვამცნობს ყველა ისტორიულ მოვლენას ისე, რომ თვითონ რუსთაველი ჩანს თამარის საქმიანობის აქტიური მონაწილე. ეს აშკარად იგრძნობა მე-16 პასუხის კითხვის პროცესში. მაგ.:

„მოვედით მეფის წინაშე, მოყმეთ გვიქებდეს ძალებთა (806,4), კიდევ წავედით წვევითა..., მუნცა გარდაგვხდა ჩვენ ომი (807), მეცა, მათი შემბმელი, ვერ ამიგდო უშიშარად, ადრე დავსთმე თავი ჩემი პატრონისთვის მოსახმარად (819), გავცვლეთ, მოვედით ჯავახეთს (820,4), მოვედით გამარჯვებულნი (835,4), გამარჯვებულნი მოვბრუნდით (837,4), მოვედით მზეთა მზესთან (839,4), სამი ქალაქი ავიღეთ

⁹ ბ. ქიქოძე, ისტორიული პოემა ძველ ქართულ ლიტერატურაში, 1964, 83. 126—127.

(873,2), მოვედით ანისს, ივინიც დაგვიხვდნენ მზას და ვიარეთ (921,1),
ხორასანს... მეც თან ვახლდი, ვიშოვე მრავალი (გვ. 934,2), წავედი
ნახჩუანის გზას, გავვლეთ, მივედით ჯულასა (938,1), მარანდას შთაზედ
ავედით (940.1), მუნით წავედით, მივედით ქალაქსა თავრუზის კარსა
(943,1), რა მოვედით თბილის-ქალაქს, მეფე დაგვხვდა მხიარული“
(962,1) და ა. შ.

ერთი სიტყვით, „გაბაასებაში“ რუსთაველი წარმოსახულია რო-
გორც მებრძოლი პოეტი, რომელიც მონაწილეობას იღებს სხვადასხვა
ლაშქრობაში. მაგრამ რუსთაველის პასუხიდან არა ჩანს, ბასიანის ომში
შოთა იღებდა მონაწილეობას თუ არა, არჩილის თქმით, რუსთაველი და-
სწრებია იმ დარბაზობას, რომელზედაც აწვიეს რუქნადინის ელჩი:

„მოვიდა ელჩი. გვიამბობს ავს ამბავს საკადრებელსა“ (888,1), ხო-
ლო ბასიანის ომის ამბავს რუსთაველი მოგვითხრობს მესამე პირით და
თავის თავს მონაწილედ არა თვლის. მხოლოდ მაშინ, როდესაც თამარს
ახარებენ გამარჯვებას, იქვე დასძენს:

„მინახავს ძენი მეფეთა, მის სურვილს დაებნიდოსა“ (906,4). ამით
პოეტი იხსენებს იმ დროს, როდესაც თამარის ხელისმთხოვნელნი ჩა-
მომსხდარნი იყვნენ სამეფო კარზე 1185—1188 წლებში. ბასიანის ომის
დროს სად იყო რუსთაველი, მისი პასუხიდან არა ჩანს. მხოლოდ თეი-
მურაზის პასუხიდანვე ირკვევა, რომ იგი მაშინ ოძრხეში ყოფილა თა-
მართან ერთად:

ბასიანის ომი რომ თქვი, იქ თქვენ სად იყავ მაშინა?

თამართან არ იბლუნძოდი ოძრხესა ვითა შინა?

რა გინდ ბევრნი ყოფილიყვნენ, აგრე ვითა შეგაშინა?

ომის დღესა ქალებთან ხარ, ვა, თუ სიმხლემ ავაქშინა! (979)

მაშასადამე, არჩილის მოსაზრებით, რუსთაველი ბასიანის ომის
დროს ყოფილა თამართან და იქ უცდიდა ომის შედეგს. საერთოდ თა-
მარის არც ერთ „ისტორიაში“ რუსთაველი მოხსენიებული არ არის და
არც საიდანმე ირკვევა, რა ბრძოლებში იღებდა მონაწილეობას. თუ
„გაბაასებაში“ პოეტი თამარის ბრძოლების მონაწილედაა წარმოსახუ-
ლი, ეს მხოლოდ არჩილის ვარაუდია, რომელსაც საფუძვლად უდევს
ტრადიციული გადმოცემა, რომ შოთა რუსთაველი იყო თამარის თანა-
მედროვე, მისი შემსხმელ-შემამკობელი და ერთ-ერთი მხედართმთავა-
რიც. გაკვირვებას იწვევს ის, რომ არჩილი რუსთაველს არა თვლის
ბასიანის ომის მონაწილედ და თეიმურაზს ათქმევინებს: მაშინ თამარ-



თან იბლუნძოდით. თამარის პირველი ისტორიკოსი აღნიშნავდა, რომ დესაც ქართველთა ლაშქარი ბასიანში იბრძოდა, თამარი შამინ, მართლაც, ოძრხეში მუხლზე დაჩოქილი ლოცულობდა; ღმერთს ევედრებოდა ქართველთა მშვიდობით დაბრუნებას. მასთან ერთად იყვნენ იოანე შავთელი და ევლოგი, სალოსად წოდებული:

„მივიდა თამარ ვარძიას, ვარძიის ღმრთისმშობლის წინაშე და ცრემლით შეჰვედრა სოსლან დავით და სპაი მისი, და დროშად, სუიანი და ბედნიერად მყოფი, გაგზავნა ვარძიით. ლაშქარნი წარემართნეს... მეფე თამარ მივიდა ოძრხესს. და ეახლნეს შავთელი, კაცი ფილოსოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოლუაწებათა შინა განთქმული, და ევლოგი, სალოსად წოდებული და წინასწარ-მცნობელობის ღირს-ქმნილი. ამათ თანა იყვის მეფე თამარ დღისი და ღამე ლოცვითა“ (გვ. 126).

ცხადია, ამ ტექსტს არჩილი კარგად იცნობდა, მაგრამ აქ რუსთველის შესახებ არაფერია თქმული. არჩილს შავთელში ზომ არ ერევა რუსთველი? ის ფაქტი, რომ შავთელს არჩილი თავის ლექსებში (და კერძოდ, „გაბაასებაში“, სადაც საუბრობს ძველ და ახალ მელექსეებზე) არ იხსენიებს, ძლიერ დამაფიქრებელია. იგი გვაზარაუდებინებს: არჩილს შავთელი, „კაცი ფილოსოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოლუაწებათა შინა განთქმული“, რუსთაველი ჰგონია, ამიტომ იგი არ თვლის შოთას ბასიანის ომის მონაწილედ, ხოლო შავთელს არ იცნობს, როგორც თამარ მეფის მეზობტეს.

ამრიგად, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ერთ-ერთი პირველი წყაროა არჩილის პოემისა „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“. არჩილი გადმოგვცემს თამარის მეფობის ისტორიას: ზოგჯერ პირდაპირ იმეორებს მემატიანის მიერ დასახელებულ ისტორიულ ფაქტებს, ხშირად შემოაქვს სიტყვასიტყვით მატიანეს პასაჟები, გამოთქმები და ცალკეული სიტყვებიც კი.

„ისტორიანი და აზმანი“ შესანიშნავი საისტორიო თხზულებაა საქართველოს გმირული წარსულის დასახასიათებლად და ამიტომაც არჩილს სწორედ ეს თხზულება გაუღექსავს გამოკრებით.

„ქილილა და დამანა“ თქმული

ეს „ქილილა და დამანა“ — ბრძენთაგან გამოთქმულები,
სპარსთა ენითა სიტყბოთი დაშაქრულ-დამასულელები,
ვპოვე და ჩვენად გარდმოვსტქვი, ყვავილი ტურფად რგულელები,
ლექსი ლექსად და ამბავი არც ერთი დანაკლულეები.

ეს წიგნი ბრძენთა ნათელი, სხივით და შუქით მზიანი,
ყურითა ტკბილად სასმენი, სულით ვარდი და იანი,
მკითხველთა სარგო მრავალი, არ ათი, არა ზიანი.
ვწერ მეფე ვ ა ხ ტ ა ნ გ ქართველთა, თესლ-ტომად დავითიანი.

პასტანა მემქმსა

სიბრძნის სიკეთე

სიბრძნეს ვერ სწორავს ვერარა, არც ისე მოსახმარია.
მისი ნაყოფი ბევრია, ძირი აქვს არ-გამხმარია,
სად წახვალთ, თან გამოგყვებათ საგზლადაც მგონ სახმარია,
სხვა დაგრჩება და ის არა, გვერდთ გახლავს, ცათ კამარია.

ა რ ჩ ი ლ ი

გ

ჩაკხულის
ფურც-
სლუგნი

გ

ლევან მინაბდე

კველი ქართული მწერლობის სახელმწიფარებითული კერების ურთიერთობის ისტორიიდან

ქართული კულტურა ინტენსიურად ვითარდებოდა როგორც საკუთარი საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ქართველმა მოღვაწეებმა ნაყოფიერი კულტურულ-აღმშენებლობითი და მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობა გააჩაღეს სამშობლოში, სირია-პალესტინაში, ბიზანტიაში, რუსეთში. ქართველთა სამოღვაწეო პუნქტებში, — ჩვენი თუ უცხოეთში, — წარმოებდა მრავალმხრივი მუშაობა: იქმნებოდა ხუროთმოძღვრებისა და ფერწერის დიდებული ნიმუშები, ჩქეფდა ლიტერატურული ცხოვრება, იწერებოდა ორიგინალური თხზულებანი, ითარგმნებოდა საყურადღებო ძეგლები, დგებოდა სხვადასხვა ხასიათისა და შინაარსის კრებულები, მრავლდებოდა ხელნაწერები, მდიდრდებოდა ეროვნული კულტურის დიდებული საგანძური.

ქართული კულტურის, კერძოდ, ჩვენი ეროვნული ლიტერატურის ისტორიაში განსაკუთრებული როლი შეასრულეს საზღვარგარეთ არსებულმა კერებმა.

ი. ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა სავანების კულტურული მნიშვნელობა ფრიად დიდი იყო. იმ დიდი კულტურული მემკვიდრეობის გარდა, რომელიც საქართველოს წარსული საუკუნეების განმავლობაში დაუნჯებელი ჰქონდა, უცხოეთში მყოფი მონასტრების წყალობით საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული განვითარების ყოველი წარმატებისათვისაც თვალყური ედევნებინა. ყველაფერი, რაც-კი იქ ახალი და მნიშვნელოვანი იწერებოდა, ანდა კეთდებოდა, უცხოეთში დაარსებულს ქართველთა სავანეებში მომუშავე ქართველი მოღვაწეების, მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვანთა წყალობით საქარ-



თველოსაც საშუალება ჰქონდა სცოდნოდა: საუკეთესო თხზულებანი ან ითარგმნებოდა, ანდა გადმოქართულებული იყო ხოლმე¹.

ამ სიტყვებში ისე ამომწურავადაა დახასიათებული და წარმოჩენილი ძველი ქართული მწერლობის საზღვარგარეთული კერების მნიშვნელობა და როლი ეროვნული კულტურის განვითარებაში, რომ ძნელია რამე დავუმატოთ. მართლაც, ამ კერების მეშვეობით ქართველობა თვალს ადევნებდა იმდროინდელი განათლებული მწიგნობრული წრეების საქმიანობას², ეცნობოდა მათ წარმატებას, ითვისებდა და თარგმნიდა ყოველივე კარგსა და საყურადღებოს, იფართოვებდა გონებრივ ჰორიზონტს, ქმნიდა წინაპირობას ეროვნული ლიტერატურის შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის. საზღვარგარეთ არსებულ ქართულ სავანეებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ჩვენი მწერლობისათვის, ადგილობრივი ლიტერატურული ძალების ორიგინალურ-შემოქმედებითი მუშაობისათვის.

ძველი ქართული მწერლობის საზღვარგარეთული კერების ისტორიაში შესამჩნევად გამოიყოფა სამი რეგიონი: ახლო აღმოსავლეთი (სირია-პალესტინა), დასავლეთი (ბიზანტია), ჩრდილოეთი (რუსეთი).

ქართველებს ადრეული ხანიდანვე ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ ახლო აღმოსავლეთთან. ეგვიპტის, განსაკუთრებით კი პალესტინისა და სირიის ბევრი უდაბნო ქართველ მოღვაწეთა საიმედო თავშესაფრად იქცა. ჩვენმა წინაპრებმა უკვე IV—V საუკუნეებში მიაშურეს ამ ქვეყნების სავანეებს, ხოლო შემდეგ ბევრ ადგილას ეროვნული კოლონიები და მნიშვნელოვანი მწიგნობრულ-ლიტერატურული კერები დააარსეს და მრავალმხრივი კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა გააჩაღეს.

IX საუკუნიდან ქართველმა მოღვაწეებმა დასავლეთისაკენ აიღეს გეზი და თანდათან დაიწყეს ბიზანტიის სამონასტრო კოლონიზაცია. დროთა განმავლობაში ქართველთა დასახლებამ ბიზანტიაში ფართო ხასიათი მიიღო და ქართულ-ბიზანტიური სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის განვითარების შედეგად სულ უფრო შესამჩნევი გახდა.

გვიან ხანაში, რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ურთი-

¹ ი. ჭავჭავიძევილი, ქართველი ერის ისტორია, II³, თბ., 1965, გვ. 339—340, 345.

² ი. ჭავჭავიძევილი, ქართველი ერის ისტორია, III², თბ., 1966, გვ. 305.

ერთობის გაძლიერების შესაბამისად გაცხოველდა ქართულ-რუსული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა. რუსეთში აღმოცენდა ქართველთა არაერთი ახალშენი, დაარსდა ქართული კულტურის არაერთი მძლავრი კერა; რუსული შემოქმედებითი აზრის, რუსი ხალხის ლიტერატურული ცხოვრების ბევრი ცენტრი მშობლიური გახდა რუსეთს გადახვეწილი ქართველებისათვის.

ძველი ქართული მწერლობის საზღვარგარეთულ კერებსა და იქ ქართველთა მიერ გაჩაღებულ ლიტერატურულ-შემოქმედებით საქმიანობაზე, კერძოდ, ამ სავანეთა ურთიერთობაზე მრავალი საინტერესო ცნობაა დაცული ქართულ წყაროებში — საისტორიო თხზულებებში, ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში, მწიგნობართა მიერ დამზადებულ ხელნაწერებში, აგრეთვე აღაპებსა და სულთა მატიაწებში, ეპისტოლეებში, სიგელ-გუჯრებში და ა. შ. მათი შესწავლით ირკვევა, რომ ძველი ქართული მწერლობის საზღვარგარეთულ კერებს შორის, გარდა რეგიონალურ-ტერიტორიული სიახლოვით გამოწვეული კავშირისა, არსებობდა მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა და აქტიური თანამშრომლობა-თანამოღვაწეობა. ნათქვამის დასადასტურებლად დავიმოწმებთ რამდენიმე ფაქტს, ვიხელმძღვანელებთ ქრონოლოგიური პრინციპით და ამჯერად შემოვიფარგლებით მხოლოდ ორი რეგიონით — ახლო აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქართული სავანეების მასალებით.

სავანებოდ გავამახვილებთ ყურადღებას საზღვარგარეთული სავანეების ქართულ წიგნსაცავებზე. საკმარისია გამოვყოთ მხოლოდ ერთი, თუნდაც ერთი წიგნსაცავი, რომ ყოველივე ნათელი გახდეს. ავიღოთ, მაგალითად, სინის მთის ქართული სავანის უაღრესად მდიდარი წიგნსაცავი, რომელიც გოაცებას იწვევს მრავალფეროვნებით და ნათლად წარმოაჩენს სინელ ქართველთა ლიტერატურულ ინტერესებსა და გონებრივი ჰორიზონტის სიფართოვეს.

სინის მთის ქართული წიგნსაცავი მხოლოდ ადგილზე დამზადებული ხელნაწერებით არ მდიდრდებოდა, მას ხშირად ემატებოდა წიგნები პალესტინის ქართული კერებიდან. ამით აიხსნება, რომ სინის ქართული ხელნაწერების კოლექციაში დაცულია როგორც საკუთრივ სინის მთაზე დამზადებული ხელნაწერები, ისე სხვა ქართული სავანეებიდან შესული წიგნებიც. ცნობილია, მაგალითად, სინის მთის ქართული კოლექციის ხელნაწერები, რომლებიც იქაურ წიგნად ფონდს შეემატა იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან (Sin. №№ 16, 17), ვეთიმიანიიდან (Sin. №№ 13, 89), კაპაითიდან (Sin. № 91), გოლგოთიდან (Sin. № 78),



კალიპოსიდან (Sin № 71), პალავრიდან (H № 21, 24; Sin. №№ 11, 40) და ა. შ. განსაკუთრებით ბევრი წიგნი შეემატა სინას საბაწმიდოვან (Sin. №№ 5, 26; 32, 33, 57; 36, 40, 97 და სხვ.). საკმარისია დავასახელოთ 864 წლის მრავალთავი — უძველესი (პირველი) ქართული თარიღიანი ხელნაწერი და იოანე-ზოსიმეს მიერ დამზადებული კრებულები.

როგორც ჩანს, სინელ ქართველებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ სხვა სავანეებში მოსახლე თანამემამულეებთან. პალესტინის ბევრი სავანის ქართველი მოღვაწე სწვევია სინას და შეუვსია-გაუმდიდრებია მისი წიგნსაცავი. შეგვიძლია დავიმოწმოთ რამდენიმე ფაქტი. მაგალითად, ცნობილია პარაკლიტონი (Sin. № 13), რომელიც გეთსიმანიაში დაუმზადებიათ 1044 წელს. მას შემოუნახავს საგულისხმო მინაწერი: „მე, პეტრე, შევედ მთასა წმიდასა სინას, მოვიხილე და ესე პარაკლიტონი არა იყო მუნ შინა. მოვედ მუნით და დავეწრე ჩემითა სიგლახაკითა და აწ შევწირე წმიდასა მთასა სინასა“³.

დამოწმებული მინაწერი, ერთი მხრივ, ადასტურებს გეთსიმანიელთა ურთიერთობას სინის მთასთან, კერძოდ, გეთსიმანიელთა მისვლას სინაზე, მეორე მხრივ, ცხადყოფს მათ ზრუნვას სინის მთის ქართული წიგნსაცავის გაზრდა-გამდიდრებაზე. რადგან პეტრე გეთსიმანიელს სინის მთის ქართულ ხელნაწერთა შორის პარაკლიტონი ვერ უპოვია, თავის სავანეში დაბრუნებისთანავე დაუმზადებია სათანადო ნუსხა და სინისათვის შეუწირავს.

სინის მთის ქართულ სავანესთან იერუსალიმელი ქართველების ურთიერთობას არაერთი ხელნაწერი ამოწმებს. მაგალითად, მოზრდილი კრებული (Sin. № 69), რომელშიც გვხვდება ნინოს, აბოს, ილარიონ ქართველის, ექვთიმე ათონელისა და სხვა მოღვაწეთა საგალობლები. როგორც ანდერძიდან ჩანს, იერუსალიმელი ქართველები მისულან სინაზე და აღნიშნული საგალობლები იქ ვერ უხილავთ. და აი, იერუსალიმელმა მოღვაწემ — იოსებ ხუცესმონაზონმა გაამზადა წიგნი და „სინას, მონასტერსა წმიდისა გიორგის მთავარმოწამისასა“ შესწირა⁴.

³ А. Цагарели, Памятники грузинской старины в святой земле и на Синае, ППС, IV, 1 (1888), გვ. 224; ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 33; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (სინური კოლექცია), II, შეადგინეს და დასაბუქდად მოამზადეს ც. ქანკიევმა და ც. ჯღამაიამ, თბ., 1979, გვ. 82.

⁴ А. Цагарели, Памятники, ППС, IV, 1 (1888), გვ. 208; Н. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М.—Л., 1940, გვ. 196; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა (სინური კოლექცია), II, გვ. 253.



სინაზე დაცულ ერთ ხელნაწერს (Sin. № 71), რომელშიც შემონახულია მრავალი საყურადღებო ძეგლი („წამებაა წმიდისა პანტელეონისი“, „წამებაა წმიდისა დიმიტრისი“ და სხვ.), აქვს ასეთი მინაწერი: „მე, პ... გავგზავნე ესე წიგნი სინას, ქართველთა ეკლესიასა, კელითა იოანე ხუცისათა, სალოცველად ბერისა ჩემისა გაბრიელისათს“⁵. მინაწერიდან ჩანს, რომ დასახელებულ პირს ხელნაწერი სინისათვის შეუწირავს. თუ ხელნაწერი გვიანდელია, ყოველ შემთხვევაში, XIII (უ. გარიტი) ან XIII—XIV (ა. ცაგარელი) საუკუნეებისა, მაშინ დამოწმებული მინაწერი ცხადყოფს გვიან ხანაში სინაზე ქართული ეკლესიის არსებობას და მის წიგნად ფონდზე ქართველთა ზრუნვას.

რასაკვირველია, ერთი სავანის მწიგნობრების მიერ მეორე სავანის ბიბლიოთეკისათვის ხელნაწერების შეწირვა მხოლოდ სინაზე არ შეინიშნება. შეგვიძლია დავიმოწმოთ არაერთი ფაქტი სხვა სავანეთა ურთიერთობის ისტორიიდან.

XI საუკუნის შუა წლებში შავ მთაზე, კალიბოსის სავანეში, მოღვაწეობდნენ „სახით რეცა მონაზონნი გაბრიელ და იოანე დეკანოზნი ივანწმიდელ-საფარელნი“. მათ 1040 წელს „ქუეყანასა ასურეთისასა, საზლაურთა ანტიოქიისათა, სანახებსა წმიდისა სვმეონ საკურველთმოქმედისასა, საყოფელსა წმიდისა ღმრთისმშობელისასა, მონასტერსა ქართველთასა კალიბოსს“ გადაწერეს და „ჯუარს, რომელი აღემენა კელითა... პროზორესითა“, შესწირეს გრიგოლ ნაზიანზელისა და გრიგოლ ნოსელის თხზულებათა შემცველი კრებული, რომელიც ამჟამად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში ინახება (P № 3)⁶.

XI საუკუნის შუა წლებში პალავრაში მოღვაწეობდა ბიბლიოფილი გრიგოლი (გრიგოლ ხარიტონწმინდელი). მან „საყოფელსა შინა წმიდისა მამისა ხარიტონისსა, პალავრას, ძუელსა მონასტერსა“ მოიგო 1040 წელს დამზადებული კრებული (H № 1662), რომელშიც შესულია

⁵ А. Цагарели, Памятники, ППС, IV, 1 (1888), გვ. 231; Н. Марр, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, გვ. 214.
⁶ М. Brosset, Notice des manuscrits géorgiens récemment acquis par l'Académie, BS, VIII, № 20 (1841), გვ. 1—4 (ცალკე ამონაბეჭდი); А. Цагарели, Памятники, ППС, IV, 1 (1888), გვ. 30, 92, 185—186; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, I, თბ., 1892, გვ. 179—181; Р. Орбели, Собрание грузинских рукописей ИВ АН СССР, УЗ ИВ, IX (1954), გვ. 62.

ცნობილ მოღვაწეთა (იოანე ოქროპირის, ეფრემ ასურისა და სხვ.) სიტყვები, და შესწირა „მონასტერსა დედათასა დერტავს“⁷. ლის ანდერძით ვეცნობით პალავრელი და დერტაველი ქართველების ურთიერთობას. როგორც ჩანს, პალავრის ბინადარი თავიანთი თანამემამულე ქალების წიგნსაცავის გამდიდრებაზეც ზრუნავდნენ.

ვფიქრობთ, სურათი ნათელია და დამატებითი ფაქტების დამოწმება საჭირო აღარ უნდა იყოს.

ახლა განვიხილოთ სხვა მოვლენა, რომელიც წარმოაჩენს ძველი ქართული მწერლობის საზღვარგარეთული კერების შემოქმედებითი ურთიერთობის კიდევ ერთ მხარეს.

ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების შესწავლა ცხადყოფს, რომ ერთი სავანის მოღვაწენი სთხოვდნენ თუ ავალბდნენ სხვა სავანის ბინადართ ახალი ნუსხების დამზადებას, ძველი ტექსტების გაცხოველებას და ა. შ. მაგალითად, თეოდორე პალავრელმა (X ს.) საბაწმიდელ მოღვაწეს სვიმეონ მგალობელს გადააწერინა საგალობელთა კრებული (Sin. 40), იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დამაარსებელმა გიორგი-პროხოვრემ საბაწმიდის მკვიდრს მიქაელ ჩიხუარელს 1038 წელს გადააწერინა იოანეს თავის თარგმანება იოანე ოქროპირისა (M № 13), იოანე გოლგოთელმა იოანე და დიმიტრი საბაწმიდელებს 1052 წელს გადააწერინა საგალობელთა კრებული (Sin. № 5), გრიგოლ მთაწმიდელმა კონსტანტინოპოლში, ხორას მონასტერში, ბასილ ეტრატას 1031 წელს გადააწერინა „მცირე სჯულისკანონი“ (A № 96) და სხვ. ცალკე უნდა მოვიხსენიოთ გიორგი შავმთელი და მოვიგონოთ მისი ზრუნვა ათონის მთის ქართულ სავანეზე, კერძოდ, მის ლიტერატურულ სკოლაზე.

ათონის ქართველთა მონასტრის (ივირონის) ერთ ხელნაწერს (Ath. № 84) შემოუნახავს გადამწერის — გიორგი შავმთელის ვრცელი ანდერძი, რომელიც კარგად გვაცნობს შავი მთისა და ათონის ქართველ მოღვაწეთა კულტურულ-ლიტერატურულ ურთიერთობას. გადამწერი გვაუწყებს: „მე, გლახაკსა ბერსა გიორგი დაყუდებულსა, მასმიოდა, ვითა ესე წმიდისა და დიდებულისა ნეტარისა მართაის ცხორებად და

⁷ H № 1662, 273v—274r; საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H კოლექცია), კ. კეკელიძის საერთო რედაქციით, IV, შედგენილია და დასაბუჟლად დამზადებული ე. მეტრეველისა და ე. ვიკისაღაძის მიერ, ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., 1950, გვ. 89.



წმიდისა ბარლაამისი მთაწმიდას არა არსო და ამის ჯერისათჳს ვინცე
აღწერაჲ ამისი და მაგას ეკლესიასა შემოწირვაჲ⁸.

როგორც ჩანს, შავმთელი ქართველები კარგად იცნობდნენ ათონის ლიტერატურულ სკოლას, აღიარებდნენ მის უპირატესობასა და დიდ მნიშვნელობას და ამიტომ სწერდნენ ათონელებს: „ღმერთმან ყოველი აღმოსავლეთი საღმრთოათა წიგნითა მაგის წმიდისა ადგილისაგან განაბრწყინვა და წმიდანი ეკლესიანი ქართლისანი ღმერთმან ახლად მანდეთ შეამკვნა“ (გიორგი შავმთელი); ამასთანავე, ზრუნავდნენ ათონის საეპისკოპოსოს ხელნაწერების დამზადებაზე, მისი ბიბლიოთეკის შევსებაზე.

აქვე უნდა მოვიხსენიოთ გიორგი შავმთელის ზრუნვა ათონისათვის კადრების შერჩევაზე. სწორედ მან შენიშნა გიორგი ათონელის დიდი ნიჭი და ტალანტი, ლიტერატურული საქმიანობისაკენ მოუწოდა მომავალ მწერალს და ამ მიზნით წარგზავნა ათონს, რადგან, მისი მართებულის აზრით, იმხანად ათონზე უკეთესი პირობები იყო მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის; სწორედ მან გაწაფა გიორგი ათონელი, რომელმაც გააღრმავა, განავითარა და ახალ, მაღალ საფეხურზე აიყვანა ექვთიმე ათონელის მიერ წამოწყებული კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობა. არსებითად გიორგი ათონელის პირველი ნაბიჯები ლიტერატურულ ასპარეზზე მისი „სულიერი მოძღურის“ — გიორგი შავმთელის სახელთანაა დაკავშირებული. წლების მანძილზე გიორგი შავმთელი წარმართავდა დიდებული მოწაფის შემოქმედებით მუშაობას. როგორც ზოგიერთი წიგნის ანდერძიდან ჩანს, გიორგი ათონელი ზოგჯერ ივირონშიც კი გიორგი შავმთელის დაკვეთით მუშაობდა. მაგალითად, სამოციქულოს ანდერძში მთარგმნელი (გიორგი ათონელი) გვამცნობს: „წმიდანო მამანო, ესე წმიდაჲ წიგნი და ყოვლისა სოფლისა მოძღუარი მე, გლახაკმან გიორგი ხუცესმონაზონმან, ვთარგმნე მთაწმიდას სულიერისა მოძღურისა ჩემისა გიორგის ბრძანებითა და მადლითა, რომელი მყოფ არს მთასა საკვრველსა“⁹.

⁸ Н. М а р р, Агиографические материалы по грузинским рукописям Иверы, I, ЗВОРАО, XIII, № 2—3 (1901), გვ. 45.

⁹ А № 584, 228v; ქრონიკები, I, გვ. 230—231; მ. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები, წერილი ოგ, „ივერია“, 18. VIII. 1900, № 179; ათონის ივერთის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით, თბ., 1901, გვ. 350, შენ.; საქმე მოციქულთა (ძველი ხელნაწერების მიხედვით), გამოსცა ილ. აბულაძემ, თბ., 1950, გვ. 022.

არც ისაა ინტერესსმოკლებული, რომ გიორგი შავმთელმა დაავალა გიორგი მცირეს გიორგი ათონელის ცხოვრების აღწერა, რასაც ნაძარბაზაძის ანოტირებად ამოწმებს „ეპისტოლე მიწერილი გიორგის მიმართ, დიდისა მის შეყენებულისა, რომელი მკვდრ იყო მთასა საკურველსა, მონასტერსა წმიდისა სუმეონისსა, ბერისაჲ მის, რომლისადა ეთხოვა, რაათა აღუწეროს ცხოვრებაჲ და მიცვალებაჲ წმიდისა მამისა გიორგი მთაწმიდელისაჲ“.

ძველი ქართული მწერლობის საზღვარგარეთული კერების ურთიერთობაზე მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ ასეთი საინტერესო ფაქტიც: საზღვარგარეთ მყოფი ქართველი მოღვაწენი არა მარტო მათ მიერ (თუ მათი თაოსნობით) დამზადებულ ხელნაწერებს სწირავდნენ იქაურ ქართულ სავანეებს, არამედ ზოგჯერ ტყვედ ჩავარდნილ წიგნებსაც იხსნიდნენ და კანონიერ მფლობელს — ძველ სავანეს უბრუნებდნენ. ნათქვამის საილუსტრაციოდ დავიმოწმებთ მხოლოდ ერთ ხელნაწერს.

„ესე წიგნი, თარგმანი სახეობისაჲ, კაპპათური, წარტყუწნილი სპარსთაგან, მე, ანტონი, ფრიად ცოდვილმან, ვიჯსენ ჩემითა საფასოათა და შევსწირე მუნვე კაპპათას“, — იკითხება მინაწერში ერთი იერუსალიმური კრებულისა (Jer. № 21)¹⁰, რომელიც ტყვეობიდან დაუხსნია და იერუსალიმის ქართველ ქალთა სავანისათვის (კაპპათისათვის) შეუწირავს (დაუბრუნებია) ანტონს (ჩანს, იერუსალიმელ ქართველს).

ცალკე უნდა მოვიხსენიოთ საზღვარგარეთული ქართული სავანის ბინადართა მიერ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა, ახალ სავანეში დამკვიდრება და მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობის ახალ პირობებში, ახალ გარემოში, ახალ ლიტერატურულ წრეში გაგრძელება. მაგალითად, არაბთა მოძალებისა და საბაწმიდის ხშირი დარბევის გამო იქ დარჩენა გაძნელდა, შემდეგ კი შეუძლებელი გახდა. იქაურმა ქართველმა მოღვაწეებმა სხვა სავანეს — სინის მონასტერს მიაშურეს და ხელნაწერი წიგნებიც გადაიტანეს. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ იოანე-ზოსიმემ და მისმა თანამოღვაწეებმა, რომლებმაც

¹⁰ А. Цагарели, Памятники, ППС, IV, 1 (1888), გვ. 180—181; Б. Мარი, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, დასაბუჯლად მოამზადა ე. მეტრეველმა, თბ., 1955, გვ. 36.

საბაწმიდის დატოვების შემდეგ საცხოვრებლად სინა აირჩიეს, იქ განაგრძეს იძულებით შეწყვეტილი კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. სწორედ მათი მისვლის შემდეგ გაიშალა სინაზე მრავალმხრივი ლიტერატურული საქმიანობა, რომელიც არსებითად პალესტინის (უპირველესად საბაწმიდის) ქართულ კულტურულ-მწიგნობრული ტრადიციების გაგრძელება იყო.

ძველი ქართული მწერლობის საზღვარგარეთული კერების ურთიერთობაზე ნათლად მეტყველებენ ის ხელნაწერები, რომელთაც სხვადასხვა საევანის მოღვაწეთა მუშაობის კვალი აღუბეჭდავთ. მაგალითად, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ჰავიოგრაფიული კრებული (Jer. № 156) სამი ქართული სკრიპტორიუმის (შავი მთის, ათონის, ჯვრის მონასტრის) თანამშრომლობის კარგი ნიმუშია. იგი შავ მთაზე გადაუწერია 1040 წელს ვინმე გიორგის, 1065 წლის ახლო ხანებში ჯვრის მონასტრისათვის შეუწირავს გიორგი აფხაზს, მიწიწივიასძეს; ამავე გიორგისა და ჯვრის კრებულის წევრს არსენს შეუვსიათ ახალი თხზულებებით. კრებულის შექმნაში გარკვეული წვლილი შეუტანია ათონელ მოღვაწეს ბასილ ბაგრატის ძეს¹¹.

უკანასკნელად ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ერთი საზღვარგარეთული ქართული საევანის მოღვაწენი სხვა ქართული საევანის მკვიდრთ ეხმარებოდნენ არა მხოლოდ წიგნებით, არამედ მატერიალურადაც. საკმარისია მოვიგონოთ ათონ-პეტრიწონის ურთიერთობა. მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ პეტრიწონის საევანის დამაარსებელთა — გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძეთა ზრუნვა ივირონზე, არამედ იქაურ მოწესეთა — თეოფანე პეტრიწონელის, ნიკოლა პეტრიწონელისა და სხვათა ღვაწლი¹².

დიდალი მასალიდან დამოწმებული ცალკეული ფაქტები უფლებასა და საფუძველს გვაძლევენ დავასკვნათ, რომ ძველი ქართული მწერლობის საზღვარგარეთულ კერებს შორის არა მხოლოდ ცალკეულ რეგიონებში იყო მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა (ვთქვათ, ახლო აღმოსავლეთის კერებს შორის ცალკე და დასავლეთის კერებს შორის

¹¹ ე. მეტრეველი, საზღვარგარეთის ქართული სამწერლობო კერების ურთიერთთანამშრომლობის ერთი ფაქტი, „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან“, თბ., 1976, გვ. 135—139.

¹² ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980, გვ. 213—217.



ცალკე), არამედ ასეთივე კავშირითიერთობა არსებობდა ახლო საზღვრებისა და დასავლეთის სავანეების ქართველ მოღვაწეთა შორის. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ ძველი ქართული მწერლობის საზღვარგარეთულ კერებს ანალოგიური კავშირითიერთობა ჰქონდათ საქუთრივ საქართველოში არსებულ სავანეებთან.

თ ბ ი ლ ი ს ი

**წარწერა ფილოსოფიურ თხზულებათა
ხელნაწერ წიგნზე**

მოვნახე წიგნი ასეთი, ჩვენს ქვეყანაში არ იყო,
ამისა უცოდინელად ყოველი წიგნი მკვდარ იყო,
ბრმასავით ვეცეცებოდი, გონება ჩამომხმარ იყო.
რასთვის დააგდეს? ეს მიკვირს! ერთ საცოდინრად კმარ იყო.

ამისი ცოდნა უნოს ენასა აადგმევინებს,
გონებას მოჰხნავს, სიბრძნესა დასთესს, ფესვს გაადგმევინებს,
ფილოსოფოსობს, მეტყველობს, ზეცას ტახტს დაადგმევინებს,
ფრთასა შეასხამს, აღაფრენს, სულს ნათლად ჩაადგმევინებს.

(უცნობი პოეტი)

დავით აღმაშენებელი და წიგნი

მეფემან დავით საღმრთონი წერილნი მდიდრად შეიკრიბნა, რაოდენნი პოვნა გარდამოღებულად ენასა ქართველთასა სხვათა ენათაგან, ძველნი და ახალნი, ვითარცა სხვამან პტოლემეოს, ამას ზედა ოდენ სახოვან-ქმნილმან, და ესეოდენ შეიყვარნა და შეითვისნა, რომელ სთქვაძეცა, თუ მათ შინა ცხოველ არს და მათ შინა იძრვის. იგინი იყვენეს მისსა საზრდელ ყოველთა გემოან და სასმელ — ტკბილ და საწადელ; იგინი — შვება, განცხრომა, საწურთელ და სარგებელ. დღე და ღამე მიმოსლვათა შინა მიმდებოთა, ლაშქრობათა მოუწყენელთა, შრომათა განუსვენებელთა წიგნები ეტვირთა სიმრაველსა ჯორთა და აქლემთასა და, სადა გარდახდის ჰუნესა, პირველ ყოვლისა წიგნნი მოაქვნდიან ხელითა, და არა დააცადის კითხვა, ვიდრე არა დაშვრის. ხოლო შემდგომად სერობისა, ნაცვლად ძილისა ანუ სხვისა რასმე საქმისა — კვლავ კითხვა წიგნთა. და რაჟამს თვალნი დაშვრიან, სასმენელნი ანაცვალნის, სადა არა გარეწარად, არამედ ფრიალდა ფრთხილად ისმენნ წინაშე თვისსა მკითხველისასა, გამოძიებენ, ჰკითხან, უფროლა თვით განმარტებნ ძალსა და სიღრმესა მათსა...

და ვთქვა სხვადა საქმე საცნაურ-მყოფელი წიგნთა სიყვარულისა, რომელსა შინა არა იყოს ტყუელი, ვინათგან წარსწყმედს უფალი ყოველთა, „რომელნი იტყვიან სიცრუესა“: წინადაიდვა ოდესმე წიგნი „სამოციქულო“ წარკითხვად. და რაჟამს დაასრულის, ნიშანი დასვის ბოლოსა წიგნისასა. ხოლო მოქცევასა წელიწადისასა მით ნიშნითა აღვთვალეთ: ოცდაოთხეტი წარკითხა...

შემოვიდა ოდესმე ქარავანი დიდი განძით და თანა შემოჰყვეს თურქნი დიდნი. ცნა რა მეფემან, გაგზავნა მონათაგანი თხოთმეტნი, კაცი რჩეულნი, რათა ლოჭინით კერძო ნახირი მძოვარი ქალაქისა წარმოიტაცონ, ნუშუკვე იგი თურქნი გამოვიდენ დევნად, და მოსწვიდნენ ამით ღონითა. ხოლო თვით სამასითა ოდენ მხედრითა დაიმალა ღელეთა ავაქალისათა. და არავის მიენდო მხედარსა სხვასა, არამედ თვით მარტო წარვიდა ყოვლად უსაქურვლო, ხრმლითა ოდენ, და თანა წარიტანა წიგნი დმრთისმეტყველი. და ამცნო სპათა არა შეძრვად ყოვლადვე მისლვადმდე მისა მათ თანა.

ხოლო მონათა მათ ყვეს ბრძანებული მათდა და წარმოიღეს ნახირი. მოიწივნეს თურქნი, ვითარ ასი კაცი, და შემდგომად დიდისა ომისა ჩამოყარნეს მონანი და დაუხოცნეს ცხენნი, გარნა ქვეითცა იბრძოდეს ფიცხლად. ხოლო მეფე ცხენსა რა გარდახდა, არა ჰგონებდა ჰერეთ მოსლვასა, შეექცა კითხვასა და ესეოდენ წარიტყვენა მისგან გონებითა, რომელ სრულიად დაავიწყდა წინამდებარე საქმე, ვიდრემდის ხმა რამე კვილისა შემოესმა ყურსა. მყის დაუტევა წიგნი მუნვე და ამხედრებული მიჰყვა ხმასა მას და, ვითარცა ზედა წარადგა მონათა თვისთა, ესევითარსა ღვაწლსა შინა



მყოფთა, და რამეთუ აშორვიდა სპათა თვისთა და უკეთუშცა მათდა ცნობად წარსრულ იყო, მონათა დაუხოდეს, — მსწრაფლ შთაბრიალდა, ვითარცა არწივი და ბანინი, ვითარცა კაკაბნი, და მსწრაფლ ესეოდენნი მოსწყვიდნა, რომელ მათნი ცხენნი კმა ეყვნეს მონათა მათ. და აღმხედრებულთა ესეოდენნი მოსრნეს, რომელ მცირედნილა შეესწრნეს ქალაქს. ხოლო გზანი სავენი იყვნეს მძორითა მათითა და ფრიადისა ცემისაგან ხრმაღმანცა დაღვლარქნილმან უარყო ქარქაში თვისი. მაშინლა მოვიდა სპათა თვისთა თანა, რომელნი ფრიად აბრალებდეს მას. განიცადედლა ჩემდად, რომელ: ესევითარსა საქმესა შინა და ესეოდენ უცალოსა წიგნივე აქვდეს უსასწრაფოესად საქმედ.

(„ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი“)

მწიგნობრის ჩივილი და ვედრება

მე, გლახკმან და ყოველთა უნარჩევესმან, ყოვლად უღირსმან ეგნატის ძემან იესე მ, აღვეწერე წიგნი ესე ბრძანებითა ბატონის კათალიკოზის დომენტიოსითა.

უწყის ღმერთმან, რაც ოდენ შემეძლო, სიმაართლეს ვეცადე. დიდი ჭირისა და მწუხარებისა დღე მქონდა: ძნელი ზამთარი იყო; ერთს ბნელეს სახლში ვიჭექი სიკვდილისაგან შეღონებული, დღე და ღამე მტირალი.

უწყის ღმერთმან, სულ ღამით უსკამოდ, კალთაზედ და მუხლზედ ფიცარი მედვა და სანთლით დავწერე, ოღონდ სიმაართლეს ვცდილობდი და ხელის სიკეთეს არ ვეძებდი, იმგვარი დღე მქონდა.

დედანი, დიად, აშლილი და ძველი იყო, ძველებური ნაწერი იყო და ძნელი საკითხავი. ბევრი ასო ახლანდელს ასოს არა ჰგვანდა და დედნის სიძველემ ბევრიგად გამსარჯა და დიდი ჭირი ვნახე ავის ზამთრისაგან.

თუ რამ უცბათ ნაჩხრეკი ნახოთ, ნუ მწყევთ, ღმრთისათვის. მუხლზედ ნაწერი არის და სხვა რიგად, რომელიც ამ ჩვენს დედანში ეწერა, ისე დავწერე.

გვედრებით ყოველთა: წყევას ნურვინ შემამთხვევთ, უფალნო ჩემნო! ვაჲ მე, საწყალობელსა, რა მწარედ ხელს შემცივდა!

უფალო, შემიწყალე ცოდვილი იესე!

აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის A ფონდის ხელნაწერი № 63 (გადაწერილია 1710 წელს)

ი ა ბ ა ჩ ი ძ ი ლ ა ძ ი

მხლიბრისის უპველესი ნიმუში ქართულ ხელნაწერებზე

ძველი ქართული მწერლობა, ჩვენი წარსულის ძეგლები — ხელნაწერებმა შემოგვინახეს. სისხლისმღვრელი ბრძოლები, მტერთა შემოსევანი ანადგურებდნენ ყოველივეს და, რა თქმა უნდა, ხელნაწერებსაც. ასეთ ვითარებაში ძველი ქართული ხელნაწერების დაცვა-გამრავლება განსაკუთრებით საჭირო იყო, რათა ეროვნულ საუნჯეს ჩვენამდე მოეღწია. ეს ძნელი საქმე იტვირთეს ქართველმა გადამწერებმა. წიგნისადმი დიდი სიყვარული ქართველ კაცს ოდითგან მოსდევდა: „ფრიადი კეთილი კაცთმოყუარისა კაცთადა მომნიჭებელი პირველი მისი სიმდიდრე წიგნთა მოძღურებაჲ არს. მზც და მთოვარე ვორცთა ჩუენთა საკმარად დაჰბადნა, ხოლო წიგნნი სულთა ჩუენთა განმანათლებლად მოგუმაღლნა“ — იუწყება მეთორმეტე საუკუნის ერთ-ერთი ხელნაწერის მომგებელი დავით ჯიბისძე¹.

წიგნი ამშვენებდა სამეფო ოჯახს, ეკლესია-მონასტერს და ყოველი ქართველის ოჯახს. წიგნს მზითვად ატანდნენ ქალს.

როგორც კულტურული წარსულის მქონე სხვა ერებში, ასევე საქართველოშიც არსებობდა საოჯახო წიგნსაცავები, სადაც სათუთად ინახებოდა წინაპართა ნაანდერძევი ხელნაწერები., მფლობელი ხელნაწერს მინაწერს უკეთებდა; ხშირად ნომრავდა კიდევ მას: „თავადის მღივნის დიმიტრის თუმანოვისა არის მარტირია ესე. ვითხოვ უმდაბლესად; ვინც დასტკბეთ აღმოკითხვითა, მომიგონებდეთ ლოცუათა შინა თქუენთა, ამად რომელ მრავლისა ღონისძიებით მომიპოვებთეს და დამიდვიეს წიგნის საცავსა შინა“², ან კიდევ: „პეტრე უმიკაშვილის“³.

¹ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, A-135, 255 რ.

² იქვე, S-2988, 216 რ.

³ იქვე, S-1510 3 რ.

„Джандиери, 1868-го года, 20-го июля“⁴. მსგავსი მინაწერები მრავლად მოეპოვება ძველ ქართულ ხელნაწერებს. მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება დღემდე უცნობი საოჯახო წიგნსაცავის მიკვლევა და მისი შედგენილობის რამდენადმე აღდგენა. ამავე მინაწერებით ვიგებთ წარსულის სიღრმეში მივიწყებულ იმ პირთა სახელებს, რომელნიც განსაკუთრებული სიყვარულით უფროხილდებოდნენ ყოველ ხელნაწერს:

„შვილო გრიგოლ, ამ წიგნს, სიმონ ამირეჯიბმა თუ ინებოს, თვარა სხვას ნუ აჩვენებ, თვარა სამართლის წიგნივით დაგეკარგვის“. — ვკითხულობთ ერთ მინაწერში.

XVIII—XIX საუკუნეებში საქართველოში საოჯახო წიგნსაცავები ჰქონდათ ცნობილ მოღვაწეებს ანტონ I-ს, იესე ოსეს ძეს, იოანე ქართველიშვილს, ზურაბ წერეთელს, ნიკო ჩუბინაშვილს, პეტრე უმიკაშვილს, ზაქარია ჭიჭინაძეს, დავით, გრიგოლ და ნიკოლოზ დადიანებს, თეიმურაზ ბაგრატიონს და სხვათა.

ანტონ პირველის წიგნსაცავი 7 000 წიგნს შეიცავდა. 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის თბილისში შემოსვლისას, როდესაც კათალიკოსის სასახლე და მასთან არსებული სემინარია განადგურდა, მტერმა ანტონის წიგნსაცავიც მოსპო. მისი მხოლოდ ნაწილი გადარჩა⁵.

იესე ოსეს ძე თავისი წიგნსაცავის შესახებ წერდა: „მამა ჩემი იყო და ბიძა-ჩემები მღუდელნი წმიდისა ეკლესიისანი, მდიდარნი წიგნთა მრავალთა შემკრებლობითა“⁶.

იოანე ქართველიშვილის წიგნსაცავი ალა-მაჰმად-ხანის შემოსევისას (1795 წ.) გაიფანტა. იოანე ქართველიშვილი ჯერ ბელოთს გაიხიზნა, შემდგომ სხვადასხვა ადგილას იმოგზაურა. ამ მოგზაურობისას დაკარგა თავისი ბიბლიოთეკის ნაწილი. ამის შესახებ იგი შვილებს სწერს: „წიგნები დამრჩება და... ეცადენით ეს წიგნები დაისწავლოთ, არ დაჰყიდოთ და უბრალოდ არ დაჰფანტოთ“⁷.

ცნობილია, რომ ზურაბ წერეთელმა თავის ქალიშვილს, ქეთევანს,

⁴ კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი, S-1503 ხელნაწ. ყდის საცავი ფურცელი.

⁵ კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1951, გვ. 58.

⁶ თავგადასავალი იესე ოსეს შვილისა, ს. კაკაბაძის გამოც., 1913, გვ. 26.

⁷ იოანე ქართველიშვილი, მემუარები ავ. იოსელიანის გამოკვლევით, რედაქციითა და შენიშვნებით, 1952, გვ. 88.

ითანე ბაგრატიონის მეუღლეს, მზითვად 273 წიგნი გაატანა⁸. დადიანების წიგნსაცავის ერთი ხელნაწერის შესახებ (S—247, ს.-ს. ორბელიანი, ლექსიკონი) ზ. ჭიჭინაძე წერდა: „ეს ახლად გამოჩენილი იშვიათი განძი ყოფილა საკუთრება გრიგოლ და ნიკოლოზ დადიანების ძველის ქართულის ხელნაწერების წიგნების ბიბლიოთეკის, რომელი ბიბლიოთეკაც შესანიშნავი განძი იყო მთელს XVIII საუკუნეში“⁹.



ექსლიბრისის ძველი ნიმუში

თეიმურაზ ბაგრატიონმა თავის მეუღლეს, ელენე ამილახვარს, ანდერძად დაუბარა, რათა მისი წიგნებისათვის საგანგებოდ გამოეყოთ შენობა: „ჩემი ქართული წიგნები სრულად შენ დაგიდევ და თქვენ შემდგომად ჩვენს საყდარს, საცა გექნებათ, გამორჩევით ერთი სახლი უნდა გაუკეთოთ და დააწყეთ ყოველივე წიგნები: საღმრთო, თუ საერო, რომ საქართველოს ხალხის სახმარად იქ ეწყოს საუკუნოდ“¹⁰.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი წიგნსაცავი მიკვლეულ იქნა მფლობელთა მიერ ხელნაწერებზე გაკეთებული მინაწერებით. ყოველი ახალი მფლობელი თავის მხრივ ახალ მინაწერს უკეთებდა ხელნაწერს: ეს მინაწერები მოგვითხრობენ ხელნაწერის ისტორიას, სად და ვის ხელში ყოფილა იგი, სანამ ჩვენამდე მოაღწევდა.

ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაიძებნა რამდენიმე ხელნაწერი, რომელთაც მფლობელის მინაწერი არ გააჩნიათ. სამაგიეროდ ყდაზეა ამოტვიფრული ბეჭედი ასომთავრული წარწერით: „ჩაჩიკას ძე ნიკოლოზ“.

ეს ხელნაწერებია:

⁸ ხელნაწ. ინსტ-ის ისტ. დოკუმ. ფონდი, Sd-3038.

⁹ ზ. ჭიჭინაძე, იშვიათი საუნჯე ქართული ლექსიკონების ისტორიის წინაშე, „ტრიბუნა“, 1922, № 372.

¹⁰ კატალოგი წიგნსაცავისა თეიმურაზ ბატონიშვილისა, ს. იორდანაშვილის წინასიტყვაობითა და შენიშვნებით, 1948, გვ. IV.

1. წიგნი ისტორია (A—1168), გადაწერილი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ 1793 წელს.
2. ხელნაწერი კრებული A—860 (A—999), ეს არის დიდი ზომის ხელნაწერი, „შეხვეტილიანი“, გადაწერილი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ 1774—1779 წ.წ.
3. ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილის მიერ შევსებული და აკინძული რუსუდანია (S—3698).
4. XI საუკუნის კრებული (H—341), გადაწერილი იოვანე უცხად მხრეკელის მიერ.

ზემოთ აღნიშნულ წარწერაში იგულისხმება კალიგრაფიული ხელოვნებით ცნობილი გვარის წარმომადგენელი ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილი.

ქართულ ისტორიულ საბუთებში ჩაჩიკაშვილები მე-17 საუკუნიდან ჩანან. თავდაპირველად ისინი ამირაჯიბთა კუთვნილი აზნაურები იყვნენ. 1710 წლის საბუთით ჩაჩიკაშვილების ერთი შტო ყაფლან ორბელიანს ხვდა წილად¹¹. კულტურულ-ლიტერატურული ტრადიციების მქონე ორბელიანთა ოჯახთან ჩაჩიკაშვილების სიახლოვემ ხელი შეუწყო მათში მწიგნობრული ინტერესების გავრცელებას და მოამზადა ნიადაგი მათ ოჯახში შექმნილიყო მძლავრი კალიგრაფიული სკოლა.

ჩაჩიკაშვილების ოჯახში ხდებოდა არა მარტო ხელნაწერთა გადაწერა, არამედ ტექსტების რედაქციულ-ვარიანტული დამუშავებაც. სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია ის სარედაქციო მუშაობა, რომელიც ნიკოლოზ ჩაჩიკაშვილმა ჩაატარა სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას“ (S—454, 1789 წ.) გადაწერისას. ეს არის თხზულების რედაქტირების პირველი ცდა. ვრცელი ჩანართები, ტექსტში ნასწორები ადგილები, რომელიც შემდგომ თავისებურად გადაუკეთებიათ ნიკოლოზის ვაჟებს, გაწაფულ კალიგრაფებს კორნელისა და თომას¹².

ჩაჩიკაშვილების ოჯახშივე მოხდა „ამირანდარეჯანიანის“ მოკლე რედაქციის გავრცობა. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერისა და ხელნაწერთა ინსტიტუტის H 929 ხელნაწერის ურთიერთშეჯერებით ლილი ათანელიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ

¹¹ ხელნაწერთა ინსტ-ის ისტ. დოკ. ფონდი Sd-1936.
¹² ამის შესახებ იხ. სოლ. ყუბანეიშვილი „სიბრძნე-სიცრუის“ ტექსტისათვის, ს.-ს. ორბელიანი, თხზ., ტ. I, 1959, გვ. 253.

„ამირანდარეჯანიანის“ ვრცელი რედაქციის ავტორად შესაძლებელია კორნელი ჩაჩიკაშვილი მივიჩნიოთ¹³.

ზემოთაღნიშნული ბეჭდვანი ხელნაწერების არსებობა მოწმობს, რომ ჩაჩიკაშვილებს საოჯახო წიგნსაცავი ჰქონდათ, რომელშიაც თავს უყრიდნენ არა მარტო თავისი, არამედ სხვების მიერ გადაწერილ ხელნაწერებსაც. აღნიშნული ხელნაწერების ყდაზე ბეჭდის ამოტვიფრა ბევრად უფრო საიმედოს ხდიდა მფლობელის უფლებას ხელნაწერზე, ვიდრე მინაწერი, რომლის გადაშლა ან ამოფხეკა შეიძლებოდა. ამგვარი ბეჭედი ხელნაწერზე დღესდღეობით წარმოადგენს ექსლიბრისის უძველეს ნიმუშს საქართველოში. ძველ ქართულ ხელნაწერთა ამ თვალსაზრისით შესწავლამ შესაძლებელია გამოავლინოს ექსლიბრისის სხვა ნიმუშებიც.

თ ბ ი ლ ის ი

¹³ „ამირანდარეჯანიანი“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელიშვილმა, 1967, გვ. 024—025.

ლიანა გიორბაძე

ილიას „ხუთშაბათობები“

საყოველთაოდ ცნობილია, თუ ილია ჭავჭავაძის სახლში რა ლიტერატურული შეკრებები იმართებოდა. ქართველმა საზოგადოებამ იცის აგრეთვე მის მიერ სტუმრების მიღებისა და მასპინძლობის შესანიშნავი ტრადიციები და ისიც, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა დიდი ილია მოწინავე, პროგრესულად განწყობილი ინტელიგენციის შეკავშირებას, საერთო აზრის შემუშავებას ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის დასამკვიდრებლად. ამიტომ ილიას სახლი თბილისისა თუ საგურამოში ქართული კულტურის ცენტრად ითვლებოდა.

ილიას მწერალთა და მოღვაწეთა შეკრების დღედ ხუთშაბათი ჰქონდა დაწესებული, რის გამოც ამ შეკრებებმა „ხუთშაბათობის“ სახელწოდება მიიღო.

„ხუთშაბათობა“ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ილიას ჟურნალისტურ-საგამომცემლო საქმიანობას უკავშირდება. „საქართველოს მოამბით“ დაიწყო ილიამ თავისი დიდი საქმე. სწორედ ამ ჟურნალში თქვა პირველად ახალი სიტყვა და საზოგადოების წინაშე წარსდგა სამშობლოსა და ხალხის სამსახურით გულანთებული მოღვაწე. მაგრამ უსახსრობა, უბინობა, აუტანელი საცენსურო პირობები — ყოველივე ეს ხელს უშლიდა ილიას სამოღვაწეო ასპარეზზე და სწორედ ეს გახლდათ ერთ-ერთი მიზეზი, რომ „საქართველოს მოამბე“ დაიხურა.

1864 წლიდან ილია პროვინციაში მუშაობდა, მაგრამ თქმით მაინც თბილისთან იყო დაკავშირებული. 1872 წელს იგი დუშეთიდან პეტრე უმიკაშვილს სწერდა: „ჩემი აზრი ის არის, კრებული (იგულისხმება ჟურნალი „კრებული“) უნდა არსებობდეს უსათუოდ. ვიცი ამ მდგომარეობაში, რომელშიაც ჩვენა ვართ, ძნელია მაგ კრებულს ნოყიერი საზრდო მივცეთ, რადგანაც ნიჭიერი მწერლები მაინცა და მაინც არა



ო. ჭავჭავაძის სამუშაო კაბინეტი თბილისში.

გვყავს: იქნება მაგ კრებულის საქმე რიგიანად წასულიყო, რომ მწერლებს უურნალის გარდა სხვა კავშირიც ერთმანეთთან ჰქონოდათ, რომ ქალაქში ერთი იმისთანა სახლი მოხერხებულიყო, საცა შესაძლო ყოფილიყო მწერლებისა და სხვა თანამგრძნობელთ ერთად თავის მოყრა თვითეულის გონების საუნჯის აღებ-მიცემობისათვის. ჩვენდა საუბედუროდ არც ეს ხერხდება. მართალი ხარ შენ, გაფანტულობა გვღუპავს ჩვენ¹.

აქედან ჩანს, რომ ილია სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე

¹ ო. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, X, 1961, გვ. 87.

ოცნებობდა ისეთ საკრებულოზე, სადაც განათლებული საზოგადოება მოიყრიდა თავს. მაგრამ მისი შექმნა მოგვიანებით შეძლო თავისი სახელმწიფოების ირგვლივ სცოდნოდა საზოგადოებრივი აზრი, ამ მიზნით ის წინასწარ ხალისით აცნობდა თავის ახალ ნაწარმოებს მეგობართა ფართო წრეს, ითვალისწინებდა ნაწარმოების ირგვლივ გამოთქმულ შენიშვნებს. ილიას თანამოღვაწე, გაზ. „ივერიის“ რედაქციის აქტიური თანამშრომელი გიგო ყიფშიძე წერს: „საზოგადო და საეურნალო მოღვაწეობით გართულმა ილიამ უკლო მგოსნობას, პატარა-პატარა ლექსების შექმნას, მაგრამ სამაგიეროდ მისი გულის სიღრმეში ჰღვიოდა თურმე ამ დროს თესლი იმ ნაწარმოებისა, რომელიც ილიამ უძღვნა თავის ქვეყანას 1882 წელს. ეგ ნაწარმოებია «განდეგილი», რომლის თითქმის შობასაც ვუცქირე და ნათლობასაც დავესწარი. დილა იყო, როცა მივედი ივ. მაჩაბელთან ერთად ილიასთან სახლში საქმეების გამო. დავიწყე ერთი პოემა და არ ვიცი როგორი გამოვა — გვითხრა ილიამ საქმეების გათავების შემდეგ და წავგვიკითხა პირველი ხანა; მეტი არ ჰქონდა დაწერილი. დიდებული სურათი თოვლიან-ყინულნი მთებისა და მუნ გამოკვეთილის ბეთლემის მონასტრისა თვალწინ წარმომიდგა, თითქო თავ-ბრუ დამესხა, გამოვყეყეჩიდი და თითქმის ველარა გავიგე რა იმისი, რაც გვიამბო იმ თემისა და შინაარსისა, რომელიც უნდა განვითარებულიყო და დაწერილიყო შემდეგ პოემის დასათავებლად. «განდეგილი» დამთავრდა და წაკითხული იქნა განსვენებულ დავით სარაჯიშვილის სახლში. მაშინდელი ინტელიგენცია, მოყვარულნი მწერლობისა თითქმის სულ იქ იყვნენ. ილიამ კითხვა გაათავა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, თითქო ეკითხება შეკრებილთ, რას ბრძანებთო. წამოდგა ი[ონა] მ[ეუწარგია], ცნობილი მოყვარული ქართული მწერლობისა, და სთქვა ალტაცებით: მშვენიერია, ილია, მშვენიერი, მხოლოდ პოემაში სურათს ვერა ვხედავ, თვით განდეგილის სურათს, მის გარეგნობის აღწერას, მის პორტრეტს.

გაიმართა საუბარი, კამათი...

ილიამ დაბეჭდა თავისი პოემა «ივერიაში» 1883 წელს, თებერვლის-ნომერში და შიგ გაჩნდა მეხუთე ხანად აღწერა განდეგილის სურათისა².

გასული საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს ლიტერატურული

² ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1914, გვ. XIII.

და საზოგადოებრივი ცხოვრება გაცხოველდა. საზოგადოებას ახალი მოთხოვნები და სურვილები გაუჩნდა. დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. ქართველ მწერალ-მოღვაწეთა წრე გაფართოვდა და ამ ერთადერთი ეროვნული კულტურის შტაბში შეკავშირდა. ეს საზოგადოება ხელმძღვანელობდა ყველა ეროვნულ-კულტურულ წამოწყებას.

ილია ჭავჭავაძეც თბილისში დამკვიდრდა.

1877 წელს მან დააარსა ყოველკვირეული გაზეთი „ივერია“, რომელიც ხუთშაბათობით გამოდიოდა. გაზეთის გამოსვლის დღეს ილიასთან რედაქციაში თავს იყრიდნენ რედაქციის თანამშრომელები, კორესპონდენტები და მწერლები. 1879 წლიდან „ივერია“ ყოველთვიურ ყურნალად გადაკეთდა, ხოლო 1886 წლიდან — ყოველდღიურ გაზეთად.

გაზეთ „ივერიის“ პირველი ნომერი 1886 წლის ახალი წლის დამეს დაიბეჭდა და 1 იანვარს მიიღო მკითხველმა. იმ დამეს ილიამ რედაქციაში საზეიმო შეკრება გამართა. გაზეთის გამოსვლის დღე — ხუთშაბათი კი შემდგომში რედაქციის თანამშრომელთა და გაზეთში მოღვაწე პირთა შეკრების ტრადიციულ დღედ იქცა.

1889 წლიდან ილია ჭავჭავაძე საცხოვრებლად გადავიდა ნიკოლოზის (ახლანდელი კალინინის) ქუჩაზე, თავისი დის, ელისაბედ საგინაშვილის სახლში. იქვე გადაიტანა გაზეთ „ივერიის“ რედაქციაც. ამ პერიოდში გაზეთის გარშემო ილიას შემოკრებილი ჰყავდა მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. რედაქციის თანამშრომელები და მათთან დაახლოებული მწერლები და საზოგადო მოღვაწეები რედაქციაში ხშირად იკრიბებოდნენ, თარგმნიდნენ, ასწორებდნენ კორექტურას, იხილავდნენ სარედაქციო ფოსტას.

„სალამოს, — იგონებს „ივერიის“ რედაქციის თანამშრომელი არტემ ახნაზაროვი, — როდესაც შემდეგის დღის გაზეთი უკვე აწყობილი იყო, შევიყრებოდით ხოლმე სარედაქციო ოთახში და მივეუსდებოდით დიდ მაგიდას, ილიაც იქ შემოვიდოდა და ყველა ჩვენგანს, ვისაც რა ჰქონდა თვითონ დაწერილი, ან სხვისი განსახილველი, რიგ-რიგად წაუშუკითხავდით ილიას და იგი ენას გვისწორებდა ან შინაარსის შესახებ შენიშვნებს მოგვეცემდა და თავის აზრს გაგვიზიარებდა. ჩვენსას მოისმენდა და თავისას გვეტყოდა, დასაბეჭდად ნაწარმოებს გააშალაშინებდა. ასე გვასწავლიდა იმ დრომდე, ვიდრე არ დარწმუნდა, რომ ქართული ენა ცოტად თუ ბევრად შეთვისებული გვექონდა. ამავე კრებაზე ვარჩევ-

დით დასაბუქდად მოტანილ ლექსებს: აკაკისა, რაფიელ ერისთავისა, ვახტანგ ორბელიანისა, ვაჟა-ფშაველასი და სხვებისა... ილიას ძეგლი უყვარდა ხალხური ლექსები და ხალხური პოეზიით აღტაცებაში მდიდროდა³.

სარედაქციო სხდომებს გარდა, ილიას სახლში გრძელდებოდა ტრადიციული „ხუთშაბათობები“ — „ივერიის“ მუდმივ თანამშრომელთა და სხვა საზოგადო მოღვაწეთა შეკრების დღე. ხუთშაბათ საღამოს ილიასთან დაუპატიებლად თავს იყრიდნენ „ივერიის“ რედაქციასთან დაახლოებული პირები. ამ საღამოებზე განიხილებოდა ლიტერატურული და საყოფაცხოვრებო საკითხები, იმართებოდა კამათი და მუშავდებოდა საზოგადოებრივი აზრი.

ცნობილი ისტორიკოსი ექვთიმე თაყაიშვილი წერს: ილიასთან „სასადილო ოთახში «ხუთშაბათობით» იმართებოდა «ივერიის» თანამშრომელთათვის ლიტერატურული საღამოები, სადაც ილიას მეგობრები და ბანკის თანამშრომელები ესწრებოდნენ. ამ საღამოებს მეც ვესწრებოდი 1890 წლიდან, როდესაც «ივერიაში» დავიწყე სტატიების მოთავსება და გამოვიდა ჩემი პირველი ნაშრომი «სამი ისტორიული ქრონიკა». აქ ხშირად კითხულობდნენ ქართველი პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებებს და იყო ბასი საქართველოს საჭირობოროტო საკითხების ირგვლივ. საღამო თავდებოდა უბრალო ვახშმით, რომელსაც უეჭველად სიმღერები მოჰყვებოდა. ვისმენდით კახურ მრავალყამიერს, რომელსაც ამშვენებდა ნიკო მთვარელიშვილის საუცხოო ვალობა. ტოლუმბაშად ყოველთვის ანტონ ფურცელაძე იყო⁴.

გაზეთის მუდმივ თანამშრომელთა გარდა აქ ნახავდით გამოჩენილ მწერლებს — რაფიელ ერისთავს, აკაკი წერეთელს, ნიკო ხიზანიშვილს, ვაჟა-ფშაველას, სოფრომ მგალობლიშვილს, ნიკო ლომოურს, ეკატერინე გაბაშვილს, არტურ ლაისტს და სხვ.

1898 წელს, ილიას სამწერლო მოღვაწეობის 40 წლისთავთან დაკავშირებით, ერთ-ერთ „ხუთშაბათობას“ მწერალს ესტუმრა უკრაინელთა დელეგაცია. მათ შეკრებილთ წაუკითხეს ილიასადმი მიძღვნილი საიუბილეო ადრესი უკრაინულ და ფრანგულ ენებზე⁵. ადრესში ნათქვამია:

³ ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო კრებული, 1939, გვ. 297—298.

⁴ ლიტერატურის მატთან, წიგნი 6, ნაკვ. I, გვ. 6.

⁵ ადრესს ხელს აწერს 17 პირი, მათ შორის უკრაინის ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე მიხაილ კოციუბინსკი.



ს. 27 მაი
1998.

საქართველო, სამი თვეა ვინც
 ხელს დასაქმებული არის და
 სხვათა შორის მისთვის არაა,
 და სხვათა შორის, რომ ეს არის
 არაა არაა არაა.

საქართველო, სამი თვეა ვინც
 ხელს დასაქმებული არის და
 სხვათა შორის მისთვის არაა,
 და სხვათა შორის, რომ ეს არის
 არაა არაა არაა.

საქართველო, სამი თვეა ვინც
 ხელს დასაქმებული არის და
 სხვათა შორის მისთვის არაა,
 და სხვათა შორის, რომ ეს არის
 არაა არაა არაა.

საქართველო, სამი თვეა ვინც
 ხელს დასაქმებული არის და
 სხვათა შორის მისთვის არაა,
 და სხვათა შორის, რომ ეს არის
 არაა არაა არაა.

უკრაინიდან გამოგზავნილი საიტუბილგო იდრესის პირველი გვერდი

„თავს ვხრით იმ ხალხის წინაშე, რომელმაც გამოიჩინა ნებისყოფა და უტყუარო გზა ჰპოვა უკეთესი მომავლისაკენ. მდაბლად ვუყურავთ თავს ხალხს, რომელიც მოკლებულია დამოუკიდებლობას, მაგრამ თავისუფლებისათვის იბრძვის...“


იმ ლიტერატურაში, რომელიც ძლიერია არა ერის მრავალრიცხოვნობით, არამედ ხალხის სულით, თქვენს სახელს საპატიო ადგილი უჭირავს. დიდი ხანია, რაც თქვენი სახელი გასცდა კავკასიის საზღვრებს და ჩვენ, უკრაინელებმა სიამოვნებით წავეკითხეთ ზოგიერთი თქვენი ნაწერი ჩვენს ენაზე. ეს ნაწერები იმასვე ეუბნება ჩვენს გულს, რასაც გულებს თქვენი თანამემამულეებისას...“

ადრესის საპასუხოდ ილიას სიტყვით მიუმართავს სტუმრებისათვის, მიმართვის დასასრული (ნაწყვეტი) ჩაუწერია შეკრების მონაწილეს არტემ ახნაზაროვს. იგი შემდეგი შინაარსისაა: „Вы мне преподнесли очень лестный для моего самолюбия адрес. Скромная роль моя проявляется в стремлении быть по мере сил моих в чем-либо полезным не только моему народу. Я проникнут мыслью о необходимости указать своим соотечественникам, что вне хороших отношений между народами нет спасения для Грузии. Я трепещу за будущее не только моего народа. Я не забываю, что моя роль ограничена“

1902 წელს ილიამ სახლი შეიძინა ანდრეევის (ახლანდელი ორჯონიკიძის) ქუჩაზე, მან სავსულდავსოვლად მთაწყო მყუდრო ერთსართულიანი სახლი, სადაც დიდი გემოვნებით მორთულ ვრცელ სადარბაზო ოთახში კვლავ აგრძელებდა ტრადიციულ შეკრება-სალამოებს.

XX საუკუნის დასაწყისის ახალი მოვლენები აფორიაქებდნენ საქართველოს დიდ ჰირსიუფალს. მისი მავიდა სავსე იყო დიდ მოაზროვნეთა სქელტანიანი წიგნებით. ილია ხელახლა კითხულობდა კ. მარქსის „კაპიტალს“. ასე ღარიბი სამუშაო მავიდაზე გადაშლილი იგი იმ საბედისწერო დღესაც, როცა 1907 წლის 30 აგვისტოს ილიამ უკანასკნელად გაიხურა მყუდრო ბინის კარები და გაემართა სანჯურაშოკსკენ.

გ. ბ. კე შე ლ ა ვ ა, ჩაშლილი იუბილე, „მნათობი“, 1957, № 10, გვ. 166..



ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი თბილისში

ზალიშვილმა, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატებმა ა. ჭინჭარაულმა, ვ. ჟვანიაშვილმა. მათ ბევრი საჭირო მოსაზრება და წინადადება წამოაყენეს ილია ჭავჭავაძის აკადემიური გამოცემის თაობაზე.

დიდი ილიას ოჯახში დამკვიდრებული „ხუთშაბათობების“ აღდგენა ჩვენი წარსულის კულტურული ტრადიციების გაგრძელებაა. მისი აღდგენით თბილისის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის შინაარსი და საქმიანობა კიდევ უფრო საინტერესო ხდება.

თ ბ ი ლ ის ი

შალვა გოზალიშვილი

დევნილნი

რევოლუციამდელ ბეჭდვითი სიტყვის ისტორიაში ცენზურის მიერ შექმნილი მძიმე პირობები განსაკუთრებით საგრძნობი იყო რევოლუციური მოძრაობის აღმავლობის პერიოდში.

მეფის მთავრობის პოლიტიკურ და საცენზურო ორგანოებს შორის გამართული იყო დაუსრულებელი მიმოწერა. მთელი ყურადღება მიმართული იქნა როგორც რევოლუციური მოძრაობისა და რევოლუციონერების, ასევე რევოლუციური აზრისა და პროგრესული ლიტერატურის წინააღმდეგ. განსაკუთრებით იდევნებოდა რევოლუციური ფურცლები, მოწოდებანი, პროკლამაციები, ბროშურები, წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, რომელთა ფურცლებზე იბეჭდებოდა ხალხის სიკეთის, თავისუფლებისა და ბრძოლის სულისკვეთებით გამსჭვალული მხატვრული ნაწარმოებები. ამიტომ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები იძულებული იყვნენ გაეგრძელებინათ ანონიმური გამოცემები, რომელთაც კონსპირაციის მიზნით მიწერილი ჰქონდა არარსებული ქალაქებისა და სტამბების სახელწოდებანი. ცენზურის მიერ აკრძალული ზოგიერთი წიგნი კიდევ დაიბეჭდა, მაგრამ დღის სინათლე მათ ვერ იხილეს.

რევოლუციურ წარსულში ამ სახის ლიტერატურას იდეოლოგიური ბრძოლის ფრონტზე მასების დარაზმვის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ქართული რევოლუციური ლიტერატურის გამოცემას ლადო კეცხოველმა ჩაუყარა საფუძველი.



1901 წელს „ბრძოლის“ რედაქციამ გაზეთის (№ 2—3) დამატებაში გამოსცა მოთხრობა „შურისძიება“. იგი რუსულიდან თარგმნა ლადო კეცხოველმა. ვანო კეცხოველი თავის „მოგონებაში“ გადმოგვცემს: „მახსოვს აგრეთვე ლადოს მიერ ნათარგმნი ბროშურა «შურისძიება»... ამ თარგმანის დედანს ვინახავდი მე, მაგრამ ჩემი დაპატიმრების დროს ეს ნაწერიც სხვა მასალებთან ერთად უნდარმებმა წაიღეს“.

მოთხრობის მთავარი გმირია იტალიელი მუშა — ფეიქარი გაეტანო ბრეში, ანარქისტი. მან 1901 წელს იტალიაში, ქალაქ მონცაში, სახალხო დღესასწაულის დროს მოჰკლა მეფე გუმბერტ პირველი.

გაეტანო ბრეშის ადგილ-მამული და სახლ-კარი ტოსკანაში მისმა მამამ, სახელმწიფო გადასახადებით შევიწროებულმა, ვალში გაჰყიდა. მეფის რეაქციულმა პოლიტიკამ რევოლუციური მოძრაობის დროს ათიათასობით მუშა იმსხვერპლა; გაეტანოს ორი ძმა მოუკლეს, ხოლო მისი საყვარელი დაც გარყვნილებაში დაიღუბა, თვითონ სამუშაოს საძებნელად ამერიკაში გადაიხვეწა, სადაც აუწერელ სატანჯველში ჩავარდა. იქ შემთხვევით ხელში მოხვედრილი იტალიური გაზეთის ნაგლეჯიდან გაიგო, რომ მეფე მონცაში დღესასწაულს აწყობდა და შურისძიებით ანთებული გაეტანო იტალიაში ბრუნდება მეფე გუმბერტის მოსაკლავად.

სასამართლომ გაეტანო ბრეშს სამუდამო კატორღა მიუსაჯა. აუტანელი იყო მისი ბედი. ციხის ჯურღმულში გამომწყვდეული: „ის იდგა წყვილიდში, მაგარი და ძლიერი, მშვენიერი, ვით ქანდაკება, აღსავსე ტანჯვით, აღსავსე ექვეებით, მარტო, უპასუხოდ, სამუდამოდ!“

გაეტანო ბრეშმა საპყრობილის მკაცრ პირობებს ვეღარ გაუძლო და 1901 წლის მაისში ციხეში თვითმკვლელობით დაამთავრა თავისი სიცოცხლე.

* * *

რევოლუციურ მხატვრულ პროზაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ტიხომიროვის მოთხრობა „ოთხი ძმა“. იგი მუშათა ფართო წრეებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. რსდმპ კავკასიის კავშირმა ქართულად 1905 წელს მესამედ გამოსცა იგი თბილისში².

² მისი პირველი და მეორე გამოცემა ბიბლიოთეკებში არ შემონახულა და არც „ქართულ წიგნშია“ შეტანილი.

რსდმპ კავკასიის კავშირის 1904 წლის ნოემბრის კონფერენციის/ რეზოლუციაში სალიტერატურო-საგამომცემლო საქმიანობის შესახებ აღნიშნული იყო, რომ „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელმა“ სახელმძღვანელო პარტიულ სტატიებსა და სხვა მასალებთან ერთად, შესაძლებლობის მიხედვით, უნდა გამოაქვეყნოს რევოლუციური მხატვრული ლიტერატურა“. ამის შემდეგ ავლაბრის არალეგალურ სტამბაში, პარტიულ-პოლიტიკური ლიტერატურის გარდა, მართლაც დაიბეჭდა რამდენიმე მხატვრული ნაწარმოები — „ოთხი ძმა“, „ობობა და ბუზი“, „სარევოლუციო სიმღერები“³ და სხვ.

როგორც საარქივო მასალებიდან დასტურდება, „ოთხი ძმა“ რუსულიდან ქართულად გადმოუკეთებია ლ. კეცხოველს. იგი პირველად დაბეჭდილია ექ. ხელაძის სტამბაში 1898 წელს, ხოლო მეორედ — ბაქოს არალეგალურ სტამბაში 1901 — 1902 წწ. ამის შესახებ ვანო კეცხოველის „მოგონებაში“ ვკითხულობთ: „...ლადომ ხელაძის სტამბაში (1898 წელს — შ. გ.) დაიწყო საიდუმლო რევოლუციური ლიტერატურის ბეჭდვა. დაბეჭდა საპირველმისო ფურცლები, „ოთხი ძმა“, რომელიც ლადომ გადააკეთა და ქართულ ცხოვრებას შეუფარდა. ესევე ბროშურა ხელმეორედ გამოუშვა ბაქოს სტამბაში“⁴. ამ გარემოებაზე მიუთითებს აგრეთვე ბაქოს სტამბის ყოფილი მუშა ვ. გ. წულაძე, რომელიც აღნიშნავს, რომ ბაქოს არალეგალურ სტამბაში იბეჭდებოდა ბროშურები: „ოთხი ძმა“, „ობობა და ბუზი“ და სხვა⁵.

„ოთხი ძმა“ ჯერ კიდევ საქართველოში მწერალ სოფრომ მგალობლიშვილსა და ვასო დეკანოზიშვილს უთარგმნიათ 1876 წელს და დაუბეჭდავთ ვასილ სამადაშვილის მიერ სოფ. ტყვიავში მდ. ლიანხვის პირად ფარულად მოწყობილ სტამბაში.

ს. მგალობლიშვილის გადმოცემით, 1876 წლის გაზაფხულზე ქუთაისიდან მიხეილ ყიფიანი იწერებოდა: „დავთავეთ თუ არა ჩვენ ნაკისრი წიგნაკების თარგმნა, ან როგორ არის სტამბის საქმე სოფ. ტყვიავში, რომლის მოწყობა იკისრა მღვდელმა სამადაშვილმა, მე და ვასოს დაკისრებული გვექონდა თარგმნა «ოთხი ძმის ზღაპრისა», «ზღაპარი კა-

³ ავლაბრის არალეგალური სტამბა, მასალებისა და დოკუმენტების კრებული, სახელგამო, 1955, გვ. 10—11; 17—18; 23—24.

⁴ ვანო კეცხოველი, ჩემი მოგონება, ფილიალის ფონდი 12798, ანაწერი 2, ხაქმე 576.

⁵ ვიქტორ გიორგის ძე წულაძე, ლადო კეცხოველი ბაქოს არალეგალურ სტამბაში (იმავე ფონდის საქმე № 1262).

ამასვე ადასტურებს რაჟედნ კალაძის წერილიც: „აი ტფილისის ამ პროლეტარ ინტელიგენტთა და მუშა-ხელოსანთა ჯგუფმა პირველმა იკისრა შეექმნა ქართულ ენაზე არალეგალური სოციალისტური მწვერლოლა. მისი თავგანწირული მუშაობის პირველი ნაყოფი იყო ჰექტოგრაფზე დაბეჭდილი ჩერნიშევსკის წიგნაკის ქართული თარგმანი «ოთხი ძმის ზღაპარი». დიდი სისწრაფით გავრცელდა ის, როგორც მუშათა წრეებში, ისე მოსწავლე ახალგაზრდობაში. სადაც კი ამ დროს უნდაღამერია ან სემინარიის მთავრობა ვისიმე ბინას გაჩხრეკდა, იქ ჰექტოგრაფზე დაბეჭდილ „ოთხი ძმის ზღაპარს“ უთუოდ იპოვიდა. დაახლოებით ეს იყო 1885—88 წლებში“¹¹.

90-იანი წლების შემდეგ მოთხრობა „ოთხი ძმა“ არალეგალურად ხშირად იბეჭდებოდა სხვადასხვა ადგილებში (ბაქოში, თბილისში, ბათუმში). ძველი მუშა-ასოთამწყობი ლადო დუმბაძე თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნავდა, რომ 1900 წლიდან ბათუმში ვაწყობდი და ვბეჭდავდი არალეგალურ ბროშურებს — „ოთხი ძმა“, „ობობა და ბუზი“ და სხვა გამოცემებსო¹².

მოთხრობის გმირები — ოთხი ძმა, რომელნიც ტყეში ცხოვრობდნენ და წარმოდგენა არ ჰქონდათ კლასობრივ საზოგადოებაზე, მოლაპარაკებისა და შეთანხმების შემდეგ, ხალხის ცხოვრების გასაცნობად ქვეყნის ოთხივე მხარეს გაემგზავრნენ: ივანე — აღმოსავლეთისაკენ, სტეფანე — დასავლეთისაკენ, გიორგი — სამხრეთისაკენ და ლუკა — ჩრდილოეთისაკენ. მათ მოიარეს სოფლები და ქალაქები. საკუთარი თვალთ ნახეს, თუ რა გამოუთქმელი კლასობრივი ჩაგვრა იყო ყველგან გამეფებული. საზოგადოების მცირე ნაწილი ბატონობდა უმრავლესობაზე, ხალხის აუტანელი სიღარიბითა და ტანჯვით გამოწვეული კენესა და ვაება ისმოდა ყველგან, ცხოვრება ჯოჯოხეთად ქცეულიყო.

საზოგადოებრივი ცხოვრების შეცნობისთანავე ძმები დამონებული მშრომელი ხალხის მხარეზე დადგნენ. მათი ბედი გაიზიარეს და დაიწყეს ბრძოლა ექსპლოატაციაზე დამყარებული სახელმწიფოებრივი წყობი-

¹¹ იქვე, გვ. 12; მისივე ნაროდნიკები და პირველი არალეგალური სტამბა ჩვენში.

¹² „რევოლუციის მატთანე“, 1923, № 1, გვ. 111; რ. კალაძის მოთხრობის ავტორად შევცდომით ჩერნიშევსკი მიაჩნია. „ოთხი ძმის“ ავტორია რუსი რევოლუციონერი-ხალხოსანი ლეე ალექსანდრეს ძე ტიხომიროვი, რომელმაც იგი ბროშურის სახით, არალეგალურად გამოსცა 1868 წელს. იხ. БСЭ, ტ. 42, 1956, გვ. 499.



ლების წინააღმდეგ. ციმბირში მიმავალ შორეულ გზაზე ერთმანეთს შეხვდება ბორკილდადებული ოთხი ძმა. ერთმანეთის ნახვით გახარებულმა ძმებმა მტკიცედ გადაწყვიტეს, რომ არ დამორჩილებოდნენ „უგუნურ და ბოროტ ძალას“, ბოლომდის ებრძოლათ ხალხის თავისუფლებისათვის.

— „წავიდეთ, წავიდეთ, ხალხი გავაღვიძოთ!“ — შესძახეს ძმებმა ერთმანეთს და ბრწყინვალე მომავლით აღტაცებულებმა დასჭექეს რევოლუციური სიმღერა:

„მაშ, ძმავ! მრისხანეთ მონობის ჯაჭვი
დავლევოთ, მტერსა წინა აღუდგეთ.
მრისხანეთ სისხლი სისხლით შევღებოთ,
მით განჩინებას შკაცრსა შეუდგეთ!

გულის სიღრმეში გადავიწყვიტოთ
ქვეყნად მონობის სრულად მოსპობა,
დაცემულ ძმასა თავი დავაკლათ,
მით მოვიპოვოთ თავისუფლება!

მოდით, ძმანო, ერთად შევკრბეთ,
ფიალი შევსვათ ძმობისა.
მონარხის ნაცვლად აღვძრათ
დროშა თავისუფლებისა!“

„გაისმა ქვეყნად გამაღვიძებელი მედგარი ხმა. ისინი დადიან ყველგან, სადაც კი მშრომელი ხალხი არის. აღვიძებენ მუშებს საუკუნოების ძილისაგან, ამხნევენ დაბეჩავებულს... უნერგავენ იმედს ბრწყინვალე მომავლისას, როდესაც აღარ იქნებიან ბოროტები, ზარმაცები, ფარისევლები და ქვეყნად დამყარდება ძმობა, ერთობა და თავისუფლება! მალე გაიღვიძებს მათი სიტყვებით ხალხიც, მიხვდება თავის ტანჯვას და ყველა იმ გაჭირვებას, ვაებას და მწუხარებას, რაც მას მთელი საუკუნეობით უზიდია, დაჰკარგავს თავის მიძარცველ და მჩაგვრელ მტერთან ბრძოლაში და ნაცვლად მოიპოვებს ტკბილს და ბედნიერ ცხოვრებას.“

„ოთხი ძმის“ შემეცნებითი მნიშვნელობა თავიდანვე დიდი იყო. ამ მოთხრობამ თავის დროზე დიდი ისტორიული როლი შეასრულა მშრომელი მასების რევოლუციური იდეებითა და მებრძოლი სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

* * *

სოციალისტურ ეპოქა უღელრონ უაღესინ ინობინიე .გენუხუამიუ
 რევოლუციურ მხატვრულ ლიტერატურაში მეტად პოპულარული
 გილაქლო ლიბენესტის მოთხრობა „ობობა და ბუზი“ (რომელიც სხვა-
 დამსხვა დროს დიდი ტირაჟით გამოიცა და მთელ რუსეთის იმპერიაში
 გავრცელდა. იგი რუსულიდან თარგმნა ლადო კეცხოველმა და 1901—
 1902 წლებში დაბეჭდა ბაქოს არალეგალურ სტამბაში¹³. მაგრამ პირ-
 ველი გამოცემა, როგორც ჩანს, არ შემონახულა.

მოთხრობაში ალეგორიულად ობობას სახით გამოყვანილია ყველა
 ჯურის ექსპლოატატორი: „ბატონები, ფულის პატრონები, თავად-ახნა-
 ურნი, კაპიტალისტები, სამღვდლოება, მუქთაზორანი ყოველი ჯურისა!
 ობობა — ეს თვითნებობაა, რომელიც მკვლევს სამართალს, კანონს“...
 ხოლო „ბუზი — ეს გაშიფრულობაა, რომელიც ებრძვის სიკვდილ-
 სიცოცხლეს მიწის ხერელებში, სადაც იგი ჩაუგდიათ მდიდრებს მად-
 ნების სათხრელად“.

შრომის მიმე უღელში შეტეულ დახარულ ხალხს ავტორი პირ-
 დაპირ მიმართავს: „ბუზი რაღაცაა და მკვლავ დაგმობს, შეუ-
 რაცხყოფილნი, გაქეილნი, ბედისაგან გვერდზე ავლილნი, გათახსი-
 რებულნი, დამონებულნი!“

ობობა — ეს თვითმპყრობელობაა, ავტორის მიხედვით, დესპოტიზმი, რა სა-
 ხითაც უნდა გამოიხატოს იგი!

ხედავთ როგორ მოუღვიათ მთელი ქვეყანა გაუმაძლარ ობობებს
 თანისი ბოროტი უსიკეთო მამარ და უტოვებდით არც ქოფელს, არც
 ქალაქს, არც მთას, არც მანძი, არც სახლს, არც გზას, ყველგან ობობას
 ესელი დაყვებდნ ობობას, მანძიდანც კი შესაძლებელია ექსპლოატაცია.
 სადაც კი ანუ მთის შერყვებულ მთ შერყვარგალი, ვალში ჩივარდნილ
 გლეხი, სოფლის უმამული მუშა, ყველგან დაგებულნი ვესერმოსატეხი
 წაფანგი, მასარკლო სურათინს მთელი სტარობა აღმდინებისა და მუდმე-
 ბული ბრძოლა ბუზებსა და ობობებს შორის ეს სიხსლის ღვრის ის-
 ტორია დაწვრილია ხალხის სიცოცხლით. იგივე იპოვებულსა იუვონ
 მანეტორი რევოლუციური მგზნებარებით იშოუწოდებს: ვაცობრიობის
 ჩაგრულ, ექსპლოატირებულ ხალხებს ძველი სამყაროს და ეკობობას ბუ-
 ლისო შეერთებულნი ძელით დაწვრებისა კენი იპეცენენ „სინა იპოო“.

¹³ ი. ბ. წულუაძე, ლადო კეცხოველი ბაქოს არალეგალურ სტამბაში, ფი-
 ლიალის ფონდი 12798, მანუაჩი 27, ნაქიქო 1282, შოგენიში, ცილიო ვეტხოველი,
 1956, გვ. 45.

„ვიფიქროთ დღევანდელზე და მომავალზე. — მიმართავდა ავტორი ხალხს, — დაუკვირდით ამ გამწვევებულ ბრძოლას ბუზებსა და ობობებს შორის... და ყველაზე პირველად შევერთდეთ!.. უძლეველნი ვიქნებით თუ შევერთდებით და ერთი ძალით მივაწვევით ეშმაკურ ქსელს, გავწყვეტთ ჩვენ ბორკილებს, ავიშვებთ თავს, გავრეკავთ ყველა სისხლის მსმელებს... თუ მოინდომებთ, თქვენ, სუსტნო — უძლეველნი იქნებით!.. რა გაუმაგრდება თქვენ შეერთებულ ძალას, ვინ გადაეღობება მას წინ? თქვენ ერთი ფრთის დაკვირვებით გასწყვეტდით თქვენ დამღუპველ ქსელს, მიწასთან გაასწორებდით თქვენ სისხლის მსმელებს! თქვენ — სიცოცხლე ხართ, თქვენ — სინათლე ხართ! თუ თქვენ მოინდომებთ, მოსპობთ ქვეყნადუგავიერებს, მონობას, დაჩაგვრას, მწარე უმწეო ცრემლებს და ამაყარებთ სიმართლეს, ძმობას, სიყვარულს!..“

რევოლუციურ პერიოდში ეროვნული და სოციალური ჩაგვრის თემაზე დაწერილ მოთხრობებში მხატვრული გულწრფელობით არის აღბეჭდილი რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლების ანარქიკული, თავდადებული რიგბთი ადამიანების — რევოლუციის ერთგული ჯარისკაცების სახეები, რომლებმაც თავი შეიპყრეს სიცოცხლე ხალხთა დიადი თავისუფლებისათვის ბრძოლის სამსახურად. მნიშვნელოვან და ისტორიული წარსულიდან მღუპნიერ შემთავსებელ ხალხთა რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილე შეფინს რუსეთის ცენტრის მიერ შერისხული, დევნილნი მათი მიწიერი ყველა ავტორები.

„ფინიციში ფენჯაჲ ასობს“

„ფინიანი ფეფუიენნი ასმც“

იმიუნტორი ნანა-მამუნა

(„მთემინეთ ფე ფეფუიენნი“)

თბილისი

სწავლულობაზე

სწავლულობა არს კეთილი მოგებულის,
საუნჯე მრთელის, უმაღლო სიყვარულის,
უსხეულოთა გვართა გულისხმის-მქმნელი.
ესე მოიგე! კიბე აღგივლია შენ!

იონანე პატრიქი

ანბანზე თქმული

რა ოსტატი ასოთ სხმიდა,
მისი გული სხვას იწვრთიდა:
მნით ხრმალებრ მტერთა სრვიდა,
ბანსა ფარებრ იფარვიდა,
ინსა ზუჩებრ დაირქმიდა,
ტარსა ჯაჭვად ჩაიცმიდა,
ენსა მშვილდად აიბმიდა,
სანით ისრად მებრძოლს სრვიდა.

სულხან-საბა ორბელიანი

(„ქილილა და დამანდან“)

წიგნი.

წიგნი.

წიგნი...

სლექსანდრი ბარამიძე

შემთხვევით ნაკრვნი განკი

ჩვენამდე მოღწეულია ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული ნაბეჭდი გამოცემის 26 ცალი. აქედან ოთხი ცალი მე მოვიპოვე და სამეცნიერო მიმოქცევაში ჩავრთე...

1930 წლის გაზაფხულზე უნივერსიტეტი პედაგოგიურ ინსტიტუტად რომ გადაკეთდა, მის შენობაში მოთავსებული სიძველენი გადაეცა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს. აგვისტო იწურებოდა. ინსტიტუტის დირექცია ძლიერ გვაჩქარებდა, რომ დაგვეცალა დაკავებული დარბაზები. ერთხელ დირექტორიც კი ამოიჭრა ზედა სართულზე და მოითხოვა: სასწრაფოდ გაეტანათ სამუზეუმო მასალები, მაგრამ მათი სასწრაფოდ გადაზიდვა გაჭირდა, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების სიძველეთსაცავის ხელმძღვანელობამ (დირექტორი სერგი გორგაძე იყო, მოადგილე—იროდიონ სონღულაშვილი) დაავიანა მათი წაღება. უნდა გადატანილიყო დიდძალი სამუზეუმო ქონება—ხელნაწერთა ფონდი, ნაბეჭდი წიგნების ბიბლიოთეკა, საისტორიო და საეთნოგრაფიო ექსპონატები, არქივი და საწყობი. დერეფნის ბოლოში, საწყობის გვერდით მუზეუმს ჰქონდა პატარა საკუჭნაო, სადაც თავმოყრილი იყო დაფლეთილი წიგნები, ამოგლეჯილი ნაბეჭდი ფურცლები, ნაწერი და უწერი ქაღალდები, სიჩქარესა და ფაცა-ფუცში ამ საკუჭნაოს საჭირო ყურადღება ვერ მიაქციეს. იროდიონ სონღულაშვილმა მითხრა: სანამ იმ ხარახურას ტომრებში ჩავყრიდეთ, გასინჯე, იქნებ შენთვის საინტერესო წიგნს წააწყდე, წაიღე და ღმერთმა მოგახმაროსო (საკუჭნაოს მასალები აღრიცხული არ იყო). მეც ძალიან ცოტა დრო მქონდა, მაგრამ მაინც გადავთვალიერე იგი: მახსოვს გამოვჩნრიკე კიტა აბაშიძის „ეტიუდების“ და ალ. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორიის“ პირველი წიგნის დაფლე-



თილი ცალები. მოულოდნელად, საკუჭნაოს კუთხეში შევნიშნე ერთმა
 ნეთზე დაწყობილი, გაქუქყიანებული და დამტვერიანებული ოთხი
 ძველნაბეჭდი წიგნი. სახელდახელოდ გადავფურცლე და გავსინჯე. პოი,
 საკვირველებავ! ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი აღმოჩნდა. მღელვარებისაგან
 გავშეშდი, შევეკრთი, გონს რომ მოვეგე, წიგნები გავწმინდე, გავასუფთავე,
 სათუთად გადავფურცლე, ჩემი თავიც შევამოწმე და წიგნებიც, დიახ, არ
 ვცდებოდრი, ნამდვილად ვახტანგისეულ სტამბაში დაბეჭდილი ოთხი „ვეფხისტყაოსანი“
 იყო, წიგნები ჩემს სამუშაო ოთახში შევინახე და იროდიონის საძებნელად
 გავეშურე. ის ეზოში „დროგზე“ ნივთებს ალაგებდა. მოკლედ ვუამბე „აღმოჩენის“
 ამბავი. არ გაიკვირვა. მითხრა, საკუჭნაო ექვთიმე თაყაიშვილის დროიდან,
 1920 წლიდან, ხელუხლებელია, მას შემდეგ ახალ ხარახურას ვუმატებთ.
 ეგ ვეფხისტყაოსნები აღუნუსხავია, ახლა შენ უპატრონე, როგორც
 საჭიროდ დაინახო, ისე დააბინავეო. წიგნის ერთი ცალი მაშინვე მივუტანე
 კორნელი კეკელიძეს. ერთიც საღამოს აკაკი შანიძეს მივართვი
 ბინაზე, ერთი ჩემთვის დავიტოვე (იგი ახლაც ამშვენებს ჩემს ბიბლიოთეკას),
 ერთიც მეორე დღეს იოსებ გრიშაშვილს წავუღლე ხარფულში. სოსომ უზომოდ
 გაიხარა, რამდენი ხანია ამ წიგნს ვეძებ და ვერ მიშოვნიაო.

სხვათა შორის, ამ საჩუქარმა ის ნაყოფი გამოიღო, რომ იოსებ გრიშაშვილმა
 იმ იშვიათზე იშვიათ პირთა სიაში ჩამრიცხა, ვისაც დიდი გამოწაკლისის სახით
 თავისი ბიბლიოთეკის წიგნებს შინ წასაკითხად ატანდა.

მოპოვებული ოთხივე ვეფხისტყაოსანი ახლა მეცნიერულად აღწერილია აკაკი
 შანიძის მიერ (შოთა რუსთაველი. ვეფხისტყაოსანი. ვახტანგისეული გამოცემა
 1712 წლისა. აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ ტფილისს, 1937). გრიშაშვილისეული
 ცალი მის ბიბლიოთეკა-მუზეუმშია დაცული, კ. კეკელიძისა — ხელნაწერთა ინსტიტუტის
 კ. კეკელიძის კაბინეტში. ა. შანიძისა და ჩემი ცალები ჭერჯერობით ჩვენს
 ბიბლიოთეკებში ინახება.

გაიოზ იმედაშვილი

იოსებ იმედაშვილი — გამოცემილი და ბუკინისტი

მამაჩემი — იოსებ იმედაშვილი, საგარეჯოელი გლეხის შვილი, გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩამოვიდა თბილისში სასწავლებლად. როდესაც სახელოსნო სასწავლებლის მეორე კურსიდან გამორიცხეს, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო პირი, სწავლასმოწყურებულ ახალგაზრდას განთქმულმა მწიგნობარმა, გამომცემელმა, ქართული კულტურის დიდმა გულშემმატკივარმა ზაქარია ჭიჭინაძემ გაუწოდა დახმარების ხელი. ზაქარიას იმ დროს ბუკინისტური სავაჭროც ჰქონდა, რომლის მთავარი დანიშნულება იყო ქართული წიგნის გავრცელება და არა წიგნით ვაჭრობა. თუ შეატყობდა მყიდველი ღარიბი იყო და ფულის გადახდაზე ყოყმანობდა, წიგნს უფასოდ აძლევდა. იგი ცნობილი იყო იმითაც, რომ უსახლკარო მწერლებს, დევნილ პოლიტიკურ მოღვაწეებს და საერთოდ ღარიბ ინტელიგენციას თავის ბინაზე შეიფარებდა ხოლმე.

მამაჩემისათვის ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა ზაქარია ჭიჭინაძესთან დაახლოება. წიგნებით დაინტერესება რომ შეატყო, სახლიდანაც აძლევდა წასაკითხად. მამაჩემმა მასთან ურთიერთობაში იპოვა ცხოვრების ჭეშმარიტი გზაც — დაუახლოვდა მუშათა წრეებს, ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში, დაინტერესდა დაბალი ფენების თვითგანვითარებით. ზაქარიას ბინაზე გაიცნო ეგნატე ნინოშვილი, ცნობილი მოწინავე მუშები და ინტელიგენციის ის წრე, რომელმაც შემდეგ მესამე დასი ჩამოაყალიბა. მან აღრიდანვე დაიწყო თანამშრომლობა გაზეთ „ივერიასა“ და „ცნობის ფურცელში“. ჯერ ბეჭდავდა წერილებს მუშათა და გლეხთა ცხოვრების აუტანელ პირობებზე „ხაშმელი სოსიკას“, „მოძღვარის“, „თვალყურას“, „ჭიტას“ ფსევდონიმებით, შემდეგ დაიწყო ნარკვევებისა და მოთხრობების ბეჭდვა „უსავანოსა“ და „უსუფ-

უბუთ-ოღლის“ ფსევდონიმებით. წერდა აგრეთვე რევოლუციური შინაარსის ლექსებს „იზიდის“ ფსევდონიმით.


იგი ეროვნულ ინტერესებს უთანხმებდა პრაქტიკულ მოღვაწეობასაც — სახალხო წიგნის გამოცემას, სახალხო თეატრში სამსახიობო-სარეჟისორო და ბოლოს ბუკინისტურ საქმიანობას.

მისი მთავარი მიზანი ყოველთვის იყო ხალხთან — ქალაქისა და სოფლის მშრომელ მოსახლეობასთან თუ ინტელიგენციასთან ახლოს ყოფნა. მან კარგად იცოდა სოფლად და ქალაქად მცირე განათლების მუშა-ხელოსანთა თუ უწიგნური გლეხობის სავალალო მდგომარეობა; იცოდა ისიც, თუ პირველ რიგში რა ხასიათის წიგნი სჭირდებოდათ მათ და გამოსაცემად ირჩევდა ვასაგები ენით დაწერილ თხზულებებს, რაც უმთავრესად ხალხის ეროვნულ გათვითცნობიერებას ემსახურებოდა და აუცილებელ პოლიტიკურ ცოდნასაც შეიცავდა.

მართალია, ამ დროისათვის არსებობდა ქართველ მწერალთა ნაბეჭდი წიგნები, უმეტეს შემთხვევაში ძვირად ღირებული, როგორც მაგალითად, 1888 წლის „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემა, შემდეგ კი ილია ჭავჭავაძის ერთტომეულის 1914 წლის გედევანიშვილისეული გამოცემა, რომლებმაც მსოფლიო გამოფენაზე მაღალი შეფასება დაიმსახურეს, მაგრამ მოსახლეობის დაბალი ფენებისათვის ისინი სიძვირის გამო ხელმისაწვდომი არ იყო. „ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემა ოქროთი 10 მანეთი ღირდა. მასობრივ მკითხველს კი იაფი წიგნი სჭირდებოდა, უფრო პუბლიცისტური შინაარსისა. სწორედ ამით დაიწყო საგამომცემლო მოღვაწეობა იოსებ იმედაშვილმა.

პირველი წიგნი, ირ. ევდოშვილის რევოლუციური ლექსები და პოემები, იოსებ იმედაშვილმა 1896 წელს გამოსცა. „მოგონებებში“ იგი წერდა: „გამომცემლობა რომ განვიზრახე, გადავწყვიტე ევდოშვილის ნაწერებით დამეწყო, რომლის სიყვარული მაშინ ჩამივიარდა გულში, როდესაც წავიკითხე მისი ლექსები — „გუბე“ („გაივსო გუბე, ველარტეულა...“), „რას შესცქერ ძმაო, ფანჯარაში მდიდრის ქულაჯას“, „წინ, წინ გასწით, მეგობრებო, ნუ შედრკება თქვენი გული“ და სხვ.

ეს იყო „მესამე დასის“ ჩასახვისა და მარქსისტული მოძრაობის განთიადზე. ამ დროს მეც ვწერდი დემოკრატიულ ჰანგზე და ახალი დროის პროგრესულ-რევოლუციური შინაარსის წიგნების გამოცემას ვფიქრობდი. მცირე მისალმება-მოკითხვის შემდეგ ევდოშვილმა რომ გაიგო ვარე კახელი ვიყავი, — მე ქიზიყელი ვარ, კუთხური პატრიო-



ზ. ჭიჭინაძე და ი. იმედაშვილი

ტიზმით ხომ არ ფიქრობ ჩემი წიგნის გამოცემასო? — შემეკითხა ორჭოფული ღიმილით“.

გამოცემაზე შეთანხმებულან და იოსებ იმედაშვილს თვალი რომ გადაუვლია ევდოშვილის ღარიბული, ნესტიანი ოთახისათვის, უთქვამს: „თქვენ იცით, რომ ქართული წიგნების გამოცემა-გავრცელების საქმე რა ტაატით მიიზღაზნება წინა? ერთი ათასი რომ დაბეჭდოთ, მთელი ათი-თხუთმეტი წელიწადი უნდა გეწყოთ... თუ არ გეწყინებათ, თხუთმეტ მანეთს მოგართმევთ ჰონორარადო.“

— უჰ, ამაშენე და ეგ არის! — მითხრა ხალისიანი სიცილით.



წიგნი მალე გამოვეცი, მცირე შესაფერი წინასიტყვაობით, იმ დროისათვის მეტად ლამაზად და კარგი ქალღმერთად, მაგრამ რამდენადაც ჩვენი მუშა ხალხი, ახალი მღაბით მკითხველი, შეხვდა ამ წიგნს ალტაცებით, იმდენად „მალაღმა“ საზოგადოებამ დაგვეწიხლა, აბუჩად აგვიგდო. წიგნის გამოსვლისთანავე 25 ცალი „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მალაზიაში შიო მღვიმელს მიეუტანე გასაყიდად. შიო იმხანად ამ მალაზიაში მსახურობდა ნოქრად. წიგნის გადავლის დროს, მეორე ოთახიდან გამოვიდა — „ქმშქს“-ის* გამგეობის ერთ-ერთი წევრი, აიღო ერთი წიგნი, დახედა გარეკანს, ჩაიკითხა: „ი. ევლოშვილი. ლექსები და პოემები“. „წინ, წინ გასწით მეგობრებო, ნუ შედრკება თქვენი გული!“... და დაცინვით ჩაილაპარაკა: „ჰმ, ვითომც შოთა რუსთაველის აფორიზმია!... ნეტა ვისთვის რა საჭიროა ასეთი ნაგავი, ქალაღს რად აფუჭებენ?!

ამ ლექსებით და თვით ლექსით „წინ, წინ გასწით მეგობრებო, ნუ შედრკება თქვენი გული“ (იმ დროს ეს იყო რევოლუციური ლოზუნგი) აღფრთოვანებულს გულზე ცივი წყალი გადამესხა. შიოც შეფიქრიანდა:

— ხუთ ცალს მაინც ავიღებ. ეგება ვინმემ მოითხოვოს... და 25 წიგნიდან შიომ 5 ცალი დაიტოვა. მესამე დღეს 10 მომთხოვა, მეშვიდე თუ მერვე დღეს 25 ცალი...

— ამ წიგნის გემო მე ვიცი, მაგრამ არ მეგონა, თუ ასე მალე გასაღებოდაო.

ასე სწრაფად იყიდებოდა წიგნი და მკითხველიც გვემადლიერებოდა.

სამაგიეროდ, ყურნალ „კვალში“ აუგით მოგვიხსენიეს: „მაშინ, როდესაც აკაკის ნაწერები ჯერ კიდევ გამოსაცემია, ვიღაც ი. ევლოშვილს გამომცემელნი უჩნდებიან და წიგნს უცემენო“¹.

ევლოშვილის ლექსებს წამძღვარებული აქვს „ორიოდე სიტყვა“, რომელშიაც იოსებ იმედაშვილი ასაბუთებს მის მნიშვნელობასა და დროულობას განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის:

„ბ-ნი ი. ევლოშვილის ლექსები იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიაში“, „კვალში“, რადგანაც ახალგაზრდობა მის კითხვას ეტანება და მასთან მოიპოვა თანამგძრობელნი, ამიტომ ჩვენ შევკრიბეთ და გამოვეცი“

* ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

¹ „კვალი“, 1896, № 39.

ცალკე წიგნად, რათა ყველამ შეიძლოს მისი შექმნა და გაცნობა. ამ გამოცემაში ჩვენ ჩაურთეთ რამდენიმე დაუბეჭდავი ლექსიც. ლექსების ღირსება-ნაკლულოვანებაზედ ვერაფერს ვიტყვით, ვბრძანებთ მხოლოდ, რომ ბ. ევდოშვილისა და ზოგიერთ ახალგაზრდა მწერალთა ნაწერები ჩვენ მიგვაჩნია ხალხის გამომამხიზლებელ ნაწარმოებად და კიდევაც ამიტომ დავიწყეთ ჩვენი გამომცემლობა ახალგაზრდათა ნაწერებით“.

გამოცემა 92 გვერდისაგან შედგება და შეიცავს ლირიკულ ლექსებს.

1897 წელს იოსებ იმედაშვილმა გამოსცა ვაჟა-ფშაველას პოემა „ბახტრიონი“. ვაჟას გაცნობას იგი ასე იგონებდა: „ვაჟა ფშაველა 1895 წელს გავიცანი, როდესაც აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის აოხრების 100 წლის თავის პარაკლისზე აბჯარ-ჩაჩქანოსანი თუშ-ფშავე-სურნი ჩამოიყვანა. შემდეგ უფრო ახლოს შიო მღვიმელმა გამაცნო. გაცნობისთანავე ჩემი დიდი ხნის ნატვრა გაფუზიარე — ნება მომეცით პოემა „ბახტრიონი“ ცალკე წიგნად გამოვცე-მეთქი. ჩემი საქმიანობა და გვარი რომ შეიტყო, სიამოვნებით შემომლიმა:

- ჩემი წინაპრის სისხლი გდგომია...
- როგორ თუ თქვენი წინაპრის სისხლი?...
- იმედა ჩემი წინაპარი იყო...
- ხუმრობთ თუ დამცინით?
- როგორ გეკადრებათ...

იხუმრა თუ მართლა სთქვა, არ ვიცი, მაგრამ იმ დღეს მეგობრულად ვისადილეთ... ვაჟას ჰონორარის ანგარიშში ფულის ნაწილი მივეცი, თან ასი ცალი წიგნი შევპირდი. ამიერიდან მეგობრები შევიქენით, და, როცა კი ჩამოვიდოდა, ჩემთან იყო ხოლმე მთაწმინდაზე“.

იოსებ იმედაშვილმა „ბახტრიონი“ ანტონ გოგიაშვილს დაასურათებინა, ვაჟასთან შეათანხმებინა გმირთა ჩაცმულობა, იარაღი და სხვ. წიწოლას ხეზე ჩამოხრჩობის სცენა რომ წაუკითხავს: „მუხაზე ჩამოკიდული, კაცი სიანს სამკლავიანი“, გოგიაშვილს წამოუქაზნია: დახე, ფშაველებში სამკლავიანი ხალხიც ყოფილაო. ვაჟას გაუღმიდა და დინჯად უთქვამს: „სამ მკლავიანი კი არა, სამკლავიანი, მკლავზე წამოცმული საომარი სამკლავით, რკინის საფარითო“... „ბახტრიონისათვის“ სპეციალური წერილი დაწერინა გ. ყიფშიძეს. იმავე წელს ამ გამოცემაზე „ნოვოე ობოზრენიემ“ გულთბილი ცნობა მოათავსა.

„ერთხელაც ვაჟა შემეკითხა: — ჩემმა „ბახტრიონმა“ ხომ არ გაზარალაო?



— ვაჟას სახელი მაზარალებს-მეთქი?

— ჰოდა, — მომიგო ნასიამოვნებმა, — უნდა გადავეშვათ ბახტრიონ-გალავანზედა... ახლა მომისმინე. — მითხრა და გადაშალა „ჰაოს და ქართლოს“.

ვაჟამ თავისებური, სადა, მაგრამ მეტად მეტყველი კლოთი დაიწყო კითხვა. თითქოს ბაგეთაგან სიტყვები კი არ მოისმოდა, ცხოველი სურათები გამოკრთოდა, ცეცხლის ნაპერწკლები ცვიოდა... ეს პოემა შევიძინე და ოცი მანეთი მივეცი...².

პუშკინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით იოსებ იმედაშვილმა გამოსცა წიგნი „რუსეთის მგოსანია ა. ს. პუშკინი, მისი ცხოვრება და ლექსები“ (შემდგენელი ი. წინამძღვრიშვილი, თბილისი, 1899), წიგნს დართული აქვს მისივე წინასიტყვაობა — „ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინი“ — წინამძღვრის ფსევდონიმით. წინასიტყვაობაში აღნიშნულია: „პუშკინი ეროვნული მგოსანია, მისი ნაწარმოები გაყდნთილია რუსეთის ხალხის ყოველგვარის წეს-ჩვეულებით, ხასიათებით. პუშკინში იდგა რუსული ეროვნული სული, მისი გული სცემდა ეროვნული გრძნობით... პუშკინმა სამუდამოდ გაანთავისუფლა რუსეთის მწიგნობრობა პირდაპირის მიმბაძველობისაგან... პუშკინის ენა თავისუფალია, მარტივი და ნამდვილი ხალხური. პუშკინი ხალხური მგოსანია და ხალხს ესაუბრება მისთვის გასაგებ საგნებსა და ენაზე“. დასასრულ, წინასიტყვაობის ავტორი უენიშნავს: „როგორც თვით პოეტმა თავის თავზე თქვა — პუშკინი თავის მკაცრ დროებაში აღიდებდა თავისუფლებას“...

წიგნი შედგება 64 გვერდისაგან; იწყება ლექსით: „ა. ს. პუშკინს“ — ქართველისა, რასაც მოჰყვება პუშკინის ლექსების ქართული თარგმანები მთარგმნელთა აღნიშვნით³.

მეოცე საუკუნის დასაწყისს, 1902 წელს იოსებ იმედაშვილმა გამოსცა მაშინ ნაკლებად ცნობილი რუსი ახალგაზრდა მწერლის, მაქსიმ

² ამ პოემის გამოცემა ცენზორმა აკრძალა. ვაჟას ხელნაწერი ინახება საქართველოს ცენტრალური არქივის საცენზურო კომიტეტის ფონდში. (ფ. 480, I, № 1573, გვ. 631—642). იგი ავტოგრაფულია და თავდება ვაჟა-ფშაველას ხელმოწერით. შეიცავს 23 გვერდს. სათაური: „ჰაოს და ქართლოს“ და სხვა ლექსები („ძველის-ძველი ამბავი“). ავტორის სურათით ტიტულზე: გამოცემა იოსებ იმედაშვილისა. ეს პოემა ამჟამად გამოცემულია „ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებულის“ III ტომში (1964, გვ. 319—330, 403—404).

³ ამ გამოცემის ერთადერთი ეგზემპლარი დაცულია ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. საჯარო ბიბლიოთეკაში.



გორკის მოთხრობათა ქართული თარგმანი, რომლის წინასიტყვაობაში მკითხველს ასე მიმართავდა: „ჩვენი დიდი ხნის აზრის განხორციელება «უცხო მწერალთა» გამოცემის შესახებ ამ წიგნით იწყება... ყველა ერთა, და განსაკუთრებით ქართული მწერლობის გასამდიდრებლად, აუცილებლად საქირთა სხვა ერების მწერლობიდან საუკეთესო ნაწარმოებთა თარგმნა-გავრცელება“...

გორკის მოთხრობათა მნიშვნელობის შესახებ გამომცემელი მეტად გაბედულად შენიშნავდა:

„ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ იმ მწერალთა გამოცემას, რომელნიც ხალხის წყლულებს შეეხებიან და მკითხველს საზოგადოებას გაათვითცნობიერებენ... ჩვენ ასეთ მწერლად მიგვაჩნია მაქსიმ გორკი და ამიტომ ამ რიგის წიგნების გამოცემა ხსენებული მწერლიდან დავიწყეთ. იგი მწუხარებას გამოთქვამდა, რომ „დღემდე დიდებული შექსპირისა მხოლოდ რამდენიმე პიესა გვაქვს დაბეჭდილი, თითქმის მთელი მოლიერია ნათარგმნი... ნაწილობრივ ბაირონი, ჰაინე, სერვანტესი და სხვ... მაგრამ ყველა ისინი ჟურნალ-გაზეთებშია გაბნეული და მიუწვდომელია მკითხველი საზოგადოებისათვის... ბევრი შესანიშნავი მწერალი არც კი გვაქვს ნათარგმნი, მაგალითად ტოლსტოი, ტურგენევი, დოსტოევსკი და სხვა.“

ამ გამოცემაში შესულია გორკის თორმეტი მოთხრობა, რომლის ქართული თარგმანი შეასრულა ვანო გიუნაშვილმა: „ერთხელ შემოდგომაზე“, „მიმინოს ლექსი“, „მინდორში“, „დოსტები“, „ეშმაკის შესახებ“, „კიდევ ეშმაკის შესახებ“, „ტივებზედ“, „მაწანწალა“, „გაკიცხვა“, „ემელიან პილაი“, „წითელი ღვინო“ და „მკითხველი“.

ამავე გამოცემის ბოლოში დართული განცხადებიდან ჩანს, რომ იმედაშვილს განზრახული ჰქონია მაქსიმ გორკის მოთხრობათა მეორე წიგნის გამოცემაც ვანო გიუნაშვილის თარგმანით, რომელშიც ნავარაუდევია ყოფილა შემდეგი მოთხრობები: „ბიძია არქიზო და ლენკა“, „ჩელკაში“, „მოხუცი იზერგილი“, „კონოვალოვი“, „მალვა“, „ოცდაექვსი და ერთი“, „უკუღმართი“, „მოუსვენარი წიგნი“ და სხვა. იგი აღარ გამოცემულა, თუმცა თარგმანი დამზადებული ყოფილა. რამ შეუშალა ხელი მის გამოცემას, გაურკვეველია. ეს მით უფროა საინტერესო, რომ იოსებ იმედაშვილს დიდი სურვილი ჰქონდა ქართველი ახალგაზრდა მკითხველისათვის მიეწოდებინა რუსული და მსოფლიო მწერლობის რჩეული ნიმუშები და საერთოდ სსსარგებლო წიგნები.

გორკის მოთხრობების 1902 წლის გამოცემას (XXII+248 გვერ-



დი) დართული აქვს ივანე გომართელის 22-გვერდიანი „კრიტიკულ-ბიოგრაფიული წერილი“, რომელიც ყურადღებას იქცევს იმდროისათვის პროგრესული აზრებით. აქ აღნიშნულია, რომ „ოთხმოციან წლებში რუსეთის უნუგეზო, სულის შემხუთავ უფერულ სინამდვილეს გამოუჩნდა გამოცოცხლების, აზრის ამოძრავების, გამოღვიძების ხმა — ეს იყო მაქსიმ გორკი, რომელმაც არა მარტო რუსეთში, არამედ საზღვარგარეთის ქვეყნებშიაც კი დაიმონა მკითხველის სული და გული. მისი ნაწერების უკვე ხუთი ტომია გამოცემული, ამდენი გატაცებით მკითხველი, ამდენი თაყვანისმცემელი, ასე მოკლე დროში არც ერთ რუს მწერალს არ მოუბოვებია.

ყველა მიმართულების კრიტიკოსები და ყურნალ-გაზეთები რუსეთში ერთხმად აღიარებენ, რომ გორკი ძლიერი ნიჭია. მან ისეთი კითხვები აღძრა, რომლებიც ყველაზე უფრო აღელვებენ დღევანდელ საზოგადოებას. საზოგადოებრივი უსამართლობა, უთანასწორობა, ძალმომრეობა, უფროს-უმცროსობა, შენ-ჩემობა, ექსპლოატაცია, ირგვლივ სოციალური სისაძაგლე და სიბინძურე და ხსნის იმედს არც წარსული და არც აწმყო იძლევა. ყველაფერი ეს გორკიმ საკუთარ თავზე გამოსცადა და ცხოვრების წუმბედან ის განბანილი და მედგარი მებრძოლი გამოვიდა. ის უარყოფს თანამედროვე წყობილებას, აზროვნებასა და მორალს, ღალატებს პიროვნების უფლებებს.

უსამართლობას ყველაზე უფრო ის გრძნობს და იცნობს, ვინც ყოველ დღე თავის საკუთარ კისერზე განიცდის, ყოველგვარი სოციალური უსამართლობა მძიმე ტვირთად საზოგადოების უმდაბლეს წრეს აწევბა. სწორედ ეს წრეა ყოველგვარი უსამართლობის მტერი და გორკიმ თავისი ხელოვნების საგნად მხოლოდ ეს წრე აირჩია და არა სხვა რომელიმე — მათხოვრები, მაწანწალები, «ბოსიაკები» თავისებური ადამიანური თვისებებით, რომელთა არსება დაუშრეტელი სევდით, ჭმუნვითა და ტრაგიზმით არის გარემოცული. მათთვის სოფელში წყვდიადია და სივიწროვე, ქალაქში დამბალი და ვიწრო ცხოვრებაა, არც ჰაერია, არც თავისუფლება, არაფერი, რასაც ადამიანი საჭიროებს. ამიტომ მათ ეზიზღებათ ყველაფერი. დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრება ხარშავს ადამიანს, ყოველის მხრით ბორკავს. ამ გარიყულ ხალხს სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება სჭირდებათ, ურომლისოდ მათ ცხოვრება არ შეუძლიათ. ეს უნდა იყოს უკლასო საზოგადოება, — სადაც არ იქნება ერთი ბატონი და მეორე ყმა, — სრული საზოგადოებრივი თანასწორობა.



გორკის სიტყვა მოჭრილია, ენა საუცხოვო, ბუნების სურათები მშვენიერი და დახატული პირები ისე ცოცხლათ არიან სინამდვილადან ამოღებული, რომ თავისი ლაპარაკით, მოქმედებითა და მთელი თავისი არსებით სრულ ილუზიას ახდენენ მკითხველზე. მაგრამ გორკის გმირებში მარტო «ბოსიაკები» თუ დავინახეთ, მისი ნიჭი გაგებული არ იქნება. გორკიმ მათში დაგვანახა მოძრავი, დაუდევარი, უკმაყოფილო სული ძლიერი პროტესტისა, სამართლიანობისა, თავისუფლებისა და ძლიერი წყურვილი განახლებისა“.

როგორც დედაჩემი იგონებდა, ამ გამოცემის მომზადებასთან დაკავშირებით ახალგაზრდა გორკი რამდენჯერმე ყოფილა სადილად ჩვენს სახლში, კარგად ახსოვდა საერთოდ შეხვედრების ის თბილი ატმოსფერო, რომლითაც გარემოცული იყო იგი თბილისში ყოფნის დროს. მისდამი ყურადღებისა და პატივისცემის გრძნობას აძლიერებდა ის გარემოებაც, რომ გორკიმ, როგორც მწერალმა, საქართველოში აიდგა ფეხი, პირველი მოთხრობა „მაკარ ჩუღრა“ თბილისში დაწერა და 1892 წელს თბილისში გაზეთ „კავკაზში“ დაიბეჭდა.

იოსებ იმედაშვილს 1892 წელს ქართველი ხალხის კულტურითა და მწერლობით დაინტერესებული 24 წლის მაქსიმ გორკი ზაქარია ჭიჭინაძის ბინაზე ეგნატე ნინოშვილისათვის წარუდგენია. ამის შემდეგ მათ არაერთხელ უსაუბრიათ რუსულ-ქართული ლიტერატურისა თუ მწერლობის დანიშნულების საინტერესო საკითხებზე.

1896—1905 წლებში იოსებ იმედაშვილის გამოცემული წიგნების თემატიკაა სოციალური უსამართლობა, რევოლუციური იდეალების ქადაგება, უმთავრესად მშრომელი ხალხის დაბეჩავებული ყოფა-ცხოვრება, როგორცაა: ლევ ტოლსტოის „რისთვის ითვრება ხალხი“, „რა არის ხარკი და ან რისთვის ჰკრეფენ“ (თარგმანი რუსულიდან). 1899 წელს ცენზორმა აკრძალა იოსებ იმედაშვილის მიერ გამოსაცემად წარდგენილი კ. კაუცკის „მატერიალისტური ახსნა ისტორიისა და ფსიქოლოგიური ფაქტორი“, ნათარგმნი ს. ბ. მამალაძისა.

ალსანიშნავია, რომ იოსებ იმედაშვილი ყურადღებით ეკიდებოდა ახალგაზრდა მწერლებს: მან დაბეჭდა დიმიტრი მაჩხანელის „გლეხის ნაამბობი“ (1897), ვასილ ბარნოვის „ვაი შენს დამკარგავს“ (1901), ივანე ბუქტურაულის „ზურაბის კოშკი“ (1898), ივანე ვანნაძის „კაცი ვარ და ქული მხურავს“ კომედია 3 მოქმედებად (1902), თომანთ კობას (ია ეკალაძის) „რას იცინი“ (1896), იზიძის „ხალხის გმირი“ — აფხაზური ლეგენდა (1904).



ქართული სახალხო წიგნის გამოცემა-გავრცელების საქმეში მწიგნობრობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იოსებ იმედაშვილის შიგნით შედგენილ (პირველად ქართულ ენაზე) „უცხო სიტყვათა ლექსიკონის“ გამოცემას (1904). ცნობა ამის შესახებ ჯერ კიდევ 1901 წელს პიესების კრებულის — „ცხოვრების სარკის“ ბოლო გვერდზეა მოთავსებული. იგი შემდეგ რამდენჯერმე დაიბეჭდა მცირეოდენი ცვლილებით „ივერიამი“: „პირველად გამოიცემა ქართულს ენაზე ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი «უცხო სიტყვათა ლექსიკონი», რომელშიც შეკრებილი და განმარტებულია ათი ათასამდე სიტყვა, ყველასათვის გასაგების ენითა და მაგალითებით, რუსულისა და უცხო ენათა საუკეთესო ლექსიკონების, სამეცნიერო წიგნებისა და ჩვენის ყურნალ-გაზეთებიდან გამოკრებილ-შედგენილი იოსებ იმედაშვილის მიერ. წიგნს დართული აქვს ლათინური, ფრანგული, ინგლისური და სხვ. «უცხო ანდაზები და წინადადებანი», რომელიც არა ერთგზის იხმარება ჩვენს ყურნალ-გაზეთებში. წიგნი შეიცავს 1130 გვერდს, დაბეჭდილია სუფთად, კარგ ქაღალდზე და ჰღირს ერთი მანეთი და 15 კაპიკი, საუცხოვო (ოქროს ვარაყიან ასობით დაბეჭდილი) კალენკორის ყლით — მანეთ-ნახევარი. გასაგზავნი ხარჯი 20 კაპ. წიგნი ფას-დადებითაც შეიძლება გაიწერონ. უმთავრესი საწყობია თბილისში, ქაშვეთის ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ, გამომცემლის წიგნთსადაქროში“.

ეს ლექსიკონი მეტად სასარგებლო, სამაგიდო წიგნად იქცა თვითგანვითარებას დაწაფებული ყოველი ქართველი მკითხველისათვის. იგი, გადამუშავებულ-შეესებული, მეორედ გამოიცა 1918 წელს, მესამედ — 1928 წელს და დიდი როლი შეასრულა მოსწავლე ახალგაზრდობისათვის ფართო მკითხველი საზოგადოების განვითარება-გათვითცნობიერების საქმეში, მით უმეტეს იმ ხანებში, როდესაც მსგავსი არაფერი მოიპოვებოდა ქართულ ენაზე. ამ ლექსიკონში დაბეჭდილი იყო „კომუნისტური მანიფესტის“ ვრცელი განმარტება, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მაშინ, რამდენადაც ქართულ ენაზე იგი ჯერ კიდევ არ იყო თარგმნილი და კარგად ცნობილი. ხალხს სურდა გარკვეული წარმოდგენა ჰქონოდა ამ დიდ დოკუმენტზე, რომელიც დროშად მიუძღოდა მსოფლიო მუშათა კლასს შრომის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ლექსიკონის წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავდა: „ეს წიგნი იმ ქართველ მკითხველთა სასარგებლოდ გამოვეცი, რომელნიც ყურნალ-



გაზეთებსა და წიგნებს ეწაფებიან და მისთვის შესაფერი უცხო სიტყვათა ამხსნელი სახელმძღვანელო კი არა აქვთ... დარწმუნებულნი რომ ეს წიგნი მხოლოდ ნედლი მასალაა, რომელსაც როგორც პირველ ცდას, კარგი შემუშავება-შევისება ეჭირვება. შესაძლოა არც შეცდომებისაგან იყოს დაზღვეული, მაგრამ ვნუგეშობთ იმით, რომ ქართულად პირველად დაბეჭდილი, ჩვენს მდაბიო მკითხველს რამდენადმე მოუკლავს წყურვილს, აუხსნის უცხო სიტყვებს და წანაკითხის შეგნებას გაუადვილებს. ნათქვამია: „საცა ბევრი არ იყოს, იქ ცოტაც კმარიყოსო“. რაც შემძლო, მთელი ძალ-ღონე მოვიკრიბე, რომ წიგნი ყოველმხრივ უნაკლო გამოსულიყო, როგორც სიტყვების ახსნა-განმარტებით, აგრეთვე ბეჭდვით და ხალხისათვის ხელმისაწვდომ ფასით. შევასრულეთუ არა ეს ჩემი განზრახვა და მივალწიე თუ არა მიზანს — ამას მომავალი და საზოგადოების პირუთენელი განსჯა-განხილვა გვიჩვენებს...“

ამ ლექსიკონმა მაღალი შეფასება დაიმსახურა ქართველ მკითხველ საზოგადოებაში, მაგრამ მოულოდნელად ტენდენციური რეცენზიებით გამოეხმაურა მწერალი გრიგოლ რცხილაძე „ზანგის“ ფსევდონიმით. ეს რეცენზია ყურადღებას იქცევს ზომიერებას გადაჭარბებული პოლემიკით, უსაფუძვლო და უაზრო შენიშვნებით. „ზანგი“ შეეცადა რამენაირად დაემცირებინა ლექსიკონის მნიშვნელობა, რისთვისაც არ დაერიდა ფაქტების დამახინჯებას, მოგონილი, ლექსიკონში არარსებული შეცდომების კრიტიკას. იგი მთავრდება ახირებული მოწოდებით: „ყოველნაირად უნდა შევებრძოლოთ იმედაშვილის ლექსიკონის ხალხში გავრცელებასო“⁴.

„ზანგის“ უსამართლო რეცენზიას პასუხი გასცა სამსონ პაიჭაძემ წერილით „უცხო სიტყვათა ლექსიკონის გამო“ (გაზ. „ცნობის ფურცლისა“ და ზანგის საყურადღებოდ)⁵, რომელშიაც საფუძვლიანად, სავსებით დამარწმუნებლად არის გაკრიტიკებული „ზანგის“ ტენდენციური რეცენზია. მან აღნიშნა: „მე შევადარე ამოწერილი ადგილები ლექსიკონს და დავრწმუნდი, რომ ბ-ნ ზანგს სდომებია შემდგენლის პიროვნების დამცირება, ამისათვის ბიბლიოგრაფიაში სრულად არ ამოუწერია სიტყვების განმარტება, ან ბ-ნ იმედაშვილის განმარტება დაუმახინჯებია... იმედაშვილს სიტყვები სწორედ აქვს ახსნილი და

⁴ გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1904, 24. IX, № 2620, 25, IX, № 2621.

⁵ „ივერია“, 1904, 8, X, № 2302.

ისინი რუსულ ლექსიკონებთან შედარებით უფრო ვრცლად და რიგობრივად აქვს განმარტებული“⁶.

„ზანგის“ რეცენზიას დოკუმენტურად დასაბუთებული, დარბაის-ლური ტონით სათანადო პასუხი გასცა თვით ლექსიკონის ავტორმა: „ბ-ნი ზანგი და მისი ბიბლიოგრაფია უცხო სიტყვათა ლექსიკონის შესახებ“⁷. მან ნათელი გახადა, რომ რეცენზენტს ლექსიკონის საილუსტრაციოდ მასალა დამახინჯებით აქვს ამოწერილი, მთელ რიგ სიტყვათა განმარტებანი შეცვლილი, ნაწილები მოკვეცილი, შუა ადგილები ამოგლეჯილი ისე, რომ სინამდვილეში „ზანგი“ მის მიერვე დამახინჯებულ სიტყვებს თუ გაუკუღმართებულ განმარტებებს აკრიტიკებს. მის მოწოდებას, რომ ყოველნაირად შევებრძოლოთ ხალხში ლექსიკონის გავრცელებასაო, იოსებ იმედაშვილმა შენიშნა: „ხედავთ, ბ-ნის ზანგის საგულდაგულო სურვილი რა ყოფილა? ხედავთ, რისთვის ამახინჯებდა ჩემს განმარტებას, რომ ხალხში მისი გავრცელებისათვის ხელი შეეშალნა. მერე რისთვის, ბატონო ზანგო, რისთვის?... თქვენ განათლებულ ქართველთ მოუწოდებთ ლექსიკონის შესადგენად და მათი შემწეობითა ცდილობთ, ვითომდა იმედაშვილისაგან გაფუჭებული საქმის გასწორებას. მაგრამ იმედაშვილმა რითი გავიფუჭათ საქმე?... ჩემი ლექსიკონი შეიცავს 1126 სვეტს, თითქმის 10 000 სიტყვას და ნუთუ ამოდენა წიგნსა და ამდენ სიტყვაში ათასიოდე სიტყვა მაინც ვერ აღმოაჩინეთ ყურადღების ღირსი?...“

მაგრამ ვერც საზოგადოებრივმა აზრმა, ვერც სამსონ პაიჭაძის სამართლიანმა შენიშვნებმა, ვერც ლექსიკონის ავტორის დასაბუთებულმა პასუხმა რეცენზენტზე შთამაგონებელი გავლენა ვერ მოახდინეს. პირიქით, მან მეორედაც უსაფუძვლო და გაყალბებული ციტატებით მოინდომა ლექსიკონის ღირებულების დამდაბლება, იოსებ იმედაშვილი იძულებული გახდა გაეცა მეორეჯერ საკადრისი პასუხი: „კიდევ ბ-ნი ზანგი და მისი წერილი «უცხო სიტყვათა ლექსიკონის» შესახებ. „პასუხის პასუხი“. დაუროთო სათანადო ციტატები იმის საჩვენებლად, თუ ზანგი როგორ დამახინჯებულად იწერს ლექსიკონიდან საილუსტრაციო მასალას, რომ მათი უაზრობის გამო დასცინოს ავტორს. მაგალითად, იმედაშვილს აქვს: „ამის წინააღმდეგი ც ნ ე ბ ა“ ზანგს ამოუწერია — „ამის წინააღმდეგი ო ც ნ ე ბ ა“⁸.

⁶ „ცნობის ფურცელი“, 1904, №№ 2636, 2637, 2638.

⁷ გაზ. „ივერია“, 1904, 16 დეკემბერი, № 287, გვ. 2—31.

⁸ იქვე.



ამ პოლემიკის თითქმის ორმოცი წლის შემდეგ (1942 წლის 20 თებერვალს) ი. გრიშაშვილს ბუკინისტებთან შეუძენია იოსებ იმედაშვილის ლექსიკონის პირველი, 1904 წლის ეს საკამათო გამოცემა და მისი ყდის მეორე გვერდზე ასეთი საყურადღებო მინაწერი გაუკეთებია: „იოსებ იმედაშვილის «უცხო სიტყვათა ლექსიკონი» გაარჩია ზანგმა (გრ. რცხილაძემ) და ძალიან ავად მოიხსენია. ზანგის წერილს კარგად უპასუხა ი. იმედაშვილმა“⁹.

იოსებ იმედაშვილი 1896 წლიდან უკვე საკმაოდ იყო ცნობილი თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მუშებს შორის, როგორც ახალი თაობის ავტატორ-პროპაგანდისტი, ავჭალის და ავლაბრის მუშათა თეატრების დამაარსებელი და რეჟისორი, სახალხო წიგნების გამომცემელი და გამავრცელებელი, გამოცდილი კორესპონდენტი მუშათა მდგომარეობის საკითხებზე.

ამიტომ ბევრს იქნებ გაუკვირდა კიდევ, როდესაც იოსებ იმედაშვილმა ჯორჯაძის ქუჩაზე, ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ, ბუკინისტური სავაჭრო გახსნა, რომლის ნამდვილი მიზანი არალეგალური მუშაობის შენიღბვა, აკრძალული ლიტერატურის შენახვა და გავრცელება იყო. უსაფრთხოების მიზნით არალეგალური წიგნები ლეგალურ გამოცემათა ყდებში იყო ჩასმული. საამისოდ ხშირად სახარებისა თუ სხვა საეკლესიო წიგნების ყდებს იყენებდა.

ამ წიგნთსავაჭროში თავს იყრიდნენ მოწინავე რევოლუციონერი მუშები, მწერლები, საერთოდ პროგრესული ინტელიგენციის წარმომადგენლები: ზაქარია ჭიჭინაძე, ლადო კეცხოველი, მიხეილ დავითაშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ისიდორე რამიშვილი, სეით დევდარია-ნი, ვასო ცაბაძე, სევერიან ჯულელი, მიხა ცხაკაია, იოსებ ჯულაშვილი, ფილიპე მახარაძე, ვლასა მგელაძე, რკინიგზელი მუშები — ძმები ჩოდრიშვილები და არავიაშვილები¹⁰.

აქვე ხშირად მოდიოდნენ ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ლომოური, ნიკო ცხვედაძე, ანტონ ფურცელაძე, დიმიტრი მაჩხანელი, ივანე როსტომაშვილი, ბაჩანა და თედო რაზიკაშვი-

⁹ პოეტ-აკადემიკოს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმის კატალოგი, ტ. I, ნაწ. III, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980, გვ. 283.

¹⁰ ეს გვარები იმედაშვილის პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით დადასტურებული ყოფილა თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს საიდუმლო მიმოწერაში.



ლები, ეკ. გაბაშვილი, განდგეილი, ნინო ყიფიანი, არჩილ ჯორჯაძე, გიორგი თუმანიშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ივანე გომართვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ივანე ბერიტაშვილი, ვასო აბაშიძე, ვალერიან გუნია, კოტე ყიფიანი და სხვანი.

იოსებ იმედაშვილი „მოგონებებში“ წერდა: „თბილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეებს აკრძალულ გამოცემებს ვაკითხებდი და, სხვათა შორის, სოსო ჟღაშვილმა ჩემგან წაიღო და წაიკითხა ერნესტ რენანის „იესო ქრისტეს ცხოვრებაო““.

სავაჭრო მაღაზიად შენიღბულ ამ არალეგალურ „საწიგნეს“ მიხეილ ჯავახიშვილი ასე ახასიათებდა: „ეხლაც, იმედაშვილს რომ დავინახავ, ან გავიხსენებ ხოლმე, ძალაუნებურად მაგონდება ქაშვეთის ქუჩა, ბუკინისტების რიგი და იმ რიგში ერთი პაწაწინა ქოხი. იმ ქოხში უფრო ცხელა ზაფხულში, ხოლო ზამთარში უფრო ცივა, ვიდრე გარეთ. წიგნებში ჩამძვრალი იოსებ იმედაშვილი რიყრაყიდან დაღამებამდის თავჩალუნული ზის დახლის უკან და გამალებით მუშაობს, ვითომ წიგნებითაც ვაჭრობს, მაგრამ... მუშტრების მაგივრად უფრო ნაცნობ-მეგობრები ეხვევიან და ხელს უშლიან. ხოლო მუშტრისათვის სოსოს არ სცალიან. ამიტომ არც მუშტარს სცალიან ახირებულ „ვაჭრისათვის“. მუშტარი რომ შემოვა, უცნაური „ვაჭარი“ და მწიგნობარი თავს ძლივს ასწევს. პასუხსაც ძლივს აკადრებს, ზოგჯერ კი არც ამისთვის სცალიან... თუ ვინმემ მოაგონა სადილი, შაურის წვნიანს მოარბენინებს, ხუთიოდე წუთში გადაჰყლაპავს და კვლავ ჩრჩილივით ჩაუჯდება ქალაღლებს. როცა დაღამდება, დუქანს დაჰკეტავს და, ქუდმოგლეჯილი, იორღით მირბის სახალხო სახლში, ან მურაშკოს თეატრში — ექვსიოდე ვერსის მანძილზე. იქ თავის როლს პირნათლად შეასრულებს და ნაშუალამევს ფეხით გამოდის მთაწმინდის უბანში. ეხლაც არ ვიცი რამდენს იძინებდა, ან როდის ისვენებდა ეს უცნაური და დაუღალავი ადამიანი! ან იძინებდა ოდესმე? ან ისვენებდა ზოგჯერ მაინც?“

როგორც მალე გამოირკვა, ჟანდარმერიას შეუნიშნავი არ დარჩენია ამ ბუკინისტური მაღაზიის ნამდვილი საქმიანობა თავისი მიმსვლელ-მომსვლელთ და ისიც, რომ 1905 წლის რევოლუციის დამდგამდე იოსებ იმედაშვილი არა მარტო თანაუგრძნობდა მესამე დასელებს, არამედ აქტიურ მონაწილეობასაც იღებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაციის მუშაობაში, იყო არალეგალური სამხედრო ორგანიზაციის წევრი და მუშათა და გლეხთა ყოფაცხოვრების საჭირობათა საკითხებზე ცოცხალ ინფორმაციებს ბეჭ-



დაედა პრესაში; ხშირად გამოდიოდა მუშათა მიტინგებზე, აწყობდა საიდუმლო კრებებს, ავრცელებდა არალეგალურ ლიტერატურას. გამოც 1904 წელს გაჩხრიკეს და დააპატიმრეს. როგორც ჩანს, იგი აღრიდანვე, 1903 წლიდან მაინც ჟანდარმერიის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. მისი ამ პერიოდის რევოლუციური მუშაობის შესახებ თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს საქმეებში საინტერესო ცნობებია შემონახული: «Имедашвили Иос. Зах. Крестьянин Тиф. губ., книготорговец, в 1903 г. принимал участие в деятельности местной социал-демократической организации, хранил нелегальную литературу, предоставлял помещение своего магазина для сходок и т. п. В его же магазине предпринято было издание преступных брошюр в легальных обложках. При ликвидации 6-го янв. 1904 г. местной соц. демокр. организации, Имедашвили был подвергнут в порядке положения о госуд. охране обыску и вследствие обнаружения у него нелегальных брошюр, заключен под стражей и привлечен к дознанию при Тиф. жанд. упр., каковое за силою всемирлестивейшего манифеста 11 августа 1904 г. прекращено с отменой принятой меры пресечения.

По освобождении из под стражи 19 марта Имедашвили вошел в связь с группой лиц, занимавшихся в г. Тифлисе изданием печатных прокламаций и при ликвидации последней 10 августа был вновь подвергнут обыску... На демонстративных похоронах 30 января 1905 года Нины ГОГИАШВИЛИ произнес речь резко правительственного направления. 20 февраля в Кашветской церкви произнес речь о строго националистическом духе. 26 июня вел преступную пропаганду на массовой сходке рабочих и мелких торговцев на горе св. Давида, принимал участие в собрании 31 июля пропагандистов в Нахаловке, под председательством Арчила ДЖАПАРИДЗЕ, на котором обсуждались вопросы о принятии мер против партии патриотов и принятии в организацию вновь прибывшего пропагандиста КОНОВА. В ноябре месяце 1905 года всецело преданся деятельности националистов... В партии социалистов — федералистов пользовался большим вниманием. Являясь одним из видных деятелей..., Имедашвили на всех сходках и митингах выступал в числе первых ораторов, выпускал массу противоправительственных сочинений...»

ამით დამთავრდა იოსებ იმედაშვილის ბუკინისტური მოღვაწეობა. ციხიდან რომ გამოვიდა, ჟანდარმერიისაგან მისი წიგნის მალაზიის გაჩხრიკა-კონფისკაციას რაც ვადაურჩა, ურმით წაიღო სოფელში და

ბიბლიოთეკას შესწირა, თვითონაც სოფელში გადავიდა სამედიკალინურ ცენტრში მიხეილ ჯავახიშვილი ასე აგრძელებს მოგონებას:

„გავიდა ხანი. იმედაშვილმა ქალაქი სოფელზე გასცვალა... ერთმანეთს მოვწყდით. მე უცხოეთში გარდავიხვეწე. 1910 წ. ბედმა კვლავ შეგვახვედრა ერთმანეთს... მეტეხის ციხეში. მერე ისევ დაგვაშორა, მაგრამ, სადაც უნდა ვყოფილიყავი, შორიდანაც ვხედავდი მუდამ მჭროლავ იოსებს და მესმოდა ხმა მისი შეუწყვეტელის შრომისა. 1923 წ. დავებრუნდი 15 წლის წინათ შეწყვეტილ საქმეს — ბელეტრისტობას. კალამი ძლივს ავიღე ხელში, რომ ისევ შეიყარნენ ჩვენი გზები: იოსები წინ გადამელობა, წარსული მომაგონა და თავისი „თეატრი და ცხოვრება“ გამახსენა. მე ხალისით მივეცი ორიოდ ნაწყვეტი. არც შემდეგ მოვაკლებ ჩემს თანაგრძნობას და სუსტს ძალ-ღონეს, რადგან, ჩემი ღრმა რწმენით, იოსებ იმედაშვილი და მისი ყურნალიც მხნედ და პირნათლად ემსახურებიან ჩვენს საერთო საქმეს... ამ მხრივ იმედაშვილმა საზღვარს გადააპარბა, გასაოცარია მისი მხნეობა, შრომის უნარი და უშრეტელი ენერჯია... გარდა ამისა, „თეატრი და ცხოვრების“ ჰერმა შეიფარა კარგი ქართული, ე. ი. ნამდვილი სახალხო ენა — ისეთივე უბრალო, მკაფიო და მარტივი, როგორც ჩვენი ხალხის სული. ესეც დიდი სამსახურია... „თეატრი და ცხოვრება“ თავის საქმეს პირნათლად ასრულებს.

კინალამ დამავიწყდა: იოსებ იმედაშვილი ჩემი ქართულის ნათლიაა. რუსეთიდან რომ დავებრუნდი, — ვაღიარებ ჩემს სირცხვილს! — ქართული თითქმის დავიწყებული მქონდა. ბედმა იმედაშვილის წიგნის დუქანში შემიყვანა. მოვითხოვე ქართული წიგნები. ერთმანეთს გამოვეცნაურეთ. იმ დღიდან ხშირი სტუმარი გავხდი მისი დუქან-სამკითხველოსი. სანამ „ცნობის ფურცელში“ დავიწყებდი მუშაობას, ჩემი ქართულის მასწავლებელი იოსები იყო. პირველად იმან წაიკითხა ჩემი პირველი მოთხრობა „ჩანჩურა“ და იმანვე გამგზავნა „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში“¹¹.

მამაჩემის ბუკინისტობის დროის ზეპირი მოგონებებიდან მეხსიერებაში ჩამრჩა ერთი საინტერესო წიგნის ამბავი:

ძველ თბილისელებს ახსოვთ, რომ ქაშვეთის ქვემოთ, ბუკინისტების რიგის გასწვრივ, მთელ ქუჩაზე, წელიწადში ორჯერ მაინც, იმართებოდა ძველი წიგნების ბაზრობა. ყველას იქ მოჰქონდა გასაყიდი თუ

¹¹ მიხეილ ჯავახიშვილი, ტომი მეექვსე, 1980, გვ. 38—39. პირველად დაიბეჭდა ჟურ. „თეატრი და ცხოვრებაში“, 1925.

გასაცვლელი წიგნი. მაგრამ ხდებოდა ისეც, რომ მწიგნობარის ოჯახს წიგნის მცოდნე ღირსეული მემკვიდრე რომ არ დარჩებოდა, მშობლებს დანატოვარს, მით უმეტეს დამტვერიანებულ წიგნებს, რაკი მისი მწიგნობარების ვნელობა და ღირებულება არ იცოდნენ, პირდაპირ გაუსინჯავად და დაუთვლელად წონით ჰყიდდნენ ხოლმე. მსგავსი შემთხვევა ახლაც არ არის იშვიათი. მეტადრე ძველი წიგნების მაკულატურაში ჩაბარებას კამპანიის ხასიათი რომ მიეცა...

ეს ამბავი 1903 წელს მოხდა. მაშინ ცნობილ ბუკინისტს, არშაკ მერაბოვს ვილაციისაგან ფუთობით დამტვერიანებული ძველი წიგნები და ხელნაწერები უყიდა. ეს წიგნები დიდხანს ეყარა დახლის კუთხეში ისე, რომ ყურადღებას არავინ აქცევდა. ერთხელ კარგად ჩაცმულმა კაცმა შეათვალიერა წიგნები, მათ შორის ერთი დიდი წიგნი ამოარჩია და ფასი იკითხა. არშაკმა წიგნს ვერაფერი გაუგო, მაგრამ რაკი მუშტარს კარგად ეცვა, იფიქრა ფულიანი იქნებოდა და მანეთი დაუფასა. მანეთი ოქროთი კარგი ფული იყო კაპიკებად ნაყიდ წიგნში, მაგრამ მუშტარი რაკი არ შეევაჭრა და უყოყმანოდ იძლეოდა მანეთს, არშაკი ერთბაშად უარზე დადგა: წიგნი ჩემი არ არის, პატრონს უნდა ეკითხო, ხვალ მოდიეთ... იმ დღეს არშაკმა თავის ძმაკაც ბუკინისტებს აჩვენა ეს წიგნი: რა არის, ჩანს მუშტარი კარგია, რა დაუფასოო? იმათაც ბევრი ათვალაიერეს, მაგრამ ვერც ისინი მიხვდნენ წიგნის სათაურს თუ შინაარსს, და მაინც თავისებურად ბრძნული რჩევა მისცეს — "შენც 5 მანეთი დაუფასე, რას აგებო. მეორე დღეს მუშტარმა რომ მოაკითხა და ფასი იკითხა, არშაკმა მუშტარი არ დაეაფრთხო, თითქოს გაუბედავად, 5 მანეთი დაუფასა: ხომ იცით რა წიგნიც არის, ნაკლებად ვერ მოგცემო. მუშტარმა მაშინვე ამოიღო ჯიბიდან 5 მანეთი და გაუწოდა. ამან უფრო დიდ საგონებელში ჩაავდო არშაკი. შეშფოთებულმა იფიქრა: ალბათ, მართლა რალაც კარგი წიგნია, რომ ხუთ მანეთს შეუვაჭრებლად მაძლევსო და ისევ მეორე დღისათვის დაიბარა მუშტარი. კიდევ ბევრი იფიქრეს და ითათბირეს თბილისელმა ბუკინისტებმა და მუშტარის შეუვაჭრებლობის მიხედვით გადაწყვიტეს, რომ ეს გამოუცნობი ღირებულების წიგნი ოც მანეთად გაყიდულიყო.

ასე გაიყიდა ეს დამტვერიანებული წიგნი, რომელიც გუტენბერგის პირველნაბეჭდი ბიბლია აღმოჩნდა. უნიკალური წიგნების მსოფლიო მაზანდას ვერც თბილისელი მუშტარი მიხვდა, რომელმაც 20 მანეთად ნაყიდი წიგნი ხუთას მანეთად გაყიდა. მისი ქვეშაობიტი ღირებულება უფრო მიახლოებით შემდეგმა მუშტარმა გამოარკვია, რომელმაც ეს



წიგნი ათი ათას მანეთად გაყიდა, თუმცა არც ეს ყოფილა მისი წყარო. დიდი ფასი. როგორც მოგვიანებით გახდა ცნობილი, ეს ბიბლიოთეკა ვარგარეთ გაუტანიათ, სადაც 40 ათას ფრანკად გაყიდულა.

1893 წელს გაზ. „ივერიაში“ (№ 21) იოსებ იმედაშვილმა გამოაქვეყნა წერილი ქართული მწერლობის ანთოლოგიის გამოცემის სამზადისის შესახებ — „ქართული მწიგნობრობის მოყვარულთა საყურადღებოდ (ბ-ნ ხახანაშვილის წერილის გამო)“¹². ეს იყო ერთგვარი გამოხმაურება ა. ხახანაშვილის წერილზე: „ერთი საჭიროებათაგანი ჩვენის მწერლობისა“, რომელშიაც აღნიშნული იყო, რომ დღემდე არ მოგვეპოვება ქართული მწერლობის საცნობარო კრებული... კარგი იქნებოდა ვინმე შეჰკრებდეს სხვადასხვა დროს ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში გაფანტულ ნაწერებს და მათივე ავტორების შესახებ ბიოგრაფიულ ცნობებს, რაც პირველ საჭიროებას შეადგენს ლიტერატურის ისტორიისათვის“. აქ მხედველობაში მისაღებია, რომ თვით ხახანაშვილს 1895 წლიდან უკვე დაწყებული ჰქონდა რუსულ ენაზე გამოცემა ოთხტომიანი ნაშრომისა „ქართული სიტყვიერების ისტორიის ნარკვევები“.

ი. იმედაშვილის წერილი ფაქტიურად ძველი და ახალი ქართული მწერლობის ანთოლოგიის გეგმას წარმოადგენდა:

„ჩვენის მწიგნობრობის სავესებით გასაცნობად არა გვაქვს ისეთი კრებული, რომელშიც ყველა მწერლები იყვნენ აღნუსხულნი. ცალცალკე ყველას თხზულების შეძენა, გარდა იმისა, რომ სიძვირის გამო ძნელდება, მწერალთა თხზულებანი ცალკე გამოცემად არ იპოვება, დაქსაქსულია ჟურნალ-გაზეთებში, რომლებიც მკითხველისათვის ადვილად ხელში ჩასაგდება არ არის. ამ გარემოებისა გამო ახალგაზრდობის მომეტებულმა ნაწილმა არ იცის ჩვენს მწერლებს როდის, ან სად რა უწერიათ. შევნიშნე რა ჩვენის მწერლობის ასეთი ნაკლებობა, დიდი ხანია განვიზრახე ისეთის კრებულის გამოცემა, რომელიც ჩვენის მწიგნობრობის ასეთს ნაკლს ცოტად თუ ბევრად შეავსებს. კვი ხანია ვამზადებ გამოსაცემად ახალს წიგნს სახელწოდებით: ქართველი მგოსნები (კრებული). ამ წიგნში შეტანილი იქნება ჩვენი ძველი და ახალი (XV საუკუნიდგან დღემდე) მგოსნების ნაწარმოების ნიმუშები (ლექსები). კრებული განიყოფება ორს განყოფილებად: პირველს განყოფილებაში მოთავსდება ძველი და უკვე ცნობილ მგოსანთა ნაწერები, მეორე განყოფილებაში ახლის, ჯერ უცნობის მგოსნების ნაწერები,

¹² ივერია, 1899, № 6 (10 იანვარი).

თითოეულისა 4—10 ლექსი და ბრძნული ნათქვამები; თან დაემატა ავტორის სურათი და მოკლე ბიოგრაფია.

ჩანს, ეს განზრახვა არ განხორციელდა, თუმცა მისივე განზრახვით ბით ანთოლოგია გამოსაცემად თითქმის უკვე დამთავრებული ჰქონია და შემდგომშიც ასზე მეტი სახელწოდების სხვა წიგნი გამოსცა. მთ შორის: დავით ნახუცრიშვილის ისტორიული დრამა „იანიჩარი“ ხუთ მოქმედებად (1901); ბაჩანას პოემა „დიაკვნიანი“; ფილიპე მახარაძის „ხალხური პოეზია და მელიტონ კელენჯერიძე“ (1897); ა. ჰარონიანის „მთებში“, თარგმანი სომხურიდან (1904), თომა ასათიანის „საყმაწვილო ამბები“ (1903) და სხვა.

1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ მის მიერ გამოცემული სახალხო წიგნებიდან უმრავლესი იყო პიესები, რომლებიც ქართული თეატრის სცენაზე იდგმებოდა: ტრიფონ რამიშვილის — „საბედისწერო დამბაჩა“ (დრამა სამ მოქმედებად, 1910) და „დედინაცვალი“ (დრამა სამ მოქმედებად, 1914); პ. ირეთელის (პოლიო კალანდაძე) „ბედნიერი დღე“ (კომედია, 1913); იოსებ გედევანიშვილის „სინათლე“ (ზღაპარი ფეერია, სამ მოქმედებად, 1914), ს. გლახაშვილის (სოფრომ ტარუაშვილი) „ცხოვრება“ (პიესა სამ მოქმედებად, 1914); დავით ნახუცრიშვილის „ჯიუტები“ (მოთხრობები, 1914); დუტუ მეგრელის „მწიბრი სარდალი“ (დრამა, 1915), ირ. ბოხუას „ძმის მკვლელი“ (დრამა, 1919); კ. ლესელის „ვაი დროებას“ (კომედია-ხუმრობა, 1919); იოსებ მჭედლიშვილის „შვიდნი ძმანი ხევსურნი“ (პოემა, 1919), ი. ხომერიკის — „უწყალო ნუგეში“ (პიესა, 1919). ამავე სახალხო გამოცემაში იოსებ იმედაშვილს დაბეჭდილი აქვს საკუთარი პიესები „სოფლის მიტინგზე“ (1917), „ზამთრის პირზე“ (1919), „მზე ჩაესვენა“ (მარიამ დედოფალი, 1920), „ალეების ცეკვა“, „მზის ამოსვლამდე“, „ნამუსიანი ხალხი“, „ძუძუს მგომბელი“ და სხვა.

ქართული თეატრის, განსაკუთრებით მუშათა და სასოფლო თეატრების რეპერტუარის შექმნა-გაფართოებისათვის იოსებ იმედაშვილმა დააარსა ორიგინალური და ნათარგმნი პიესების კრებულების სერია „ცხოვრების სარკე“, რომლის პირველი წიგნი გამოსცა 1899 წელს, მეორე — 1901 წელს, მესამე კრებულის ნახევარიც აწყობილი იყო, რომ 1904 წელს დაპატიმრების გამო (5.1 — 19. III) მისი ბეჭდვა შეჩერდა და შემდეგ აღარც გამოცემულა. ამ კრებულებში დაბეჭდილია ჩვენი თეატრების სცენებისათვის პოპულარული ქართული და თარგმნილი პიესები, როგორცაა: გუცკოვის „ურთიელ აკოსტა“, დო-

დეს, სუნდუკიანის, ა. ცაგარელის, ვ. აბაშიძის, ი. მაჩაბელის, დ. აწუ-
რელის, დ. მესხის, კ. ყიფიანის, დ. ნახუცრიშვილის, ა. აზიანის პიესე-
ბი. კრებულებს ერთვის ნარკვევი: „ქართული თეატრი და მისი მსა-
ხიობ-მოღვაწენი“ სურათებით, ბიოგრაფიებით, მათივე შემოქმედების
დახასიათებით (I, გვ. 209—232; II, გვ. 387—418) და სია ქართული
სცენისათვის ნებადართული პიესებისა (პირველშია 23, მეორეში 46
პიესა). ამ კრებულებმა ჩვენი დრამატურგიული ლიტერატურის სილა-
რიბეში დიდი სამსახური გაუწიეს თბილისისა და პროვინციის თეატ-
რებს.

პირველი (1899 წლის) კრებულის წინასიტყვაობაში იოსებ იმედა-
შვილი წიგნის მიზნისა და აგებულების შესახებ აღნიშნავდა: „სახალ-
ხო წარმოდგენების მოთხოვნილება-აღორძინებას ჩვენში, ქალაქად და
ნამეტნავად დაბა-სოფლად, სხვათა შორის, დასტამბული პიესების
უქონლობაც აფერხებს, თუმცა კი ამ ბოლო ხანებში წარმოდგენების
მართვის სურვილი გაიზარდა. ამ სურვილის განხორციელებას ხელის
მომართვა, მასალის მიწოდება ეჭირვება, რომ საქმეს წარმატება დაე-
ტყოს. ამ მიზნით განვიზრახეთ დრო-გამოშვებით გამოვცეთ პიესების
კრებული სახელწოდებით «ცხოვრების სარკე», რომელშიაც მოთავს-
დება რჩეული პიესები, სცენები, მონოლოგები და სხვ., საზოგადოდ
ისეთი მასალა, რომელიც სცენის მოყვარეთ ხელს შეუწყობს წარმოდ-
გენების მართვაში“.

პიესების გარდა კრებულში შეტანილია ლექსები, სასიმღერო სცე-
ნები და კუბლეტები და მიმოხილვითი ნარკვევი „თეატრი და ქართუ-
ლი სცენის მოღვაწენი“.

იმავე წელს ვინმე მირზა-ხანმა სპეციალური რეცენზია დაწერა
„ცხოვრების სარკის“ ამ პირველი ნაკვეთის შესახებ. საერთოდ მიე-
სალმა ასეთ წამოწყებას, მაგრამ იმავე დროს უცნაური შიში გამო-
თქვა: „ყველამ ვიცით, რომ საქართველოს სოფლებში საერთოდ ძა-
ლიან ცოტა წიგნები იყიდება და პროვინციული სცენის მოყვარენი,
რომელნიც საქართველოს აქა-იქ კუთხეებში დროგამოშვებით წარმოდ-
გენებს მართავენ, მათ რა იმოდენა წიგნები უნდა დასჭირდეთ, რომ
გამოცემის ფასი დაჰფარონო... ამიტომ სჯობია პატარ-პატარა წიგნები
გამოიცეს, თითო-ოროლა საუკეთესო პიესები, რომ იაფი იყოსო“. თა-
ნაც დასძენდა: „გუნიას კალენდრის წყალობით მთელმა საქართველომ
ზეპირად იცის ჩვენი არტიტებისა და დრამატურგების მოღვაწეობა და
რა საჭიროა მათი სურათები და ბიოგრაფიაო“. რეცენზენტს ყველაზე

მეტად ის მოსწონებია, რომ „ბ-ნ იმედაშვილს პირველი წიგნისათვის კარგი სასაცილო კომედია-ვოდევლები ამოურჩევია, რაც მეტად სურს ტერესოს ხდის ამ წიგნს პროვინციულ სცენის მოყვარეთათვის“¹³

საზოგადოებრივი ცხოვრების, ქართველი ხალხის სოციალურ-პოლიტიკური იდეალების ასახვის საჭიროებამ, განსაკუთრებით „ნიშადურში“ თანამშრომლობამ იოსებ იმედაშვილს გადაწყვეტინა დაეარსებინა საკუთარი პერიოდული ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“. მართლაც მისი პირველი ნომერი გამოქვეყნდა 1910 წლის 2 იანვარს, ქართული თეატრის აღდგენის ზემის დღეს.

განცხადება იტყობინებოდა:

„1910 წლის 2 იანვრიდან გამოდის ახალი კვირეული სამხატვრო-სალიტერატურო, სათეატრო სურათებიანი ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება“ იუმორისტული განყოფილებით და კარიკატურებით.

ჟურნალის მიზანია სათეატრო კითხვების გარკვევა-განხილვა, თეატრის წარსული და აწმყო, ისტორია დრამისა და სცენისა. დაიბეჭდება სათეატრო წერილები, კრიტიკული განხილვანი, ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობანი, მოთხრობები, ლექსები, იუმორისტული წერილები, სურათები სცენის მოღვაწეთა, ხელოვანთა, მსახიობთა, დრამატურგთა. ყოველ ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა; ორიგინალური თუ ნათარგმნი.

ჟურნალში ფართე ადგილი დაეთმობა ევროპისა და რუსეთის სათეატრო ცხოვრების მიმდინარეობას, აგრეთვე, ჩვენ მეზობელთა — სომეხთა, თათართა, ოსთა და სხვ. სცენის აღორძინებისა და დრამატიულ ლიტერატურის შესახებ წერილებს. უმთავრეს ყურადღებას კი მიაქცევს სამშობლო თეატრის მდგომარეობას“.

ეს იყო ოფიციალური პროგრამა — წერილები თეატრის, მწერლობის, მუსიკის, მხატვრობის, ხელოვნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. რაც მთავარია, ამ პროგრამის განხორციელება ხელოვნების ყოველ დარგს, და მათ შორის მწერლობას, უპირველეს ყოვლისა, ხალხის სამსახურს ავალბდა. მწერლობას, თეატრს ხალხში ეროვნული თვითშეგნება უნდა გაეღვივებინა. ამასთან ერთად, „თეატრი და ცხოვრება“ ეროვნული პრობლემის გაშუქებაში მარტო ქართული მასალებით არ იფარგლებოდა. იგი თვალყურს ადევნებდა როგორც კავკასიის ხალხების — სომეხების, თათრების, ოსების, აგრეთვე რუსეთისა და

¹³ „კვალი“, 1899, 24 ოქტომბერი, № 4, გვ. 748.

მთელი მსოფლიოს ხალხების კულტურულ ცხოვრებას. აქაც შეიქმნა —
ოდა იოსებ იმედაშვილის მოღვაწეობისათვის დამახასიათებელი ნიშნები —
ნი — ხელოვნებისა და მეცნიერების მიღწევათა ყოველმხრივი პოპულ-
ლარიზაცია, დიდი ყურადღება ქართველი საზოგადოების ფართო ფე-
ნების — ინტელიგენციის, მოწინავე ახალგაზრდობისა თუ თვითგანვი-
თარებას დაწაფებული მუშებისა და გლეხების სულიერი აღზრდის,
ქართული კრიტიკული აზრის შემუშავების მიმართ. ამ ყურნალის და-
არსებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმიტომაც, რომ მაშინ არ
არსებობდა ქართული უნივერსიტეტი და სხვა სამეცნიერო და კულ-
ტურული დაწესებულებანი. პრესის ცენზურული დევნის პირობებში
ინტელიგენციას ასპარეზი არა ჰყოფნიდა სამშობლო ქვეყნის კულტუ-
რის სამსახურში თავისი ნიჭისა და ენერგიის გამოსაყენებლად.

„თეატრი და ცხოვრება“ პირველი ნომრიდანვე დიდი მოწონებით
სარგებლობდა და ჩქარა მიიქცია საერთო ყურადღება. ჟურნალმა შე-
მოიკრიბა ჩვენი მწერლობისა და ინტელიგენციის მოწინავე ძალები და
ფართო მკითხველი საზოგადოება. პერიოდულ გამოცემებს შორის იგი
ყველაზე პოპულარული ორგანო გახდა. მიუხედავად ამისა, როგორც
იოსებ იმედაშვილი იგონებს, „თეატრი და ცხოვრების“ დღეგრძელობა
არავის არ სჯეროდა; ერთი, თუნდაც დიდი ენთუზიასტის მიერ, მისი
ხანგრძლივად გამოცემა შეუძლებლად მიაჩნდათ. იმედაშვილი იგონებს:
„გუნიათ მითხრა „სოსო, ჟურნალი კარგია, მაგრამ დიდხანს ვერ გამოს-
ცემო“: ასევე ვასო აბაშიძემ — ქაჯან, ძალიან კარგია, მაგრამ მე, გუ-
ნიამ და ნებიერიძემ ჩემი „თეატრი“ ვერ ვაწარმოეთ, შენ რას შეიძ-
ლებო?“ იყვნენ გამამხნეველებიც. აქაკის ჟურნალის გამოცემა რომ
ძიულოცია მამაჩემისათვის, მისივე მოწინავე წერილების გამო
უთქვამს: „მადლობა ღმერთს, ველირსე, რასაც ვნატრობდი, — ხალხის
შვილები ხალხს უნდა ემსახურონ და ამიტომაც არის ასეთი ხალხური,
მარტივი, ნათელი ყოველი შენი მეთაურობა.“

მაგრამ ჟურნალის გამოცემისა და რედაქტირების საქმეში იოსებ
იმედაშვილი მარტო იყო, დამხმარე არავინ ჰყავდა და არც არავითარი
სახსარი გააჩნდა ჯიუტი სურვილისა და დაუხარელი შრომისუნარის
გარდა. ჟურნალისათვის საჭირო იყო რედაქციის შენობა, საბეჭდი ქა-
ღალდი, სასტამბო ხარჯები, ჰონორარი. საამისო ფული კი მას არა
ჰქონდა. გამოცემის ნებართვის ასაღები სავალდებულო სახელმწიფო
მარკების ფულიც სასესხებელი გახდომია და პირველივე ნომრის სა-
ბეჭდი ქაღალდის შესაძენი ფული ნ. ქართველიშვილსა და პ. გოთუას



მიუციათ. მაგრამ დაბრკოლება სხვაც ბევრი იყო: იდეოლოგიური, პო-
ლიტიკური, ცენზურული, საჭირო იყო ავტორებთან ურთიერთობა
ქურნალის მასალის შეგროვება, მეთაურის დაწერა, კორექტურის სწო-
რება. ილუსტრაციების შერჩევა, ბეჭდვისათვის თვალყურის დევნება,
დაბეჭდილი ქურნალის ხელისმომწერთათვის გაგზავნა და სტამბის რეა-
ლური ხარჯების გასტუმრება. რედაქციის ფინანსური მდგომარეობა
არც არასოდეს გამოსწორებულა, რადგან ქურნალის შემოსავალი მცი-
რე ტირაჟის გამო ხარჯებს ვერა ფარავდა. ამ სიძნელეთა მიუხედავად
ქურნალმა თხუთმეტი წელი, 1926 წლამდე, იარსება, ამდენ ხანს რე-
ვოლუციამდელ საქართველოში არც ერთ ქურნალს არ უტოცხლია.

ყოველივე აქედან გასაგებია, რომ უსახსრობის გამო რედაქცია ჰო-
ნორარს ყველა ავტორს ვერ უხდიდა. ზოგჯერ თვით აკაკისა და ვაჟას
ლექსები უჰონორაროდ იბეჭდებოდა და რალას მიიღებდნენ ახალგაზრ-
და პოეტები — ს. შანშიაშვილი, ა. აბაშელი, გალაკტიონ და ტიციან
ტაბიძეები, ი. გრიშაშვილი, გ. ლეონიძე, ან პრთხაიკოსები ნ. მიწიშვი-
ლი, ა. პაპავა, დრამატურგები და კრიტიკოსები. ვერც ქურნალის მხატვ-
რები იღებდნენ ყოველთვის ჰონორარს, რადგან სურათების გადაღება-
სა და კლიშეების გაკეთებას ცინკოგრაფიაში ნალდი ფული სჭირდებოდა
და ხარჯი ისედაც დიდი იყო.

იოსებ იმედაშვილის „მოგონებაში“ საყურადღებოა პატარა დიალო-
გი აკაკისთან:

„მან ლექსი ნომიტანა დასაბეჭდად, ძლიერ გამეხარდა, რომ ჩემი
ქურნალის თანამშრომელი ხდებოდა, მაგრამ შესაფერისი ჰონორარის
მიცემა რომ არ შემეძლო აკაკის ვუთხარი:

— ნება მიბოძეთ ჩემი ნივთიერი მდგომარეობა მოგახსენოთ!...

— ჰონორარი?! — სიტყვა მომიჭრა, — მაგაზე ნუ სწუხართ, მე შენ-
გან არაფერს ავიღებ და სრულიად უფასოდაც ვითანამშრომლებ შენს
ქურნალში, რადგან ეს გამოცემა მომწონს, როგორც უპარტიო და
ხალხური...

ამის შემდეგ ხშირად ვბეჭდავდი აკაკის ლექსებს და ერთხელ
ნიკ. ქართველოშვილი შემეკითხა: აკაკის რამდენს აძლევ, რომ ასე ხში-
რად ბეჭდავო? — არაფერს-მეთქი რომ ვუთხარი, გოცნებულმა მომი-
გო: აკაკი უჰონორაროდ არსად არა ბეჭდავს... გაფრთხილდი, გიჯობს
ეხლავე აძლიო, თორემ ერთბაშად გაზღვევინებსო... ეს გაფრთხილება
უსაფუძვლო გამოდგა, რადგან თვითონ აკაკიმ ბევრჯერ დამარწმუნა,
რომ ჩემგან ფულს არ აიღებდა და ერთხელაც სამი მანეთი რამდენი იხს-
ხა. ჩქარა ისევ დამიბრუნა და იმაზედაც ყოველთვის მაღლობას მიხ-
დიდა, რომ საჩხერეში ქურნალს ვუგზავნიდი“.



აკაკის, მისთვის დამახასიათებელი იუმორით. მამაჩემისათვის ბარათიც კი მიუწერია: „ძმაო იოსებ! შენი გაზეთის ნომრები, სადაც სტენები იყო, ახლა მივიღე და გმადლობ. სხვები კი არ მიგზავნიან გარდა გოთუასი“. „დროება“ რომ არ მომდის, არ მიკვირს, მაგრამ „მათრახი“ მაინც რად ენანებათ ჩემთვის? აღარ ვიცი. შენი მოყვარული აკაკი“.

1914 წლის 25 სექტემბერს ქართველ საზოგადოებას დიდი უბედურება დაატყდა თავს. დღის 4 საათზე დაიწვა ქართული თეატრი და მასთან ერთად მრავალი ქართული კულტურული დაწესებულებანი — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბინა თავის საწყობებში, „თეატრი და ცხოვრების“ რედაქცია და სხვა ეურნალ-გაზეთების რედაქციები. თეატრის დიდ დარბაზთან ერთად ხანძარმა შთანთქა დეკორაციები, ქართული დრამატული საზოგადოების წიგნსაცავი, ხელნაწერები, არქივი და სხვ. მართო წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ზარალი 70 000 მანეთს აღწევდა. დიდი ზარალი მოუვიდა ახალ კლუბსაც. მთლიანად დაიწვა და განადგურდა „თეატრი და ცხოვრების“ სარედაქციო მასალები — აკაკის, ვაჟას და სხვა ცნობილი საზოგადო მოღვაწეთა ხელნაწერები. კლიშეები.

იოსებ იმედაშვილმა, როგორც ამ ტრაგედიის თვითმხილველმა, დეტალურად აღწერა¹⁴ ქართული თეატრის დაწვის სურათი, მდიდარი წიგნსაცავის განადგურება, რაც ცეცხლმა და წყალმა იმსხვერპლა. მან ისიც შეამჩნია, რომ ჩაქრობის ორგანიზაცია თითქოს განგებ იყო ჩამოვლილი. სახანძრო რაზმი ცეცხლის ჩაქრობის ნაცვლად, რაც არ იწვოდა, იმათაც წყლის ჭავლით ანგრევდა. ჯარი და პოლიცია ამ დაწესებულებების ხელმძღვანელებს შენობასთან ახლოს არ უშვებდნენ, კონდახითა და ხმლის ყუით იგერიებდნენ თეატრის დირექტორს იოსებ გედევანიშვილს, გამგეობის თავმჯდომარეს ნ. ერისთავს, თავად-ახანურთა წინამძღოლს სუმბათაშვილს... ქარვასლის ეზოს წყალ-ტლაპოში კი უმოწყალოდ ილუბებოდა დრამატული საზოგადოების და „თეატრი და ცხოვრების“ მთელი ქონება — ეურნალები, ხელნაწერები, სამუზეუმო ნივთებით. რამდენიმე საათის განმავლობაში ყველაფერი განადგურდა...

¹⁴ ი. იმედაშვილი, როგორ დაიღუპა ჩვენი წმიდათა წმიდა. ეურ. „თეატრი და ცხოვრება“, 1914, 15, X, № 31.

ნიკოლოზ რერიხი

XX ს-ის ცნობილი რუსი მხატვარი, მწერალი და პოეტი, ნიკოლოზ კონსტანტინეს ძე რერიხი დაიბადა 1874 წელს პეტერბურგში. 1897 წელს დაამთავრა სამხატვრო აკადემია. მისი სადიპლომო ნაშრომი „მალემსროლი“ მაშინვე შეიძინა პ. მ. ტრეტიაკოვმა თავისი გალერეისათვის. 1909 წელს რერიხი აკადემიკოსი გახდა.

ოქტომბრის რევოლუციამ რერიხს ფინეთში მოუსწრო, სადაც ექიმების რჩევით ორი წლის განმავლობაში იმყოფებოდა. 1918 წელს, როდესაც საბოლოოდ გამოჯანმრთელდა, დაბრუნდა რუსეთში და დაიწყო ფიქრი აქტიურ შემოქმედებით მუშაობაზე, მოგზაურობაზე. რერიხი მიემგზავრება კოპენჰაგენში (სადაც მისი გამოფენა იყო), შემდეგ ინგლისში, იქედან კი ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამერიკაში ნ. რერიხმა სამი წელი დაჰყო. აქ ჩამოაყალიბა საზოგადოებები „მსოფლიოს გვირგვინი“ და „მგზნებარე გული“, რომლებსაც კულტურის ნიადაგზე ხალხთა მეგობრობის იდეა დაედო საფუძვლად. რერიხის ორგანიზაციები ფართოდ ედება, იქმნება მისი სახელობის მუზეუმი.

ბევრისათვის გამოცანად დარჩა რერიხის საზღვარგარეთ გამგზავრება. მაგრამ ერთი კი ცხადია — იგი არასოდეს უოფილა თეთრი ემიგრანტი, არ დაუკარგავს რუსეთის მოქალაქეობა.

ამერიკა რერიხისათვის ტრამპლინი იყო აზიის კონტინენტზე სამეცნიერო-სამხატვრო ექსპედიციის მოსაწყობად, რომლისთვისაც იგი დიდი ხანია ემზადებოდა. ექსპედიციაში გამგზავრების წინ რერიხმა შეადგინა ანდერძი: მისი დალუპვის შემთხვევაში ექსპედიციის მთელი წონება და სურათები რუს ხალხს უნდა გადასცემოდა.

1926 წელს რერიხს მოუხდა მოგზაურობის შეჩერება: აღმოსავლეთის მამაკტმების თხოვნით იგი მიემგზავრება მოსკოვში, რომ საბჭოთა მთავრობას გადასცეს მათი წერილი, რომელშიც ისინი სოლიდარობას უცხადებდნენ საბჭოთა მთავრობას, და კოლოფი ჰიმალაის წმინდა მიწით „მაჰატმა ლენინის“ საფლავზე მოსაპნევად.

დიდი დაბრკოლების შემდეგ, 1928 წელს რერიხის ექსპედიცია დაითავრდა. ინდოეთის მთავრობისაგან რერიხმა მიიღო ნებართვა დასახლებულიყო ჰიმალაის მთების მახლობლად, კულუს დაბლობზე. ექსპედიციის მდიდარი მასალების საფუძველზე შეიქმნა ჰიმალაის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც პოეტური სახელი „ურუსვატი“ (ციკრის ვარსკვლავის ნათელი) უწოდეს. ინსტიტუტის მიზანი იყო აზიის ფლორისა და ფაუნის, აზიის ხელოვნებისა და ისტორიის შესასწავლად მთელი მსოფლიოს მეცნიერთა გაერთიანება. მეორე მსოფლიო ომმა შეწყვიტა ინსტიტუტის მუშაობა, რომელსაც სათავეში ედგა მხატვრის შვილი იური რერიხი, აზიის მკვლარი და თანამედროვე ენების ღრმა მკვლენი.



აქ რერიხმა შექმნა ჰიმალაის სურათების სერია, მაგრამ ამასთან ერთად, იგი ზშირად უბრუნდება რუსულ სიუჟეტებსაც.

აქედან, ინდოეთის ამ შორეული სოფლიდან ხელმძღვანელობს რერიხი მოძრაობას, საომარი მოქმედების დროს კულტურულ ღირებულებათა დაცვის შესახებ პაქტზე ხელმოსაწერად. რერიხის მიერ შედგენილ ამ პაქტს თანამედროვეებმა „კულტურის წითელი ჯვარი“ უწოდეს. 1954 წელს ჰააგაში დადებულ საერთაშორისო კონვენციას სწორედ რერიხის მიერ შედგენილი პაქტი დაედო საფუძვლად. ჰიმალაის მთებიდან გაისმა მისი ომისაწინააღმდეგო მოწოდებანი. აქ გაიგო მან სამამულო ომის შესახებ და მაშინვე შეუერთდა საბჭოთა კავშირისათვის მხარდასაქერად გამართულ კამპანიას. წითელი არმიის ფონდში შეაქვეს საკუთარი სახსრები. მისი შეილება — იური და ვსევოლოდი ითხოვენ მოქმედ არმიაში გაწვევას.

ომის შემდეგ, 1947 წელს ნ. რერიხი ოჯახით სამშობლოში დასაბრუნებლად ემზადებოდა, მაგრამ მოულოდნელად გარდაიცვალა.

1974 წელს ნ. რერიხის დაბადების ასი წლისთავთან დაკავშირებით მხატვრის სახლში, სადაც აშუამად ცხოვრობს მისი შვილი, ცნობილი მხატვარი ვსევოლოდ რერიხი, ჩავიდა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელი ვ. მ. სიდოროვი. ინდოელთა წარმოდგენით ეს სახლი წმიდათა წმიდად ითვლება: აქ გურუ (მასწავლებელი და მოძღვარი) ცხოვრობდა და მუშაობდა. იქვე მახლობლად აღმართულია ობელისკი — კლდის ნაშესტრევი, რომელიც მაღალი მწვერვალიდან ჩამოიტანეს. ობელისკზე ამოკვეთილია წარწერა. ჰინდის ენიდან მისი თარგმანი ასე უდერს: „მაჰარიში ნიკოლოზ რერიხის ცხედარი დაწვეს ამ ადგილას, ვიკრის ტრით 2004 წლის 30 მაგჰარს, რაც უდრის 1947 წლის 15 დეკემბერს“.

— როდესაც მამაჩემის ცხედარს წვავენენ, — ამბობს ვსევოლოდი, — სახით ჩრდილოეთისაკენ, რუსეთის მხარეს იყო მიბრუნებული.

* * *

ნიკოლოზ რერიხის ლიტერატურული მემკვიდრეობა ჭერ კიდევ არ არის სათანადოდ შესწავილი. ამ ბოლო ხანებში (1974 და 1977 წწ.) გამოვიდა ორი კრებული, რომელიც გვაცნობს რერიხის პოეტურ შემოქმედებას, კრებულს ეწოდება „Письмена“, როგორც მის ლექსებს უწოდებდა მაქსიმ გორკი, რამდენადაც ეს არ არის უბრალოდ ასოების განლაგება, რომელიც ასევე უბრალოდ ჯდება ადამიანის შეგნებაში. ეს უფრო დიდმნიშვნელოვანია, მონუმენტურია იდეური და ისტორიული თვალსაზრისით, რომელშიც აკუმულირებულია არა მარტო ერთი პიროვნების გამოცდილება, არამედ მთელი თაობისა. იგი თავისებური ანდერძია, რომელიც წარმოადგენს მიმართვას კაცობრიობისადმი. რერიხის პროზაული ნიმუშები გამოქვეყნებულია წიგნებში: „ნ. კ. რერიხი, ლიტერატურული მემკვიდრეობიდან“, „აღანთეთ გული“ და „ნ. კ. რერიხი, რჩეული“. დაიბეჭდა აგრეთვე აზიის ექსპედიციის დღიურები „ალტაი-ჰიმალაი“. რერიხის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლა გრძელდება.

ორი წერილი, რომელსაც აქ ვაჭვევებთ, შესულია რერიხის „რჩეულში“, რომელიც 1979 წელს გამოქვეყნდა. ისინი დაწერილია 30-იან წლებში, როდესაც ბიბლიოფილურმა მოძრაობამ დიდი ვაჭანება ჰპოვა მთელ მსოფლიოში. დასავლეთ ევროპაში ჭერ კიდევ XIX საუკუნეში აღმოცენდა ბიბლიოფილთა საზოგადოებანი, რომელთაც შექმნეს საერთაშორისო კონგრესი.



XX ს-ის 20—30-იან წლებში აღმავლობას განიცდის საბჭოთა ბიბლიოფილია ფუნქციონირებს სამეცნიერო-ბიბლიოფილური გაერთიანებანი: წიგნის მეგობრების რუსეთის საზოგადოება მოსკოვში (1920—1929 წლები), ბიბლიოფილითა საზოგადოება ლენინგრადში (1923—31 წლები) და სხვ.

ბიბლიოფილია — წიგნის სიყვარული, იშვიათი და ძვირფასი გამოცემების შემაგროვებლობა. ბიბლიოფილი წიგნს აფასებს მისი შინაარსით, შემეცნებითი და აღზრდობითი როლით, იშვიათობით, მისი გარეგნობით, მხატვრული გაფორმებით და ქაღალდის ხარისხით და ა. შ. — დაახლოებით ასეთ განმარტებული ბიბლიოფილობა ენციკლოპედიებსა და ცნობილ წიგნმცოდნეთა სტატიებში.

ნ. რერიხი, როგორც მატერიალური კულტურის დიდი ქომაგი, მგზნებარედ ეხმარება ბიბლიოფილთა მოძრაობას. წიგნი, როგორც მატერიალური კულტურის ძეგლი, ქეშმარიტ საუნჯედ მიიჩნია.

„მოგესალმებით თქვენ, ქეშმარიტი საუნჯის მცველებს“, ასე მიმართავს იგი ბიბლიოთეკართა კონვენციას, რომელიც 1930 წელს შეიკრიბა ნიუ-იორკში. „სილამაზე და ცოდნა მთელი კულტურის საფუძველია“ — ამბობს იგი და კარგად ესმის, რომ ცოდნა წიგნის გარეშე არ არსებობს. რერიხი ცოდნის შექმნის საქმეში დიდ როლს ანიჭებს ბიბლიოთეკასა და ბიბლიოთეკარს: „წიგნსაცავი განათლების პირველი ქიშკარია“, „ბიბლიოთეკარი სილამაზისა და ცოდნის პირველი მაცნეა“. იგი, ამჟამად დროს, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პირად ბიბლიოთეკებსაც: „ცოდნის ქეშმარიტი ათვისება მიმუდროვეში ხდება“, „შევაგროვოთ წიგნები, გავუფროსილდეთ მათ“. რერიხის ეს მოსაზრებანი სავსებით დაადასტურა თანამედროვე სოციოლოგიურმა გამოკვლევებმა. დღეს ყველასათვის ნათელია, რომ რამდენადაც მეტად სარგებლობს აღამიანი ბიბლიოთეკით, უფრო მეტი სურვილი ებადება, იკითხოს წიგნი ოჯახში.

3. სიღორავი რერიხის „რჩეულის“ წინასიტყვაობაში აღნიშნავს: რერიხის პუბლიცისტიკა — ეს თავისებური ფენომენია. ზოგჯერ გიძნელდება მისი უარის დადგენა — სტატია ეს, ნარკვევი თუ ესეი? თანამედროვეებმა რერიხის ამალღებული განწყობილებით აღტაცებულებმა, ისინი მონათლეს „ლექსები პროზად“. მაგრამ უფრო ზუსტი იქნებოდა ინდოელი პროფესორის გენგოლის განსაზღვრა, როდესაც ამ „ლექსებს პროზად“ უწოდა „სულის ღაღადისი“.

რერიხის წიგნში ხშირად შეხვდებით წერილებს, რომლებშიც გაურკვეველია ადრესატი. ზოგიერთის გაშიფვრა ხერხდება, ზოგისა არა. ეს არცაა მთავარი. სახელი აქ არსებით როლს არ თამაშობს; მნიშვნელოვანია ის პრობლემები, რომლებზეც იგი ყურადღებას ამახვილებს.

3. სიღორავის სიტყვებით რომ ვთქვათ: რერიხს „შეძლო ამოცნო, დაენახა განვითარების ტენდენცია“. მის წერილებში არა მარტო დასმულია საკითხები, არამედ დასახულია მათი პოზიციური გადაწყვეტის გზებიც.

„გიყვარდეთ წიგნი“ — ეს ნამდვილი სულის ღაღადისია წიგნზე მგზნებარედ შეყვარებული კაცისა, რომელიც მალალ შეფასებას აძლევს ყველას, ვინც წიგნის გამოცემაში ღებულობს მონაწილეობას: რედაქტორს, მხატვარს და სხვ. რერიხი წიგნს ცოცხალ ორგანიზმს ადარებს. ასევე დიდ შეფასებას აძლევს იგი ბიბლიოფილთა მოწამებრივ თავგამოდებას, ვინც აგროვებს და ინახავს წიგნებს — „ადამიანის სულის სარკეს“.

30-იანი წლების ეკონომიკურმა კრიზისმა ყველაფერს დააჩნია თავისი კვალი.

ხარისხის დაცემის კრიზისმა წიგნის ღირსებაზეც რომ არ მოახდინოს გავლენა, რეკრი-
ხი მოითხოვს გამოცემებისა და მკითხველის მჭიდრო თანამშრომლობას, „სილამა-
ზეზე შეყვარებული გამოცემების“ გამხსნევებას, რომ არ დაუკარგონ წიგნს თავისი
ღირსება, რადგან „ადამიანის თვალი და გული სილამაზეს ეძებს“.

რეკრიხმა მოგვცა თავისებური განსაზღვრა წიგნის საშუალებით ხალხების დაახ-
ლოებისა: „ჭეშმარიტ ღირებულებათა ვალუტა სულიერ ღირებულებათა ვალუტაა. ამ
ღირებულებათა წყაროები კი ისევ და ისევ სხვადასხვა ენაზე დაწერილი წიგნებია,
რომელნიც ერთიან სულიერ ენას ქმნიან“. მართლაც, დღეს წიგნი, თარგმანის წყა-
ლობით, ყველა ხალხის მონაპოვარია. სსრ კავშირის უტხოვნიდან თარგმნილი წიგნე-
ბის გამოცემაში პირველი ადგილი უჭირავს მსოფლიოში. წიგნით ხალხების დაახლო-
ებას კიდევ უფრო შეუწყო ხელი 1972 წლის „წიგნის საერთაშორისო წელიწადად“
გამოცხადებამ, რომლის ინიციატორი სსრ კავშირი იყო. როდესაც კაპიტალისტური
ქვეყნების მთავრობები ცდილობენ ხალხებს იარაღის ენით ელაპარაკონ, ეს ხალ-
ხები ერთმანეთს წიგნის ენით ელაპარაკებიან. ამერიკის აგრესიულმა პოლიტიკამ
ხელი ვერ შეუშალა მსოფლიო გამოფენა-ბაზრობების ჩატარებას მოსკოვში. ამ
ცოტა ხნის წინ ტელევიზიით აჩვენეს ერთ-ერთი ამერიკელი მეცნიერი, რომელსაც
თვითკმაყოფილების ღიმილი დასთამაშებდა სახეზე. თურმე ნუ იტყვი, გამოუგონე-
ბია ისეთი მომწამლავი ნივთიერება, რომელიც იწვევს ხალხის მასობრივ დადამბლა-
ვებას. ზედმეტი არ იქნებოდა კაპიტალის ქვეყნების მეცნიერებისათვის მოგვეგონე-
ბინა რეკრიხის მოწოდება: „ნაცუალ იმისა, რომ გამოიგონონ ომის „ადამიანურობა“,
რომელშიც მახრჩობელა გაზებს იყენებენ, აჯობებდა გამოგონებინათ გამძლე ქა-
ღალდი კაცობრიობის ნაზრევის შემოსანახავად“.

ოჯახის საუნჯე

მიმართვა ნიუ-იორკის ბიბლიოთეკართა კონვენციისადმი, 1930

ბიბლიოთეკარი ხელოვანის მეგობარიცაა და მეცნიერისაც. ბიბლი-
ოთეკარი სილამაზისა და ცოდნის პირველი მაცნეა. იგი აღებს კარებს
და უტყვი თაროებიდან ავრცელებს იღუმალ სიტყვას და ანათლებს
მაძიებელს სულს. ვერც კატალოგი, ვერც წიგნის აღწერილობა ვერ
შეცვლის ბიბლიოთეკარს. ტკბილი სიტყვა და გამოცდილი ხელი განათ-
ლების ჭეშმარიტ სასწაულს ახდენს. ჩვენ დაბეჯითებით ვამტკიცებთ,
რომ სილამაზე და ცოდნა მთელი კულტურის საფუძველია და სწორედ
ისინი ცვლიან კაცობრიობის მთელ ისტორიას. ეს ოცნება როდია. ეს
ისტორიის სათავეებიდანაც კარგად ჩანს. უტყუარი ფაქტები მოწმობს,
რომ პირველყოფილი საზოგადოებიდან დაწყებული, კაცობრიობის

მთელ პროგრესს, მთელ სვე-ბედს, განათლება, სილამაზე და ცოდნა ქმნიდა.

ამას ვამბობთ ახლა, როცა მილიონობით წიგნი იბეჭდება და ცოდნა ხალხში გავრცელდება. დი ფურცლების შადრევნები ყოველწლიურად იყინება, ვითარცა თოვლის ბორცვი. ქალაქის საყინულეთა ამ ლაბირინთებში თოვლის სიკაშკაშემ შესაძლოა თვალი მოსჭრას გამოუცდელ მგზავრს. მაგრამ ცოდნის ჭეშმარიტ მცველს — ბიბლიოთეკარს, გამჭირაზი თვალი აქვს. მან იცის, როგორ ატაროს ცოდნის მძებნელი წიგნის უნაპირო ოკეანის ტალღებში.

ბიბლიოთეკა მარტო ცოდნის გასავრცელებლად არ არსებობს. ყოველი ბიბლიოთეკა ოჯახში ცოდნის შეტანის ხალისსაც გვმატებს. წარმოგიდგენიათ განათლებული ოჯახი და კერა წიგნის გარეშე? ავიღოთ თუნდაც ადამიანთა საცხოვრისის ინტერიერის უძველესი სურათები. აქ ხელოვნების ქმნილებებსაც ვნახავთ და წიგნებსაც. შევამჩნევთ, რომ ძველისძველი წიგნები საუკეთესო ყდებშია ჩასმული და ჭეშმარიტ საუნჯეს წარმოადგენენ. წიგნებს სახლში იმიტომ კი არ ინახავდნენ, რომ მაშინ ბიბლიოთეკა არ იყო. წიგნსაცავეები ყოველ საუკუნეში არსებობდა ანბანის შექმნის დღიდან. მაგრამ ადამიანი ყოველთვის გრძნობდა, რომ ცოდნის შექმნა მარტო საზოგადოებრივ ადგილებში არ ხდება, მისი განმტკიცება სწორედ ოჯახურ მყუდროებაში შეიძლება. ხშირად ჩვენ თან ვატარებთ ყველაზე სანუკვარ სურათსა და წიგნს. ისინი ჩვენი განუყრელი მეგობრები და გზამკვლევეები არიან. ჩვენ ვიცით, რომ კარგი წიგნი მხოლოდ ერთხელ არ იკითხება. წიგნის ჭეშმარიტება და სილამაზე მაგიასავით თანდათანობით შეიწოვება და ჩვენ ყოველდღე, ყოველ წუთს გვჭირდება ცოდნის შექმნა. ჩვენს შეგნებას ამ ერთგული მეგობრებით ვზომავთ. ამრიგად, წიგნსაცავი განათლების პირველი ჭიშკარია. მაგრამ ცოდნის ჭეშმარიტი ათვისება სიმყუდროვეში ხდება, მარტოდმარტო, როდესაც შესაძლებლობა გვეძლევა მთელი გულისყურით დავუკვირდეთ დაწერილის ჭეშმარიტ მნიშვნელობას.

წიგნი ადამიანის ჭეშმარიტი მეგობარია. ყველა ადამიანი ვალდებულია ჰქონდეს ეს ძვირფასი განძი. აღმოსავლეთში, ამ ბრძენ აღმოსავლეთში წიგნი ყველაზე ძვირფასი საჩუქარია, ხოლო ვინც წიგნს გაჩუქებს, კეთილშობილი ადამიანია. აზიაში ხუთი წლის მოგზაურობის პერიოდში მრავალი წიგნსაცავი შემხვედრია მონასტრებში, ტაძრებში, ჩინური სათვალთვალო კომპლექსების ნანგრევებში. ყველგან, აშკარად თუ ფარულად ინახება შესანიშნავ მოძღვრებათა, ცხოვრების აღწერილო-

ბათა, მეცნიერული ტრაქტატების, ლექსიკონების საუნჯეები. მთავარ იაროსლავ ბრძენს, რომელმაც კიევი რომანული სტილის საუკეთესო ძეგლებით შეამკო, მიაწერენ გამოთქმას: „წიგნი მთელი სამყაროს მადლის მომფენი მდინარეაო“. ახლა, თუ მთებში ან უდაბნოში მოგზაური ნახე, იშვიათია, ზურგჩანთაში წიგნიც არ ედოს. შეგიძლიათ წაართვათ ყველაფერი, მაგრამ წიგნისათვის შეგაკვდებათ, რადგან იგი ჭეშმარიტ საუნჯედ მიაჩნია.

მაშ, მოგესალმებით თქვენ, ჭეშმარიტი საუნჯის მცველებს. შევაგროვოთ წიგნები, გავუფრთხილდეთ მათ, ჩვენი ოჯახის უკეთილშობილეს ნივთებს.

ნიუ-იორკი, 1930.

გიჟვარდით წიგნი

ყოველი ხელოვნება ჩვენს ცხოვრებას ამშვენებს და აკეთილშობილებს. მათ შორის წიგნის ხელოვნება ერთ-ერთი უძველესი და გამომსახველობითი ხელოვნებაა. უძველესი დროიდან მოყოლებული დამწერლობამ, იეროგლიფებმა, მაგიურმა ჩინურმა ნიშნებმა და სხვა მრავალფეროვანმა მანუსკრიპტებმა როგორ იიილო ასეთი დახვეწილი, ნატიფი სახე? ამ სათუთ, მზრუნველ დამოკიდებულებას, რა თქმა უნდა, საფუძვლად ედო მნიშვნელოვანი ნააზრებისა და მოვლენების აღბეჭდვის აუცილებლობის შეგნება. საუკეთესო ცოდნა, საუკეთესო ძალები მოხმარდა ამ შესანიშნავი ძეგლების შექმნას. მათ სამართლიანად უჭირავთ ადგილი უდიდეს შემოქმედებით ქმნილებათა გვერდით. მანუსკრიპტების, წიგნების შინაარსითა და გარეგნობით შეგვიძლია ვიმსჯელოთ თვით მათ შემქმნელ ეპოქაზე. მათში ხომ ასახულია კაცობრიობის საუკეთესო მისწრაფებები და მიღწევები, რომლებსაც სულს უდგამდა და მაღალ ღირსებას ანიჭებდა ადამიანთა ხელით შექმნილი ძვირფასი ძეგლები.

მაგრამ მარტო ხელნაწერი წიგნები როდი გამოირჩეოდა მაღალი ღირსებით. დადგა წიგნის ბეჭდვის ხანა. ამ მასობრივი საშუალებითაც შეიქმნა მრავალი მაღალი ხელოვნების ძეგლი, რომელთაც ხალხების განვითარებას შეუწყეს ხელი.

არა მარტო XVII—XVIII საუკუნეების დახვეწილმა გამოცემებმა, არამედ მრავალმა თანამედროვე წიგნებმაც შემოგვინახეს ფაქიზი გე-

მოგნების მაღალი ტრადიციები. მაღალხარისხოვანი ქალღი, ნატიფი შთამბეჭდავი შრიფტები, ლამაზად დალაგებული წინადადებები, ფასი თავსართები და ბოლოს საჭურველივით მორთული ფუნდამენტალური ყდა წიგნს ნამდვილ განძად აქცევდა, ისეთივე მყარ ქონებად, როგორც იყო წიგნის ყდა, ვერავითარი უამთა სიავე რომ ვერ მოდრეკდა.

ამბობენ დღევანდელი წარმოების ქალღი დაბეჭდილი წიგნი საუკუნეზე მეტს ვერ გაძლებსო. ეს გულსატკენია და, რა თქმა უნდა, მეცნიერებს ნაცვლად იმისა, რომ გამოიგონონ ომის „ადამიანურობა“, რომელშიც მახრჩობელა გაზებს იყენებენ, აჯობებდა გამოეგონებინათ გამძლე ქალღი კაცობრიობის ნააზრევის შემოსანახავად. და თუ ამას მოახერხებენ, მაინც უნდა ვიზრუნოთ თვით წიგნის შექმნის დახვეწაზე. ჭეშმარიტად საუკეთესო მცნებანიც ხომ შეიძლება ისე დაიბეჭდოს, რომ კაცს წაკითხვა შეეზაროს. ადამიანის თვალი და გული სილამაზეს ეძებს. რაც ლამაზია — მოლიანად წიგნი, ასოების განლაგება, ტექსტი, მიმზიდველი თავსამკაული და დამაგვირგვინებელი ბოლოსამკაული — წიგნის ყველა ეს რთული კომპლექსი, დიდ საზრიანობას რომ მოითხოვს, ჭეშმარიტი შემოქმედების ნაყოფია.

მხოლოდ უმეცრებს ჰგონიათ წიგნის დაბეჭდვა იოლი საქმე. რა თქმა უნდა, ძნელი არაა უხეირო წიგნის შეკონსტრუქცია, რომელთაც — უსულგაულოდ ნაკეთებს, დახლართულსტრიქონებიანს, გამაღიზიანებლად დაღრეცილს — ადვილად გაიგებენ, მაგრამ ამრეზით შეაგდებენ ასეთივე ულაზათო კარადის ქვედა თაროზე ან სიამოვნებით გაუგზავნიან ნაცნობს ერთი ანდაზისა არ იყოს: „ჩემი ურგები მაწონი ძაღლსა, ქოთანი ქვასაო“. კარგი წიგნის შექმნა კი, ცხადია, ადვილი საქმე არაა. კარგი წიგნის რედაქტორი და გამომცემელი ნამდვილად დასაფასებელია. იგი, ეს დაკვირვებული მუშაკი შესაძლებლობას გვაძლევს არა მარტო გვეცნოთ, არამედ შემოვიინახოთ კაცობრიობის ეს სულის ნაპერწკალი, როგორც ნამდვილი ძვირფასი რამ სიმდიდრე.

წიგნი ცოცხალ ორგანიზმსა ჰგავს. მისი გარეგნობა დაგანახებთ რედაქტორისა და წიგნის შექმნაში სხვა მონაწილის მთელ არსს. წიგნი მრავალგვარია: უკვდავი მცნებებით სავსე, მაგრამ პირქუშად გამოცემული, მოუხეშავი წიგნი; ზერელე, გაჭიანურებული მსჯელობით სავსე; გარეგნულად მოკაზმული; ცარიელი სიტყვების რახა-რუხით გამოტენილი; ღრმა აზრებით სავსე; და რამდენადაც ვიცით წიგნის შექმნის ეს უფაქიზესი რეფლექსები, განსაკუთრებული გულისხმიერება და ყურა-

დღეა უნდა გამოვიჩინოთ ყოველივესადმი, რაც წიგნთანაა დაკავშირებული — წიგნი ხომ ადამიანის სულის სარკეა.

მაგრამ ყველაფერი ხომ კოოპერირებულად იქმნება. ჩვენ დიდ პატივს ვცემთ გამომცემელს — თავისი საქმის ხელოვანს, მაგრამ მასაც უფლება აქვს ელოდოს ჩვენგან — გვიყვარდეს წიგნი. ზოგჯერ, თანამედროვე დეკორატორთა* აზრით თუ ვიმსჯელებთ, წიგნის კარადებისათვის ადგილიც აღარ რჩება ბინაში. ზოგიერთ, ძალიან მდიდარ ოჯახში მინახავს კედელში დატანებული თაროები, სადაც ყალბი წიგნებია ჩამწკრივებული. ადვილი წარმოსადგენია ამ ცარიელი ყდების მფლობელთა აღმაშფოთებელი თვალთმაქცობა. ეს ხომ სულისა და გულის სიცარიელის მჭევრმეტყველი სიმბოლოა. რამდენი გადაუფურცლავი წიგნი მოსაჩვენებლად დევს ბუდეარების მაგიდებზე. მათი დიასახლისები კი აღფრთოვანებით ლაპარაკობენ წიგნის გარეკანზე დაბეჭდილ ცნობილ გვარებზე.

მემკვიდრეობით მიღებულ ქონებაში ხშირად, პირველ ყოვლისა, წიგნები ნადგურდება, როგორც ზედმეტი ბარგი; წონით ყიდიან ძველმანების ბაზარზე. ალბათ ზედმეტ ხარა-ხურასავით მიყრილი წიგნების გროვაც ვინახავთ. ამ უმეცართ კი, ვინც ისინი გადაყარა, თავიც არ შეუწუხებიან გადაეფურცლათ და ენახათ, რას იშორებდნენ თავიდან.

როგორ მოქმედებს ეს გამომცემელზე, ხელოვანზე, როდესაც იციან და ხედავენ ოჯახის ამ ჭეშმარიტი საუნჯის ტრაგიკულ ბედს? მაგრამ ნურც აქ ვიქნებით პესიმისტები — ხან გამომცემელი სცოდავს, ხან კი მკითხველი. აქამომდე ხომ გვაქვს ძვირფასი გამოცემები, შეიძლება არც ძალიან ძვირფასი, მაგრამ შესანიშნავი თავიანთი სისადავით, კარგად გააზრებული შთამაგონებლობით. გვყავს ჭეშმარიტი ბიბლიოფილები, რომელთა რიგები თანდათან იზრდება. ისინი თავგამოდებით აგროვებენ კაცობრიობის მიერ შექმნილ საუკეთესო ნიმუშებს. შეიძლება სწორედ ახლა იყოს საჭირო მკითხველისა და გამომცემლის მჭიდრო თანამშრომლობისათვის ხაზგასმა. ფინანსური კრიზისი, ჩვეულებრივ, ყველაზე მეტად განათლების წესებსა და ხარისხზე აჩნევს კვალს. გულსატკენია, მაგრამ ეს ასეა. თითქოს მატერიალური კრიზისის გავლენით ვინმეს ინდულგენციებს აძლევდნენ ველურობისა და უმეცრების დასაწერავად. სწორედ ახლა ვანიცდის მსოფლიო არნახულ ღრმა მატერიალურ კრიზისს — ჭარბწარმოების კრიზისი, ხარისხის დაცემის კრი-

* ლაპარაკია 30-იან წლებზე — მთარგმნელის შენიშვნა.



ზისი, უკეთესი მერმისის რწმენის კრიზისი. ეს უმთავრესად იმიტომ ხდება, რომ უკვე მრავალ თაობას აჩვევენ იწამონ — სამყაროს ხელმძღვანელი ძალა მხოლოდ ოქროს ვალუტააო. მაგრამ კაცობრიობის მთელი ისტორიის გამოცდილებიდან ვიცით, რომ ეს ასე როდია. საჭირო არაა იმის გამეორება, რომ ჭეშმარიტი ვალუტა სულიერ ღირებულებათა ვალუტაა. ამ ღირებულებათა წყაროები კი ისევ და ისევ სხვადასხვა ენაზე დაწერილი წიგნებია, რომელნიც ერთიან სულიერ ენას ქმნიან. ძნელია, მაგრამ ალბათ სწორედ ახლა უნდა ვიფიქროთ წიგნზე, გავამხნევოთ სილამაზეზე მეოცნებე გამომცემლები. ასეთი ხელმოკლეობის უამსაც უნდა გამოვუნახოთ ღირსეული ადგილი ყოველი სახლის ამ ჭეშმარიტ საუნჯეს. უნდა გავამხნევოთ ისინიც, ვინც აგროვებენ საუკეთესო წიგნებს და მათი სიკეთით თავიანთ გონებასაც ხვეწავენ. დაუყოვნებლივ უნდა წავახალისოთ წიგნთან ყოველგვარი თანამშრომლობა და მიუვჩინოთ წიგნს ჩვენი საცხოვრისის ულამაზესი კუთხე. როგორ გავაკეთოთ ეს? როგორ გავაღლოთ გაქვავებული და ჩახუთული გულები? თუ ჩვენ ვფიქრობთ კულტურაზე, მაშასადამე, ვფიქრობთ სილამაზეზეც, წიგნზეც — ამ მშვენიერ ქმნილებაზე.

შორეული ტიბეტის ოჯახებში, საპატიო ადგილას ინახება წიგნის საბეჭდი ფიცრები. სახლის პატრონი, ძვირფასეულობას რომ დაგათვალიერებინებთ, აუცილებლად მიგიყვანთ ამ საპატიო კუთხესთან და სამართლიანი სიამაყის გრძნობით გაჩვენებთ ამ სულიერ საუნჯეს და თუ შეგატყვო, მოგწონთ ეს კეთილშობილური შემგროვებლობა, თქვენც შემოგთავაზებთ ამ ფიცრებით ამოღებულ ანაბეჭდს. მე ერთხელ ვწერდი, რომ აღმოსავლეთში ყველაზე კარგ საჩუქრად წიგნი ითვლება-მეთქი. გასახარელი არაა ეს? თუ ჩვენ მეგობრებს ვეტყვით „გიყვარდეთ წიგნი“, „გიყვარდეთ წიგნი სულითა და გულით და პატივი ეცით თქვენს საუნჯეს“ — ამ ძველი მცნებით ჩვენ ვიტყვით იმას, რაც ასე საჭიროა დღეს, როდესაც ადამიანის გონება ასე დაუოკებლად ესწრაფვის კულტურის მონაპოვარს.

გიყვარდეთ წიგნი!

საქმეში ჩაუხედავი კაცი იკითხავს: „რატომ მოგვიწოდებენ ახლა გიყვარდეს და დავიცვათ წიგნი, როდესაც წიგნის კარადების თაროება ლამის ჩაანგრიოს ყოველწლიურად ნაბეჭდმა წიგნებმა?“ მას უპასუხებთ: „ჩვენ არ ვლაპარაკობთ წიგნების რაოდენობაზე, ჩვენ ვლაპარაკობთ წიგნის სიყვარულზე“. ვინ იცის, შესაძლოა, ამ ურიცხვმა ნაბეჭდმა ქალაქებმა კიდევაც შეაცბუნა ხალხის წარმოდგენა წიგნზე,

როგორც ჰემმარიტ ღირებულებაზე. არათუ ყოველი ბიბლიოთეკარე არამედ დაკვირვებულნი წიგნის გამყიდველიც კი გეტყვი, რომ წიგნის სიყვარული, როგორც ასეთი, ძლიერ შეირყა და შესუსტდა, ისევე, როგორც მრავალ სხვა დარგში მოხდა დაქსაქსვა და გაუპიროვნება. ყველა, ვისაც წიგნის გამოცემის რაიმე ესმის, დამეთანხმება, რომ დადგა ჟამი, დაუყოვნებლივ ისევე ვიფიქროთ წიგნის ღირსებაზე.

მახსოვს, პრეზიდენტ ღუმერგთან ელისეს სასახლეში აუდიენციაზე რომ ვიყავი, მის ზურგს უკან მთელი რიგი საუკეთესო წიგნები ძვირფას მოზაიკასავით ბრწყინავდა.

წიგნი, როგორც ძველად ამბობდნენ, სამყაროს მაღლის მომფენი სიბრძნის წყაროა! დიახ, წიგნი, რომლის გამოსვლას ამ ცოტა ხნის წინათ ასე თრთოლვით ელოდნენ და ინახავდნენ მის საუკეთესო გამოცემებს. ყოველივე ეს ბიბლიოფილთა მოწამებრივი თავგამოდებაა. ეს არაა ფანატიზმი და ცრურწმენა. არა, ბიბლიოფილობა ასახავს კაცობრიობის ერთ-ერთ ყველაზე სანუკვარ მისწრაფებას — სილამაზისა და ცოდნის შეერთების მისწრაფებას. სწორედ ახლა ჩამოჰკრა წიგნის ღირსებაზე ფიქრის ზარმა და ვფიქრობთ, ზედმეტობად და დოგმად არ ჩაგვითვლით, თუ მტკიცედ მოვუწოდებთ აღამიანებს, გიყვარდეთ წიგნი!

კელანგ ლახული, 1931.

კომედი დემიან ბედნი ხშირად იმყოფებოდა ლენინგრადში, ყიდულობდა ძალიან ბევრ ძველისძველ წიგნს და ლენინგრადელი ბუკინისტებისა და ანტიკვარების სასურველი შეიძველი იყო.

ოციანი წლების ბოლოს, ერთ საღამოს დემიან ბედნი შევიდა ფ. გ. შილოვის ანტიკვარულ მაღაზიაში, ლიტინის პარსპექტზე, მიესალმა [პატრონს] და უთხრა:

— აბა, ბებერო, დაკეტე მაღაზია! კარგი შეიძველი მოგივიდა. ანოლაგე, რა გემრიელი ლუკმაც მომიშალე, ოღონდ კარები ჩაკეტეთ.

— განსაკუთრებული არაფერია, ეფიმ ალექსის ძეგ. — უპასუხა შილოვმა. — არის მხოლოდ მაიკოვის, ტიუტჩევის, ფეტის ჩანაწერები, და აი, კიდევ, უცნობი ავტორის წერილი...

დემიან ბედნი ავტოგრაფებს აგროვებდა. წერილები გადაათვალიერა და ჰკითხა:

— ყველა ამაში რამდენს ამაფცქვნი?

— ორასი მანეთი ხომ ღირს?

დემიან ბედნიმ განგებ დაიწყო ვაქრობა. ბოლოს ისინი შეთანხმდნენ 150 მანეთზე. ამ ლაპარაკს ესწრებოდა სახელმწიფო წიგნის ფონდის დირექტორი მ. მ. სარანჩინი. დემიან ბედნიმ ხელი წაავლო შილოვს და (სარანჩინს) მიმართა:

— მიხიელ მიხიელის ძეც! გაგვაშველე, იყავ მოწმე, შემდეგ ჩემს მიმართ თუ რაიმე პრეტენზია გაჩნდება.

დაარტყეს ხელი ხელს და, როგორც კი დემიან ბედნიმ ნაყიდი ხელში აიღო, ეშმაკურად მიმართა შილოვს:

— ამჭერად შენ გამოგეპარა! ის უცნობის წერილი ხომ ალექსანდრე სერგეის ძე პუშკინის ავტოგრაფია!

შილოვი აღელდა, სახეც შეეცვალა. მან გულში ჩაიღო წყენა და დაიწყო ფიქრი, თუ დანაკარგი როგორ აენაზღაურებინა. ერთხელ გაჩნდა მასთან 12 წერილი, რომელთა შექმნითაც დემიან ბედნი ძალიან იყო დაინტერესებული. შილოვმა იგი მოსკოვიდან გამოიძახა და თითოეული წერილი 100 მანეთი დაუფასა. დემიან ბედნი ბევრი ევაქრა, ეუბნებოდა: „შენ ჰკუდიან ხომ არ შეიშალე, ასეთ კოლოსალურ ფულს რომ მახდევინებ? სულ ერთია, ეს ხომ დუმელში წავა!“ შილოვი ჭიუტობდა. ცოტაოდენი დავის შემდეგ დემიან ბედნიმ გადაიხადა ის თანხა, რაც შილოვმა დააღო.

— არა უშავს, — უთხრა წასვლისას დემიან ბედნიმ, — [სხვა დროს] როგორმე გაგაცურებ. ჩემგან თავს ვერ დააღწევ!

— ნუ ჭავრობ, ეფიმ ალექსის ძეგ, — უპასუხა შილოვმა, — ეს რძალზე ვიძიე შური... გახსოვს პუშკინის ავტოგრაფი?..

ცხადია, ამ შემთხვევას ხელი არ შეუშლია, ეს ორი წიგნისმოყვარული შემდეგ-შიც მეგობრულად შეხვედროდა ერთმანეთს. შილოვი ყოველთვის ატყობინებდა დემიან ბედნის იმ საინტერესო გამოცემებზე, რომლებიც მაღაზიაში შემოდიოდა.

დემიან ბედნიმ თანდათანობით შექმნა იშვიათი და საინტერესო წიგნების, უურნალების, კრებულების, აღმანახებისა და XVI: I—XIX საუკუნეების ხელნაწერთა უმდიდრესი ბიბლიოთეკა, რომელიც შემდეგში საფუძვლად დაედო მოსკოვის სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ბიბლიოთეკას.

* გადმოკეთებულია წიგნიდან: П. Н. Мартынов, Полвека в мире книг, Л., 1969, с. 60—61.



ԺԿՄՆՈՎԱ



წიგნის მოყვარულთა კლუბები

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ახალი ტექნოლოგიის შემუშავება, ახალი ნედლეულის შექმნა კვების მრეწველობის ყველა დარგში და ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებიც უანგაროდ ემსახურებიან ამ საქმეს.

უამრავი თავსატეხი პრობლემა აქვს ინსტიტუტს. მიუხედავად ამისა, ინსტიტუტის თანამშრომლები მაინც ახერხებენ გამონახონ დრო და შეიკრიბონ, რათა ისაუბრონ ახალგამოსულ წიგნებზე, მოიწვიონ გამოჩენილი მეცნიერები, რომლებიც მოუთხრობენ მათთვის საინტერესო საკითხებსა და პრობლემებზე ტექნიკის დარგში.

სწორედ ამან განაპირობა ის ფაქტი, რომ შექმნილიყო წიგნის მოყვარულთა კლუბი „ჩირაღდან“, რომელიც უკვე ხუთი წელია მრავალი საინტერესო ინიციატივის წამომწყებია ინსტიტუტში.

ყველა ამ ღონისძიების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია კლუბის თავმჯდომარე, ინსტიტუტის ტექნიკური ბიბლიოთეკის გამგე ლეილა კოტაშვილი.

კლუბის მუშაობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურის პროპაგანდა. კლუბი სისტემატურად აწვდის ინსტიტუტის თანამშრომლებს ინფორმაციას ახალი ტექნიკური ლიტერატურის შესახებ, უშვებს კვლის გაზეთს „ჩირაღდანს“, რომელიც ინფორმირების კარგი საშუალებაა.

ჩასატარებელ ღონისძიებას კლუბის საბჭო გეგმავს პარტიულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით. ბიბლიოთეკაში ხშირად იკრიბებიან წიგნისმოყვარულები, ეწყობა წიგნის განხილვები, კონფერენციები, დისპუტები, გამოფენები.

წიგნის მოყვარულთა კლუბის წევრების ინიციატივით ინსტიტუტში ხშირად ეწყობა საუბრები თემებზე: „როდის აღწევს ჩვენამდე ტექნიკის სიახლე“, „შრომის გმირი, ლიტერატურული გმირი“, „წიგნის როლი ტექნიკური პროგრესის განვითარებაში“ და სხვ.

კლუბის წევრის, ბიბლიოფილ კოტე ცაგარელის პირადი ბიბლიოთეკით სარგებლობს ინსტიტუტის ყველა წიგნისმოყვარული. მის ბიბლიოთეკაში, რომელიც თავის ლაბორატორიაში აქვს მოწყობილი, უხვადაა ტექნიკური ლიტერატურის იშვიათი გამოცემები.

ინსტიტუტის თანამშრომლები რამდენიმე ტექნიკური წიგნის ავტორები არიან. ამიტომ მათი წიგნების განხილვა დიდ ინტერესს იწვევს წიგნისმოყვარულებში.

გარდა სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურისა, კლუბის წევრები მხატვრული და პოლიტიკური ლიტერატურის პროპაგანდასაც ეწევიან. დიდი ინტერესი გამოიწვია

ჯ. ლენინილის წიგნის „გიორგი სააკაძის პიროვნება“ განხილვამ ავტორის მონაწილეობით.

საქართველოს
საბჭოთაო
კომუნისტური
პარტია

საინტერესო შეხვედრები მოეწყო ქართველ პოეტებთან: ა. გენაძესთან, დ. ივარდავასთან, თ. შალამბერიძესთან, ჯ. ხარკვიანთან, მწერალ ჭ. ამირეჯიბთან. აღნიშნა ი. ჭავჭავაძისა და გ. ტაბიძის იუბილეები. მოეწყო მ. ლერმონტოვის ოთხტომეულის განხილვა. ამ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღეს პროფესორმა ვ. კოტეშვილიძემ, მსახიობებმა, გ. სალარაძემ, რ. ჩხიკვაძემ, ი. შევჩენკომ და სხვებმა.

მრავალი საინტერესო ღონისძიების წამომწყებია კლუბის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სექცია.

ე. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავთან დაკავშირებით კლუბმა ჩატარა კონკურსი „ვინ უკეთ იცნობს ე. ი. ლენინის ნაშრომებს“. მოეწყო გამოფენა ინსტიტუტის თანამშრომელთა პირადი ბიბლიოთეკებიდან, სადაც წარმოდგენილი იყო ბელადის ნაშრომები და ნაწარმოებები მასზე.

კლუბმა აქტიური მონაწილეობა მიიღო პოლიტიკური წიგნის ერთთვიურში, რომლის დროსაც რეალურულ იქნა 1000 მან. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურა. ამ თარიღთან დაკავშირებით კლუბმა გამოუშვა კედლის გაზეთის სპეციალური ნომერი, გააფორმა სტენდი „მსოფლიო პოეტები ლენინს“.

ე. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის პროპაგანდისა და გავრცელების საქმეში წიგნის მოყვარულთა კლუბებისა და წიგნის მაღაზია-კლუბების მუშაობის დათვალერება-კონკურსში „ჩირადღანმა“ რესპუბლიკაში პირველი, ხოლო საკავშირო კონკურსში მესამე ადგილი დაიკავა.

კლუბის წევრებმა ტიუმენის მშენებლებს საჩუქრად გაუგზავნეს 700 მან. მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურა.

* * *

თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. 23-ე საშ. სკოლასთან არსებული წიგნის მოყვარულთა კლუბი აერთიანებს იმ მოსწავლეებს, რომლებიც წიგნისადმი განსაკუთრებულ სიყვარულს იჩენენ. კლუბის წევრები თვეში ერთხელ იკრიბებიან და საუბრობენ წაკითხულის ირგვლივ. ხდება აზრთა ურთიერთგაზიარება, საკუთარ შეხედულებათა ჩამოყალიბება და წიგნის კითხვის ჩვევების გამომუშავება.

ნორჩმა წიგნისმოყვარულებმა თავიანთ კლუბსაც დიდი ილიას სახელი უწოდეს. კლუბის თავმჯდომარეა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნელი ბუაძე.

კლუბის ინიციატივით მრავალი საინტერესო ღონისძიება ტარდება სკოლაში. კვარტალში ერთხელ კლუბის წევრები უშვებენ ხელნაწერ ეურნალს „ნორჩი წიგნისმოყვარული“, რომელიც ასახავს კლუბის საქმიანობას. სკოლის ბიბლიოთეკაში შექმნილია „ამკინძველთა კუთხე“, სადაც კლუბის წევრების მიერ ხდება დაზიანებული წიგნების რესტავრაცია. ამკინძველთა სექცია მუშაობს ასევე ქალაქის სხვა სკოლების ბიბლიოთეკებშიც.

კლუბის წევრები დაზიანებული წიგნების შეკეთების გარდა, სწავლობენ ბიბლიოთეკის სხვა მხარეებსაც—კატალოგების შევსებას, წიგნებზე ფორმულიარების დაწე-



რას, ბარათების ჩაწობას საკატალოგო ყუთში, წიგნებზე ჯიბაყების გამოცვლას, წიგნების განლაგებას და სხვ. ისინი ხშირი სტუმრები არიან წიგნის ფაბრიკისა და ეცნობიან წიგნის გამოცემის პროცესებს.

კლუბი ეწევა აგრეთვე უცხო ენაზე გამოსული ლიტერატურის პროპაგანდას. მისი წევრები მიმოწერას აწარმოებენ მოძმე რესპუბლიკების წიგნისმოყვარულეთან. ხშირად აწყოებენ წიგნების გამოფენებს წიგნისმოყვარულთა პირადი ბიბლიოთეკებიდან ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე. კლუბის ტრადიციად იქცა მეგობრობა ბულგარულ წიგნისმოყვარულეთან. 2 წლის წინ ბულგარელი წიგნისმოყვარულები ესტუმრნენ სკოლის წიგნისმოყვარულებს. კლუბის წევრების ინიციატივით მოეწყო ბულგარულ ენაზე გამოცემული მინიატურული წიგნების გამოფენა, რომელმაც დიდი მოწონება დაიმსახურა. რამდენიმე თვის შემდეგ კი თბილისელი წიგნისმოყვარულები ბულგარეთში გაემგზავრნენ. კლუბის ინტერნაციონალური სექციის წევრები აგროვებენ მასალებს სოციალისტური ქვეყნების პიონერების შესახებ. სწავლობენ ლიტერატურას, რომელიც ასახავს პიონერთა მოძრაობას ჩვენს ქვეყანასა და საზღვარგარეთ, ატარებენ კონკურსებს ხალხთა მეგობრობის ამსახველი ლიტერატურის პროპაგანდის მიზნით.

ყოველი წლის ოქტომბერში ნორჩი წიგნისმოყვარულები აღნიშნავენ ილია ჭავჭავაძის დღეს.

„ილია ჭავჭავაძე — საქართველოს სახელოვანი შვილი“ — ასეთი დევიზით ჩაატარა პოეზიის საღამო კლუბმა. მოეწყო ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებების გამოფენა. ნორჩმა მხატვრებმა ლამაზად გააფორმეს სტენდი „ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებების ლიტერატურული გმირები“, ხოლო ნორჩმა დეკლამატორებმა წაიკითხეს პოეტის ლექსები.

სკოლის წიგნისმოყვარულებს მჭიდრო კავშირი აქვთ ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმთან, რომელმაც მოაწყო ილიას ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი მოძრავი გამოფენა სკოლაში. გამოფენამ დიდი ინტერესი გამოიწვია სკოლის წიგნისმოყვარულებს შორის.

ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა კლუბის თავმჯდომარის ნ. ბუაძის მიერ ჩატარებულმა ღია გაკვეთილმა ილიას სახლ-მუზეუმში. ასეთი ღია გაკვეთილი ჩაატარეს კლუბის წევრებმა მთაწმინდაზე, ილიას საფლავთან, რომელიც ყვავილებით შეამკეს.

მხატვრული კითხვის კონკურსმა ბევრი ნიჭიერი მოსწავლე გამოავლინა. კლუბმა ილიას იუბილეს კედლის გაზეთის რამდენიმე სპეციალური ნომერი მიუძღვნა.

კვირეულის დასასრულს გაიმართა დასკვნითი საღამო, რომელზეც მიწვეულნი იყვნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის ოქტომბრის რაიკომის მუშაკები, მწერლები, პოეტები. წიგნისმოყვარულებმა თავიანთი თვითშემოქმედება უჩვენეს სტუმრებს.



გეგმეჰკორის რაიონის წიგნის ცენტრალურ მაღაზიასთან არსებული წიგნის მოყვარულთა კლუბი 1977 წლიდან ფუნქციონირებს. კლუბის სახელწოდებაა „წიგნი ჩვენი მეგობარია“, დევიზი — „კეთილმომსახურება მყიდველებს“. კლუბი აერთიანებს სხვადასხვა პროფესიის აქტიურ მკითხველებს. მას ხელმძღვანელობს გეგმეჰკორის მე-2 საშ. სკოლის მასწავლებელი მადონა მანტუა. კლუბი მუშაობას წარმართავს მოსახ-

ლობის ლიტერატურაზე მოთხოვნის შესწავლისა და წიგნის გავრცელების საკითხებზე.



მაღაზია-კლუბს აქვს სპეციალური საცნობარო, რომელიც საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიებს შეიცავს. შექმნილია სექციები: ენერგეტიკის, მედიცინის, მშენებლობის, სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურისა და სხვ.

კლუბის წევრების ინიციატივით შესწავლილ იქნა რაიონის მცხოვრებთა პირადი ბიბლიოთეკები, რის შედეგად შეგროვდა უნიკალური ექსპონატები რაიონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისათვის.

მაღაზია-კლუბი ეწევა წიგნების მასობრივ გავრცელებას რაიონის წარმოება-დაწესებულებებში. ადგილებზე მიაქვთ სხვადასხვა დასახელების წიგნი, მათ შორის სამეცნიერო-ტექნიკური, პოლიტიკური, სასოფლო-სამეურნეო თუ სხვა სახის ლიტერატურა.

კლუბში ხშირად მიდიან მშრომელები, განსაკუთრებით ახალგაზრდები და იმალელებენ თავიანთი ცოდნის დონეს. ეწყობა ლიტერატურული საღამოები თემებზე: „გვიყვარდეს წიგნი, ცოდნის წყარო“, „პოეზია უპირველეს ყოვლისა“, ახალგამოსული წიგნების განხილვები, აზრთა ურთიერთგაზიარება, შეხვედრები რაიონის მოწინავეებთან და სხვ.

დამამახსოვრებელი იყო შეხვედრა შრომის გმირ ქალებთან მ. ჩიქვანიასთან და ლ. ოდიშარიასთან, ომის ვეტერან ვ. ჩიქვანიასთან და იტალიის მიწაზე მებრძოლ პარტიზან ვ. გაბისონიასთან.

კლუბს აქვს ლამაზად გაფორმებული ალბომები, რომლებშიც კლუბის წევრთა საქმიანობაა ასახული. შედგენილი აქვთ სამუშაო გეგმები, ჩატარებული ღონისძიებების აღრიცხვის კურნალი, მოწყობილია წიგნისმოყვარულთა კუთხე.

წიგნის მოყვარულთა კლუბის ამოცანაა გაზარდოს წევრთა რაოდენობა და უფრო საქმიანი და შედეგიანი გახადოს მათი მუშაობა, უფრო ფართოდ ჩააბას მკითხველები კლუბის მუშაობაში და ამით ხელი შეუწყოს წიგნისმოყვარულთა ცოდნის დონის ამაღლებას საბიბლიოთეკო საქმის, წიგნმცოდნეობის დარგში.

ასეთი მრავალფეროვნება საინტერესოს ხდის კლუბის წევრთა შეკრებებს, რომლებსაც სიამოვნებით ესწრებიან წიგნისმოყვარულები.

* * *

თბილისის 108-ე საშ. სკოლასთან არსებული წიგნის მოყვარულთა კლუბი „კრაველა“ თავისი საქმიანობით ხელს უწყობს მოზარდ თაობაში პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებას, წიგნის კითხვის კულტურის გამომუშავებას, წიგნის სამყაროს სიმდიდრის შემეცნების განვითარებას და სხვ.

ახალგაზრდების ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობს პოლიტიკური წიგნი, რომელთანაც დაკავშირებულია მოსწავლეთა პოლიტიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, საერთოდ მათი ყოველმხრივი განათლება და აღზრდა.

კლუბის წევრებმა საინტერესო ღონისძიება ჩატარეს დევიზით „ლენინი და წიგნი“. ჩატარდა საუბრები ვ. ი. ლენინის პირადი ბიბლიოთეკის შესახებ, რას წერდა და ამბობდა ვ. ი. ლენინი წიგნებზე, როგორ მუშაობდა წიგნზე, რომელი ბიბლიოთეკებით სარგებლობდა, როგორი მკითხველი იყო.



კლუბი დიდ პროპაგანდას უწყევს წიგნს. აწყობს საინტერესო ღონისძიებებს რომელთა მიზანია დაეხმაროს მოსწავლეებს პროგრამული მასალების ღრმად გაეცნობაში. პრაქტიკაში დანერგილია ლიტერატურული ვიქტორინების ჩატარება „წინა ყველაფერი ვიცოდეთ“, „ჩემი საყვარელი ლიტერატურული გმირი“, „ჩემი საყვარელი წიგნი“. ბიბლიოთეკაში იმართება საუბრები თემებზე: „როგორ ვაკომპლექტებთ პირად ბიბლიოთეკას“, „როგორ ვეკითხოთ სწრაფად“, „როგორ მოვიძებნოთ დამოუკიდებლად საჭირო წიგნი“, „როგორ ვისარგებლოთ ენციკლოპედიებით, ლექსიკონებით“.

მოსწავლეებს სისტემატურად უტარდებათ ლექციების ციკლი კითხვის კულტურაზე. კლუბის წევრების ინიციატივით ჩატარდა კონკურსი „საუკეთესო პირადი ბიბლიოთეკა“. გამარჯვებულებს გადაეცათ წიგნები.

კლუბის წევრებმა კონტროლი დააწესეს მაკულატურის პუნქტზე და ბევრი უნიკალური წიგნი, რომლებიც მაკულატურას ბარდებოდა, სასკოლო ბიბლიოთეკას გადასცეს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროფორიენტაციის საკითხს. ეწყობა შეხვედრები შრომის ვეტერანებთან, მუშათა კლასის მოწინავე წარმომადგენლებთან. მათი მონაწილეობით ეწყობა საღამოები თემაზე: „ყველა პროფესია კარგია — აირჩიე თვითონ“. ეწყობა წიგნის განხილვები, სადაც ასახულია მუშების, პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა ცხოვრება. კლუბის წევრები ხშირად ხვდებიან წიგნის ავტორებს, დრამატურგებს.

* * *

ქ. ბათუმის ოფიცერთა სახლთან არსებული წიგნის მოყვარულთა კლუბი 33 წევრს აერთიანებს. კლუბთან შექმნილია სამხედრო-პატრიოტული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის სექციები. კლუბის საბჭოს ხელმძღვანელობს ოფიცერთა სახლის ბიბლიოთეკის გამგე, აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკი ვალენტინ ნეჩაევი.

კლუბმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის პროპაგანდისა და გავრცელების საქმეში, წიგნის მოყვარულთა კლუბებისა და წიგნის მალაზია-კლუბების დათვლიერება-კონკურსში. ჩატარდა მკითხველთა კონფერენციები, ლიტერატურული საღამოები თემებზე: „ლენინი ცოცხლობდა, ლენინი ცოცხლობს, ლენინი იცოცხლებს“, „საბჭოთა არმიისა და ხალხის გმირობა საბჭოთა მწერლების შემოქმედებაში“.

დიდი ინტერესი გამოიწვია ლიტერატურულ-მუსიკალურმა კომპოზიციამ „ლენინი მარად ცოცხალია“. საღამოზე კლუბის წევრებმა წაიკითხეს მ. გორკის, ვ. შაიკოვსკის, ს. ესენინისა და სხვა პოეტების ლექსები ვ. ი. ლენინზე, მაგნიტოფონის საშუალებით მოისმინეს ბელადის ხმა, ძველი ბოლშევიკების მოგონებები, საბჭოთა კომპოზიტორების სიმღერები ლენინზე.

კლუბის ინიციატივით ჩატარდა აგრეთვე სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „ლენინი და წიგნი“ ბათუმის სამხედრო გარნიზონთან ერთად.

წაკითხულ იქნა ლექციები თემებზე: „ვ. ი. ლენინის სახე საბჭოთა ლიტერატურაზე“.



რაში“, „ლ. ი. ბრეჟნევის წიგნი „ყამირი“ — „პარტიისა და ხალხის მძლავრი იდეური იარაღია“, „საბჭოთა მეომრის სახე მხატვრულ ლიტერატურაში“ და სხვ.

კლუბმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ლენინური წიგნის კვირეულში, რომელიც ქალაქში მიმდინარეობდა. კვირეულის დროს ეწყობოდა სამხედრო-პატრიოტული და პოლიტიკური ლიტერატურის გამოფენები, ფორმდებოდა თემატური წიგნის ვიტრინები, პროპაგანდა ეწეოდა ვ. ი. ლენინის თეორიულ მემკვიდრეობას, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველ წიგნებს. კლუბის წევრებმა შეადგინეს აგრეთვე ვ. ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავისადმი მიძღვნილი ყველა პერიოდული გამოცემის სპეციალური კარტოთეკა.

კლუბი კვლავაც განაგრძობს მუშაობას და აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ლელია მაისურაძე

სახალხო უნივერსიტეტი „წიგნი“

წიგნის მოყვარულთა საზოგადოების სახალხო უნივერსიტეტი „წიგნი“ მშრომელებს შორის იდეოლოგიური მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა. იგი მსმენელებს უყალიბებს მეცნიერულ მსოფლმხედველობას, ამაღლებს მათი პოლიტიკური ცოდნის დონეს, იძლევა სისტემურ ცოდნას წიგნმცოდნეობისა და ბიბლიოთეკამცოდნეობის დარგში.

უნივერსიტეტი ეხმარება მსმენელებს გაიღრმავონ ცოდნა, გამოიმუშაონ კითხვის კულტურა, მოახდინონ ზეგავლენა ახალგაზრდობის ინტერესებსა და გემოვნებაზე, გაზარდოს ხალხში წიგნისადმი სიყვარული, გამოუმუშაოს წიგნისადმი სათუთი დამოკიდებულება.

უნივერსიტეტში გაერთიანებული არიან საზოგადოების აქტივისტები, ბიბლიოთეკების, პოლიგრაფიისა და წიგნი ვაჭრობის საწარმოების მუშაკები, ყველა ისინი, ვისი პროფესიული შრომა დაკავშირებულია წიგნთან.

საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების სახალხო უნივერსიტეტი „წიგნი“ 1977 წელს შეიქმნა თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის კულტურის სამმართველოსა და გამომცემლობების, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტთან ერთად და ფუნქციონირებს ხელოვნების მუშაკთა რესპუბლიკური სახლის ბაზაზე. იგი დაკომპლექტებულია საშუალო და სპეციალური საშუალო განათლების მქონე მსმენელებით. აქ ყოველწლიურად 130 მსმენელი იმაღლებს კვალიფიკაციას.

უნივერსიტეტის რექტორია რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ძველი ქართული ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელი, ფილოლოგიური მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ივ. ლოლაშვილი, პრორექტორი — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიბლიოთეკათმცოდნეობის ფაკულტეტის კათედრის გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფ. გ. მიქაძე. უნივერსიტეტს აქვს ორი ფაკულტეტი — ბიბლიოთეკათმცოდნეობისა, რომლის დეკანია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე ნ. გურგენიძე, და წიგნმცოდნეობისა, რომლის დეკანია ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედა-



გოგიური ინსტიტუტის დოცენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
ა. ლორია.

უნივერსიტეტის სწავლების კურსი ორწლიანია. მეცადინეობა ეწყობა თვეში ერთხელ და მიმდინარეობს ოთხ საათს. პირველი კურსიდან მეორეზე გადაყვანა ხდება საკურსო ნაშრომის შეფასებითა და გასაუბრებით.

უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში შედის წიგნმცოდნეობის, ბიბლიოთეკათმცოდნეობის, ბიბლიოგრაფიის, პოლიგრაფიის, წიგნის ისტორიისა და წიგნით ვაჭრობის საკითხები. ლექციებს კითხულობენ კვალიფიციური ლექტორები — პროფესორები: ი. ლოლაშვილი, ლ. მენაბდე, გ. მიქაძე, ე. ხინთიბიძე, ზ. ჭუმბურიძე, ს. ხუციშვილი, გ. ბანძელაძე, დოცენტები: ა. ლორია, თ. კასრაძე, კ. დოლიძე, რ. პატარიძე, ი. ლორთქიფანიძე, თ. ცხვედიანი და სხვები.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისათვის არჩეულია სამეცნიერო საბჭო 11 კაცის შემადგენლობით, რომელსაც თვით რექტორი ხელმძღვანელობს. საბჭოს აქვს სამუშაო გეგმა, განიხილავს სასწავლო სამუშაო გეგმებს, ფაქულტეტების მუშაობის ანგარიშებს. მეცადინეობა მიმდინარეობს სამეცნიერო-თემატური გეგმის მიხედვით. უნივერსიტეტის მეცადინეობის კალენდარული გეგმა იბეჭდება და ურიადდება მსმენელებს და პროფესორ-მასწავლებლებს.

უნივერსიტეტის სასწავლო გეგმა ითვალისწინებს არა მარტო ერთი ძირითადი მაპროფილებელი საგნის შესწავლას, არამედ ლექციებს თანამედროვეობის აქტუალურ პრბლემებზეც. პერიოდულად იკითხება ლექციები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე. მაგ., ჩატარდა ლ. ი. ბრეჟნევის წიგნების „მცირე მიწა“, „ალორძინება“ და „ყამირის“ მიმოხილვითი ლექციები, „რუსეთ-საქართველოს მეგობრობის 1783 წლის ტრაქტატი“. გარდა ამისა, ტარდება საუბრები „დიპლმატიკური და ისტორიული მატერიალიზმის საფუძვლების შესახებ“. მსმენელები ძლიერ დაინტერესა ლექციებმა: „ვ. ი. ლენინი და წიგნი“, „ე. ი. ლენინის ბიბლიოთეკების შესახებ“, „წიგნმცოდნეობა და მისი ისტორია“, „პოლიგრაფიული მრეწველობის განვითარება საბჭოთა კავშირში“, „ბიბლიოთეკათმცოდნეობის საგანი და ამოცანები“, „უდიდესი ბიბლიოთეკები საბჭოთა კავშირში და საზღვარგარეთ“, „ქართული კულტურის კერები საზღვარგარეთ“, რომელიც მიმდინარეობდა დოკუმენტური კინო-ფილმის ჩვენებით, „ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან“, „საბიბლიოთეკო საქმის ისტორია საქართველოში“, „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, „დამწერლობის წარმოშობა და განვითარება“, „ძველი ქართული ხელნაწერი წიგნი“, „ქართული ანბანის წარმოშობა“ და სხვ.

პირველ კურსზე ლექციები მიმდინარეობს თვალსაჩინოების გამოყენებით, დოკუმენტური კინო-ფილმების ჩვენებით. მსმენელები ამზადებენ საკონკურსო თემებს. მეორე კურსზე თეორიული მეცადინეობის პარალელურად ტარდება პრაქტიკული მეცადინეობებიც, ხდება მოსმენილი მასალის გამოკითხვა, რეფერატების კითხვა-განხილვა, ტარდება კონსულტაციები, ეწყობა ექსკურსიები დიდ ბიბლიოთეკებში, წიგნის ფაბრიკაში, მუზეუმებში და სხვ.

სასწავლო წლის ბოლოს ტარდება გამოსაშვები გამოცდები. გამოცდების ჩაბარების შემდეგ მსმენელს ეძლევა სახალხო უნივერსიტეტის დამთავრების დიპლომი. ასეთივე სახალხო უნივერსიტეტები შექმნილია ბათუმში, თელავში, ქუთაისში, გურჯაანში და გორში.

ნინო ქველიძე

ეს წელი განსაკუთრებით დასამახსოვრებელია ყველა საბჭოთა ადამიანისათვის და განსაკუთრებით ქართველი ხალხისათვის. 1981 წელს ჩატარდა სკკპ XXVI ყრილობა, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავის ზეიმი. ზეიმზე სიტყვით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჯნევი, რომელმაც ქართველ ხალხს მიულოცა მაღალი ჯილდო და უსურვა ახალ-ახალი წარმატებები.

ყრილობების მასალებისა და ლ. ი. ბრეჯნევის სიტყვების პროპაგანდას მიეძღვნა ის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ღონისძიებები, რაც წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ცენტრალურმა და რესპუბლიკურმა გამგეობებმა დასახეს.

სკკპ XXVI ყრილობის მასალების პროპაგანდის ერთ-ერთი აქტუალური ფორმა იყო ლ. ი. ბრეჯნევის მოხსენების „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის მორიგი ამოცანები საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“ — საზოგადოებრივი კითხვა, რომელშიც 5017 პირველადმა ორგანიზაციამ — 120 ათასმა წიგნის მოყვარულმა მიიღო მონაწილეობა. საზოგადოებრივი კითხვის დროს დიდი ყურადღება ექცეოდა წინასაყრილობო და ყრილობის შემდგომ გამოსული პოლიტიკური ლიტერატურის პროპაგანდას.

სკკპ XXVI ყრილობის მასალების საზოგადოებრივი კითხვის პერიოდში რესპუბლიკაში ჩატარდა 60 თეორიული კონფერენცია, 200 ლექცია, ყრილობის მასალებისა და ყრილობისადმი მიძღვნილი წიგნების 140 გამოფენა, 40-ზე მეტი წიგნის განხილვა და 100-ზე მეტი შეხვედრა სკკპ XXVI და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობების დელეგატებთან.

საზოგადოებრივი კითხვის დროს დიდი ყურადღება ექცეოდა ლ. ი. ბრეჯნევის წიგნის „მოგონებების“ პროპაგანდასა და პოპულარიზაციას.

საქალაქო და რაიონულ ორგანიზაციებში, წიგნის მოყვარულთა კლუბებში მოეწყო პოლიტიკური წიგნების ილუსტრირებული გამოფენები დევიზით: „XXVI ყრილობის გადაწყვეტილებები ცხოვრებაში“, „XI ხუთწლედს — დამკვირვებელი შრომა“, „პოლიტიკური წიგნი — იდეოლოგიური ბრძოლის ძლიერი იარაღი“ და სხვა. გამოფენებს თან ახლდა ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები და ყრილობიდან ყრილობამდე ჩვენი ხალხის მიღწევათა ამსახველი სტენდები. რესპუბლიკურმა გამგეობამ გამოსცა სპეციალური აფიშა-პლაკატი.

საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ლექტორთა მიერ 1981 წელს წაკითხულია 710 ლექცია, აქედან 61 — საჯარო.

რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში წაკითხულ იქნა ლექციების ციკლი თემებზე: „ვ. ი. ლენინის წიგნები — კომუნისმის დიდი იდეების საგანძურია“, „ვ. ი. ლენინი ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ“, „ვ. ი. ლენინი ახალგაზრდობის იდეური აღზრდის შესახებ“, „ხუთწლედის გმირები — წიგნის გმირები“, „წიგნები ვასაწვლიან ბრძოლას და გამარჯვებას“, „კომუნისტის სახე თანამედროვე ლიტერატურაში“, „წიგნი ადამიანის სულიერი აღზრდელია“, „ლიტერატურა XI ხუთწლედში სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ“, „ხალხთა მეგობრობა გვიანდერძა ლენინმა“, „სსრ კავშირი 60 წლისაა“ და სხვა.

წიგნის მოყვარულთა საზოგადოების აფხაზეთის ასსრ ორგანიზაციის მოაწყო ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „მოგონებების“ საზოგადოებრივი კითხვა, რომელიც დაიწყო კურორტოლოგიის ფილიალში გამართულ კონფერენციაზე და შემდეგ გადაინაცვლა აფხაზეთის მთელ რიგ პირველად ორგანიზაციებში, საზოგადოებრივმა კითხვამ მოიცვა აფხაზეთის ყველა ქალაქი და რაიონი.

აპრილი — მაისი, ჩატარდა პოლიტიკური წიგნისა და პლაკატის პროპაგანდისა და გავრცელების ერთთვიური, რომელშიც ჩაბმული იყო საქართველოს რესპუბლიკის ყველა ქალაქის და რაიონის წიგნისმოყვარულები.

პოლიტიკური წიგნისა და პლაკატის პროპაგანდისა და გავრცელების კარგი ტრადიცია აქვთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წიგნის მოყვარულებს (პასუხისმგებელი მდივანი მ. ხალვაში). აჭარის „საქწიგნის“ და ცეკავშირის წიგნის მაღალი მართან ერთად სისტემატურად ეწყობა პოლიტიკური წიგნისა და პლაკატის გამოფენა-ბაზრობები. მაგალითად, კურორტ მახინჯაურში ჩატარდა წიგნის ტრადიციული გამოფენა-ბაზრობა, რომელშიც მონაწილეობდა ქედის, შუახევის, ხულოს, ხელჯანაურის და ქობულეთის რაიონები. გამოფენა-ბაზრობაზე გაიყიდა 3 500 მანეთის პოლიტიკური ლიტერატურა. სულ ერთთვიურის პერიოდში აჭარაში გაიყიდა 27 500 მანეთის პოლიტიკური წიგნი და პლაკატი.

ლაგოდეხის რაიონის წიგნისმოყვარულებმა დევიზით: „პოლიტიკური წიგნი ყველა მშრომელს“, ჩატარეს პოლიტიკური წიგნისა და პლაკატის ერთთვიური. წიგნის ვაჭრობის მუშაებმა ერთთვიურის პერიოდში პროპაგანდა გაუწიეს და გაყიდეს 13 000 მანეთის პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა.

ადიგენის წიგნისმოყვარულების ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით ერთთვიურის პერიოდში მაღალმთიან რაიონებში და სოფლებში წიგნის ვაჭრობის მუშაებმა რეალიზაცია გაუქეთეს 3 355 მანეთის პოლიტიკურ წიგნსა და პლაკატს.

პოლიტიკური წიგნის ერთთვიური კარგად ჩატარეს აფხაზეთის წიგნისმოყვარულებმა. მათი ინიციატივით და დახმარებით „აფხაზწიგნის“ მაღაზიებმა რეალიზაცია გაუქეთეს 27 000 მანეთზე მეტი ღირებულების პოლიტიკურ წიგნსა და პლაკატს.

წიგნის მოყვარულთა საზოგადოების საქალაქო ორგანიზაციის გამგეობამ და თბილისის აღმასკომის პროფტექგანათლების სამმართველომ ჩატარა ლიტერატურული საღამო: „წიგნი — პური ჩვენი არსობისა“. საღამოზე მოწვეული იყვნენ სკკპ XXVI ყრილობის დელეგატი ვ. ქემაშვილი, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატი ე. სოლომონია, მწერლები: მ. ბარათაშვილი, მ. კახიძე, ნ. კანდელაკი და სხვა მოწინავე ადამიანები.

მწერლებმა მ. ბარათაშვილმა და მ. კახიძემ წაიკითხეს ლექსები. ნ. კანდელაკმა შემოქმედებითი ნიჭის განვითარება უსურვა მომავალ მუშებს, რომლებმაც წაიკითხეს საკუთარი ლექსები.

გაიმართა ვიქტორინა — კონკურსი, „ვინ უკეთ იცნობს წიგნს“. გამარჯვებულებმა დაჯილდოვდნენ მხატვრული წიგნებით.

გლდანის რაიონული ორგანიზაციის გამგეობამ შეხვედრა მოუწყო სკკ XXVI და საქართველოს კპ XXVI ყრილობების დელეგატებს—თითოეულის საწარმოო განყოფილების მმართველს ნაწილი ჯიმშელიევილს, ფოლადთუქსასხელი ქარხნის მმართველს ბრიგადირს ლუკა წიკლაურს. სტუმრებს რაიონის შრომითი კოლექტივების სახელით მიესალმნენ პარტიის რაიკომის მდივანი ვ. კულიკოვა, 118-ე საშუალო სკოლის პედაგოგი თ. ტერტერაშვილი, ბიულეტენ „წიგნის სამყაროს“ რედაქტორი, პოეტი თ. ჯანგულაშვილი და რაიონის ბიონერები.

„დედაენის“ შემდგენელს იაკობ გოგებაშვილს უძღვნა ქებათა-ქება მწერალმა ვლადიმერ ალფენიძემ. თბილისის 67-ე საშ. სკოლაში ჩატარდა ანბანის ზეიმი. ქართული ანბანის, „დედაენის“ ზეიმიც ამ წიგნით დაიწყო. სკოლის დირექტორმა თემო ლაბაძემ ვრცლად ილაპარაკა ი. გოგებაშვილის ღვაწლის შესახებ, რომელიც შთამაგონებლად და ასახული ვლ. ალფენიძის წიგნში. წიგნის მოყვარულები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გიორგი ლეონიძის, იოსებ ნონეშვილის, ირაკლი აბაშიძის, ვლადიმერ ალფენიძის, ხუტა ბერულავას, ლადო ასათიანის, ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსების მხატვრულ კითხვაში.

თბილისის საქარხნო რაიონული ორგანიზაციის გამგეობამ მწერალთა კავშირთან ერთად რაიონის საშუალო სკოლებში გამართა ღია გაკვეთილები ქართველი მწერლების მონაწილეობით. საუბრის თემა იყო თანამედროვე ქართული მწერლობა, ახალი ნაწარმოებები. მწერლებმა თენგიზ გოგოლაძემ, მედეა კახიძემ, ემზარ კვიციანიშვილმა, ვახტანგ გორგანელმა, ლადო მრელაშვილმა, ნოდარ ჯალაღონიამ, გიორგი გიგაურმა და სხვ. წაიკითხეს ლექსები და ადგილები თავიანთი ნაწარმოებებიდან.

მახარაძის რაიონული ორგანიზაციის გამგეობამ წიგნის ვაჭრობის მეშვეობით ერთად ჩაატარეს პოლიტიკური წიგნისა და პლაკატის ერთთვიური. იგი საზეიმოდ გაიხსნა გურიის გლეხების რევოლუციური ცენტრის — „ბახვის მანიფესტის“ მემორიალის ეზოში. მოსახლეობისათვის პოლიტიკური წიგნების შერჩევაში მონაწილეობა მიიღეს რევოლუციის ვეტერანებმა. ერთთვიურის პერიოდში 19-ჯერ მოეწყო წიგნის გასვლითი ბაზრობა, სადაც გაიყიდა 130 000 მანეთის ლიტერატურა, ზოლო აქედან 35 000 მანეთის პოლიტიკური წიგნი და პლაკატი.

იენისი. გეორგიევსკის ტრაქტატის მე-200 წლისთავს მიეძღვნა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორის პროფესორ გ. პაიჭაძის ნაშრომის „გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა“ განხილვა, რომელიც მოაწყო „საქგაბროშატის“ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების პირველადმა ორგანიზაციამ.

სიტყვით გამოვიდნენ შთაფარი ინჟინერი მ. ქებულაძე, ტექნიკური განყოფილების უფროსი გ. მენაბდე და სხვ. დასასრულ გ. პაიჭაძემ უპასუხა შეკითხვებს, ვრცლად გააშუქა ხელშეკრულების დადების ისტორია და მისი მნიშვნელობა.

„წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის IV პლენუმის შედეგები და წიგნის მოყვარულთა საზოგადოების თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის ამოცანები სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის იუბილესათვის მზადებასთან დაკავშირებით“ — ასეთი იყო საზოგადოების თბილისის საქალაქო ორ-

განიზაციის გამგეობის II პლენუმის დღის წესრიგი. პლენუმმა მოისმინა საზოგადოების თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარის, აკადემიკოსი გ. ბერიძის მოხსენება.



მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს 87-ე საშ. სკოლის დირექტორმა მ. ყირიმელაშვილმა, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის სამმართველოს ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის მთავარმა ბიბლიოთეკარმა ნ. ჯარიაშვილმა, საწარმო გაერთიანება „ჩარხშენებლის“ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების პირველი ორგანიზაციის თავმჯდომარემ ჯ. ალავეიძემ, კომპაზიორის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა თ. გიორგაძემ, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ხარატმა ს. კილაძემ, № 6 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლემ (კამპუჩიიდან) ჩეა სორი ეტიმ და სხვა.

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება.

ნ. ნაქაშიძის სახ. ცენტრალურმა საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკამ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობასთან ერთად მოაწყო ნორჩ მკითხველთა შეხვედრა სკკპ XXVI და საქართველოს კპ XXVI ყრილობების დელეგატებთან. მოიწვიეს სოციალისტური შრომის გმირი, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე, პოეტი ხუტა ბერულავა, 150-ე საშუალო სკოლის პედაგოგი მ. უგრეხელიძე, გამსახომის თავმჯდომარის მოადგილე რევაზ ღლონტი. ღონისძიებას ესწრებოდნენ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი გ. გარინი, გამგეობის უფროსი ინსპექტორი ვ. ტამიროვი. სტუმრების წინაშე გაიცეხლდა დედაქალაქის გმირული წარსული — შესრულდა ლიტერატურული მონაქაი „რას გადაურჩა თბილისი“ სტუმრებმა ნორჩ წიგნისმოყვარულებს აღუთქვეს, რომ ახალ-ახალი წიგნებით გაახარებენ მათ გულებს.

საზოგადოება „ცოდნისა“ და წიგნის მოყვარულთა საზოგადოების თბილისის საქალაქო ორგანიზაციებმა მოაწყეს სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია თემაზე: „სსრ კავშირის კონსტიტუცია მშვიდობისა და სოციალური პროგრესის მნიშვნელოვანი ფაქტორია“.

მოხსენებებით გამოვიდნენ: პროფ. ვ. ფარქოსაძე — „განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუცია“, პროფ. ს. შარიჭაძე — „საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებანი და პარტიის ამოცანები“. თ. ტრაპაძე — „სსრკ კონსტიტუცია მშვიდობის და დაცვისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების მნიშვნელოვანი ფაქტორია“.

ივლისი. ჩატარდა თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის IV კონფერენცია. კონფერენციამ მოისმინა გამგეობის თავმჯდომარის აკადემიკოს ვახტანგ ვუკოლის ძე ბერიძის ანგარიში თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის მუშაობის შესახებ.

კონფერენციამ გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია აკადემიკოსი ვახტანგ ვუკოლის ძე ბერიძე, მოადგილეზად — პოეტი მარიკა გერვასის ასული ზარათაშვილი — ქურნალ საქართველოს ქალის“ მთავარი რედაქტორი, და თენგიზ ბუაჩიძე — ი. ჭავჭავაძის სახ. უცხო ენათა სახელმწიფო ინსტიტუტის რექტორი, პასუხისმგებელ მდივანად — ლიანა აკაყის ასული გურგენიძე.



აგვისტო. ხულოს რაიონის წიგნის მოყვარულებმა საკოლმეურნეო ორგანიზაციის ინიციატივით მალაღმთიან საძოვრებზე მოაწყვეს პოლიტიკური და მხატვრული წიგნების გამოფენა-ბაზრობა.

სექტემბერი. ჩხოროწყუს წიგნისმოყვარულების ინიციატივით ჩატარდა ლიტერატურული საღამო დღეებით: „ვემდერ სამშობლოს, ვემდერ პარტიას“. მოეწყო გამოფენა, „ძმაო ძმითა ხარ ძლიერი“. საღამოზე მოწვეული იყვნენ ვეტერანი ბოლშევიკები.

საქართველოს კვ. გურჯაანის რაიონული კომიტეტისა და წიგნის მოყვარულთა რაიონული ორგანიზაციის გამგეობის ინიციატივით სექტემბრის თვეში ჩატარდა ტრადიციული „წიგნის დღესასწაული“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა და პოეტებმა: მ. კახიძემ, ხ. ბერულავამ, შ. ხოდაშენელმა, ა. აბულაშვილმა, ნ. ვაბრიჩიძემ, ნ. კილასონიამ, ა. არაბულმა და სხვ. დღესასწაულზე მოეწყო წიგნის გამოფენა-ბაზრობა.

თეთრი წყაროს რაიონული ორგანიზაციის გამგეობამ მოაწყო წიგნის „გულახდილი დიალოგის“ განხილვა. მოხსენებით და სიტყვებით გამოვიდნენ პარტიის რაიონის პროპაგანდის და აგიტაციის განყოფილების გამგე გ. ლოქანიძე, პედაგოგი ბერიძე და სხვ.

ფოთის საქალაქო ორგანიზაციამ ჩატარა სამი თაობის — ძველი რევოლუციონერების, დიდი სამამულო ომის ვეტერანების და წარმოების მოწინავე ახალგაზრდობის შეხვედრა აქტივისტ წიგნისმოყვარულებთან. მოგონებებით გამოვიდნენ ძველი ბოლშევიკები და ომის ვეტერანები, რომლებმაც დამსწრეთ მოუთხრეს ოქტომბრის რევოლუციისა და სამამულო ომის ეპიზოდები.

ოქტომბერი. ექსლიბრისების მოყვარულთა რესპუბლიკურმა კლუბმა (თავმჯდომარე ბ. პოლიაკი) გამომცემლობა „მერანის“ საგამოფენო დარბაზში მოაწყო ქართველ მხატვართა ექსლიბრისების გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იყო 600-ზე მეტი ექსპონატი.

აჭარის წიგნისმოყვარულებმა, ქედის რაიონული ორგანიზაციის გამგეობის ინიციატივით სოფ. ცხიმურის საშუალო სკოლაში მოაწყო ლ. სანიკიძის წიგნის „უქარქაშო ხმლების“ განხილვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ავტორმა.

ნოემბერი. „მილიცია და ქართული საბჭოთა ლიტერატურა“ — ასეთი დღეებით ჩატარდა საბჭოთა მილიციის დღისადმი მიძღვნილი საღამო, რომლის თაოსნები იყვნენ პირველი მაისის რაიონული ორგანიზაციის გამგეობა და ა. ჯაფარიძის სახ. თბილისის საქალაქო სამეცნიერო ბიბლიოთეკა. ინფორმაციით „საბჭოთა მილიცია და მილიციის საქმიანობის თემაზე შექმნილი ლიტერატურა“ — გამოვიდა გ. რუქაია. მწერალმა რევებ ჯაფარიძემ ილაპარაკა წიგნის ზეგავლენაზე ადამიანის მორალური ფორმირების საქმეში. სახალხო მოსამართლის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდი-

დატის ვ. ქვინიას გამოსვლა მიეძღვნა დემკრატული ლიტერატურის დანიშნულ ბას, თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის გავლენას მოზარდის ფსიქოლოგიაში კრიტიკოსმა გ. გვერდწითელმა აღნიშნა, რომ ლიტერატურის ძირითადი მიზანი ნიზმის, სიკეთისა და პატიოსნების დამკვიდრებაა, მოიყვანა არაერთი მაგალითი ნ. ლუმბაძის, თ. დოსტოევსკის ნაწარმოებებიდან.

წიგნის მოყვარულთა საზოგადოების აჭარის ასსრ ორგანიზაციის გამგეობის სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურის პროზაგანდის სამეცნიერო-მეთოდოლოგიურმა საბჭომ ხელვაჩაურის რაიონული ორგანიზაციის გამგეობასთან ერთად მოაწყო ო. ვაშაქიძის და ნ. მანველიძის წიგნის „მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებანი სოფლის მეურნეობაში“ — განხილვა.

აჭარის ასსრ ორგანიზაციის საოლქო გამგეობის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის პროზაგანდის სამეცნიერო-მეთოდოლოგიურმა საბჭომ ქედის რაიონულ ორგანიზაციასა და რაიკომის პარტკამინეტთან ერთად ჩაატარეს მკითხველთა კონფერენცია ე. ჩერნენკოს წიგნზე: „პარტიული და სახელმწიფო აპარატის მუშაობის საკითხები“.

ნოემბერი. წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის მუშაკები შეხვდნენ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ლიტერატურის რედაქციის მუშაკებს. შეხვედრაზე გაიმართა მსჯელობა პოლიტიკურ წიგნზე, მის ტირაჟირებაზე, წიგნის დროულად გამოცემის, პროზაგანდისა და გვერდულების აქტუალურ საკითხებზე. სიტყვებში გამოვიდნენ დ. კაკაბაძე, ა. ჩიქოვანი, ო. კასრაძე და სხვ.

აჭარის ასსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების გამგეობამ ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან ერთად ჩაატარა გალაკტიონ ტაბიძის იუბილესადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო. საღამოზე წარმოდგენილ იქნა ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია „ოქროს აჭარის ლაქვარდში“.

ხაშურის წიგნისმოყვარულებმა საფეიქრო-საგალანტერიო ფაბრიკაში ჩაატარეს თეორიული კონფერენცია თემაზე: „განვლილი 60 წელი“, სადაც საინტერესო მოხსენება წაიკითხა კომკავშირის კომიტეტის მდივანმა, წიგნის მოყვარულთა კლუბის „ფეიქარის“ თავმჯდომარემ თინა პაქსაშვილმა.

დეკემბერი. თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობამ, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის პროტექტგანათლების სამმართველომ მოაწყო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „გეორგიევსკის ტრაქტატი და მისი ისტორიული მნიშვნელობა“ გ. პაიჭაძის ამავე სახელწოდების წიგნის მიხედვით.

კონფერენცია გახსნა პროფესიულ-ტექნიკური განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილემ რ. გურგენიძემ.

მოხსენებებით: „გეორგიევსკის ტრაქტატის ისტორიული მნიშვნელობა“, „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI—XVIII საუკუნეებში“ გამოვიდნენ 107-ე, მე-6



საშუალო სასწავლებლების მასწავლებლები ი. რადჩენკო, მ. ფხალაძე, და პნ...
 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის ისტორიის მასწავლებელი ნეკრეძე...
 რეიშვილი. პროფესორმა გ. ჰაიპაძემ უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

საქართველოს ტელევიზიამ მოაწყო წიგნის მოყვარულთა საზოგადოების სატელევიზიო აღმანახ „მწიგნობარის“ მორიგი გადაცემა. ტელემყურებელთა ფართო აუდიტორია გაეცნო ბიბლიოფილ ვ. ნათენაძის პირად ბიბლიოთეკას, სამკურნალო წიგნ „ქარაბადინზე“ ისაუბრა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორმა მ. შენგელიამ; გადაცემაში ფართოდ იყო გაშუქებული დიდი ქართველი პოეტისა და ჰუმანიტარტი მამულიშვილის ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკის ფონდები, რომელიც პოეტის სურვილით საჩუქრად გადაეცა ქართველ ხალხს.

გადაცემის ბოლოს ბიულეტენ „წიგნის სამყაროს“ რედაქტორი, პოეტი თ. ჯანგულაშვილი ტელემყურებლებს ესაუბრა ახალგაშობულ ლიტერატურაზე.

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს მიეძღვნა გამოფენა „საქართველოს და აფხაზეთის ექსლიბრისები“, რომელიც აფხაზეთის ორგანიზაციის გამგეობამ მოაწყო სოხუმის მასწავლებელთა სახლში.

პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ, წიგნის მოყვარულთა საზოგადოებისა და საზოგადოება „ცოდნის“ ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციების გამგეობებმა ჩაატარეს თეორიული კონფერენცია თემაზე: „წიგნები, რომლებიც გვასწავლიან სამშობლოს სიყვარულს, შრომას, ბრძოლას და გამარჯვებას“. კონფერენცია გახსნა პარტიის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილემ, წიგნის მოყვარულთა საზოგადოების საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარემ ბ. ქარსელაძემ, მოხსენებები წაიკითხეს დოც. ბ. ფრუიძემ და ს. არველაძემ.

საქართველოს კვ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტში საქართველოს საისტორიო საზოგადოებამ და წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკურმა გამგეობამ ჩაატარეს სამეცნიერო-თეორიული კონფერენცია თემაზე: „ლ. ი. ბრეჟნევი საქართველოს შესახებ“. კონფერენცია გახსნა საისტორიო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ა. აფაქიძემ, მოხსენებით გამოვიდა პროფესორი ი. კაპარავა.

მახარაძის რაიონული ორგანიზაციის გამგეობამ, ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პირველად ორგანიზაციასთან ერთად მახარაძეში ჩაატარა სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენცია თემაზე: „სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ძირითადი მიმართულებების შემდგომი განვითარებისათვის“.

იანვარი. ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალმა და წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკურმა გამგეობამ მუზეუმის დარბაზში ჩატარეს თემატური საღამო: „წიგნი მეგობარი, წიგნი აღმზრდელი, წიგნი მასწავლებელი“. კონფერენცია მიქაძენა ლ. ი. ბრეჟნევის წიგნს „მოგონებანი“. მოხსენებით გამოვიდნენ მუზეუმის დირექტორი ფ. მახარაძე და ისტორიულ მეცნ. დოქტორი ლ. თოიძე.

რესპუბლიკური გამგეობისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის ინიციატივით ჩატარდა დისპუტი თემაზე: „რას კითხულობ შენ?“. სტუდენტებთან ერთად დისპუტში მონაწილეობას ღებულობდნენ მწერლები და მეცნიერები — ვ. გოგუაძე, ს. ხუციშვილი, ლ. სანიკიძე, მ. ხერგანი, გ. ხორნაუელი, თ. ვასაძე, რესპუბლიკური გამგეობის წარმომადგენლები: ო. გოჩელაშვილი და ნ. გრიგალაშვილი.

აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო ორგანიზაციების გამგეობებმა, საქართველოს ალკე ბათუმის საქალაქო კომიტეტმა, ბათუმის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ და სახალხო უნივერსიტეტმა „წიგნი“ მოაწყეს ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „მოგონებანის“ განხილვა.

საქართველოს კვ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა და საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკურმა გამგეობამ მოაწყეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის წიგნის „საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 60 წლისთავის“ განხილვა. მოხსენებით გამოვიდა ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი გრ. ყვანია.

ჯავის რაიონულმა ორგანიზაციამ მკითხველთა კონფერენცია მიუძღვნა ლ. ი. ბრეჟნევის წიგნს „მოგონებები“. კონფერენციაზე შეიკრიბნენ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების პირველადი ორგანიზაციების, წარმოების, საბჭოთა მეურნეობების, სასწავლებლების წარმომადგენლები, შრომის და ომის ვეტერანები, მოხსენებით გამოვიდა საზოგადოების ჯავის რაიონული ორგანიზაციის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი კ. ჩალახსათი.

თებერვალი. თეთრი წყაროს რაიონული ორგანიზაციის გამგეობამ, მანგლისის № 1 საშუალო სკოლის პირველადმა ორგანიზაციამ პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად ჩატარეს გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ ქ. გეორგიევსკის № 5 საშუალო სკოლის მასწავლებელი და მოსწავლეები. მეგობრობის დიად დოკუმენტებზე და მის მნიშვნელობაზე ისაუბრა სკოლის პედაგოგმა ლ. მესხაძემ.

აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო ორგანიზაციების გამგეობებმა, ბათუმის ოფიცერთა სახლთან არსებულმა წიგნის მოყვარულთა კლუბმა და ქალაქის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ ბათუმის ოფიცერთა სახლში ჩაატარა მკითხველთა კონფერენცია ლ. ი. ბრეუნევის წიგნზე „მოგონებები“.

რესპუბლიკურმა გამგეობამ, საქართველოს მწერალთა კავშირმა კრასნოდარის სამხარეო ორგანიზაციის გამგეობის მიწვევით ჩაატარეს ქართული კულტურის დღეები კრასნოდარის მხარეში. დღევანდელი დაესწრო სოპთან ახლომდებარე ქართულ სოფელ პლასტუნკაში ლენინური ბიბლიოთეკის გახსნას და გადასცა 150 წიგნი, უმეტესობა ქართველ მწერალთა ავტოგრაფებით. ქართული კულტურის, ჩვენი რესპუბლიკის წარსულის, მისი ისტორიის და თანამედროვე მიღწევების შესახებ მოხსენებით გამოვიდა მწერალი უ. რიგინაშვილი, პლასტუნკელ ქართველებს ესაუბრნენ ქართველი მწერლები: ო. ჭელიძე, ნ. კანდელაკი, შ. ხოდაშენი, საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის მუშაკები ა. ბიბიჩაძე და ნ. გრიგალაშვილი.

მცხეთის რაიონული ორგანიზაციის გამგეობისა და რაიკომპკავშირის ინიციატივით მოეწყო მკითხველთა შეხვედრა ქართველ მწერლებთან და პოეტებთან: ჯ. ღვინჯილისთან, თ. ბექიშვილთან, მ. წიკლაურთან და შ. ქავთარაძესთან. შეხვედრაზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის გენერალურმა დირექტორმა ვ. მამუკელაშვილმა. სტუმრებს წიგნის მოყვარულთა სახელით მიესალმა ვ. თათარაშვილი. მწერალმა ჯ. ღვინჯილიამ ილაპარაკა აქ დამსწრე პოეტთა შემოქმედებაზე და გამომცემლობა „მერანის“ მომავალ გეგმაზე. მოსწავლეებმა წაიკითხეს სტუმრების ლექსები. შეხვედრის შემდეგ მოეწყო წიგნების აუქციონი. გამარჯვებულებს საჩუქრად გადაეცათ წიგნები, ხოლო პირველ ადგილზე გამოსულს „მსოფლიო სათავგადასავლო ბიბლიოთეკაზე“ ხელმოწერა.

გურჯაანის რაიონული ორგანიზაციის გამგეობამ, ალკა გურჯაანის რაიკომმა და ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ ჩაატარეს თეორიული კონფერენცია თემაზე: „შენ საქართველოს ახალგაზრდობა გქვია“. მოეწყო ახალგაზრდობის შრომასა და მიღწევებზე შექმნილი წიგნებისა და საქართველოს კომპკავშირის XXXII ყრილობის მუშაობის ამსახველი მასალების გამოდენა.

წულუკიძის რაიონული ორგანიზაციის გამგეობამ მოაწყო განხილვა გ. ფანჯიკიძის წიგნებისა „თვალი პატროსიანი“ და „მეშვიდე ცა“. სიტყვებით გამოვიდნენ დამსახურებული პედაგოგები გრიგოლ და თინათინ ბახტაძეები, პარტიის წულუკიძის რაიკომის მდივანი ნ. მამფორია, წიგნისმოყვარულები ნ. ჩხეიძე, გ. სანოძე და სხვ.

თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობამ და თბილისის სახალხო დეპუტატების საქალაქო საბჭოს კულტურის სამმართველომ ჩაატარეს თეორიული კონფერენცია თემაზე: „ვ. ი. ლენინის წიგნი „რა ვაკეთოთ“ და მისი ისტორიული მნიშვნელობა“ (გამოსვლის 80 წლისთავთან დაკავშირებით). მოხსენებებით გამოვიდნენ ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა. ებრაღიძე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ბ. ლუტიძე, ჯაფარიძის სახ. საქალაქო ბიბლიოთეკის მეთოდოლოგიური განყოფილების გამგე ლ. პარკაძე.



თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობამ და ნ. ნაკაშიძის სახ. საქალაქო ბიბლიოთეკამ ჩაატარეს ლიტერატურული საღამო, მიძღვნილი საბავშვო წიგნის მესიკის კვირეულისადმი. საღამოში მონაწილეობა მიიღეს და თავიანთი ნაწარმოებებმა წაიკითხეს შიო მღვიმელის ქალიშვილებმა მწერალმა ქეთევან ქუჩუკაშვილმა და მთარგმნელმა თამარ ქუჩუკაშვილმა, მწერლებმა დოდო ვადაქორიამ და ქეთევან ჭილაშვილმა. თბილისის 113-ე სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს მონტაჟი „წიგნი შენი მეგობარია“.

გამოფენილი იყო ნორჩ წიგნისმოყვარულთა მიერ ქართული ხალხური ზღაპრების თემებზე შესრულებული ნახატები და სტუმრად მისული მწერლების წიგნები.

მარტი. 9—12 მარტს თბილისში ჩატარდა საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების გამგეობათა პასუხისმგებელი მდიუნების და სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საბჭოების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური თათბირ-სემინარი. საზოგადოების მუშაობის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ანხ. დ. კაკაბაძე, საზოგადოების მუშაობის სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე მოხსენებებით გამოვიდნენ: ნ. ქველიძე, ლ. მაისურაძე, მ. ხალვაში, ო. გოჩელაშვილი, მ. შარაშენიძე, გ. ხუნდაძე და სხვ. მოეწყო აღმანახ „მწიგნობარის“ განხილვა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს პროფესორებმა: ი. ლოლაშვილმა, ს. ხუციშვილმა, გ. მიქაძემ, „მწიგნობარის“ პასუხისმგებელმა მდივანმა პ. დელეყვამ. სემინარის მონაწილეებს ლექციები წაუკითხეს პროფ. გ. შარაძემ, პროფ. გ. ჭანუყვაძემ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა დოცენტმა ს. მოსიძემ და სხვ.

მახარაძის რაიონული ორგანიზაციის გამგეობამ ჩაის ფაბრიკის გაერთიანებაში მონაწილეობის შესახებ სამამულო ომის ვეტერანებთან, რომლებმაც გაიხსენეს საბრძოლო ეპიზოდები და დამსწრეებს მოუწოდეს იყვნენ პატრიოტები. წაკითხული იქნა საინტერესო მოხსენებები: „დიდ სამამულო ომში წიგნებიც იბრძოდნენ“, „ჩვენი რაიონი დიდ სამამულო ომში“. შოგონებებით გამოვიდნენ „მცირე მიწის“ მონაწილე ნოე მამულაშვილი, მწერალი სერგო ჩხარტიშვილი, ექიმები ლილი მიქატაძე და ნანა ახალაძე.

ბათუმის ორგანიზაციის საქალაქო გამგეობამ და აჭარის რესპუბლიკურმა საჯარო ბიბლიოთეკამ კინო-თეატრ „თბილისის“ ფოიეში მონაწილე პოლონური, ჩეხური და უნგრული წიგნების გამოფენა.

წულუკიძის რაიონული ორგანიზაციის გამგეობამ ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზში პროფტექნიკური სასწავლებლის მსმენელთათვის მონაწილე განხილვა ნ. დუმბაძის წიგნისა „ნუ გუშინია დედა“. წიგნის განხილვამ დიდი ინტერესი გამოიწვია მკითხველებში. სიტყვებით გამოვიდნენ წიგნისმოყვარულები გ. ხანთაძე, ნ. ჩხაიძე, თ. დანავაძე, დ. ჩარგვიშვილი და სასწავლებლის პედაგოგ-აღმზრდევლები.

თეთრი წყაროს რაიონული ორგანიზაციის გამგეობამ მონაწილე წიგნის „გულახ-

დილი დიალოგის“ განხილვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს რაიონის პროპაგან-
დისტებმა, საბჭოთა მეურნეობის დირექტორებმა, წარმოება-დაწესებულებების
სკოლების დირექტორებმა და სკოლა-ინტერნატის მასწავლებლებმა: გ. ლობჯანიძემ,
ბ. ბერიძემ, გ. პაპუაშვილმა, რ. ნათიძემ და სხვ.

აპრილი. თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობამ და საქალაქო საბჭოს
აღმასკომის კულტურის სამმართველომ მოაწყო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენ-
ცია — „ლენინი, სკკპ საბჭოთა მრავალეროვნული სახელმწიფოს შესახებ“ წიგნის
მიხედვით. მოხსენებებით გამოვიდნენ პროფესორი ა. ირემაძე — „ვ. ი. ლენინი მრავალ-
ეროვნული სახელმწიფოს შესახებ“, პროფ. ბ. ლუტიძე — „პიროვნება და განვითარ-
ებული სოციალიზმის საერთო-სახალხო სახელმწიფო“.

თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობამ და პროტექტანთლების სამმარ-
თველომ მოაწვეს სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-
პრაქტიკული კონფერენცია ვ. ი. ლენინის ნაშრომების მიხედვით.

მომხსენებლებმა, პროფესორმა გ. ბრეგვაძემ და დოცენტმა ი. მილიანმა ისაუბ-
რეს თემებზე: „ვ. ი. ლენინი საბჭოთა მრავალეროვნული სახელმწიფოს შექმნეში“,
„სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის
შესახებ“.

აპრილი. საქართველოში ბალტიისპირეთის ლიტერატურის დღეების პერიოდში
საზოგადოების რესპუბლიკურმა გამგეობამ, საქართველოს მწერალთა კავშირმა და
მირზა გელოვანის სახელობის რესპუბლიკურმა ახალგაზრდულმა ბიბლიოთეკამ ჩაა-
ტარეს ერთობლივი ღონისძიება დევიზით: „წიგნი — ძმობის ჩირაღდანი“. ღონისძიე-
ბაში მონაწილეობა მიიღეს ქართველმა, ლატვიელმა, ლიტველმა, ესტონელმა მწერ-
ლებმა, რომლებმაც დამსწრეებს წაუკითხეს საკუთარი ლექსები.

კასპის რაიონული ორგანიზაციის გამგეობამ, პარტიის კასპის რაიკომთან და სა-
რაიონო ბიბლიოთეკასთან ერთად ჩაატარა თეორიული კონფერენცია მიძღვნილი
„გეორგიევსკის ტრაქტატის“ 200 წლისთავისადმი. კონფერენციაზე მოხსენებებით
გამოვიდნენ პროფესორები: გ. თოფაშვილი, კ. ტაბატაძე, დოცენტი გ. ანჩაბაძე და
რაიონული ორგანიზაციის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი გ. ბუდალაშვილი.

თეთრი წყაროს რაიონული ორგანიზაციის გამგეობამ, რაიონის სანეპიდსადგუ-
რის, სატყეო მეურნეობის და რაიონული გაზეთ „ლენინური გზით“ პირველადმა
ორგანიზაციებმა ჩაატარეს თეორიული კონფერენცია თემაზე: „ერთიან ძმურ ოჯახ-
ში“. კონფერენცია მიქმდნა საბჭოთა კავშირის შექმნის 60 წლისთავს.

გურჯაანის რაიონული ორგანიზაციის თაოსნობით ბაკურციხის სასოფლო-სამე-
ურნეო ტექნიკუმის წიგნის მოყვარულთა კლუბმა „შემოქმედმა“ მოაწყო ცნობილი
ქართველი ყურნალისტის და პუბლიცისტის ვლ. ალფენიძის წიგნების „ღუელი
მგლის ველზე“ და „უფსკრულები და მწვერვალები“ განხილვა.



მაისი. 6 მაისს ჩატარდა რესპუბლიკური გამგეობის პლენუმი, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის ზეიმისათვის მზადებას. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ დამფუძნებელი ორგანიზაციების წარმომადგენლები, რესპუბლიკური (ასსრ), საოლქო, საქალაქო, რაიონული ორგანიზაციების გამგეობათა თავმჯდომარეები და პასუხისმგებელი მდივნები.

პლენუმზე მოხსენება: „წიგნის მოყვარულთა საზოგადოების ცენტრალური გამგეობის IV პლენუმის შედეგები და საქართველოს წიგნის მოყვარულთა ამოცანები სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავის იუბილესათვის მზადებასთან დაკავშირებით“ გააკეთა რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. კ. კაკაბაძემ.

ინფორმაცია — საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის პრეზიდიუმის მიერ მესამე პლენუმიდან მეოთხე პლენუმამდე გაწეული მუშაობის შესახებ გააკეთა რესპუბლიკური გამგეობის პასუხისმგებელმა მდივანმა ლ. შ. ნაღარავიძემ.

პლენუმის მონაწილეებს მიესალმა აზერბაიჯანის სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზარიფა სალახოვა.

სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს მიეძღვნა საზოგადოებრივი-პოლიტიკური ლიტერატურის ერთთვიური, რომელიც აჭარის რესპუბლიკურმა და ბათუმის საქალაქო ორგანიზაციებმა ჩაატარეს ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან ერთად 1 მაისიდან 1 ივნისამდე, დევიზით: „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური“. ერთთვიურის პერიოდში ცენტრალურ ბიბლიოთეკაში და მის ფილიალებში ეწყობოდა ლენინური კითხვები, ლიტერატურის გამოფენები, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, ვიქტორინა-კონკურსები, შეხვედრები ვეტერან კომკავშირელებთან, საინტერესო ბიოგრაფიისა და ქალაქში მცხოვრებ სხვადასხვა ეროვნების ადამიანებთან, კითხვა-პასუხის საღამოები, ვ. ი. ლენინის ჩაწერილი ხმისა და მასზე მოგონებების მოსმენა. ერთთვიურის პერიოდში მალაზიების ვიტრინები გაფორმებული იყო შესაბამისი შინაარსის რეკლამებით.

აჭარის რესპუბლიკური, ბათუმის საქალაქო და საზღვაო-სანაოსნოს რაიონული ორგანიზაციების გამგეობებმა, აჭარის მწერალთა კავშირმა და ოფიცერთა სახლის წიგნის მოყვარულთა კლუბმა „მებრძოლმა ვარსკვლავმა“ ბათუმის გარნიზონის მეორეებისა და ქალაქის ახალგაზრდობისათვის მოაწყეს საბჭოთა კავშირის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო: „ხალხთა მეგობრობა ლიტერატურათა მეგობრობა“. მსმენელთა წინაშე გამოვიდნენ პოეტები: ფ. ხალვაში, ჯ. ქათამიძე, ჯ. ჯაყელი, მ. ვარშანიძე, ვ. ლლონტი, დრამატურგი ალ. ჩხაიძე.

28 მაისს მოსკოვში ა. ფადეევის სახ. ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში ბიბლიოფილთა კლუბის მიწვევით ჩატარდა შეხვედრა საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების აღმანახ „მწიგნობარის“ სარედაქციო კოლეგიასთან. იგი მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს. შეხვედრა გახსნა „აღმანახ ბიბლიოფილის“



მთავარმა რედაქტორმა ე. ოსტროვმა. სტუმრებს მიესალმა მწერალი ე. უტკოვი. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. კაკაბაძე, პროფესორები ი. ტროლი, შვილი, ს. ხუციშვილი, ლ. მენაბდე, ხელოვნებათმცოდნეობის მეც. კანდიდატი ე. მაქავარიანი, ბიბლიოფილი ვ. ნათენაძე, ალმანახ „მწიგნობარის“ პასუხისმგებელი მდივანი პ. ლელუყვა.

ჩხორიწყუს რაიონული ორგანიზაციის გამგეობამ ჩაატარა თემატური საღამო „ხალხთა მეგობრობა გვიანდერძა ლენინმა, გამოაწრთო პარტიამ, შეამოწმა დრომ“. საღამოზე წაითხულ იქნა მოხსენებები. „საბჭოთა საქართველო თანასწორუფლებიან ხალხთა ძმურ ოჯახში“ (მომხს. მ. გულუა), „წყარო გამარჯვებისა — სამშობლო და მეგობრობა“ (მომხს. ნ. ვაბედავა), „ხალხთა მეგობრობა ლიტერატურათა მეგობრობა“ (ლ. ესართია).

ცხაკაიას რაიონული ორგანიზაციის გამგეობამ, სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებისა და საშუალო რგოლის მუშაკების მონაწილეობით მოაწყო ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ნ. ა. ჭითანავას წიგნების „სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის რაიონული რგოლის სრულყოფა“ და „სოფლის მეურნეობის მართვის საშუალო რგოლის“ განხილვა.

რესპუბლიკურმა გამგეობამ და ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალმა შეხვედრა მოუწყვეს ცნობილ მწერალსა და პუბლიცისტს ვლ. ალფენიძეს. შეხვედრა გახსნა საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. კაკაბაძემ. მიმოიხილეს მწერლის წიგნები: „პორტუგალიური დღიურები“ და „ბრაზილიური დიალოგები“. მოხსენებით გამოვიდა კრიტიკოსი, პროფესორი რ. მიშველაძე, სიტყვებში გამოვიდნენ ისტ. მეცნიერებათა დოქტორი დ. სტურუა, ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი ფ. მახარაძე, უტრნალ „საქართველოს კომუნისტის“ მთავარი რედაქტორი ე. ქარუმიძე, საერთაშორისო მიმომხილველი ა. ავალიანი, საზოგადოების გამგეობის რედაქტორი ნ. გრიგალაშვილი. ვლ. ალფენიძემ გულთბილი სურვილებისათვის დამსწრეთ მადლობა გადაუხადა.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის წიგნისმოყვარულებმა ზუშკინის დღეებთან დაკავშირებით ჩაატარეს ლიტერატურული საღამო: „ზუშკინი და საქართველო“. საღამოზე მონაწილეობა მიიღო ქარხნის 15 სამუშაო. გაიმართა ვიქტორინა: „ვინ უკეთ იცნობს ზუშკინის პოეზიას“. გამარჯვებულებს ჯილდოდ გადაეცათ წიგნები.

საბჭოთა კავშირის შექმნის მე-60 წლისთავს მიეძღვნა პოეზიის საღამო, რომელიც ჩაატარა თელავის რაიონულმა ორგანიზაციამ, ახალგაზრდულმა ბიბლიოთეკამ და ალკკ რაიკომმა დღეებით: „ძმობისა და ერთობის პოეზია“.

საქარხნო რაიონული ორგანიზაციის გამგეობამ 107-ე პროფტექსისწაველებელში შეხვედრა მოუწყო პოეტ მორის ფოცხიშვილს და გერმანელ პოეტს მარტინ ბეხპორნს.



მორის ფოცხიშვილმა ისაუბრა თანამედროვე ქართული ლიტერატურის, კერძოდ, ავტობიოგრაფიის ავტორებზე, მის როლზე ახალგაზრდობის ზნეობრივ ჩამოყალიბებაში, მისი ქართველი და გერმანელი მწერლების მეგობრობაზე, მათ შეხვედრებზე საარბრტეხში და თბილისში. მარტინ ბეხზორნმა მოსწავლეებს უსახსვრა მის მიერ გერმანულად გამოცემული „ქართული პოეზიის ანთოლოგია“.

თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობამ შეხტების დაბრთქტების სახელმწიფო ინსტიტუტში მოაწყო ახლადგამოცემული წიგნის „გარდატეხის“ განხილვა. წიგნში აღწერილია ის დადებითი ცვლილებები, რაც უკანასკნელ ათწლეულში მოხდა.

მის ღირსებებზე ისაუბრა ინსტიტუტის ტექნიკური განყოფილების გამგემ მ. მენაბდემ.

ცალკეული თავების მიხედვით: „შესრულების კონტროლი“, „კადრები წყვეტენ ყველაფერს“, „ცხოვრების სოციალისტური წესი“, „ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლა“, „მომსახურების სფერო“, „ინტერნაციონალური აღზრდისა და შშენებლობის საკითხები“ — იმსჯელეს ინსტიტუტის თანამშრომლებმა.

ლენინის რაიონული ორგანიზაციის გამგეობამ შეხვედრა მოუწყო თემქის დასახლებებზე მცხოვრებ მწერლებსა და პოეტებს, რომელიც მიეძღვნა სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს, მონაწილეობდნენ მწერლები: ნოდარ შამანაძე, სიმონ შამფრიაი, ვაჟა ღლობაია, ვახტანგ ჯოგოლაშვილი, კარლო კომახიძე, ვახტანგ გორგანელი, ნუგზარ აფხაზაია, სლომონ დემურხანაშვილი, გურამ პეტრიაშვილი, ჯარჯი ფხოველი, როსტომ ელანიძე, ნოდარ ჭალაღონია. მათ წაიკითხეს საკუთარი ლექსები. თემქაში მცხოვრებმა ბავშვებმა წარმოადგინეს მონტაჟი მწერლების შემოქმედებთან.

ლენინის რაიონული ორგანიზაციის გამგეობამ რაიონის ბიბლიოთეკების ქსელთან ერთად მოაწყო ვ. ს. ჯანჭღავას წიგნის — „414-ე წითელდროშოვანის“ განხილვა ავტორის მონაწილეობით.

შესავალი სიტყვით გამოვიდა 112-ე საშუალო სკოლის პედაგოგი ლანა ღონღაძე. 112-ე და მე-3 მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს მონტაჟი წიგნის მიხედვით. მოგონებებით გამოვიდნენ სამამულა ომის მონაწილე დ. ჯაბუა, ვ. დავითულიანი, ს. ბარამიძე. წიგნის შესახებ ილაპარაკა ვ. ჯანჭღავამ. საქ. კპ თბილისის ლენინის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. სარატორმა მადლობა გადაუხადა ავტორის წიგნის განხილვაში მონაწილეობისათვის.

წიგნის მოყვარულთა საზოგადოების მარნეულის რაიონული ორგანიზაციის გამგეობის ინიციატივით სოფელ თამარისში მოეწყო მშრომელთა შეხვედრა ქართველ პოეტებთან და მწერლებთან. სოფელს სტუმრად ეწვივნენ პოეტი მედეა კახიძე, მწერლები: გივი გეგეჭკორი, ემზარ კვიციანიშვილი, ნოდარ შამანაძე, მთარგმნელი და პოეტი ზეზუა მედულაშვილი და მწერალი სლომონ სამხარაული. შეხვედრა გახსნა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ მ. ნადირაძემ.

ივლისი, საგარეჯოს რაიონული ორგანიზაციის გამგეობამ და პარტიის რაიკომმა



საგარეჯოს კულტურის სახლში მოაწყო ცნობილი მწერლის და კრიტიკოსის ლევან

სანიციძის ოთხტომეულის „უქარქაშო ხმლების“ განხილვა.

სალამო გახსნა პარტიის საგარეჯოს რაიკომის მეორე მდივანმა ნ. გურჯიძემ. ლ. სანიციძის შემოქმედებაზე ილაპარაკეს საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორმა აბ. სინჯიაშვილმა, პედაგოგმა ც. ტოპეშაშვილმა, სკოლის დირექტორმა გ. არაბულმა და სხვ.

სალამოს ესწრებოდნენ საქართველოს სსრ წიგნის მოყვარულთა საზოგადოების თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი, პოეტი-აკადემიკოსი ირ. აბაშიძე, მწერლები: თ. ჯანგულაშვილი და შ. ნიშნიანიძე.

მწერალმა ლ. სანიციძემ დამსწრეთ მადლობა გადაუხადა გულთბილი სურვილებისათვის.

შეადგინეს ნ. ქველიძემ
ლ. გურგენიძემ

შინაარსი

წიგნი და ცხოვრება

თ. ცხედიანი, ქართული ლენინიანას საწყისებთან	7
უ. ობოლაძე, „ბუნების კარი“ და ბუნების დაცვა	14
ბ. დარჩია, „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემები მშობლიურ ენაზე	21
მ. კობიაშვილი, მეგობრობის ხიდი	40

ბიბლიოთეკები და ბიბლიოფილები

ს. ხადურცი, მეცნიერების სამსახურში	67
კ. რამიშვილი, ნიკო ნიკოლაძის პირადი ბიბლიოთეკა	79
გ. თაყნიაშვილი, ახალგაზრდობას უანდერძა	95
დ. კაციტაძე, ცხოვრობს სოფელში ბიბლიოფილი	102
ა. პინტი, მშობელთა წიგნის თარო	107

ძიებანი

ი. ლოლაშვილი, ფილოსოფიის განსაზღვრებათა ძველქართული წიგნები	115
მ. ჩიქოვანი, „ქორქეთის წიგნი“ და ქართული საგმირო ეპოსი	134
ი. ჭიკაიძე, თამარის ცხოვრების წიგნი და არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“	157

წარსულის ფურცლები

ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის საზღვარგარეთული კერების ურთიერთობის ისტორიიდან	171
ი. გაჩეჩილაძე, ექსლიბრისის უძველესი ნიმუშები ქართულ ხელნაწერებზე	183
ლ. გიორგაძე, ილიას „ხუთშაბათობები“	188
შ. გოზალიშვილი, დევნილნი	197

წიგნი, წიგნი, წიგნი

ა. ბარამიძე, შემთხვევით ნაპოვნი განძი	211
გ. იმედაშვილი, იოსებ იმედაშვილი—გამომცემელი და ბუკინისტი	213
ნ. რერიხი (თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო პელო ლელეყვამ)	238
ა) ოჯახის საუნჯე	241
ბ) გიყვარდეთ წიგნი	243

ქ რ ო ნ ი კ ა



წიგნის მოყვარულთა კლუბები	251
სახალხო უნივერსიტეტი „წიგნი“	256
ფაქტები, მოვლენები	258

ღ ე ქ ს ე ბ ი

ხ. ბერულავა, დავითიანის გამარჩენელი	63
თ. ჯანგულაშვილი, და როცა ჩვენი წიგნის ფაბრიკას	112
ვახტანგ მეექვსე, „ქილილა და დამანაზედ“ თქმული	168
არჩილი, სიბრძნის სიკეთე	168
უცნობი პოეტი, წარწერა ფილოსოფიურ თხზულებათა ხელ- ნაწერ წიგნზე	180
იოანე პეტრიწი, სწავლულობაზე	208
სულხან-საბა ორბელიანი, ანბანზედ თქმული	208

პ რ ო ზ ა უ ლ ი ტ ე მ ს ტ ე ბ ი

დავით აღმაშენებელი და წიგნი	181
მწიგნობრის ჩივილი და ვედრება	182
პოეტი და ბუკინისტი	248

СОДЕРЖАНИЕ

Т. Цхведиани. У истоков грузинской ленинщины	7
У. Оболадзе. «Бунебис кари» («Врата природы») и охрана природы [Я. Гогешвили в учебнике «Бунебис кари» («Врата природы») воспитывал у молодежи чувство долга сохранения природных богатств]	14
Б. Дарчия. Издания поэмы Шота Руставели «Витязь в тигровой шкуре» на родном языке [Обзор изданий поэмы Шота Руставели]	21
М. Кобаишвили. Мост дружбы [Поэзия Д. Гурамишвили — источник дружбы между грузинским и украинским народами]	40
С. Хадური. На службе науки [К 60-летию Центральной библиотеки АН Грузинской ССР]	67
К. Рамишвили. Семейная библиотека Нико Николадзе [грузинского публициста XIX—XX вв.]	79
Г. Такиашвили. Завещала молодежи свою библиотеку лексикограф Кетеван Датикашвили	95
Д. Кацитадзе. Живет в селе библиофил [о библиотеке Корнелия Горгаслидзе]	102
А. Пинт. Книжная полка родителей (Перевод с русского)	107
И. Лолашвили. Древнегрузинские книги «Определения философии» (XI—XVIII вв.)	115
М. Чиковани. Книга «Деде Коркута» и грузинский героический эпос [Отголоски грузинского героического эпоса в огузском эпосе]	134
И. Чикаидзе. «Книга житъя Тамары» [царицы, XI—XII вв.] и поэма Арчила I [царя, XVII в.] «Прения Теймураза и Руставели»	157
Л. Менабде. Зарубежные древнегрузинские литературные очаги и их взаимосвязи [Из истории взаимосвязей между зарубежными центрами древнегрузинской литературы]	171
И. Гачечиладзе. Древние образцы экслибрисов грузинских рукописей [Экслибрисы переписчика Н. Чачикашвили, XVIII в.]	183
Л. Гиоргадзе. Литературные «Четверги» И. Чавчавадзе. [О литературных встречах на квартире поэта]	188
Ш. Гозалишвили. Гонимые [Запрещенные цензурой книги времен первой буржуазно-демократической революции в России]	197
А. Барамидзе. Случайная находка [О находке четырех экземпляров первопечатного текста поэмы Шота Руставели]	211
Г. Имедашвили. Иосеб Имедашвили — Издатель и букинист [К 100-летию со дня рождения]	213

Н. Рерих. (Предисловие и переводы двух произведений П. Гелекца)	236
а) Сокровище дома	241
б) Любите книгу	243

ХРОНИКА

Клубы любителей книги	251
Народный университет «Книга»	256
Факты, события	258

Поэтическая рубрика

Х. Берулава. Учитель «Давитиани» [Рукописного сборника стихов Давида Гурамишвили, XVIII в.]	63
Т. Джагулашвили. Посвящение книжной фабрике.	112
Ваханг VI. Стихотворение на «Килила и Димана» [древний сборник басен]	168
Арчил Багратиони. Благо мудрости (XVII в.)	168
Надпись на рукописи философского произведения (неизвестного поэта)	180
Иоани Петрици [Грузинский философ XI — XII вв.], Об учености	208
Сулхан-Сабан Орбелиани. Словолитие	208

Прозаические тексты

Давид Строитель и книга	181
Жалоба и моление книжница	182
Поэт и букинист	248

რედაქტორი ე. ტრიპოლსკაია
მხატვრული რედაქტორი აკ. თევზაძე
ტექნიკური რედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორები: ე. ყვანია, მ. მელიწკაური
გამომშვები მ. წივწივაძე

გადაეცა წარმოებას 10/XI-83 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად
14/III-83 წ., საბეჭდი ქაღალდი № 1 60X84¹/₁₆, პირობითი
ნაბეჭდი თაბახი 16,27. პირობითი საღებავგატარება 16,53.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13,96. უე 07520. ტირა-
ჟი 15.000. შეკვეთა № 3543.

ფასი 1 მან.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“
თბილისი, მარჯანიშვილის, 5

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგ-
ნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის
ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზ. № 7.
Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе, Го-
сударственного комитета Грузинской ССР по делам
издательств, полиграфии и книжной торговли, пр.
Дружбы № 7.

Общество любителей книги Грузинской ССР

МЦИГНОБАРИ

(на грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»
Тбилиси, Марджанишвили, 5
1983

აღმანახ „მწიგნობარის“ ავტორთა
საპუბლიცისტო!

სარედაქციო კოლეგია ავტორებს გთხოვთ სტატიები გამოგზავნოთ
ნორმატივების შესაბამისად დაბეჭდილი, ორ ეგზემპლარად.

ტექსტის ყველა ციტატი დამოწმებული უნდა იყოს წყაროებით.

საილუსტრაციო მასალა გამოგზავნეთ ორ ეგზემპლარად ზომით
13×18 სმ.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი, რუსთაველის გამზირი,
42, საქართველოს წიგნის მოყვარულთა საზოგადოების რესპუბლიკუ-
რი გამგეობა. ტელ.: 93-49-57; 93-12-89; 99-96-09.





Կ

Պ



Պ

Կ